114
1933

მნათობი

11

პოეზია და პროზა

ლ. ძიაჩელი
გ. ლეონიძე
მ. გარიყული
არჩ. ჯაჯანაშვილი
გრ. აბაშიძე
ზ. ბააზოვი
ლორდ ბაირონ
შელლი.

კრიტიკა და
პუბლიცისტიკა

კ. მელაძე
სიმ. ხუნდაძე

წიგნები და
მწერლები

ალ. სულავა

კულტურის მატიანე

1 9 3 3

პოლიტკარეიმო ყველა ქვეყნისა, შეუთდეთ!

მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

11

წელიწადი მეათე

Библиотека
при ЦК ВКП(б)

სახელგამი 1933 ტფილისი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

გ. ყურულაშვილი, ს. ეული, ივ. ვაშაყმაძე, შ. რადიანი, დ. სულიაშვილი, გალ. ტაბიძე, ტიც. ტაბიძე, სიმ. ჩიქოვანი, პ. ჩხიკვაძე (რედაქტ. მოადგილე), ლევან ასათიანი (პ./მგ. მდივანი).

პ./მგ. რედაქტორი: **გიორგი ყურულაშვილი.**

პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა

შეკ. № 2002. ტირ. 3000.
მთავლიტ. № 1266.

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13.

რედაქციის მისამართი: ეგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე. ტელ. № 1—65

კანტორის მისამართი: ტფილისი, ალმასკომის ქ. № 7, პერიოდსექტორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელი

ჰაკი აძბა

I

ეს მოხდა ქ. სოხუმში 1918 წელს, როცა რუსეთში ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებით გამოწვეული უსასტიკესი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა.

განსაკუთრებულად სასტიკი და მძაფრი იყო ეს ომი სამხრეთ რუსეთში, სადაც რეაქცია უკანასკნელი პოზიციების შენარჩუნებას ცდილობდა. საბჭოთა ხელისუფლება ცეცხლისა და მახვილის დაუზოგველობით უტევდა მას და შავი ზღვისკენ ერეკებოდა, თავის საზღვრებიდან აძევებდა.

შავ ზღვაზე და მის სანაპიროებში სისხლის თქეში იდგა და წითელი რისხვა ჰქუხდა კიდით კიდემდე.

როგორც ერთი, ისე მეორეც აფხაზეთშიაც მკაფიოდ ისმოდა.

აფხაზეთი მაშინ ოქტომბრისაგან განდგომილ ამიერ-კავკასიის კომისარიატის ხელისუფლებას ემორჩილებოდა და ფაქტიურად, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, რუსეთს მოწყვეტილი იყო.

და აღნიშნული წლის თებერვლის 27—ს, დილაადრიან, ქალაქ სოხუმში ხმა გავარდა მოულოდნელად:

— ბოლშევიკების კრეისერი „შმიდტი“ ქალაქის ნავსადგურს უახლოვდება. ეტყობა შემოსვლას აპირებსო.

ქალაქი შეირყა.

პირველ ხმას მეორეც მოჰყვა დადევნებულივით:

— წითელ კრეისერს მეთაურად „მრისხანედ“ წოდებული ბოცმანი კუზმა კილგა ახლავსო.

სოხუმს არა ერთხელ გაეგონა ეს სახელი.

ეს იყო ძველი მეზღვაური, 1905 წლის მეამბოხე, ცნობილი შმიდტის თანამებრძოლი ბოცმანი, კუზმა კილკა, რომელსაც მეფის მთავრობამ შმიდტის ამბოხებაში მონაწილეობის მიღებისათვის უვადო კატორღა მიუსაჯა. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ კილგა ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა და შავი ზღვის ფლოტში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. მისი სახელი მალე ცნობილი შეიქნა როგორც ზღვაზე, ისე მის სანაპიროებში. მტრებმა მას მეტსახელად „მრისხანე“ შეარქვეს, რაც მის უწყინარსა და მდაბიო სახელს გვარის მაგიერ მიემატა და მერე ისე შეეზარდა, როგორც აუცილებელი ეპიტეტი:

— კუზმა-მრისხანე.

საბჭოთა მთავრობამაც იგი უდიდესი ნდობით აღჭურვა: თავისი ძლიერესი სამხედრო გემის—კრეისერი „შმიდტის“—უფროსობა ჩააბარა, როგორც დამსახურებული ჯილდო კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ დაუზოგავი ბრძოლის წარმოებისათვის.

სოხუმის ქალაქის თავს, სამსონ დავანაძეს, ბოლშევიკების სამხედრო გემის მოახლოვების ამბავი ბინაზე მიუტანეს დილაადრიანადვე. იგი ჯერ კიდევ ლოგინში იწვა. „შმიდტისა“ და „კუზმა მრისხანის“ გაგონებაზე იგი შეფეთებული ადგა. მოულოდნელობისა და აჩქარებისაგან ძღივს მოასწრო ტანთ ჩაცმა და პირდაუბანელმა ქალაქის საბჭოს მიაშურა.

მაღალი კაცი იყო, ზორბა, წითური წვერი მკერდზე ჰქონდა დაფენილი. ქშენით მოალაჯებდა და თან ზღვისკენ გაიცქირებოდა.

— აბა მაჩვენეთ, სად არის?

თბილი დღე იყო და მზიანი. იშვიათი ზამთრობით ამ მზითა და სითბოთ განებივრებულ მხარეში. დაწყნარებული ზღვის მოალერსე, მშვიდი კამკამი დაუჯერებელს ხდიდა ხმად დარხეულ სახიფათო ამბავს.

ჰორიზონტი ნათელი იყო. დავანაძის თვალებმა საეჭვო ნიშანიც კი ვერ შენიშნეს ნაპირიდან დაწყებული ჰორიზონტის კიდურამდე.

— შიშისაგან თუ მოეჩვენათ.—ფიქრობდა ქალაქის თავი და ბრაზი მოსდიოდა სოხუმელებზე. გულში ედვა, თუ განგაში ტყუილი აღმოჩნდებოდა, სასტიკად დაეტუქსა, ვინც ჭორს ავრცელებდა და ხალხში შფოთს იწვევდა. თვითონ თავი ძველ რევოლიუციონერად მოჰქონდა და ბოლშევიკების არ ეშინოდა.—მეფის დროს ციმბირში იყო გადასახლებული რევოლიუციონერობისათვის.

ქალაქის საბჭოს წინ მოქალაქეებს კარგა ბლომად მოეყარათ თავი. ესენი მეტწილად სოხუმის მესაკუთრენი იყვნენ. აღელვება ეტყობოდათ. ორი-სამი ბინოკლითაც შეიარაღებულიყო.

— კი, მაგრამ რატომ დაიჯერეთ ასეთი ჭორი? საიდან სადაო? —თავს წაადგა მათ სამსონ დავანიძე,—ბოლშევიკების გემს ჩვენთან რა საქმე აქვს!

მოქალაქენი გარს შემოეხვივნენ. ცნობა დაუდასტურეს.

— ნამდვილზე ნამდვილია. ჩვენი თვალით დავინახეთ. გაგრიდან ჩამოსულებიც ამბობენ, რომ იგი არისო. უეჭველია გემი რაღაც საეჭვოდ მიმოდის ზღვაში და ეს უნდა იცოდეთო.

— ახირებულია თქვენმა მზემ. გემი იმისათვის არის გემი, რომ ზღვაში მიმოდის. მაშ, ხეელეთზე ხომ ვერ ივლის.—აიმრიზა ქალაქის თავი. მოქალაქეებს შიში არაფრად ჩაუგდო და თავისი მოჭრილი პასუხით კმაყოფილმა საბჭოს შენობაში შესვლა გააპირა.

ამ დროს ვეღამაც წამოიძახა:

— აი, აი, ისევ გამოჩნდა! აი ის არის!

ქალაქის თავი ფიცხლად შემოტრიალდა. მაშინალურად იკითხა:

— აბა, სად არის?

ერთმა მოქალაქემ ხელში ბინოკლი შეაჩეჩა.

დავანაძემ წვერი დაიფერთხა, კისერი წაიგრძელა და ბინოკლით შეიარაღებული თვალები ზღვას დაუმიზნა.

— სწორია, რომ გემია... სამხედროსაც ჰგავს... მაგრამ რატომ არის მაინცადამაინც „შმიდტი“, ეს ვერ გამიგია.—სთქვა მან, როცა ზღვის შორეული კიდურები შეათვალიერა, მაგრამ ხმაში წინანდელი რიხი და სიფაქიზე აღარ ეტყობოდა. სჩანდა, რომ თავადაც ეჭვი აღძროდა.

— მოგეხსენება, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო.—ყურში ჩასსურჩულა მას ბინოკლის პატრონმა, სოხუმში კარგად ცნობილმა ვაჭარმა რაჟდენ თორიამ, რომელიც „შმიდტის“ მოახლოვებას ყველაზე უფრო შეეშინებიხა—კარგი იქნება, თუ გაგრას გამოიძახებთ და ამბავს ჰკითხავთ.. დაგვიანება არ ვარგა, თუ „ისინი“ არიან, მართლა, დროზე უნდა შევემზადოთ.

ეს რჩევა ქალაქის თავს ჭკუაში დაუჯდა. საბჭოში შეიჭრა და ტელეფონს მიაშურა.

გაგრის პასუხი ასეთი იყო:

— ეს მესამე დღეა, რაც კრეისერ „შმიდტს“ შორიახლო ვამჩნევთ. გუშინ საღამოს თვალთაგან დაგვეკარგა. ამბობენ, ამ მხარეს იმისთვის დადის, რომ დაცარცხებულ თეთრგვარდიელებს გზას უჭრისო. ნამდვილად კი არავინ იცის, სახელდობრ, რა საომარი ამოცანა აქვს დასახული.. ჩვენი დაკვირვებით, თქვენსკენ წამოვიდა. შეიძლება, გეწვიოსთ. მზად იყავით.

სამსონ დავანაძისათვის ახლა აშკარა შეიქნა, რომ ბინოკლში თვალმოკრული გემი უთუოდ „შმიდტი“ იყო და მას, მართლა, ყოველ საათს შეეძლო სოხუმს სტუმრებოდა.

სერიოზულად დაფიქრდა. მის წინაშე მთელი თავისი პირდაპირობით და აუცილებლობით დადგა საკითხი, როგორ მოქცეულიყო იმ შემთხვევაში, თუ კრეისერი სოხუმის ნავთსადგურში შემოვიდოდა და ქალაქს რასმე მოთხოვნილებას წამოუყენებდა.

ადვილი არ იყო ამ საკითხის გადაჭრა.

დავანაძეს იგი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხად ეჩვენებოდა. მით უმეტეს, რომ პოლიტიკური ურთიერთობის ატმოსფერა მეტად დაჭიმული იყო ა ხანად. ეჭვი არ იყო, ქალაქის თავის საქციელს იმ შემთხვევაში სათანადოდ შეაფასებდენ და შედეგისათვის პასუხისმგებლობას მასვე თავს დაატეხდენ.

— თუ მოყვრულად დავხვდი, შენი მტერია, ბოლშევიკობას შემწამებენ... თუ მტრულად—გაბედე, თუ ვაჟკაცი ხარ: ნავი კი არ არის, კრეისერია ნამდვილი. მერე ისიც ბოლშევიკების... რისი იმედით? ის კუზმა—მრისხანეც უთუოდ ტყვილად არ ატარებს თავის სახელწოდებას.

საგონებელში ჩავარდა ქალაქის თავი.

პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა ყოველნაირი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, ეს იყო ტფილისში საიდუმლო დეპეშის გაგზავნა: ასეა საქმე და როგორ მოვიქცეთო. მაგრამ ეს იყო უფრო ფორმალობის დაცვა მისი მხრით. კარგად იცოდა წინასწარ, რომ დროზე არავინ უპასუხებოდა, ან თუ მიიღებდა მაინც რასმე პასუხს, იგი სახელმძღვანელოდ უთუოდ არ გამოადგებოდა.

მეორე ნაბიჯი კი ნამდვილ გამოსავალს წარმოადგენდა შექმნილ მდგომარეობიდან. ამავე დროს იგი სამსონ დავანაძის ჭკუამახვილობისა და ორიეხტაციის ნიჭის მაჩვენებელიც იყო.—

მას სწორედ დეპეშის შედგენის დროს მოაგონდა, რომ ხოხუმშიაც არსებობდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის თავმჯდომარედ დავანაძის კარგი მეგობარი ნარიქ ეშბა ითვლებოდა, ესეც ძველი რევოლიუციონერი, ნაციმბირალი და სხვა მრავალი ღირსებით შემკული კაცი. რევოლიუციის შემდეგ ფართო საზოგადოებრივი მუშაობის ასპარეზზე გამოსულ აფხაზთა შორის იგი ყველაზე უფრო წინდახედული, ჭკვიანი და მომქმედი იყო. სხვათაშორის, მას არსებული მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ განწყობილებას სწამებდენ, რუსეთის ორიენტაციის კაცად სთვლიდენ, მაგრამ ეს ოფიციალურად არ იყო ცნობილი, მითქმა-მოთქმის ფარგლიდან არ გამოდიოდა და ხელს არ უშლიდა ეშბას თვალსაჩინო და საპასუხისმგებლო თანამდებობა ჰქონოდა.

მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომელსაც ნარიქ ეშბა თავმჯდომარეობდა, ამჟამად თითქმის არ მოქმედებდა,—მიყუჩებულივით იყო. მაგრამ ეს არ იყო ეშბას ბრალი. ამ ბოლო დროს ამ ორგანიზაციის მოვალეობას ის—ღა შეადგენდა, რომ დროგამოშვებით, როცა მდგომარეობის სირთულე მოითხოვდა, მომენტის შესაფერს რეზოლიუციას მიაღებინებდენ და გაზეთებში გამოაცხადებინებდენ. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ჯერ კიდევ ინერციით თუ ტრადიციით რევოლიუციონური ავტორიტეტი ჰქონდა შერჩენილი და მისი გვერდის ავლა არ შეიძლებოდა.

— ევრიკა!—წამოაძახა დავანაძემ და წვერის დაფერთხით თავისავე თავს მიხვეღრა მოუწონა. მის წინაშე მოქმედების მთელი გეგმა გადაიშალა. როგორც თვით მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭო, ისე მისი თავჯდომარე ქალაქის თავს ახლა იმ სახით წარმოუდგენ, თითქოს ისინი თავიდანვე ამ ქვეყნად იმიტომ ყოფილიყვნენ გაჩენილები, რომ ამ დილას უცაბედად შექმნილ მდგომარეობისათვის მოევლოთ და ეპატრონათ.

— აი, ნამდვილი რევოლიუციონური ორგანო. მე რა შუაში ვარ, მართალი რომ ვსთქვათ. ნურავის დაავიწყდება, რომ ამ რევოიუციონური ორგანოს ოფიციალური სახელწოდება შეიცავს არა მხოლოდ „მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატებს“, არამედ „მეზღვაურთა“ დეპუტატებსაც, რასაც ხშირად შემოკლებისათვის არ ხმარობენ, მაგრამ ყოველთვის კი გულისხმობენ... დიახ! და, აი, ახლა მეზღვაურები მოდიან. კეთილი ინებეთ, მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთო დეპუტატებო, დახვდით ამხანაგებს და შესაფერისი მასპინძლობა გაუწიეთ. მორჩა და გათავდა.

მაშინვე აფრინა შიკრიკი ნარიქ ეშბასთან და საბჭოში დაიბარა.

ეშბამ გულდასმით მოისმინა სამსონ დავანაძის წინადადება. რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდა ქალაქის თავის განზრახვას. ’ცოტა ხანს დაფიქრდა და შემდეგ ასეთი მეგობრული პასუხი გასცა:

— პასუხისმგებლობას ან შენ რატომ იკისრებ, ძვირფასო სამსონ, ან რატომ გინდა, რომ მე მაკისრებინო მაინცადა-მაინც. ხომ იცი, რა მდგომარეობაა. თუ პასუხისმგებლობამდე მივიდა საქმე, სჯობია, მისი ტვირთი ისე განაწილდეს ყოველ შემთხვევისათვის, რომ ბრალი ყველას და ამავე დროს არავის არ დაედვას...ჩემის აზრით, ასე უნდა მოვიქცეთ: მოვიწვიოთ ქალაქის საბჭოს

და მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმების სასწრაფო გაერთიანებული სხდომა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების თანდასწრებით და ერ დავსვათ ეს საკითხი. შეიძლება, გავლენიანი მოქალაქეებიც მოვიწვიოთ, როგორც დაინტერესებული ხალხი. დეე, ამათ გადაწვიტონ, თუ რა სახით უნდა დახვდეს ქალაქი სოხუმი ბოლშევიკების სამხედრო გემს. ასეთია ჩემი რჩევა, და შენ როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი.

ძალიან მოეწონა ეს აზრი ქალაქის თავს. ეშბას წინადადება ჩინებულად მოაზრებული მოეჩვენა. შურითაც კი აივსო მისი ავტორისადმი, რომ მან ასე უცბად ასეთი მოხერხებული გამოსავალი ჰპოვა.

—„აფხაზები ბუნებით დიპლომატები არიან. ეს კიდევ განსაკუთრებული სჩანს. მაჯობა, მგონია, ჭკუაში.“—გაიფიქრა თავისთვის, მაგრამ რაკი რჩევა ძალიან დაუჯდა ჭკუაში, ჯობნა არ ეწყინა. საქმეს ფიცხლად შეუდგა. მთელი აპარატი ფეხზე დააყენა.

II

პრეზიდიუმების გაერთიანებული სხდომა ისე სწრაფად შესდგა და საბჭოს დარბაზს იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ მუდამ ქვორუმის მონატრული ქალაქის თავის ყოველ მოლოდინს გადააჭარბა.

სხდომაზე არ გამოცხადდენ ოფიციალურად მხოლოდ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ამ გარემოებამ დავანაძე ცოტა არ იყოს დააფიქრა.

— უყურეთ, როგორ გაურბიან პასუხისმგებლობას. პოლიტიკაა. ალბად, ასე სჯობია. —გაივლო გულში და ამ თავითვე გადაწყვიტა პირში წყალი დაეგუბებინა და სხდომაზე კრიტიკა არ დაეძრა. —რაღა მე ვიტკივო თავი...შემდეგ კი ვნახოთ, გარემოება რას გვიკარნახებს.

სხდომა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ გახსნა.

ეს იყო ბექირბი ჩაჩბა, აფხაზთა შორის მეტად პოპულიარული პიროვნება, რომლისადმი პატივისცემას ყველასთვის სავალდებულოდ ხდიდა, გარდა დიდი გვარისა, რომლის უპირველეს წარმომადგენლად ითვლებოდა, მისი იშვიათი ტანადობაც და განსაკუთრებული აფხაზური იერით შემკული სახიერება, რასაც იგი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, შეუდარებელი თავდაჭერილობით და სიფაქიზით ატარებდა, როგორც ბუნებისაგან ან განგებისაგან მონიჭებულ რასმე ღირსებას.

სხდომის გახსნისთანვე მან საკითხი მამაშვილური პირდაპირობით დააყენა:

— რა ვქნათ, ბოლშევიკები კარს მოგვადგენო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

დაესწრენი ენაწყლიანი ორატორების გამოსვლას მოელოდენ. მაგრამ მათგან ახლა სიტყვის თქმის მსურველი აღარავინ გამოჩნდა.

მაშინ წამოდგა უპარტიო რაჟდენ თორია, ხმოსანი და მდიდარი მესაკუთრე, სხდომაზე საგანგებოდ მოწვეული, როგორც სოხუმის გავლენიანი მკვიდრთაგანი, და სიტყვა ითხოვა.

— რაკი ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელები სდუმან, ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგახსენოთ შემდეგი სიტყვის ყველა მცხოვრებლების სახელით... აქ არიან ბევრნი და კიდევაც დამეთანხმებიან. მე მგონია, ლაპარაკისათვის დროც არა გვაქვს, მაგრამ საკითხი ისედაც ნათელია. ახლა პოლიტიკური ანგარიშების გასწორების დღე არ გვადგია. ჩვენ, უბრალო ხალხი, ამ ანგარიშებში არც ვერევით. ეს ჩვენი საქმე არ არის. ღმერთმაც დაგვიფაროს. არც მივცემთ არავის ნებას ისედაც გართულებული მდგომარეობა დღეს უფრო კიდევ მეტად გაგვირთულოს. ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი რამ: რადგანაც კრეისერი „შმიდტის“ ერთი გასროლაც კი საკმარისია, რომ ჩვენი სახლები და მთელი ჩვენი სარჩო-საბადებელი, რაც კი გაგვაჩნია, ცეცხლმა თვალის დახამხამებაში ჩანთქას, ჩვენი ყოფაქცევაც ამ უეჭველი გარემოებიდან უნდა გამომდინარეობდეს:—გემიც და მისი მეზღვაურებიც მთელმა ქალაქმა ისეთი პატივისცემით უნდა მიიღოს, რომ ეჭვიც კი არავის არ უნდა დაებადოს ჩვენს მათდამი თანაგრძნობასა და მეგობრულ-მოყვრულ განწყობილებაში. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ გემის ყველა მოთხოვნილება, რაც კი ექნება, დაუყოვნებლივ უნდა დავაკმაყოფილოთ, რაც უნდა დაგვიჯდეს მაინც... ვინც სხვახაირად გვირჩევს, იმას, ალბად, ჩვენი დაღუპვა უნდა...

მთელმა დარბაზმა ერთხმად წამოიძახა:

— მართალია. სწორია.

მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ნარიქ ეფბამ მოკლე დეკლარაცია წაიკითხა. იგი ერთი მაღალ-ვარდოვანი და გრძელი პერიოდისაგან შესდგებოდა, რომლის სიტყვიერ ლაბირინტში გარკვეული აზრის დანახვა შეუძლებელი იყო. მაგრამ დასკვნა წინდახედულად იყო მოზომილი და ავტორს ყოველგვარ ეჭვს გარეშე აყენებდა, რაგინდ თვალსაზრისით გაგესინჯათ იგი. აი, ეს დასკვნაც:

— იმ ბრძოლაში, რომელიც ახლა მთელ რუსეთში სწარმოებს, ჩვენ უთუოდ რევოლიუციის მხარეზე უნდა ვიყოთ და ვართ კიდევაც. ასეთია ჩვენი მშრომელი მასების სულისკვეთება...

საწინააღმდეგო აზრი, რასაკვირველია, დარბაზში არც კი გაჟაჟანებულა.

თუმცა არავინ არ იცოდა დანამდვილებით კრეისერი „შმიდტის“ მარშრუტი და მისი გამომწვევი მიზეზი, მაგრამ ისედაც ყველამ უწყოდა, თუ რა ინტერესი უნდა ჰქონოდა ოქტომბრის რევოლიუციას შავი ზღვის სანაპირო ადგილებში ახალსა და ძველ რუსეთს შორის გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს.—არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ მიუხედავად ყოფილი იმპერიის სამხრეთით ახლად შექმნილი რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა, მათი ტერიტორიები მაინც შედიოდენ დიდი ოქტომბრის სადარაჯოს ფარგლებში, და ამ მხრით გამონაკლისს აფხაზეთიც არ წარმოადგენდა.

და ბათომიდან დაწყებული შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირის გაყოლებაზე მდებარე ქალაქებსა და დაბებში კიდევაც არა ერთხელ შემოჭოილან, ზღვის ქარიშხალივით, გაოცებისა და შიშის მომგვრელი ახალი სახელები:

— წითელი კრეისერი „შმიდტი“ და მისი უფროსი—ბოცმანი კილგა, „კუზმა-მრისხანედ“ წოდებული.

დღეს კი სოხუმს თვით ამ სახელების მატარებლების პირისპირ შეყრა და და უშუალო გაცნობა მოელოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემის საზეიმო დახვედრის საჩქაროდ მოწყობა და მისი წესიერად ჩატარება ორ კაცს დაევალა: მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს ნარიქ ეშბას და ქალაქის თავს სამსონ დავანაძეს, რომელთაც თანაშემწეებად ათიოდე გავლენიანი და ენერგიული მოქალაქე დაუნიშნეს

მათ შორის პირველი იყო რაჟდენ თორია.

* * *

... ათი საათი იქნებოდა, როცა სოხუმის ქალაქის საბჭოში უკანასკნელი შემოწმებული ცნობა მოიტანეს: კრეისერის „შმიდტის“ გეზი ნავთსადგურისაკენ მოიმართებაო.

მთელი ქალაქი უმალვე გამოიცვალა. ისეთი ფოიაქი, მოძრაობა და განგაში ატყდა, რომ კაცს ეგონებოდა, შავი ზღვის ნაპირად ამ მზიან დილას სასწაული რამ მოვლინებულა და პატარა, წყნარი და კოხტა სოხუმის ადგილას საიდანღაც ვეება, აურზაურიანი ქალაქი გაშენებულაო. მივარდნილი, მუდამ სოფლური სიჩუმით მოკული უბნებიც კი ახმაურებულიყვნენ:

— ბოლშევიკები მოდიანო!

ქუჩებში ეტლებისა და ცხენების თქარა-თქური გარედ გამოფენილი ხალხის აყიჟინებულ ხმაურობას შერეოდა. ქალაქის და ადგილობრივი მთავრობის მიმოსვლის მთელი თანამედროვე ტეხნიკური საშუალება—რამოდენიმე სამგზავრო და ორიოდე საბარგო ავტომანქანა—ისეთი სისწრაფით დაჭროდა უბნებიდან უბნებში, რომ სოხუმის ისედაც შეფეთებულ წვრილ ბურჟუებს ყველგან და ყოველ წამს მათი ცოფიანი ქშინვა, გიჟური ფსტვენა და ყვირილი ელანდებოდათ. ეგონათ, რომ მათი რიცხვი ათასსაც კი აღემატებოდა და უკვირდათ:

— ამდენი ავტომობილი დღეს, ნეტავი, ასე უცებად საიდან გაჩნდაო.

ეს საკვირველი მოვლენაც ზოგს „შმიდტისა“ და კუზმა მრისხანის გაუგებარ საქმედ ეჩვენებოდა და მიხვედრას იმახვილებდა, რომ თავდაცვის განსაკუთრებული და უტყუარი ზომები დროზე მიეღო.

— იქნება, ავტომობილებითაც მოდიანო.

მოქალაქენი მეტწილად თავიანთ სახლებს უტრიალებდენ და წითელი დროშებით ამკობდენ, დიდი და პატარა ერთ სურვილს აეტანა: რაც შეიძლება მალე, საჩქაროდ, მეზობლებზე უფრო ადრე თავის სახლის წინ წითელი დროშა გამოეკიდა და ამით ყოველი ეჭვი თავიდან აეცილებინა. ვისაც შინ დროშა არ აღმოაჩნდნბოდა, ბაზრისაკენ გარბოდა, წითელ ნარმას ყიდულობდა და უკან დაბრუნებული, გზადაგზა, დროს მოსაგებად, დროშას სახელდახელოდ ამზადებდა: ნარმას ჯოხზე ამაგრებდა.

მცხოვრებნი სახეზე კითხვის ნიშნის გამოსახვით ხვდებოდენ ერთმანეთს. ზოგს საიდუმლო აზრის დამფარავი და ამავე დროს ამავე აზრის იდუმალ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამლავნებელი ღიმილი უთამაშებდა პირზე. ზოგს კიდევ დაუფარავი შიში და დაბნეულობა უკრთოდა თვალებში.

— მოდიან? ა?

— მოდიან. „შმიდტისთანა“ ძლიერი კრეისერი შავ ზღვაზე არ დადის. კუზმა-მრისხანე თუ გინახავს?

— ნახვით არა. მაგრამ, ნეტავი, თუ მართალია, რასაც მასზე ლაპარაკობენ?

— რა ვიცი. ღმერთმა დაგვიფაროს... თავი უნდა მოვაწონოთ კი.

და ისევ გარბოდენ.

ხელისუფლებაც დარბოდა, ღელავდა ფაციფუცი.ბდა და ემზადება.

ქალაქის საბჭოს შენობის სახურავზე აფრიალებულ დროშის გვერდით ორი დიდრონი ახალი წითელი დროშა აღემართათ, ხოლო თვითონ შენობა მთელ სიგრძე სიმაღლეზე პაწაწინა წითელი დროშებით მოეფინათ. საბჭოსთვის სხვა დაწესებულებებსაც მიებაძნათ, ამათთვის კიდევ—კერძო სახლებს, და სოხუმის ლამაზი შენობების თეთრი რიგები სულ ერთიანად წითლად აეჭრელებინათ

ნავთსადგურის მისავალი ცოცხალი ყვავილებით მოერთოთ. ათიოდე დურგალი მის წინ ამართულ სამიტინგო კამარას შესეოდა შესაკეთებლად, რადგანაც ჯერ კიდევ შარშან თებერვლის დღეებში გაკეთებული ამჟამად მოძველებული იყო, შემჟღრეული, და ძალიან უფერულად გამოიყურებოდა. სოხუმის გამოცდილი მებაღეები კი, იქვე, მის შესამკობად უცხო ნაირფეროვან ტროპიკულ მცენარეებისა და ყვავილებისაგან გირლიანდებს სწნავდენ.

ბაქანზე მუსიკის ორკესტრი წინასწარ გამოეყვანათ ყოველშემთხვევისათვის, რათა არ დაგვიანებოდა და შეხვედრა უმუსიკოდ არ მომხდარიყო.

ზღვის ნაპირის გასწვრივ გაშლილი პალმების ხეივანზე გამავალი დიდი სასტუმროს ქვედა სართული, რომელშიაც რესტორანი იყო მოთავსებული, წითელი არშიებით დაებლანდათ. არშიებზე ფერადფერადი რევოლუციონური წარწერები აეჭრელებიათ რუსულ ენაზე, ხოლო რესტორანი შესავალი თაღით დაემშვენებიათ და ზედ დიდრონი ასოებით აეთამაშებიათ:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

შიგ რესტორანში სუფრას შლიდენ ასი კაცისათვის...

III

ამავე სასტუმროს მეორე სართულში ამავე დროს, ფანჯრებდახშულ ოთახში, ხუთი კაცისაგან შემდგარ ჯგუფს თავი ჩაეკეტა და წუხელ ნავახშმევებს დაწყებულ ბარაქას თამაშს განაგრძობდა. ეს განცალკევებული ჯგუფი არა თუ მონაწილეობას არ იღებდა ქალაქის ციებცხელებიან სამზადისში, მისმა წევრებმა ამბადაც არ იცოდენ, რაც ამ დილის აქეთ მათ გარშემო ხდებოდა—მათ შორის ორი აფხაზი იყო. დანარჩენები—მეგრელი, აჭარელი და იმერელი. ხუთნოვე ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლელი.

სათამაშო მაგიდას მხოლოდ ოთხნი უსხდენ. ოთახში დამდგარი თამბაქოს ბოლი მათ უძილობისაგან დაქანცულს და აზარტისაგან დაგლეჯილ სახეებს გაორთქლებულ სარკესავით აჩენდა.

მაგიდა ფულით იყო მოფენილი: — ცალკე ეწყო რუსეთის იმპერიის ვაუჭ-მებული ასიგნაციები და ოსმალური ლირები, ცალკე სხვადასხვა კუთხის, ოლქის თუ რესპუბლიკის, მეტწილად ამიერ-კავკასიის „ბონებიც“, „ბონებიც“ ჩართული. ზოგი დასტადასტად ელაგა. ზოგი აშლილი ზვინივით-უანგარიშოთ ეყარა, ქარაგმიანი სარეკლამო მორთულ ფურცლებივით. მათ საეჭვო ღირსებას გარდა მდარე ქაღალდისა, არაბული ციფრებით გამოხატული ასეული ათასეების და მილიონების ფანტასტიკაც ამეღავნებდა, რომელიც არავის არ სჯეროდა.

თამაში უწვეტად, მაგრამ ჩუმად მიმდინარეობდა. გაისმოდა მხოლოდ დამრიგებლის მოკლე და მოკვეთილი წამოძახილი. უფრო მოკლე და მოკვეთილი იყო პასუხი პარტნიორისა. მერე იწყებოდა ფულის სწრაფი, უსიტყვო გადალაგება ერთი ადგილიდან მეორეზე.

მაგიდის ერთ კუთხეში მიყრილ-მოყრილ პაპიროსის ნამწვავებსა, ჭიქებსა, ბოთლებსა და ლამბაქებს შორის წვრილი ვერხცლის ბალთებ-ასხმული ქამარში გაყრილი სატევარი იდვა, ოქროთი მოჭედილი. მის გვერდით ღილ-შეხსნილ ბუდიდან ამოწეული რევოლვერის ოქრო-ვერცხლით მოსალტული ტარი მოსჩანდა, ხმარებისაგან დაფერილი და მოელვარე. თვითონ რევოლვერი ახლოს მიდგმულ სკამის ზურგზე გადაკეცილი თალხი ფერის ჩოხის სახელოებს დაეფარათ მაგიდაზე შემთხვევით გადმოფენილებს. სკამის ზურგზე კი, ჩოხის სამხრეებიდან გამომზირალი ყაზახთა ოფიცრის ფორმის მბზინავი სირმის ეპოლეტები ბრჭყვიალებდა, და მათ ქვემოდ, ნაოჭთა ჩრდილს ქვეშ მიმალული, სამასრეზე მიკერებული წმინდა გიორგის ოქროს ჯვარი ციალებდა მინაქარით მოოქვილი

როგორც მაგიდაზე დაწყობილი იარაღი, ისე სკამზე გადაკეცილი ჩოხა მოთამაშეთა ჯგუფის მეხუთე წევრს ეკუთვნოდა, რომელიც ამჟამად თამაშში მონაწილეობას არ იღებდა — ფანჯრის ახლო კუთხეში მიდგმულ მოკლე სავარძელში იწვა წელში გადაკეცილი და ძილს მისცეოდა.

თავი სავარძლის ხავედგადაკრულ ხელსაყრდენზე ჩამოედვა, ქვეშიდან ხელებშემოწყობილი, საზურგეზე შავ წუღა-მესტში ჩასხლეტილი ფეხები შეესროლა გადაჯვარიდინებულად.

ახალგაზრდა ქერა სახე დალეწილი უჩანდა. ზოგან ნაოჭებს დაესერა, ზოგან კიდევ ჭრილობის ჩაღრმავებულ ზოლებს, რომელთაგან ერთი მარცხენა ლოყაზე აჯდა ირიბად.

მიუხედავად იმისა, რომ ეძინა, სახეზე რაღაც ღრმა წუხილის ლანდები მიმოურბოდენ, რომლებიც დახუჭული თვალების საბუდეებში ღამის შავი ფრთებით ეფინებოდენ.

ნისკარტივით მოხრილი მომცრო ცხვირის ნესტოები მოხშირებულ სუნთქვისაგან უფეთქავდენ — ეშლებოდენ და ეკეცებოდენ, როგორც ნატიფად ნაზარდ ჯიშიან ცხენს მძიმე, შეუფერებელ ტვირთს ქვეშ.

შვინდისფერი მოკლე ახალუხი ტანზე ბუნებრივი კანივით შემოკვროდა და უხორცო გულმკერდის ძვლის ზოდებსა და კუნთებს უჩენდა.

წელს ნასკვს ორი თითი შემოწვდებოდა.

ეს იყო თავადი უჯუშ ემხა, აფხაზი, მეფის დაშლილი ჯარის ოფიცერი, — შტაბსროტმისტრი ჩერქეზთა რაზმის აფხაზური ასეულისა, რომელიც ომის დროს ავსტრიის ფრონტზე იბრძოდა.

დაშლილი ფრონტიდან წამოსული მხოლოდ ახლახან დაბრუნებულიყო საჭ შობლოში. სამ თვეზე მეტი სამოქალაქო ომის ცეცხლში ეტრიალა. ჯარიკაცების აჯანყებული შურისძიების გუგუნს „ჰკა მაგას“ გადარჩენოდა, წითლების იერიშების შმაგ ნავარდს გამოქცეოდა. ათასი საფრთხისა და განსაცდელისაგან თავი დაეღწია განუყრელად მასთან მყოფი უერთგულესი მხლებელისა, მისთვის მუდამ თავგანწირული ძიძისშვილის ჰაკი აძბას დახმარებით, რომელთანაც ერთად უვნებელი მშობელ კერას დაბრუნებოდა.

სიცოცხლის გარდა, ორი რამ განძი ჩამოყოლოდა, რომლებსაც სიცოცხლეზე უფრო აფასებდა და უფრთხილდებოდა. ეს იყო სიყრმიდანვე მისი საოცრებო ოფიცრის ეპოლეტები და ოფიცრისავე წმ. გიორგის ოქროს ორდენი.

მაგრამ ერთი რამ საჩუქარი მისთვის სამოქალაქო ომსაც გამოეტანებია: ეს კი იყო მის პრიმიტიულ სულზე შიშის ლანდების სახით დასმული უჩინარი დალი, რომელიც ისევე არ შორდებოდა მის შინაგან არსებას, როგორც გიორგის ჯვარი მკერდს და ეპოლეტები — მხრებს.

ახლაც, თუმცა სავარძელში იწვა და ეძინა, მაგრამ ისე ბორგავდა და იკრუნჩხებოდა, რომ ეტყობოდა ამ ლანდებისაგან ძილშიაც მოსვენება არ ჰქონდა. მართლაც უცნაური რამ ემართებოდა. დროგამოშვებით მთელი ტანის ცახცახი აუვარდებოდა და მერე უცებ მთელი ტანითვე ისე შეკრთებოდა, თითქოს უფსკრულს უნდა გადაჩეხილიყო და თავი ძლივს შეიმაგრაო. თან ტუჩებს რაღაც საკვირველი ღრაკნით მუწავდა და შლიდა. უცხო გაუგებარი სიტყვების ნაწყვეტები შიშინით ამოუდიოდა პირიდან და ისევ გაინაბებოდა. სუთქვაც კი შეუწყდებოდა და, დასასრულ, ისეთი კვნესა აღმოხდებოდა მკერდის სიღრმიდან, რომ თავდავიწყებამდე აზარტით გართული მისი პარტნიორები ამის გაგონებაზე თამაშს შეწყვეტდენ და შეოცებულები სავარძელისკენ მოიხედავდენ — ეს რა საცოდავების ხმა გაისმაო.

როცა ეს რამდენჯერმე განმეორდა, მოთამაშეებმა ვერ მოითმინეს და მძინარეს ერთხმად შესძახეს გამოსაღვიძებლად:

— უჯუშ!

დაძახება და უჯუშის წამოვარდნა სავარძლიდან ერთი იყო.

ფეხზე დამდგარმა, მაგრამ ისევ მძინარემ ტანი ისე მოიმარჯვა, თითქოს მოსისხლე მტერს უტევსო — წელზე წაივლო ხელები, სადაც სატევარი ეგულებოდა: მარჯვენით ტარს ეძებდა, მარცხენით — ქარქაშს. როცა ვერც ერთი ვერ მონახა, ხელი რევოლვერისკენ გააქანა. ესეც რომ არ აღმოაჩნდა, კანკალი დააწყებინა, ბრაზისაგან გაიგუდა. ის-იყო სასოწარკვეთილების გმინვა უნდა აღმოხდენოდა პირიდან, რომ ამ საოცრების შემყურე მოთამაშენი თავიანთი ადგილებიდან წამოიშალნენ და გარსშემოერტყენ. დაბალი, მოალერსე ხმით მიმართეს. ტკბილი სიტყვები უთხრეს.

— უჯუშ! ჰა, უჯუშ! რა მოგივიდა? აქ ვართ, ნუ გეშინიაო.

ახლოს მისვლა საკვირველ მძინარესთან და ხელის მოკიდება მაინც ვერ გაბედეს.

ერთხანს შემდეგ უჯუშმა უცებ შესწყვიტა მოძრაობა და ტანი გაისწორა მერე თვალებიც გაახილა და მის წინ მდგომ ოთხსავე მეგობარს ერთბაშათ შეანათა.

მოუითალო მწვანე ფერით არა ამქვეყნიური შუქი გამოკრთა.

ეს იყო შიში, რომლის მსგავსი არცერთს იქ მყოფთაგანს მოჩვენებითაც კი არასოდეს არ მოჩვენებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან დაიხიეს ძალაუნებურად.

მაგრამ უჯუმმა, როგორც კი იცნო ამხანაგები, მაშინვე ისევ დახუჭა თვალები. ახლა პირთან ბავშურმა ღიმილმა გაუციალა და ლურჯი ფერებით დასერილ სახეზე ნათელივით შეეფინა. ეტყობოდა, გონს მოეგო.

იმ ღიმილმა დამფრთხალი ამხანაგებიც გაახარა. ახლა თამამად მიუახლოვდენ უჯუშს გაბედეს და მკლავზედაც ხელი შეუსვეს.

— ამისთანა რა მოგეჩვენა, უჯუშ, რომ ასე შეგვაშინე. დაწყნარდი, შეკაცო, არაფერია... ბოლშევიკები ჩვენში ჯერ კიდევ არ არიან.

უჯუშმა ისევ გააღო თვალები, ახლა ბუნებრივად, ჩვეულებრივად იცქირებოდა. ერთხელ კიდევ შეხედა მის გარშემო მდგომთ და ისე გაუცინა, თითქოს მათ წინამე ბოდიში მოიხადაო.

— მე კი სწორედ ისინი მომეჩვენენ... თითქოს... გემით მოვიდენ... თითქოს... — მაგრამ სიტყვა არ დაასრულა, ხელი ჩაიქნია და ტანის მოწყვეტით ისევ სავარძელში ჩავარდა თვალებ-მინაბული.

მაღლა აწეული თავი სავარძლის საზურგეს მიაყრდნო და მეტი სიტყვა არ წამოცდენია, ისე გაირინდა. სჩანდა, სიზმარში განცდილი შიშისათვის თავი ჯერ კიდევ ვერ დაეღწია.

მერე მოგვიანოდ იკითხა:

— ჩემი ჰაკი არ მოსულა? ხომ არ ვუკითხავარო?

როცა უარყოფითი ასუხი მიიღო, სახეზე უკმაყოფილებამ გადურბინა და ისევ თვალები დახუჭა, გაირინდა.

სწორედ ამ დროს ახლოდეულად გარედ გემის საყვირის უჩვეულო ხმა გაისმა, მაღალ ფარდებში ფსტვენა და ყიჟინა დატანებული, ისეთი მკვეთრი და ძლიერი, რომ გეგონებოდა დედამიწა ვერ დაიტევსო. — ოთახში შემოიჭრა, ფანჯრის მინები ააწკარუნა და გაბოლებულ მქიმე ჰაერში მდეკური მოქნევისაგან აწივლებულ მახვილივით შეერჭო.

ვერ მოასწრო საყვირმა თავისი ფიცხი შეძახების სრულიად გაშლა, რომ მოულოდნელადვე მარსელიეზის მგზნებარე ხმებმა აღფრთოვანების ჟრუანტელი კიდით-კიდემდე მიმოაბნიეს.

ოთახში მყოფნი ფანჯარას მივარდენ. ფართოდ გააღეს და გადაიხედეს.

ხოლო უჯუშ ემხა თავის ადგილზე დარჩა, როგორც იყო, ისე გარინდებული. მისმა სმენამ რაღაც უცნაურად აითვისა საყვირისა და მუსიკის ხმები: უფრო მოჩვენებასავით, ვინემ სინამდვილე.

ქალაქის მოთამაშეთ კი თვალწინ მოულოდნელი სანახაობა გადაეშალათ:

ნაპირიდან ცოტა დაშორებით, ვერცხლისფრად აციმციმებულ ზღვაში ვეება გემი ჩამომდგარიყო, ქალაქისაკენ განით მოქცეული. შავი მილით სქელი კომლი ამოდიოდა, რომელიც თავზე და გარშემო ღრუბელივით ეხვეოდა. ჰაერში სამი საშინელი თვალი შეემართა, ქალაქს დამიზნებული, — სამი შავი წრე, სამივე ბრმაც და მხედველიც ერთსა და იმავე დროს.

ეს იყო ყელმოღერებული ზარბაზნების წახნაგივით თლილი ტუჩები, კომლიან ჰაერში შეყირავებულები.

ნაპირზე კი აუარებელი ხალხი ირეოდა ბზუილით. მთელი ქალაქი გარედ გამოფენილიყო.

ნიჩბებ-მომარჯვებული ნავები ზღვაში შეცურებულიყვნენ და გადამფრენ წეროებივით ერთმანეთს მწყობრად დადევნებულები კარგა მოზრდილ მოტორიანს ნავს მწყობრად მისდევდენ, რომელიც კრეისერისკენ გზას მიიკლევდა თუქთუქით.

— რაღაც დიდი ამბავია, — გაიკვირვეს ფანჯარასთან მისულებმა. — კრეისერი უნდა იყოს... კი, ნამდვილად კრეისერია! მაგრამ ვისი უნდა იყოს ნეტავი, რომ ასეთი ამბავით ხვდებიან?

კრეისერის ხსენებამ ემხა გარინდებიდან გამოიყვანა, მაგრამ სახის ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს სენამ მოატყუა. და შესამოწმებლად გაგონილს ხელმეორედ ყური მიუგდო.

— უჯუშ! — მიმართეს მას ფანჯარასთან მისულებმა. — მოდი აქ, თუ ძმა ხარ. იქნება, შენ უფრო გამოირკვიო რა კრეისერია, ჩვენსკენ რომ უშველებელი ზარბაზნები მოუღერებია. სამხედრო კაცი ხარ, მიხვდები.

უჯუშ უცებ გამოიცვალა. მის სახეზე საშინელი ეჭვი და უაღრესი გაკვირვება ერთმანეთს ბასრი კლანჭებით შეემბენ.

ადგომა და ფანჯარასთან მისვლა დააპირა, მაგრამ შებორკილივით შეინძრა მხოლოდ. ტანი არ აჰყვა. მაშინ ფართოდ დაღებული თვალების ორივე გუგა ერთბაშად, თავის შეუნძრევლად, წინა კედლისკენ მიატრიალა და მის მიღმა, სადაც შორს ნიშანში ამოღებულ წერტილს მიაპყრო, რომელიც, ალბად, მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობდა. — რაღაცის მოგონება უნდოდა და მეხსიერებას ძალას ატანდა. რაღაც სიტყვა ადგა ენაზე, მაგრამ ვერ ეთქვა.

უკან ტუჩები შეუკახცახდენ, მერე დაეჭიმენ, დაეღრაკნენ, ისე, როგორც ამას წინად სიზმარში მოსდიოდა, და უცნაური, უხმო ჩაშიშინებით ჰაერში მოხაზეს:

„შმიდტ“.

და უჯუშ კვლავ შეკრთა მთელი ტანით, თითქოს სიზმარს იმეორებსო.

— უჯუშ, მოდი მალე, კაცო, — მიმართეს მას ერთხელ კიდევ ამხანაგებმა. — მოგვეხმარე გამოცნობაში... გემს რაღაც მუქ სისხლისფერი წარწერა აქვს მთელ გვერდზე, მაგრამ კომლის ნაფლეთები ახვევია და ვერ გავარჩიეთ. რუსულს ჰგავს. იქნება შენ წაიკითხო.

— „შმიდტია“... ბოლშევიკების გემი. — იყო ემხას პასუხი, ისე წყნარად და დამაჯერებლად წარმოთქმული, თითქოს ეს არის, მართლაც ის სისხლისფერი წარწერა ამოიკითხაო.

ფანჯარასთან მდგომთ მისი ხმა ძალიან შორიდან მომავალი მოეჩვენათ, მაგრამ ახლა ამ გარემოებას იმდენი ყურადღება არ მიაქციეს, რამდენადაც უცნაურ განცხადებას.

— ეს შენ საიდან გაიგე, უჯუშ? მანდიდან ხომ ვერაფერს ხედავ? — ჰკითხეს და შეოცებულებმა მისკენ ნაბიჯი გადმოდგეს, შეხედეს.

ემხა ირიბად მოქცეული თვალებით ისევ სადღაც ოთახს მიღმა იცქირებოდა და უძრავად იჯდა თავის ადგილზე.

— წელან თუ დაგესიზმრა, ძილში რომ შეფოთავდი? — ჰკითხეს.

მაშინ უჯუშმა ნელა, აუჩქარებლად იმ შორეულ წერტილს თვალები მოსწყვიტა და მოახლოვებულ მეგობრებზე ისეთი მნიშვნელობით შეაჩერა, თითქოს სიზმრის შესახებ მიხვედრა დაუდასტურაო.

თუმცა ფარული და საიდუმლოებით იყო მოცული უჯუშის უსიტყვო პასუხი, მაგრამ ჰან მით უფრო შეაღო მისი გულის კარი და შიგ ამბანაგებსაც შეაჭვრეტინა.

ემხას შიშსა და საიდუმლო წინათგრძნობას ახლა მისი ამხანაგებიც ეზიარენ. მაგრამ რადგანაც მათი აზრით, როგორც ერთი, ისე მეორეც სინამდვილეში ყოველ საფუძველს იყვნენ მოკლებული და უჯუშის წელანდელი უცნაური სიზმრის მხოლოდ ანარეკლს წარმოადგენდენ, საიდუმლოდ ნაგრძნობი ზერელედ განიცადეს. მით უმეტეს, რომ ნავთსადგურში შემოსული გემის სახელწოდებისა და სადაურობის გამოცნობა ემხას მიერ რამდენადაც განსაცვიფრებელი მოეჩვენათ, იმდენად დაუჯერებელზე უფრო დაუჯერებელი.

— უჯუშ გენაცვალე, — მიმართა უჯუშს მათ შორის უხუცესმა — შენ უთუოდ ისევ ის წელანდელი სიზმარი გაწუხებს, ბოლშევიკების გემი რომ მოგჩვენებია, და ჰგონია, რომ ესეც ის არის. აქ რა უნდა მათ გემს. აბა, შენ თვითონ გასიჯე...

დანარჩენებიც შეეცადენ ემხას ეჭვის გაბათილებას და მის მიერ შექმნილი მძიმე შთაბეჭდილების შენელებას.

ერთმა უდარდელად განაცხადა:

— ამდენი თავის მტვრევა რა საჭიროა. გავიდეთ ნაპირზე და საკითხი უბრალოდ გამოირკვევა. იქ გამოჩნდება, რამდენად მართალია უჯუშის მიხვედრა.

— ეჭვი არ არის, — ჩამოართვა სიტყვა მეორემ — უჯუშს დიდი შიში აქვს გამოვლილი ბოლშევიკების წყალობით. ალბად, ეს შიში ჯერ კიდევ გულში ჩარჩენია და ამიტომ ეჩვენება, თორემ საიდან სადაო? მეც მომხრე ვარ, წავიდეთ გავიგოთ, რა ამბავია და ჩვენს უჯუშსაც მართალი ამბავი მოვუტანოთ.

ასე გამოვიდა: პირველი ხარისხის გიორგის ორდენის კავალერს, ნაომარ ოფიცერს და თავადს შიში დასწამეს.

გამოიცვალა ემხა. სავარძლიდან სახეშეკრული წამოდგა. ამხანაგებს ახლა სულ სხვა თვალებით გადახედა და შეკავებული ყივილის მსგავსი ხმით მიმართა:

— მე და შიში ერთმანეთს არ ვიცნობთ. ვისაც არ სჯერა, შეუძლია გამომცადოს.

სთქვა და სკამზე გადაკეცილ ჩოხას ხელი წაატანა. მაგრამ სანამ სახელოში ხელს გაუყრიდა, უცებ ისევ შეიცვალა სახის გამომეტყველება და უცნაურად დალბილებული ხმით ბოდიშის ნაირად განაცხადა:

— თუმცა რა გითხრათ იცით: არავის არ შეშვენდება სთქვას, ვაჟკაცი ვარო, და ამ შემთხვევაში, შეიძლება, თქვენ ხართ მართალი. წავ დეთ! მეც მოგყვებით. ვნახოთ, რა ამბავია.

მაგრამ ხმის კილოზე მაინც ეტყობოდა, რომ თავს შეურაცხოფილად გრძნობდა და თავის წინანდელი გამომწვევი სიტყვების გამართლება გულში ედვა... სულ ერთ წამში ჩოხაც ჩაიცვა და ქამარ-ხანჯალიც შემოირტყა...

IV

სოხუმის ნავთსადგურში ჩამომდგარი კრეისერ „შმიდტის“ მისაგებებლად წამოსულ ნავთა შორის მხოლოდ მოტორიანს მოჰყავდა რამდენიმე კაცი. დანარჩენებში მარტო მენიჩბენი ისხდენ. ამათ სტუმრები უნდა გადმოესხათ ნაპირზე.

მოტორიან ნავში იმყოფებოდენ: ქალაქის თავი სამსონ დავანაძე, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ნარიქ ეშბა და ხუთი მუშისაგან შემდგარი დელეგაცია, აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებათა რიცხვის მიხედვით შერჩეული.

სოხუმის დელეგატებმა უკვე შორიდანვე შეათვალიერეს სამხედრო გემი. ყველა გააკვირვა ერთმა გარეგნებამ: ბორტზე კაცთაგანი ვერავინ ვერ შენიშნეს. მხოლოდ მიახლოებისას და კარგა დაკვირვების შემდეგ მათ ძვლივს გაარჩიეს ზარბაზნების ყელებსა და საფეხურებს შორის მიმალული ორი გუშაგის უძრავი სილიუეტების ნაკვეთები, რომლებიც პირველად ზარბაზნების ბრინჯაოს ნაწილები ეგონათ.

წინა რიგზე, ზარბაზნების ერთ მხარეს, პირველი გუშაგის რკინისფერი პროფილი დაინახეს, ნიკაპს ქვემოთ ბორტის მოაჯირით დაფარული, რომელსაც ცხვირის წინ მზეზე მოლაპლაპე თოფის ლულა ასვეტოდა, პროფილი ისე იცქირებოდა ქალაქისაკენ, რომ მის მხედველობის არეში უფრო ქალაქის შორეული ნაწილები იყვნენ მოქცეული, ვინემ ნავთსადგური და დელეგატების მოტორიანი ნავი.

ზარბაზნების მეორე მხარეს კი მეორე გუშაგის მხოლოდ ორი ნაკვეთი მოსჩანდა: ზარბაზნების ყელს ზემოდან — შუბლწამოხურული სახე შავ ლრუებში ჩამსხდარი თვალებით, რომლებიც ნავში მსხდომთ მაღლიდან ლარის სისწორით დასცქეროდენ. ხოლო ზარბაზნის ყელს ქვემოდან ამავე გუშაგის უჩინარი ტანის გვერდის ხაზზე, მარჯვენა ბარძაყის თავთან მიმაგრებული კუნთებდაჭიმული მკლავი და მუშტი, რომლებიც თოფის კონდახს მუხრუჭივით შემოკვროდენ.

ამ სანახაობამ დელეგატების სახეზე განსაკუთრებული, უსიტყვო გაკვირვება გამოიწვია, რომელშიაც გემის მოულოდნელი დისციპლინისადმი მორიდებიანი შიშიც იხატებოდა და ფარული ეჭვიც, ამ დისციპლინის ნამდვილ არსებობაში შეტანილი: იქნება, ეს განზრახ, ჩვენთვის, არის მოწყობილი.

მაგრამ „შმიტდის“ მაღალი ფოლადისფერი კედელიც მალე აიმართა დელეგაციის წინ, და ხავიც დადგა

უმალვე გემის ბანზე ჯაჭვმა გაიჩხრიალა და მაღლიდან რკინის კიბე დაეშვა, რომლის ბოლო საფეხური ზღვის ზედაპირს დაწვდა მომდგარი ნავის თავთან. არ გასულა ხანი, რომ კიბეზე შალვარ-გადმოშვებული ორი ჩექმა ამოძრავდა ერთიმეორის სწრაფი ცვლით და ნავის პირდაპირ საფეხურზე ორივე ერთად შედგა:—სოხუმის დელეგაციის წინ, კიბეზე, დაბალი ტანის, მაგრამ მხარბეჭგანიერი მეზღვაური აიტუზა სამხედრო ყაიდაზე გამართული. მარჯვენა ხელის

ჰაერში შესროლით სალამი მისცა ნავში მსხდომთ უსიტყვოდ, ტანის შეურხევლად და ყველას სათითაოდ თვალი შეავლო.

გულამოღებული ხალათი ეცვა განიერ შალვარში ჩატანებული, სახელოები მხრებამდე დახვეტილი. წელზე ფართო ქამარი ერტყა, რომელშიაც წინიდან ყელზე შავი თასმით შემბული ნაგანი ჩაერჭო. მხისგან დამწვარ ძვლებ-ამობურთულ ქოსა სახეზე შეუპოვრობის გამომხატველი იერი გადაკრავდა, ამჟამად დელეგაციის საპატივცემოდ შენელებული. წამოზნექილი გულმკერდი მთლიანად დატატუირებული ჰქონდა ვიდრე კუნძივით სქელ და დაბალ კისრამდე, რომლის ჩა ოლებაზე, მკერდის შუა ადგილას, ბეჭედივით წრეშემოვლებული ნამგალი და ჩაქუჩი აჯდა, ერთმანეთს გადაჭდომილი.

შეათვალიერა თუ არა მოსულები, ვინაობა ჰკითხა. პასუხი რომ მიიღო, ჯერ თავისთვის გასინჯა, მერე ხმამაღლა თავისებურად განმარტა ისეთი რუსულით, რომელიც პირველ გაგონებაზე ნავში მსხდომთ გაუგებარ ენად მოეჩვენათ.

— მაშასიდამე, სოხუმის პროლეტარიატი და მისი რევოლუციონური ხელისუფლება... — დაასკვნა მეზღვაურმა და დელეგატები ერთხელ კიდევ შეათვალიერა.

შემდეგ რატომღაც სამსონ დევანაძეს შეხედა გამორჩევით და მის გრძელ წვერზე შეაჩერა ჟღალი თვალები. ჰკითხა:

— თეთრგვარდიელები და სხვა ამისთანა არამზადები თუ გყავთ ქალაქში?

— ჩვენ ასეთ მხეცებს არ ვაშინაურებთ, ამხანაგო! არ გვყოლია, არ გვყავს და არც გვეყოლება! — ისეთი რიხით და გადამეტებულად მოწადინებული თავმომწონებით უპასუხა ქალაქის თავმა, რომ მეზღვაურის სახეზე ძალაუნებურად ეჭდობლობის ეჭვიანი ღიმილი გამოიწვია. ამ გარემოებამ შეხვედრას მოულოდნელად შეუცვალა ოფიციალური სახე: ამდენხანს მხედრულად გამართულმა მეზღვაურმა უცებ ტანი მოუმკა, გაღიმებულ პირისახეზე დამცინავი ნაოჭი აათამაშა და ტუჩებიკ მარცხენა კუთხის მოჭიმვით უცნაური ტყაპნისებური ხმა გამოსცა ცალი თვალის მოცებიერო ახამხამებით. მერე კატის სიმარდით მოწყდა კიბეს და ნავში ჩახტა. ქალაქის თავს მარჯვენა ხელი მხარზე ფამილიარულად წაუთათუნა. შეგობრულად გაუცინა და შექებით უთხრა:

— აი, ყოჩაღ, რომ ჩვენიანი ყოფილხარ. ძალიან მომეწონე!

შემდეგ სერიოზული, საქმიანი გამომეტყველება მიიღო და ყველასადმი მიმართვით განაგრძნო:

— ახლა კი მითხარით, რაკი ამხანაგები ყოფილხართ, ეს რა ამბავი გაგიმართავთ ნაპირზე და ისიც მუსიკით. ძალიან ბევრი ხალხია. დროშებიც ძალიან ბევრი ჰქონიათ, სულ წითელი, რევოლუციონური...ა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ მეც და ამხანაგებიც დაგვაინტერესა ამ ამბავმა. მით უმეტეს, მე დღეს გემზე მორიგეთაგანი ვარ. ნება მომეცით გამოგეცნაურო: ვასილი ხრიტანიუკ, არტილერისტი. მეგობრები კი ვასკა-პირატს მეძახიან.

სამსონ დავანაძე აღარ იყო ახლა ლაპარაკისთვის განწყობილი. მეზღვაურის წელანდელი მოპყრობა და საქციელი მის მიმართ დაცინვათ მოეჩვენა და ხალისი გაუფუჭდა. იმაზე ფიქრობდა, თუ რამ ენად შეუფერებელი იყო მისი

Библиотека

რიხიანი პასუხი მეზღვაურის პირველ შეკითხვაზე. გონებაში „შმიდტის“ წითელი კაპიტანისათვის სათქმელად მოფიქრებულ სიტყვას სინჯავდა, კიდევ მარცხი რამ არ მომივიდესო და ვასკა პირატის უკანასკნელ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ნარიქ ეშბას დაუთმო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალაქ სოხუმის პროლეტარიატი — დინჯად და რუსულის ისეთი სწორი გამოთქმით დაიწყო უკანასკნელმა, რომ მეზღვაური გაკვირვებით შეაჩერდა სახეში, რუსი ხომ არ არისო, — შავი ზღვის რევოლუციონურ კრესისერს „შმიდტს“ და მის გმირ მეზღვაურებს დღეს ზეიმით ეგებება, სასურველი სტუმრების მოსვლას დღესასწაულობს. ხოლო ჩვენ აქ მისთვის მოვედით, რომ მთელი ამ კუთხის სახელით, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, გემის მთელ ხელიძღვანელობას და კერძოდ მის სახელგანთქმულ მეთაურს ამხ. კუზმას უაღრესი პატივცემა და ძმური სალამი გადავცეთ ამას გარდა დავალებული გვაქვს გთხოვოთ ჩვენს დღევანდელ მიტინგს მთელი შემადგენლობით დაესწროთ: მონაწილეობა მიიღოთ მასში და შემდეგ ამხანაგურ პურმარილზე გვეწვიოთ.

მეზღვაური მეტად კმაყოფილი დარჩა ეშბას ამ განცხადებით.

— რატომაც არა! ძალიან დიდი სიამოვნებითაც... ჰმ... შეიძლება, რასაკვირველია.

სთქვა და თავი უცბად მაღლა შეისროლა, ზურგისაკენ გადაგდებით. თვალები გადიტრიალა და მოკუმული ტუჩებით ტყვიასავით გამოსროლილი ფსტვენის ბურთი გემის ბანზე შეაგდო.

— ჰეი, ვინ ხართ მანდ? სმენა და გაგონება! გადაეცით უფროსებს, რომ ქალაქი სოხუმის დეპუტაცია მოვიდა და მათ ხახვას თხოულობსთქვა. მოყვრები არიანთქვა. ზეიმიც და მუსიკაც ჩვენთვის არის ნაპირზე გამართულითქვა! ჰეი, არ გესმით, ჭილყვავებო, რას დადუმებულხართ?

მაგრამ გემზე სიჩუმე მაინც არ დარღვეულა, თითქოს მეზღვაურის ძახილს ყურადღებაც კი არავინ მიაქციაო. მხოლოდ კარგი ხნის პაუზის შემდეგ ჯაჭვის კიბე ისევ შექანდა და მის საფეხურზე ძალიან უცნაური სახის ადამიანი გამოჩნდა, რომლის სანახაობამ სოხუმელები მეტად შეაოცა. მეზღვაური ვასილი ხრიტანიუკი კი, შეშინებული, უცბად ისევ ტანში გაიმართა მხედრულად, ყველა კუნთის ერთბაშად შეკვრით და ისე მიაპყრო თვალები კიბეზე ჩამომავალს, თითქოს სიტყვის წარმოთქმამდე მისი სურვილის შეტყობა სწადია, რომ უმალვე შეასრულოსო. სოხუმის დელეგატებმაც ძალაუნებურად მიებაძნათ მისთვის და კისერწაგრძელებულები ქვემოდან შესცქეროდენ უფროსის სიდინჯით ნელად მათკენ მომავალ საკვირველებას. ამათი შეოცების მიზეზი ის იყო, რომ ამ კაცის ერთ ტანზე ორ პირისახესა და სამ თვალს ხედავდენ სრულიად გარკვეულად. იგი ნავს ორნაირი მიმართულებით დასცქეროდა: ერთთვალიანი სახით, რომ დელეგატებს ათვალიერებდა, მეორე ორთვალიანი სახით ვასილი ხრიტანიუკს დასჩერებოდა რაღაც სასტიკი, რისხვიანი გამომეტყველებით, რომელსაც არ შეიძლებოდა შიში არ გამოეწვია. — შავი ქურთუკი ეცვა, სახელოებზე ყაითან შემოყოლებული, რომლის კალთის ქვეშ მარჯვენა გვერდზე მოგრძო ლულიანი რევოლვერი ეკიდა ბუდით. ნავს რომ გაუპირისპირდა შედგა.

— შენ რად ღრიალებ აგრე, ხრიტანიუკ, ბატისტვინო!—შემტევი ხმით მიმართა მეზღვაურს. ცოტა ხანს შემდეგ კი უცებ ხმას აუწია და თითქოს ტყვია სტყორცნაო დაუმატა:—წესს არღვევ!

„უთუოდ ეს არის „კუზმა-მრისხანე“ ერთდროულად გაიფიქრეს სოხუმელებმა და მართლა შეშინებულები მის შესახვედრად შეემზადენ.

— ქალაქის დელეგატების მოსვლა მინდოდა მეცნობებინა.. გთხოვ, მაპატიო, ამხანაგო უფროსო,—შემკრთალი ხმით უპასუხა მეზღვაურმა უფროსს და დამნაშავის სახე უჩვენა.

უფროსმა ერთხანს კიდევ არ მოაშორა მას თავისი სასტიკი თვალები. მერე უცებ მთელი ტანით დელეგაციისაკენ შემოტრიალდა, ცალი ხელი ქუდისკენ აისროლა და მოკლედ წამოიძახა:

— სალამი.

მისი ორთვალიანი სახე ახლაც ისეთსავე სასტიკ მრისხანებას გამოხატავდა, როგორც ამას წინად, როცა მორიგე მეზღვაურზე ჰქონდა მიპყრობილი, ხოლო მეორე, ერთ-თვალიანი, იღიმებოდა, იცინოდა და დელეგაციის სახეზე პირველის მიერ აღბეჭდილ შიშიან გაოცებას ანელებდა.

სოხუმელები ნავის თავთან მიქუჩდენ. სალამზე სალამით უპასუხეს. პირმცინარენი მიუახლოვდენ.

მათ მხოლოდ ახლა გამოარკვიეს უფროსის გაორებული სახისა და გასამებული თვალების ნამდვილი ამბავი;—ეს იყო შედეგი დიდი, ღრმა და ძლივს შეხორცებული ჭრილობისა, რომლის მოწითალო კვალი მთელ სახეზე გადაუდიოდა ირიბად, მარცხენა საფეთქელიდან დაწყებული ვიდრე ნიკაპის მარჯვენა კუთხემდის. მარცხენა თვალის ზედა ქუთუთოს ერთი ნახევარი, შუაში გაჭრილ წარბს ქვეშ, ჩამოთლილი ჰქონდა და გაშიშვლებული კაკლის ნაწილი ამ ადგილას მუდამ ღია ცალკე თვალის შთაბეჭდილებას სტოვებდა მეორე ნაწილის გვერდით, რომელსაც ქუთუთოს ნაგლეჯი შერჩენოდა. ამ თვალიდან ჭრილობა ლოყას მიყვებოდა და ნესტო ჩამოკვეთილ ცხვირთან, შუაში გადაჭრილ ტუჩებზე გადავლით, ნიკაპის მარჯვენა კუთხეში წყდებოდა.

სახის მთელი ეს კანშემოჭიმული ნახევარი უძრავი და უცვლელი იყო, სულ ერთნაირი გამომეტყველების მქონე, რომელიც უცვლელად უსასტიკეს რისხვის გამოხატულებას ატარებდა, წინააღმდეგ მეორე მრთელი ნახევრისა, რომელსაც მშვიდი, ღრმა და ხანდაზმულობის გონიერი იერით ამეტყველებული თვალი ამშვენებდა.

საერთო მისალმების შემდეგ უფროსს სიტყვით ქალაქის თავმა სამსონ დავანაძემ მიმართა, მან არსებითად იგივე გაიმეორა, რაც ეშბამ პირველ მეზღვაურს უთხრა. მხოლოდ განსაკუთრებულად აღნიშნა დელეგაციის დიდი სურვილი „შმიდტის“ წითელი კაპიტინის ამხანაგის კუზმას ნახვისა, რომლის შესახებ არა ერთი და ორი საკვირველი ამბავი სოხუმშიაც გაეგონათ. (ეჭვი კი დაუმალა, რომ თავად იგი სწორედ კუზმა მრისხანედ ჰყავდა წარმომადგენელი).

— ეს მე ვარ „შმიდტის“ წითელი კაპიტანი, ამხანაგი კუზმა, მრისხანედ წოდებული. ალბად, ეს სახელწოდება მტრებისაგან მაქვს შერქმეული. სამწუხაროდ, ახლა ამხანაგებიც ასე მეძახიან. თქვენც, ვფიქრობ, ამ სახელით მიც-

ნობთ,—დაიწო ორსახიანმა და სამთვალიანმა კაცმა ისეთი საამო ბოხი ხმით და ისე უბრალოდ, რომ ძნელი დასაჯერერებელი იყო, რომ ამას წინად მეზღვაურისადმი მიმართული შენიშვნის ავტორი ასეთი საარ, გულითადი ხმის პატრონიც ყოფილიყო.

— ამავე დროს მე ვარ კრეისერის ბოცმანთა რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარეც. მაქვს სრული რწმუნებულება ამ კომიტეტისაგან მისი სახელით გელაპარიკოთ. მოხარული ვარ თქვენი გაცნობის. მახარებს აგრეთვე თქვენი ქალაქის რევოლუციონური განწყობილება და ჩვენდამი გამოჩენილი სიმპატია, რომელსაც ნაპირზე გამართული მიტინგი ააშკარავებს. გარწმუნებთ, რომ ამ თანაგრძნობის ნიშნებს ჩვენ, ბოლშევიკები, სათანადოდ და თავის დროზე დავაფასებთ. ახლა კი ნება მომეცით გაუწყოთ შემდეგი: ჩვენი კრეისერი ათ დღეზე მეტია, რაც ამ მხარეს იმყოფება რევოლუციონური სამხედრო სააჭოს მიერ დავალებული ოპერაციების ჩასატარებლად. გარემოება გვაიძულებს კიდევ რამდენსამე ხანს დევრჩეთ ამ ადგილებში, რაც გათვალისწინებული არ იყო. სწორედ ამან გამოიწვია გემის თქვენს ნავსადგურში შემოსვლა ორი-სამი საათით: თქვენს ქალაქში უნდა შევიძინოთ საჭირო სანოვაგე, რომელიც შემოგვაკლდა. ჩვენ გვაქვს თქვენებური ფულიც. ასე, რომ რასაც შევიძენთ, იმის ფასს ნაღდად გადავიხდით. რაც შეეხება მიტინგზე დასწრებას „ზმიდტის“ მეზღვაურები სიხარულით მიიღებენ მასში მონაწილეობას, მით უმეტეს რომ მიტინგი ჩვენი გემის საპატივსცემლოდ არის მოწვეული —დაამთავრა ამხანაგმა კუზმამ და სახის მოთელი ნახევარით ისე გულითადად გაუცინა სმენად გადაქცეულ დელეგატებს, რომ მათ სრულიად დაივიწყა სახის მეორე, მუდამ სიშინელი ნახევრის არსებობაც კი.

გათამამებულმა სამსონ დავანაძემ ბოლომდის ვერ მოითმინა და მცირე ხნის გასაუბრების შემდეგ წითელ კაპიტანს გულახდილი ხუმრობის წესით უთხრა, რომ მისი სახის მარცხენა ნახევარმა, რომელიც უთუოდ არ შეეფერებოდა ბოცმანთა რევ. კომიტეტის თავმჯდომარისა და სახელოვანი კაპიტანის იშვიათ ინტელიგენტურ თვისებებს, მთელი დელეგაცია და პირადად ისიც მეტად შეაშინა პირველ დანახვაზე. ხოლო ახლა კი იგი ბედნიერია ძით, რომ ეს შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა, და მეტსახელი „მრისხანეც“, მართლაც, მტრების უსინდისო მიქარვაა და სხვა არაფერი.

კუზმას გაეცინა. მაგრამ ეს სიცილი უფრო გულმკერდის სიღრმიდან ისმოდა, ზღვის შორეული ბობოქარივით, ვინემ მის სახეზე იხატებოდა.

— ჭრილობაც მტრისაგან მჭირს.—მიუგო მან დავანაძეს, როცა სიცილიანი ყრუ ხმაურობა შეწყვიტა, და თითი ორთვალიან უძრავ სახეზე მიიდვა,— ამ სახეს მხოლოდ მტრებისათვის ვატარებ. წარმოიდგინეთ: მეგობრები ვერც ამჩვევენ მას. ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუ იგი თქვენი თვალების ნიშანს გარეშეც დარჩება.

V

მიუხედავად იმისა,რომ კუზმა-მრისხანე თავად ნაპირზე არ გადმოვიდა და სოხუმელების მიერ მოწყობილ ზეიმს არ დაესწრო, მიტინგი მაინც დიდი აფრთოვანებით ჩატარდა.

ქალაქს ოცზე მეტი მეზღვაური ეწვია. მწყობრად დარაზმულები, მორთულ მოკაზმულები, ნავებიდან გადმოსვლისთანავე, ისინი პირდაპირ მიტინგზე გამოცხადდენ. მხოლოდ ერთმა პატარა ჯგუფმა „შმიდტის“ სამეურნეო-ნაწილის გამგის მეთაურობით და ვასილ ხრიტანიუკის თანხლებით, მიტინგს გვერდი აუარა და გეზი ბაზრისაკენ დაიჭირა. სამონ დავანაძეს ამ ჯგუფისათვის ხელძღვანელად რაჟდენ თორია მიეჩინა, რომელსაც ყოველი ღონისძიება უნდა მიეღო გემისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის დროზე დამზადების უზრუნველსაყოფად.

მიტინგზე გამოცხადებულ რაზმს დიდი ოვაციით შეხვდენ.

სოხუმის მოქალაქენი, რაკი საბოლოოდ დარწმუნდენ, რომ „შმიდტის“ მეზღვაურებმა მათ შიში არ გაუმართლეს, რომ ყველას მეტად წესიერად ეჭირა თავი და ქალაქის დარბევას თუ სხვა ასეთი საშინელების ჩადენას არავინ ფიქრობდა, სიხარულისაგან ცას წეოდენ. არ იცოდენ თავიანთი აღტაცება სტუმრებისათვის როგორ გამოემჟღავნებიათ და მათდამი უცებად აღძრული სიყვარული რა სახით გამოეფინათ. ყოველი მხრიდან გაისმოდა:

— გაუმარჯოს „შმიდტს“!

— გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას!

— გაუმარჯოს სოციალიზმს!

ყველა ცდილობდა რაზმთან ახლოს მისვლას. შორიდან ცქერა უკვე არავის აკმაყოფილებდა. საჭიროდ მიაჩნდათ თითოეულისათვის ქება ეთქვათ, სახეში თავაზიანი ღიმილით შეეხედათ და ხელი მეგობრულად ჩამოერთმიათ.

რამდენიმე კაცი მეზღვაურებს შორის ჩინებული და ენამახვილი ორატორი აღმოჩნდა. ამათ ისეთი ცეცხლ-შეკიდებულ სიტყვები წარმოსთქვეს, რომ ადგილობრივი აგიტატორები სამუდამოდ ჩაჩრდილეს. მეტწილად ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო ამოცანებზე ლაპარაკობდენ, საერთაშორისო სულთამხუთავი იმპერიალიზმის სულ მოკლე ხანში საბოლოო დამხობა იწინასწარმეტყველეს, ხოლო აფხაზებს კი უფრო მოკლე ხანში დაპირდენ მემამულეებისა და ბურჟუების კლანჭებიდან დახსნა.

სანამ მიტინგზე ორატორი ორატორს სცვლიდა და მოსულთა და დამხთურთა შორის დაძმობილებას საფუძველი ეყრებოდა, სურსათ-სანოვაგის შესაძენად წასულ ჯგუფს სანაპირო უბანი გაევლო და ბაზარს უახლოვდებოდა. მხოლოდ ვასილ ხრიტანიუკი, ვასკა-პირატად წოდებული, ორი ამხანაგითურთ ამ ჯგუფს ჩამორჩენოდა.—ისინი პალმების ხეივნის ერთ თავთან, მიტინგიდან არც ისე დაშორებით, კუთხეში მიდგმულ ფარდულში შესულიყვნენ და ახლად მოხალულ მზეთუმზირას დაწაფებოდენ, თან ფარდულის პატრონ რუს დედაკაცდან მასლაათი გაებათ.

სწორედ ამ დროს, ანაზდეულად, ვასილ ხრიტანიუკმა ფარდულიდან ისეთ რაღაც უცნაურობას მოჰკრა თვალი, რომ გიჟივით თვალები დააბრიალა და თავის მაღლა აწევით გასავალს მიაშურა. გარედ გაიხედა.

— ლანდი თუ არის? ფუი, ეშმაკს!—ჩუმად ჩაილაპარაკა და ტუჩებში გაჩხირული მწეთუმზირას მარცვალი გაუკვნეტელად პირიდან გადმოაგდო.

პალმების რიგის გასწვრივ, ქუჩის მხარეს უჯუშ ემხა მიდიოდა თავისი მეგობრების თანხლებით. სულ ხუთნი იყვნენ, მათი ფრთხილად აჩქარებული ნა-

ბიჭი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, რომ მნახველს უთუოდ მოეჩვენებოდა, სახიფათო ადგილიდან პირვით სამშვიდობოს მიიჩქარიანო.

ხრიტანიუკის თვალებს ცოფის ალი შეუკიდეს მიმავალ ემხას ოფიცრის ეპოლეტებმა, რომლებიც მაღალსა და განიერ მხარეზე ისე აბრეჭყიალებდენ, რომ შემოქცეული ზურგიც კი ვერ უშლიდა ვასკა პირატს მის უეჭველ დანახვას,

მეზღვაური მაინც თვალს არ უჯეროდა. ფარდულიდან გამოხტა და თითის ნიშნებით ამხანაგებიც გარეთ გამოიხმო. მიმავალი ოფიცერი დაანახა.

— ა? ვითომ ნამდვილი თეთრგვრდიელი ოფიცერია!? თვალა ხომ არ მატყუებს.

— კი... ყაზახთა ოფიცერს ჰგავს!

მაშინ ვასილ ხრიტანიუკმა რევოლვერის ტარს ხელი მაგრა ჩასჭიდა და მიმავალთ დაედევნა. მას ამხანაგებიც მიყვნენ.

— ჰეი, შესდეგ, უფალო ოფიცერო! შორიდანვე დაუყვირა ემხას ხრიტანიუკმა, „უფალზე“ ხმის განსაკუთრებული აწევით.

ხუთივე ჩოხიანი ერთი კაცივით მოტრიალდა და დადგა. მეზღვეურები, რომ დაინახეს, შეკრთენ. ჩანდა, არ მოელოდენ ასეთ შეხვედრას.

— თავდაჭერილად იყავ, უჯუშ, ალბად, შენ გეძებენ!—დაბლად ჩაულაპარაკეს მეგობრებმა უჯუშ ემხას და უმალვე ჩამოცილდენ. ჯერ შორი-შორს დადგენ და შემდეგ, როცა ვასილ ხრატანიუკი ემხას მედგარი ნაბიჯით დაუახლოვდა, პალმებს შორის დაიფანტენ, უჩინარნი შეიქნენ.

— მინდა გამოგეცნაურო, უფალო ოფიცერო! კრეისერ „შმიდტის“ მეზღვაური გახლავარ, ვასკა-პარტი!.. აბა, მითხარი, შენ ვინა ხარ?—მიახლოებისთანავე მიმართა გამომწვევი შეყვირებით მეზღვაურმა უჯუშ ეხმას და ცხვირის წინ დაუდგა ტანის რაღაც უცნაური შემკვრივებით, რომელიც შეუპოვარ შეხლისათვის გამზადებას ნიშნავდა. მძულვარებითა და ზიზღით ანთებული თვალები გახურებული შანთებივით თვალებში გაურჭო და რევოლვერზე წატანებული ხელის დატატუირებულ შიშველ მკლავზე აგორებული რკინის კუნთები აათამაშა.

ემხა არ შენძრეულა. ხრიტანიუკის შანთებისათვის გაესწორებინა თვალები და გარეგანი სიმშვიდის დაცვით მეზღვაურის შემდეგ ნაბიჯებს ელოდებოდა უხმოდ, უსიტყვოდ.

ბრაზი მოერია ვასკა-პირატს. მოთმინება არ ეყო ოფიცრის ეპოლეტებისა და ოქროს ორდენისათვის კიდევ ეცქირა.

— პასუხი ჩქარა, ვინ ხარ მეთქი!—შეჰყვირა ერთხელ კიდევ და მარცხენა ხელი ეხმას მარჯვენა მხარს ხმალივით შემოუქნია.

კლანჭებად მომარჯვებული თითები ეპოლეტში ჩაასო და მოსაგლეჯად მოსწია.

იმავე წამს რევოლვერი გავარდა და განგმირული ვასილ ხრიტანიუკი მიწაზე პირალმა გაიშხლართა უსულოდ.

ეს მოხდა ისე სწრაფად, ისე მოულოდნელად, რომ ვასილი ხრიტანიუკის ამხანაგები ერთხანს ვერც კი მიხვდენ, რაც მათ თვალწინ დატრიალდა. და როცა იმათგან დაწინაურებულმა მტრის პირისპირ რევორვერი იძრო, ემხას ტყვიამ ისიც უმალვე ძირს დასცა პირველის გვერდით.

მესამე მეზღვაურს კი დამიზნებული რევოლვერი ხელში შერჩენოდა უაზროდ: უჯუშ ეხმა მის წინ უკვე აღარ იდგა. მოულოდნობითა და წარმოუდგენელი საშინელებით დაბნეულმა ისმა თვალებმა ვერც კი დანახეს, თუ როგორ გადახტა თფიცერი უკან, ხეივნის ბუჩქები იფარა, ქუჩა გადაუარა და პირდაპირ რომელიღაც სახლის ეზოში მიიმალა.

მაგრამ მეზღვაურმა თავისი რევოლვერი მაინც რამდენჯერმე დასცალა. მერე მიტიგნის ადგილ სკენ პირი იბრუნა და ბღავილით შესძახა.

— აქეთ, ამხანაგებო!! გვკლავენ, თავს გვესხმიან.

რევოლვერის პირველი ხმის გაგონებაზე მიტინგი შეირხა. მერე ყურებ დაცქვეტილი გაინაბა. გარინდდა. შემდეგი სროლის ხმა თითქოს არც კი გაუგონიაო, ისევ უძრავი და სულგანაბული დარჩა. მხოლოდ მეზღვაურის ყვირილმა უცებ გამოიყვანა გარინდებიდან. ყველამ იგრძნო, რომ რაღაც დიდი უბედურება დატრიალდა.

— დარაზმდი! ძხარი-მხარს, მეზღვაურებო!—გაისმა საერთო მიყუჩებაში რაზმის უფროსი მეზღვაურის ბრძანება და ოცი კაცი თვალის დახამხამებაში დანარჩენ ხალხისაგან განცალკევდა, ერთმანეთს მხარში ამოუდგა და საომრად გაემზადა.

ხალხში ჯერ შეკავებული, ყრუ ჩოჩქოლი გაისმა, მერე ბრბო შეიკუმშა, შექუჩდა და მეზღვაურთა რაზმის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს, დუქნებსა და სახლების კედლებს დამფრთხალ ფარასავით შეეფინა.

მიტინგის დაცარიელებულ ადგილზე რამდენიმე კაცი დარჩენილიყო, რომელთაც არ იცოდენ, როგორ მოქცეულიყვნენ ან საი ი წასულიყვნენ. მათ შორის სამსონ დავანაძის ზორბა ტახი განირჩეოდა მკერდზე დაფენილი წვერით. იგი ქუდმოხდილი იდგა ერთ ადგილას და თავისთვის რაღასაც ბუტბუტეტდა გაუგებარს. მოჩვენებას რასმე დამსგავსებოდა. მის გვერდით ნარიქ ეშბას მარჯვენა ხელი ჰაერში აემართა ხუთივე თითის ფართოდ გაშლით, რომლებითაც ვითომ ხან მეზღვაურებს აფრთხილებდა, დაიცადეთ, ნურაფერს მოიმოქმედებთო, ხან კი ვითომ ხალხს რაღაც გამოურკვეველ ნიშანს აძლევდა, რომლის შინაარსი, ალბად, მისთვისაც გაუგებარი იყო.

ამასობაში ვასილ ხრიტანიუკის უვნებლად დარჩენილი ამხანაგიც გამოჩნდა თავისი შემზარავი ღრიალით. ის მოუწოდებდა ამხანაგებს მტრის წინააღმდეგ სამოქმედოდ.

რაზმის უმფროსმა მეზღვაური თავისთან მოიხმო და ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხა. მისი ხმამაღლა და ქლიმინით ნაამბობი სამსონ დავანაძის ყურებმაც ზედმიწევნით მოისმინეს. ნარიქ ეშბასაც არც ერთი სიტყვა არ გამორჩენია.

მეზღვაურებთან ერთად ამათაც შეიტყვეს, რომ ვილაც თეთრგვარდიელი, ყაზახთა ოფიცერი, გიორგის ორდენის კავალერ სამს მეზღვაურს თავს დაესხა ქუჩაში და მოულოდნელად სროლა აუტეხა. ერთი მათგანი, ვასილი ხრიტანიუკი მოჰკლა, ხოლო მეორე დაჭრა და მიიმალა.

დავანაძისა და ეშბას ყურადღება გახსაკუთრებულად მიიპყრეს რამდენჯერმე ნახსენებმა სიტყვებმა: „ყაზახთა ოფიცერი“, გიორგის კავალერი“.

— უჯუშ ემხას დავუღუპარვართ; — გაუელვა თავში ერთსაც და მეორესაც ერთდროულად, რადგანაც ამ ემხას გარდა სხვა ყაზახთა ოფიცერი და გიორგის ორდენის კავალერი მთელ ქალაქში არავის არ ეგულებოდა. იმიხვედრა ერთმანეთს გაუზიარეს და დაუმოწმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს საიდგანღაც ახალი ძალა და ღონე შეემატაო, ისე დატრიალდა ახლა სამსონ დავანაძე. რაკი გაიგო, რაც მოხდა და ისიც შეიტყო, თუ ვინ იყო, მან უკვე იცოდა, როგორ უნდა ემოქმედნა. ერთი ორად გამოიჭიმა მოედანზე. მილიციის უფროსი მოიხმო მისი თანაშემწეებით და ყველას გასაგონად სასტიკი ბრძანება მისცა ქალაქი ყველა მხრიდან შეეკრათ, არც ტყია დაეზოგათ, არც ცეცხლი და არც მახვილი, ოღონდ ოფიცერი ემხმა აღმოეჩინათ და მისთვის ცოცხალი მოეგვარათ. მერე თავისი მგვრინავი ხმის კიდევ უფრო ამაღლებით ხალხს მიუბრუნდა და რუსულად მიმართა, რათა მისი ყოველი სიტყვა მეზღვაურებსაც კარგად გაეგონათ:

— ძოქელაქენო, ჩვენს ქალაქში ქურდულად შემოხიზნული ოფიცერი უჯუშ ემხაა ჩვენი დამღუპველი. იგი თავს დასხმია ჩვენს სტუმრებს ქუჩაში და საშინელი მკვლელობა ჩაუდენია. ემხა ჩვენი მკვლელიც არის, ამხანაგებო! შინ გვყოლია მტერი, მოღალატე და დროზე ვერ მიმხვდავართ ჩვენი ხსნა საშინელი წყრომისაგან, რომელიც უთუოდ დავიმსახურეთ, მხოლოდ ერთ რასმე შეუძლია: საკუთარი ხელით შეიპყრათ დამნაშავე და მივგვაროთ მოკლულის ამხანაგებს დამსახურებული სასჯელის მისაზღავად. თუმცა მილიციას ნაბრძანები აქვს არაჩვეულებრივ, ჯერ კიდევ გაუგონარ ღონისძიებებს მიმართოს მტრის ბუნაგის აღმოსაჩენად, მაგრამ ეს არ კმარა. თითოეულმა თქვენთაგანმა ხელი უნდა გამოიღოს. აბა, ვინც ვარგა და ვისაც ქალაქისათვის მართლა გული შესტკივა ახლა გაჩინდება. დაგვიანება სიკვდილს უდრის, იცოდეთ ყველამ.

ეს თქვა და ხელის გულით შუბლზე სიმწრის ოფლი მოიწმინდა.

VI

„შმიდტის“ ბანზე ამავალ კიბის თავთან, კუთხეში, ქალაქ სოხუმის მრავალუიცხოვანი დელეგაცია შეჭიბულიყო ბექირბი ჩაჩბას მეთაურობით. დელეგაცია ვასილ ხრიტანიუკის გვამს და დაჭრილ მესლვაურს წამოყოლოდა ქალაქიდან, რათა გემის უფროსისათვის ქალაქის უზომო მწუხარება გამოეცხადებინა და მოულოდნელად მომხდარი უბედური შემთხვევა სწორედ განემარტა დანაშაულობის თავიდან ასაცილებლად.

მისი მეთაური მკოვანი თავადი ჩაჩბა დელეგაციის დანარჩენ წევრებზე წინ წამდგარიყო, ქალაქის თავის დავანაძისა და ნარიქ ეშბას თანხლებით, და ბანის მეორე მხარეს ჩამწკვრივებულ მეზღვაურთა რაზმის წინ დამდგარ კუზმამრისხანეს ქუდმოხდილი შესჩერებია მთელი თავისი ტანის დარბაისლური ახოვანებით და ჭაღარა თმების გვირგვინში ჩამჯდარი ნათლად გაშლილი პირისახით, რომელიც ახლა უაღრესი შეწუხებისა და მწუხარების ლაქებს დაედაღა. მას შავი ჩოხა ეკვა, სადა შავი ქამარ-ხანჯალ-შემორტყმული.

კუზმა მრისხანე ჩაჩბასკენ ნახევრად მობრუნებული იდგა. თავადს თავისი გაორებული მარცხენა თვალის რისხვის მფრქვეველი შუქით ზომავდა, რომელიც წითელ ალს ჰგავდა.

ბანზე სიჩუმე იყო გამეფებული, რომელსაც დროგამოშვებით არღვევდა გემის ქვედა სართულში ჩამავალ კიბეზე გამართული ფაცაფუციანი მიმოსვლა დაჭრილი მეზღვაურის მოსავლელად მოსული სოხუმელი ექიმიბისა. ხანდახან კიდევ ზღვის შორეული გუგუნი გემზე ჰაერს შეარხევდა და სოხუმზე წამოყუდებულ გორაკებს მიაწყდებოდა ისეთი ხმის გამოცემით, რომელიც ქარტეხილის მოახლოებას მოასწავებდა.

ბანზე მყოფნი მოუთმენლად და ჩუმი ცახცახით მოელოდენ ერთმანეთის პირისპირ მდგომ გემის უფროსსა და დელეგაციის მეთაურს შორის გასაუბრების დაწყებას. მაგრამ არც ერთი მათგანი არ აპირებდა სიჩუმის დარღვევას, თუმცა თითოეულის პოზა იმას მოწმობდა, რომ სათქმელი სიტყვა პირზე ჰქონდათ მომდგარი.

ბექირბი ჩაჩბასთვის ენა ჩაეგდო კუზმა-მრისხანის სასტიკ სანახაობას, რომელსაც მასზე ზებუნებრივი რამ მოვლენასავით ემოქმედნა. თუმცა ჩაჩბას გული წინასწარ ჰქონდა შემზადებული ბოლშევიკების გემის უფროსის საოცარ სახესთან პირისპირ შესაყრელად, მაგრამ მაინც მის ყოველ წარმოდგენას აღემატებოდა ის საშინელება, რომელიც კუზმა-მრისხანის თვალთა გამომეტყველებიდან მას შემოყურებდა. თავადი ცხადათ ხედავდა, რომ მეზღვაურს დაფლეთილი ტუჩები ისე მოკუმოდენ, თითქოს დაუსრულებელი ზიზღისა და სიძულვილის ფურთხს დაურიდებლად მას შიგ პირისხეში უმიზნებენო.

ხოლო კრზმას მქშინავი სუნთქვა ისეთ შეურიგებლობას და შურისძიების წყურვილს ანთხევდა გარშემო, რომ არა თუ ბერქირბი ჩაჩბას წართმეოდა ხმის ამოღების უნარი, მის გვერდით მდგომი დავანაძეც და ეშბაც დამუნჯებულიყვნენ და გახევებულიყვნენ.

კუზმა-მრისხანე კი ისე აეშფოთებინა მის წინაშე რაღაც ჩლუნგი პირმომთნეობითა და უაზრო ცერემონიით დამდგარ დელეგაციას, ნამეტურ კი ბექირბი ჩაჩბას ბატონურს და ბრწყინვალე იერს, რომ მეამბოხე მეზღვაურის ბუნება ყოვლად შეუქლებელს ხდიდა რაიმე სიტყვიერი კავშირის გაბმას ამ ყოველ-ხრივ მისთვის უცხო ადამიანებთან.

ბოლოს სიჩუმე აუტანელი შეიქმნა ორთავ მხრისათვის.

და უცებ მოხდა ის, რასაც არავინ არ მოელოდა.

კუზა-მრისხანე მთელი ტანით მგლურად მეზღვაურებისაკენ მიტრიალდა და დელეგაციას ზურგი შეაქცია. არ გასულა ხანიც, რომ მისმა მჭექარე ხმამ გაწნულ სილასავით დაიწივლა დელეგატების ყურებთან:

— ამათი დედაც კი... სისხლიან-რჯულიანად! ცერემონიას მიწყობენ რაღაც სულელურს და მასულელებენ! დამიფურთხებია მე მაგათი თავადური პრანჭვა-გრეხისათვის. ჰეი, მორიგე!..

და მოწყვეტილად ადგილიდან ფეხი აიდგა. მოკლე ნაბიჯების დგმით პირდაპირ კიბეს მიაშურა, რომელიც მაღლა კაპიტანის კაბინში ადიოდა.

მორიგე მას უმალვე მიჰყვა კვალ-და-კვალ.

ვერ მოასწრეს დელეგაციის წევრებმა შექმნილი მდგომარეობის მოაზრება, რომ მორიგე მეზღვაური კიბეზე უკანვე დაეშვა და მათ წინ შესდგა ხელში რევოლვერ-მომარჯვებული, შეუბორძიკებლად წარმოსთქვა:

— გემის უფროსი გიცხადებთ შემდეგს: ქალაქს სოხუმს უძლევა ერთი საათი ვადა მკვლელი თეთრგვარდიელი ოფიცერის წარმოსაცგენად გემზე. ამ ვადის შემდეგ, თუ მოთხოვნა შესრულებული არ იქნა, გემი ისე იმოქმედებს ქალაქ სოხუმის წინააღმდეგ, როგორც მოსისხლე და ვერაგ მტრის ბანაკის წინააღმდეგ ომის დროს. მანამდე გემი მძევლად იტოვებს ქალაქის დელეგაციის მეთაურს. დანარჩენებს ნება აქვთ წაავლისა გემის უფროსის განკარგულების გადასაცემად ქალაქისა და მისი მცხოვრებთათვის.

განაცხადა თუ არა ეს, მორიგემ მეზღვაურთა რაზმიდან სამი კაცი გამოიხმო, რომელთაც უბრძანა ბექირბი ჩაჩაბას გარს შემორტყმოდენ და საპატიმრო ოთახში წაეყვანათ, რომელიც ქვედა სართულში იმყოფებოდა.

სანამ დელეგაციის წევრები გაერკვეოდენ იმაში, რაც მათ წინ ხდებოდა, თოფიანი მეზღვაურები ბექირბი ჩაჩბას გარს შემოერტნენ, თვალის დახმხამებაში დანარჩენებისაგან განაცალკევეს და ქვედა სართულში ჩაიყვანეს.

იმავე მორიგემ სოხუმის დანარჩენ წარმომადგენლებს თითით გზა უჩვენა ზღვაზე დაშვებულ ჯაჭვის კიბის ქვედა თავთან მომდგარ ნავებისაკენ.

*
* *

სოხუმი უდიდეს ალიაქოთში გახვევულიყო.—ქალაქში იმის ეჭვი არ არსებობდა, რომ ბოლშევიკების გემი მოკლული მეზღვაურისათვის შურს იძიებდა. რა სახით და რანაირად მოხდებოდა ეს შურისძიება, არავინ არ იცოდა, მაგრამ რომ იგი საშინელი იქნებოდა და მისი საათიც მოახლოვებულიყო, ამას ყველა გრძნობდა.

ყველას ჰქონდა აგრეთვე თავისთავად შეგნებული ის გარემოებაც, რომ დამნაშავის ცოცხლად შეპყრობა მოსალოდნელ განსაცდნლს თუ სრულიად თავიდან არ ააშორებდა სოხუმს, მას დიდად მაინც შეანელებდა და ხალხს თავს მართლების საშუალებას მისცემდა.

და სწორედ ამ უკანასკნელი გარემოების შეგნებას სოხუმის მთელი მოსახლეობა, დიდიან პატარიანად, იმ განაპირა უბნისკენ დაეძრა, სადაც ოფიცერი უჯუშ ემხას სახლკარი იმყოფებოდა.

განსაკუთრებული თავგამოდებით ახლაც მოქალაქეთა ის ნაწილი მოქმედებდა, რომელიც ქონებიანი იყო და მესაკუთრე. ამ ნაწილს რაჟდენ თორია ხელმძღვანელობდა, პირდაპირი და გულადი ვაჭარი, რომელიც თოფითა და რევოლვერით შეიარაღებულიყო.

სოხუმის არისტოკრატიას კი ცოტა არ იყოს ვანზე ეჭირა თავი და საქმეში პირდაპირ არ ერეოდა. მას შეადგენდენ აფხაზეთის ცნობილი და დიდი გვარების წარმომადგენელები, რომლებიც ნათესაობით იყვნენ ემხას გვართან დაკავშირებულნი. ამათგან ადათი კატეგორიულად მოითხოვდა, რა გინდ მდგომარეობა შექმნილიყო' მაინც უწინარეს ყოვლისა, სისხლის ინტერესისათვის ეზრუნვათ. ამ შემთხვევაშიაც ამ ნაწილს უფრო უჯუშ ემხას გადარჩენა აინტერესებდა, ვინემ სოხუმელი ვაჭრებისა და მესაკუთრეების ქონების დაცვა, თუმცა ამას, რა თქმა, უნდა არაფრით არ ამჟღავნებდენ.

მილიციისა და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს თავდაპირველად ქალაქიდან გასავალი გზები შეეკრათ. მეორე ნაწილი მახლობელ თემებისაკენ დაძრულიყო სოფლების ფეხზე დასაყენებლად და ემხასათვის გზის გადასაჭრელად, ვინიცობაა იგი ქალაქიდან გასვლას მოასწრებდა. მესამე ნაწილს ... ...

ეს ის დრო იყო, როცა გემიდან დაბრუნებული დელეგატები ემხას მაძიებელ ხალხს შემოუერთდენ, და სამსონ დავანაძემ თავისი როყიო ხმით გამოაცხადა „შმიდტის“ უფროსის შეურყეველი ულტიმატუმი [illegible] ჩაჩბას დატყვევების ამბავი.

ბიბლიოთეკა

ქალაქის თავის განცხადებამ უდიდესი აღელვება გამოიწვია ხალხში. მაგრამ მას ყველაზე ერთნაირად არ უმოქმედნია. ხალხის დიდმა უმრავლესობამ გემის სასტიკ ულტიმატუმს მიაქცია მთელი ყურადღება—განსაკუთრებით კი ერთი საათის ვადას, რომელიც ძალიან მოკლე ვადად მოეჩვენა, ხოლო თავად ჩაჩბას დატყვევების ამბავი, თითქოს მის ყურთა სმენას სრულიად აცდაო, არაფრად ჩააგდო. ერთი საათის ვადა ყველას ცეცხლივით შეეკიდა და შიგ ტვინში აუვარდა. უმწეობისა და სასოწარკვეთილების გმინვა გაისმა ირგვლივ:

— ერთი საათიო... მაშ, დავჭეულვართ.

რაჟდენ თორიას საშინელი მოწოდების ყიჟინაც გაისმა შურის საძიებლად:

— უმალ ცეცხლი ჩვენი დამლუპველი ემხას სახლ-კარს. უმალ სიკვდილი მისი ოჯახის წევრებს.

და ათასმა ხმამ დაიგუგუნა:

— სიკვდილი! სიკვდილი ემხას!

მაგრამ ამავე ხალხში განცალკევებულად იდგა ერთი ჯგუფი, რომელზედაც განსაკუთრებულად იმოქმედა ბექირბი ჩაჩბას ტყვედ და მძევლად წაყვანის ამბავმა. ულტიმატუმისათვის კი მას დიდი ყურადღება არც მიუქცევია. ჩაჩბას დატყვევების გაგონებაზე ეს ჯგუფი ისეთმა შიშმა მოიცვა, თითქოს კრეისერ „შმიდტის“ ზარბაზნები უკვე აქუხდენ და ქალაქს გამანადგურებელი სროლა აუტეხესო.

მასში თავი მოეყარათ სოხუმში კარგად ცნობილ თავადებს, რომლებიც მუდმივად ქალაქში ცხოვრობდენ ან დღეს შემთხვევით აქ იმყოფებოდენ. მათ შორის იყვნენ მთელ აფხაზეთში დიდი გავლენისა და ავტორიტეტის მქონე პირები, რომელთა საზოგადოებრივი მდგომარეობა თებერვლის რევოლიუციას ჯერ კიდევ ვერ შეერყია. სანამ ეს ჯგუფი უწარჩინებულესი ბექირბი ჩაჩბას დატყვევებას შეიტყობდა, თავისი უმოქმედობით უჯუშ ემხას უთუოდ უჩინარ მფარველობას უწევდა, რასაც კარგად გრძნობდა და ამჩნევდა გამოცდილი რაჟდენ თორიაც.

შესაძლეაელია, ზოგიერთმა თავადმა ემხას ბინაც კი იცოდა, და უთუოდ ისე არ იქნებოდა, ერთს ან ორს მასთან საიდუმლო კავშირიც არ ჰქონოდა გაბმული ამ განსაცდელის დროს.

მოხუცებული შოუჰარისა და პატარა ლილის დაპატიმრება ამ თავადებისათვის ჯერ კიდევ არ წყვეტდა ემხას განწირვის საკითხს. დაპატიმრების ატანა შეძლებოდა. მაგრამ ბექირბი ჩაჩბას დატყვევება დამნაშავე ემხას მაგიერ, უკვე საქმის სერიოზულ გართულებას წარმოადგენდა და უდიდესი საფრთხეს მოასწავებდა ჩაჩბას სიცოცხლისათვის. მით უმეტეს, რომ იგი ბოლშევიკების ხელთ იმყოფებოდა.

ამ გარემოებამ უცებ შეცვალა მდგომარეობა და უჯუშ ემხას ბედიც გადაწყვიტა. არჩევანის დაშვებაც კი შეუძლებელი იყო ჩაჩბასა და ემხას შორის. უთუოდ ემხა უნდა განწირულიყო.

VII

უჯუშ ემხას სისხლიანი ეპიზოდებით: აღსავსე ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, როცა მას მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება მოუხდა ისე, რომ თავისი ერთგული ძიძისშვილი ჰაკი აძბა გვერდით არ ჰყავდა. ამიტომ ეგონა, თითქოს ეს ყოფილიყო იმისი მიზეზი, რომ გულში გადარჩენის მტკიცე რწმენა არ ჰქონდა და ის იმედი აღარ ამხნევებდა, უარეს მდგომარეობაშიც რომ ლომის ძალასა და ვეფხის შეუპოვრობას მატებდა.

ეზოებიდან ეზოებში ქარივით გადადიოდა. ქუჩებს ირმის ნახტომებით გადარბოდა და თან ჰაკის უკივოდა ხან ხმამაღლა, ხან კიდევ ჩუმად, თავისთვის:

— ჰაკი! ა, ჰაკი! სადა ხარ, ჰაკი?

სიკვდილზე უფრო მწარე იყო უიმედობის გრძნობა.

შიში კი არ იყო, სულს რომ ასე უფორიაქებდა, და მის ცნობიერებას სიკვდილის შავ სახეს ალანდებდა. შიშზე სიხარულით გასცვლიდა მას, რომ შესძლებოდა. ეს იყო გაგრძელება იმ საკვირველი წინათგრძნობისა, რომალიც ჯერ კიდევ დილით სასტუმროში, კრეისერ „შმიდტის“ გამოჩენამდე, სიზმრად, საშინელი სიკვდილით დაემუქრა მას და შეუვალი ბედისწერის სახით მის შეგნებაში შეიჭრა, როგორ გარდაუვალი ნებისყოფა მის გარეშე მომქმედი შეუცნობელი ძალისა.

მალე თავის ეზოს მიუახლოვდა. ჭიშკართან შედგა და სახლიდან და გამოიხმო.

საყვარელი ძმის ხმის გაგონების უმალვე ლილი ჭიშკართან გაჩნდა გახარებული. შეხედა თუ არა უჯუშს, გაკვირვებისაგან სახე მოექცა და შიშით შეჰკივლა:

— უჯუშ, შენი ჭირიმე, რა მოგივიდა?

უჯუშმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ რევოლვერი ხელში ეჭირა და ისე ქშინავდა, თითქოს მკერდიდან ხანძრის ალი ამოუდისო.

— ჰაკი სად არის! ჩქარა მითხარი!

— თავის ბიძასთან, კაცთან, გადავიდა დილიდანვე. სთქვი, რა მოხდა, უჯუშ.

— რუსის მეზღვაურები შემომაკვდენ. დედას უთხარი: რაც მოხდა, მოხდა, წერა არისთქვა. მდევრები მოვლენ. თოუხან მარშანს შეატყობინე ჰაკისთან მნახოს. სხვასთან სიტყვა არ დასძრა.

მობრუნდა. ორი ნაბიჯი ხტომით გადადგა.

— მშვიდობით, ლილი! — გულზე მოიწყვიტა და დას ერთხელ კიდევ შემოხედა შეუჩერებლად. მერე უცბად ისე მიიმალა, რომ ლილიმ ძლივს შეასწრო ცრემლმორეული თვალები.

* * *

უჯუშ ემხას ძიძისშვილმა, ჰაკი აძბამ, ბოლშევიკების გემის შემოსვლისა და მიტინგის გამართვის ამბავი მხოლოდ ბიძამისას გაიგო. თვითონ ბიძა, კაც აძბა, სოხუმში ცნობილი დალალი, შინ არ დახვდა. მისმა დედაკაცმა უთხრა:

— ყველამ გაიგო და შენ რად არ იცი, ჰაკი, რომ ბოლშევიკები შემოსულან და დიდი მიტინგია ქალაქში. ბიძაშენიც იქ წავიდა. საოცარ ამბებს მოელიან.

— ჰაიტ, უჯუშ რომ მარტოა! ახლავე უნდა წავიდე, ემეცნოს. — წამოიძახა ჰაკიმ ბოლშევიკების გაგონებაზე. სიტყვა ბოლშევიკი, [illegible] ბიძა გაზრდილისათვის, ისე მისთვისაც თავისთავად უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა. ასეთი წარმოდგენა ბოლშევიკებზე ჰაკის უჯუშის წყალობით და ზეგავლენით ჰქონდა შეთვისებული. მით უმეტეს, რომ ემხასთან ერთად გამოევლო რუსეთის სამოქალაქო ომის საშინელება. ბიძისას ალარ დაუყოვნებია. მაშინვე ნავთსადგურისაკენ გასწია.

ავსტრიის ფრონტზე შეძენილი საყვარელი კარაბინი ხმალივით ეკიდა გვერდზე, კონდახით იღლიაში შეჩრილი. წელზე პატარა ზომის ხანჯალი ერტყა და მოგრძო, მაგრამ მცირე ყალიბის სმიტისა და ვესონის სისტემის რევოლვერი, სირმით მოქარგულ კოხტა ბუდეში ჩამჯდარი. ამ სამ იარაღს ჰაკი არასოდეს არ იშორებდ. ის იყო წლოვანებით უჯუშ ემხას ტოლი აფხაზი. გლეხი, რომელსაც მთელი აფხაზეთი იცნობდა, როგორც ემხას ძიძისშვილს და მის განუყრელ მხლებელს. მორჩილი ტანის კაცი იყო, ხმელი, მაგრამ ნაკვთიანი, სწორად სხმული, — მარდი და მოქნილი, როგორც გარეული შავი კატა. თმა გადაპარსული თავი ზაფხულ-ზამთარ შიშველი დაჰქონდა. ყაბალახი მუდამ ცალ მხარზე ჰქონდა გადაგდებული. კუპრივით შავი წვერულვაში თიითქმის მთელ სახეს უფარავდა. შავი წარბები გაშლილ ფრთებივით თვალებზე ჩამოწოლოდა. ლაპარაკის დროს ისინი მორიგეობით ეზნიქებოდენ და მორიგეობითვე აჩენდენ ბუდეებში ღრმად ჩამსხდარ პატარა თვალებს, რომლებიც საგნებს ისარივით ერჭობოდნენ.

კაცის სახლიდან წამოსულმა ჰაკიმ უჯუში ყველგან მოიკითხა, სადაც კი ეგულებოდა. სასტუმროში უთხრეს: წუხელ აქ იყო და ამ დილას წავიდაო. დაუსახელეს ვისთანაც იყო. ჰაკი მიტინგზე გამოცხადდა. ჩვეულებისამებრ ხალხისაგან თავი შორს დაიჭირა. აქა-იქ ნაცნობებთან მივიდა და უჯუშის შესახებ ჰკითხა. მაგრამ კვალს ვერ მიაგნო.

ამ დროს გაისმა სწორედ რევოლვერის ხმაც და ის-იყო მიტინგიც შეირყა. ჰაკიმ ყურთა სმენა და თვალთა ხედვა გაიმახვილა. რაღაც წეხილი შეაფრინდა და უჯუშისათვის შიშმა გულზე მოფხანა. ყოველ შემთხვევისათვის კარაბინი მოიმარჯვა და მაშინალურად ტანში გაიმართა, მხარბეჭი შექანებით შეისწორა.

როდესაც სამსონ დავანაძემ ყველას გასაგონად უჯუშ ემხას ამბავი გამოაცხადა, ჰაკიმ უცებ ჩუმად სასიკვდილოდ დაჭრილივით ამოიგმინა და თვალის დახამხამებაში თავის ადგილს მოსწყდა. ხალხის ტალღებს შორის გზა გაიკაფა შეუმჩნევლად და იქეთ გავარდა, საიდანაც რევოლვერების სროლა გაისმა.

კაცისაგან სრულიად დაცარიელებულ ხეივნის ბოლოში თვალი მოჰკრა მიწაზე გაშხლართულ ორ მეზღვაურს. ერთხელ კიდევ იყვირა შეკავებულად:

— ჰაااჰაიტ! — რომელიც ნადირის უეცარი შეშინების ხმას ჰგავდა. წამით ნაბიჯი შეანელა. რამდენჯერმე შეავლო თვალები იქაურობას. იქნება, სადმე უჯუში დაელანდა. მერე წარმოსთქვა:

— წასულა...

თავში გაუელვა, ალბათ ჩემთან წამოვიდოდაო და ფეხების აწყვეტით მახლობელ ქუჩაში შეუხვია.

ლილი ჯერ კიდევ ჭიშკართან იდგა, როცა ჰაკი გამოჩნდა. დაინახა თუ არა უჯუშის და, აძბამ შიშინით შესძახა:

— სად არის? — ერთდროულად ხელის ქნევითაც ალნიშნა, რას ეკითხებოდა.

ლილიმ უსიტყვოდ თითი იქითკენ გააშვირა, საითკენაც უჯუში მიიმალა. ჰაკი არ შემდგარა.

სამიოდე ნახტომი და უჯუშს თვალი მოჰკრა. უჯუში მისკენ მოტრიალდა. ჰაკი მყისვე თვალწინ დაუდგა. მაღლა შემართულ ორთავ წარბის ქვეშიდან შეხედა: ჯერ უსიტყვოდ შეეკითხა და მერე უსიტყვოდვე მთელი თანაგრძნობა დაანახვა თვალებით. უჯუშის გაუჭირდა ხმის ამოღება

— იცოდე: თავს დამესხენ, ჰაკი... — ძლივს წარმოსთქვა ბოლოს.

— ვიცი... აქედან შორს ახლავე, შენი ჭირიმე! მთებია ახლა ჩვენი დამხსნელი! მომყევი!

კარაბინი ხელში ეჭირა. შავი სხივივით მოძრაობდა. გეზი კაც აძბას სახლისკენ დაიჭირა, სადაც ცხენები ეგულებოდა.

ემხა უცბად დამშვიდდა. გული საგულეს იგრძნო. მიჰყვა ძიძიშვილს.

მალე კაც აძბას სახლს დაუახლოვდენ. უცებ უკნიდან ცხენების ფეხის ხმა მოესმათ და ყიჟინა, მერე განგაში და ათასი ხმის ახმაურება, რომელიც ალყასავით გარს შემოერტყათ.

ჰაკი შედგა. მიმოიხედა და მიაყურა. ზღვის ნაპირიდან დაძრული ხალხის ტალღა უკვე მოსდებოდა ქუჩებს. ჰაკიმ დაინახა მისი აყრილი ქოჩორი.

— ვაჰაჰაი, დავიგვიანეთ!

კაც აძბას ეზოში შევარდენ. თავლას გიუპირისპირდენ.

როცა კაცის ცოლმა მის ეზოში შემოჭრილი იარაღ-მომარჯვებული ჰაკი და მასთან უჯუშ ემხა დაინახა, შიშმა მუხლები მოკვეთა და შეჰკივლა, ეს რა ამბავიაო. ჰაკიმ ერთი ხელი პირზე მიიდვა, მეორით კი კარაბინი დაუქნია და უსასტიკესად გამაფრთხილებელი ნიშნებით უბრძანა ხმა ჩაეკმინდა და სახლში შესულიყო, არავის დანახვებოდა.

მერე კაცის თავლაში თავი შერგეს და კარი მოიხურეს. გაინაბნენ.

ემხას შესაპყრობლად მის სახლისკენ დაძრული ხალხის ბრბოს ყიჟინა უცებ იმ მიდამოს ზღვის რისხვიანი გუგუნივით მოედვა და ერთ წამში მთელი უბანი თმის სისქე ხალხით აივსო.

ახლა იმაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, რომ უჯუში და ჰაკი ცხენებით ქალაქიდან შეუმჩნევლად გასვლას შეძლებდენ. სხვა გზა და სხვა საშუალება უნდა გამონახულიყო. მანამდე ბრძოლისათვის შეემზადენ: თავლის კარი დაჯორგეს შიგნიდან და შერჩეულ ჭუჭრუტანებს მოუსხდენ იარაღით: ჰაკი თავისი კარაბინით, ემხა-რევოლვერით. რასაკვირველია, ცოცხლად თავის დანებება ფიქრადაც არ მოდიოდათ. მაგრამ ჰაკი აძბას თავი სხვა მიმართულებითაც მუშაობდა. იგი სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეხწიათ თავი ამ თავლისათვის, რომელიც საიმედო თავშესაფარად არ მიაჩნდა. ყველაზე უფრო მოხე-

რხებულად ეჩვენებოდა ტანთსაცმელის გამოცვლა და ამ სახით ბრბოში გარევა. ჭკუასთან ძალიან ახლოს იყო, რომ დაფლეთილი სამოსელი მათ გარეგნობას შეუცვლიდა და შეუმჩნევლად გაიყვანდა ქალაქიდან.

უჯუშ ემხა კი იმედს თავის გავლენიან ნათესავებზე ამყარებდა, ნამეტურ კი ასეთ შემთხვევებში დიდათ მოხერხებულ დეიდაშვილზე, თოუხან მარშანზე, რომელიც დის პირით ჰყავდა დაბარებული.

მალე ზღვის ნაპირიდან ხალხის ტალღას აქეთკენ გამოყოლილი კაც აძბამაც შემოუხვია თავის სახლისკენ. როცა ჰაკიმ თავის ჭუჭრუტანიდან იგი ეზოში შემოსული დაინახა, იმედი შეემატა. მაშინვე დაუსტვინა. მაგრამ საერთო ხმაურობაში, რომელსაც ამ უბანში ახლა ხალხის დენა ქმნიდა, ბიძის ყურადღება ვერ მიიპყრო. კაც გამალებული ნაბიჯით სახლში შევიდა. ცოლმა ქმარს ჰაკისა და უჯუშ ემხას თავლაში ყოფნის ამბავი დაახვედრა. ტყვიასავით მოხდა ეს ამბავი ოჯახის პატრონს.

— ჰაკიმ ასე როგორ გამწირა, რას მერჩოდა? — სთქვა და შიშის ზარი დაეცა. ფერი ეცვალა. გამოვარდა სახლიდან და თავლას მიაშურა.

ჰაკის თვალებს ჭუჭრუტანიდანაც შეუმჩნეველი არ დარჩა ბიძამისის ძალზე შეწინებული სახე. ამიტომ როგორც კი იგი თავლის კარს დაუახლოვდა, მიაძახა.

— კაც, ნუ გეშინია, შენ არ გაგხდით ჩვენი ჭირის ზიარს. ყური დამიგდე: დაბრუნდი ახლავე უკან და რაც შინ ძველი, გამონაცვალი ტანთსაცმელი მოგეპოვება, შეჰკარი და აქ მომიტანე. მაშინ ჩვენ წავალთ და შენს თავლასაც არა დაუშავდება-რა.

— თავლას თქვენი ჭირი წაუღია, ჰაკი, ოლონდ...

დაიწყო ხმის კანკალით კაცმ, მაგრამ ახლა თვითონ უჯუში ჩაერია მათ გასაუბრებაში.

— კაც, თავი შევაფარე შენს ჭერს, მაგრამ შენ ეს არ იცოდი და ვითომც არც ახლა იცი... ნუ გაუწყრები ჰაკის.

— ჩვენი გაზრდილი ხარ, უჯუშ. ვალდებული ვართ, შენს მაგიერ ჩვენ მოვკვდეთ ყველა... — უთხრა კაცმა და სახლისკენ მოტრიალდა ჰაკის თხოვნის ასასრულებლად. უჯუშმა კვლავ მიაძახა:

— კაც, თოუხან მარშანი მყავს დაბარებული. რომ მოვიდეს, ენდეგ, მომიყვანე.

კაც სახლში შეიჭრა ფიცხლად. ცოლის დახმარებით, რაც ძველი, გადაგდებული სამოსელი ჰქონდა — დაფლეთილი ჩოხა, ახალუხი, ყაბალახი, წუღები — მოაგროვა, ერთად შეჰკრა. იღლიაში მოიგდო და ის იყო ჰაკისთან უნდა წაელო, რომ მოულოდნელად სახლში სამმა კაცმა შემოაბიჯა. ესენი იყვნენ თოუხან მარშანი და უჯუშის ორი მოგვარეთაგანი! — ემხები.

— კაც, უჯუში უნდა გვაჩვენო. — მიმართა კაცს სირმით მოხატული, ყავისფერი მოკლე ჩოხით გამოწყობილმა მარშანმა და თავზე წაადგა. ორივე ხელი სატევარის ტარზე შემოეჭდო. ღელავდა. კეხიანი, კაუჭა ცხვირი ძლივს ატარებდა მოხშირებულ სუნთქვას, რომელიც ოდნავი სისინით ამოუდიოდა. სამასრეზე და სამაჯურად მორგებულ სახელოების წინა ტოტებზე, შაგრენის მუქ-ოყვითალო ტყავი ჰქონდა დაკერებული.

— უჯუში თვითონ მოელის თოუხან მარშანს — უპასუხა კაცმ და თოუხანის ორ მხლებელს საეჭვოდ გადახედა.

— ჩვენიანებია. — დაამშვიდა მარშანმა. — გაგვიძეღ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII

თვალცრემლიანები შეხვდენ ერთმანეთს უჯუში და თოუხან მარშანი. კარგა ხანს შერჩათ გადაჭდომილად ჩამორთმეული ხელები. გულითადი თანაგრძნობით გულაჩვილებული მარშანი ტირილს ძლივს იკავებდა.

დიდხანს სდუმდენ.

— რა მექნა, თავს დამესხენ. — სთქვა ბოლოს უჯუშმა.

და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— შოუჰარ და ლილი შეიპყრეს, უჯუშ. — წარმოსთქვა თოუხანმა და უჯუშს თვალები აარიდა.

— ჰაიტ, რა დიაცურად მოქცეულან ის ძუძაღლები. — წამოიძახა ჰაკიმ, მაგრამ თავის ჭუჭრუტანისთვის თვალი მაინც არ მოუშორებია.

უჯუშმა უცებ ხელი შეუშვა მარშანს. ერთი ნაბიჯი უკან გადადგა და მთელი ტანით გაიმართა.

— მოხუცებული დედაჩემი შეიპყრეს! ლილიც! — ხელების გაშლით წამოიგმინა მან და თოუხანის არიდებული თვალები რომ დაინახა, ემხებს გადახედა, თითქოს მათგან ცნობის დადასტურებას თხოულობსო.

— მისმინე კიდევ, უჯუშ. ბოლშევიკებმა შენს მაგიერ ბექირბი ჩაჩბა დაატყვევეს. გემხე ჰყავთ. ერთი საათი ვადა მოგვცეს. რომ...

ამის გაგონებაზე ემხა ისევ მივარდა მარშანს. მკლავებზე ხელები შეავლო.

— მერე? — ჰკითხა სულშეხუთულად და შეამჯღრია. — მერე მეთქი, თოუხან?

თოუხანი გაუჩუმდა.

მცირე ხნის საერთო სიჩუმის შემდეგ ერთერთმა ემხამ წარმოსთქვა:

— ვაჰვაჰაი, უჯუშ. შენმა ახლობლებმა და აფხაზეთის რჩეულმა თავადებმა ასე იფიქრეს: ბექირბი ჩაჩბას განწირვა არ იქნებაო, და შენთან ეს სიტყვა დაგვაბარეს. ესეც სთქვეს: მთელი აფხაზეთი ჩაერევა ამ საქმეში და უჯუშს სიკვდილისაგან იხსნისო.

სულ მცირე ხნის სიჩუმე ჩამოვარდა კვლავ. ყველა უჯუშს შეჰყურებდა სულმოუთქმელად:

— მესმის, ძმებო, ყველაფერი. დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თვალში... საჭირო არ არის ზედმეტი სიტყვა. მზად ვარ გამოვცხადდე. — წარმოსთქვა უჯუშმა და აქამდე გაფითრებულ სახეზე სისხლი წამოაწვა.

ახლა კი ჰაკი აძბამ თავისი საფარი დააგდო და უჯუშსა და თოუხან მარშანს შუა ჩადგა. მთელი ტანით დაიგრიხა და დაიკლაკნა. მიწისფერ ტუჩებით თეთრი კბილები გამოაჩინა:

— სიტყვა... სიტყვა მათქმევინეთ. აჩქარება ჭკუას არ ეწყობა. მომისმინეთ: ჯერ არ ყოფილა ქვეყანაზე ისეთი კანონი, რომ ნამდვილი დამნაშავის მაგიერ სრულიად უდანაშაულო კაცი დაესაჯათ. ბექირბი ჩაჩბას არა უშავს-რა.

ის მთელი აფხაზეთის თავკაცად ითვლება და დიდი თავადიც არის. მას ხელს ცუდად ვერავინ ვერ შეახებს. მართალია, შეწუხება არ აცდება და ერთხინს, შეიძლება, ტყვედაც დარჩეს, მაგრამ სიკვდილი კი არ მოელის. შენ თქვენ ბრძანებთ, მთელი აფხაზეთი საქმეში ჩაერევაო და ხომ ცხადია, რომ ეტანა-შაულო ბეჭირბის დახსნა უფრო ადვილად მოხერხდება. უჯუშს კი ბოლშევიკები მაშინვე დახვრეტენ, როგორც კი იგი ხელში ჩაუვარდებათ. ეს მართალია, როგორც მზე, რომელიც დედემიწას ანათებს, ბატონისშვილო თოუხან. და მე ვიცი, რომ უჯუში შენ გიყვარს. უჯუშმაც იმისთვის დაგიბარა, რომ გასაჭირში მოხმარებოდი. შენ კი იგი სასიკვდილოდ გაგიმეტებია. გთხოვთ აპატიოთ მის ძიძიშვილს ეს საყვედური.

— ჰაკი! — შეწყრომით მიმართა ჰაკის უჯუშმა. — მე ვსთქვი ზედმეტი სიტყვა საჭირო არ არის მეთქი. შენც დაჩუმდი.

— კადნიერებაა, რომ მდაბიო კაკი ბრწყინვალე თავადების წინაშე სიტყვის თქმას ბედავს, მაგრამ ძე არ შემიძლია შენი თავი სიკვდილს დავუთმო, უჯუშ, სანამ ცოცხალი ვარ. შენმა გამზრდელმა მამაჩემმა მიანდერძა, როცა კვდებოდა: უჯუში შენი მზე არის, ეს იცოდეო. სიცოცხლე იმისათვის მომიცია, რომ იგი უჯუშს შესწირო, როცა ამის საჭიროება დადგებაო. დედაჩემმაც გაიგონა ეს სიტყვები და შენი ძიძა დღესაც ცოცხალია.

უჯუშმა ხელი მოჰკიდა ჰაკის. თოუხანს მოაშორა. გვერდით ამოიყენა.

— დაჩუმდი, ჰაკი. — ბრძანებისა და თან მოფერების კილოთი უთხრა და სიტყვა თოუხანზე გადაიტანა:

— მე სრულიად მიმხვდარი ვარ, თოუხან, რისთვის ხარ მოსული. ალბად, ეს არის ერთადერთი გამოსავალი. სხვა რომ არსებობდეს უკეთესი, შენც იმას მირჩევდი. ეს მე მწამს, როგორც შენი ძმობა. აპატიე ჰაკის. შენ ხომ იცი მისი ამბავი. — მცირე ხნით სიტყვა შეწყვიტა. ვერე ისევ განაგრძო:

— მე ახლა მაწუხებს მხოლოდ ერთი ამბავი, თოუხან. ჩემი იარაღი მტერს არ მინდა მივცე ნებაყოფლობით. გთხოვ შენ ჩაიბარო იგი.

თოუხან მარშანძა პასუხად მკლავები ფართოდ გაშალა, უჯუშს მხრებზე მოხვია და მწარედ აქვითინებული მთელი ტანით გადაეჭდო, გულში ჩაიკრა.

* * *

თუხან მარშანმა და ემხებმა შუაში ჩაყენებული უიარაღო უჯუშ ემხა მის ეზოში შეიყვანეს, სადაც ხალხი ირეოდა და მილიცია ჯერ კიდევ ჩხრეკას განაგრძობდა.

— უჯუშ ემხა! უჯუშ ემხა! — გაისმა ყველა მხრიდან გაკვირვებული ხმა. და უცებ აწივლებული ბავშის ტირილი შეერია საერთო ახმაურებას:

— უჯუშ! ძმაო უჯუშ. წადი აქედან. არ მოხვიდე. წადი, უჯუშ. შენი ჭირიმე. — ეს იყო ლილი, რომელიც ძმის დანახვაზე სახეს იკაწრავდა და ჰკიოდა.

უჯუშ ემხას ნათესავები ჭიშკართან მიეგებენ. გარს შემოერტყენ. გაამხნევეს. საქციელი და ვაჟკაცობა მოუწონეს, რომ უფროსების სიტყვა დაიჯერა და გამოცხადდა.

— სხვა გამოსავალი არ იყო, უჯუშ. მაგრამ შიში ნუ გაქვს: სიკვდილით არაფერს გაგიჭირვებთ.

სამსონ დავანაძეც დიდი რიხით მივიდა უჯუშთან. ქუდის ბოხვით სალამი მისცა. მერე ხელიც ჩამოართვა. მადლობა უთხრა ქალაქის სახელით, რომ დროზე გამოცხადდა და მცხოვრებნი განადგურებას გადაარჩინა. შემდეგ ასე მიმართა:

— ძალიან ვწუხვარ, თავადო, რომ ეს მეტად საწყენი საქმე შეგემთხვათ და ჩვენც იძულებული ვართ სასტიკი აუცილებლობის წინაშე თავი მოვიხაროთ. დარწმუნებული იყავით, რაც გაგვივა, ცდას არ დავაკლებთ, რომ მდგომარეობა შეგიმსუბუქოთ.

და თანაგრძნობიანი სახე უჩვენა როგორც უჯუშს, ისე მთელ მის ნათესაობაობას.

ამ დროს მილიციის უფროსიც მოუახლოვდა თავადების წრეს. სანამ უჯუშ ემხასთან მოვიდოდა, უცებ წინ საიდანღაც იქ გაჩენილი ჰაკი აძბა აესვეტა და შეაყენა. თავი მდაბლად დაუკრა, მერე ხელი გაიკრა თოფზე, საკვირველი სისწრაფით გადიძრო მხრიდან, ორივე ხელის გულზე გადაიდვა და შეკვირვებულ მილიციის უფროსს გაუწოდა.

— მე ვარ ჰაკი აძბა, ბატონო უფროსო, უჯუშ ემხას ძიძისშვილი, რომელსაც აქ ყველა იცნობს, ვისაც ემხას ბრწყინვალე სახელი გაუგონია. მაპატიე, რომ შეგაჩერე. მაგრამ განცხადება მაქვს ფიცს ქვეშ მოსაცემი და გთხოვთ მომისმინო: უჯუშ ემხას მე ვახლია იმ დროს, როცა მას მეზღვაურები თავს დაესხენ. იმისთვის ვატარებ იარაღს და დედაჩემის გაზრდილს იმისთვის ვახლავარ დღედაღამ, რომ ის ყოველი ხიფათისაგან დავიცვა. თავდამსხმელებს მე ვესროლე რევოლვერი და ჩემმა ტყვიამ ორი მათგანი იმსხვერპლა. უჯუშ ემხას კი იარაღისათვის ხელიც არ უხლია. დიახ, მე ვარ მკვლელი იმ შეზღვაურების, ბატონო უფროსო, დამიჭირეთ და წარმადგინეთ, სადაც საჭიროა. ჰა, ჩემი თოფი, ეს რევოლვერიც და ესეც ჩემი სატევარი, ჩაიბარეთ. უჯუშ ემხას კი არა დაუშავებია რა. გთხოვთ, მას ხელი არ ახლოთ.

და გაკვირვებულ მილიციის უფროსს ჰაკი აძბამ წინ დაულაგა ფეხებთან თავისი კარაბინი, რევოლვერი და სატევარი.

უცებ ჩამიჩუმიც კი შეწყდა ირგვლივ და სულგანაბული დუმილი ჩამოწვა ხალხში.

დუმილის ჯაჭვი პირველად გაწყდა თავადების ჯგუფთან, რომელიც უჯუშ ემხას გარს შემოკვროდა. ჰაკი აძბას ჯერ კიდევ სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ იქ ჩოჩქოლი ატყდა და თოუხან მარშანი უჯუშს უცებ მთელი ძალღონით შეეტოტა. მკლავები შეუკრა და ადგილიდან დაძვრის საშუალება მოუსპო. ეს მოხდა იმ წამში, როცა ემხამ ჰაკის სიტყვების გაგონებაზე ადგილიდან მორღვევა გააპირა და ძიძიშვილის სიტყვების გასაბათილებლად შეემზადა. მან მხოლოდ მოასწრო ერთი სიტყვის წამოყვირება საშინელი დამუქრებით:

— ჰაკი!

მაგრამ ახლა ხუთიოდე თავადის ხელის გული პირზე აეფარა და სუნთქვა შეუკრა.

— უჯუშ, ხმა არ ამოიღო.

და ისე ვიწროდ შეჰკრეს წრე მის გარშემო, რომ გასაქანი არ მისცეს, შებორკეს და შეხუთეს.

— ძიძისშვილი რომ არის, თავიც უნდა გასწირის შენთვის. კარგად იქცევა. იცოდე, სიტყვა არ დასძრა.

— ერთი გლეხი რომ შენისთანა თავადს შეეწიროს, რა დიდი ამბავია.

— მით უმეტეს, რომ ჰაკი მდაბიოა, ბოლშევიკები ბატრაკად ჩასთვლიან და, იქნება არც დახვრიტონ. შენ კი ოფიცერი ხარ და თავადი, სიკვდილი არ აგცდება. აცალე ჰაკის, ხელს ნუ შეუშლი.

ეუბნებოდენ უჯუშს ყოველი მხრიდან.

მაგრამ უჯუში მაინც არ ცხრებოდა. როცა ჰაკიმ ეს ამბავი შენიშნა, უკანხევით მიუახლოვდა თავადების ჯგუფს, კისერი უცნაურად წაიგრძელა, თავი უჯუშის პირისახესთან მიიტანა და კბილების ჭრიალით დაუსისინა დორბლიანი პირით:

— ვფიცივ შენს მზეს, უჯუშ, ჩემი ხელით დაგკლავ და მერე ჩემს ხორცს ცოცხლად ძაღლებს შევაჭმევ, თუ რა გაჩუმდი.

ჰაკის განცხადებაში პირველად ეჭვი არავის არ შეუტანია. ვისაც მისი ამბავი გაეგონა ან მისი ცნობა ჰქონდა პირადად, იმისთვის არაფერი იყო დაუჯერებელი ან არაჩვეულებრივი ამ განცხადებაში. ჰაკი უჯუშისათვის ათასაც მოჰკლავდა და წარბს არ შეიხრიდა. მაგრამ თავადების ჯგუფში უჯუშ ემხას გარშემო შექმნილმა ჩოჩქოლმა და ჩურჩულმა, მერე თვითონ უჯუშის წამოყვირებამ და ჰაკის უკანასკნელმა საქციელმა ბევრს ის აზრი დაუბადა, რომ აძბა თავის თავზე იღებდა ემხას დანაშაულს, რათა იგი სასჯელისაგან დაეხსნა. არც ეს ეწინააღმდეგებოდა ჰაკის ხასიათს და მის საყოველთაოდ ცნობილ თავგანწირულ ერთგულებას თავის გაზრდილისადმი.

ჰაკი აძბას მოქმედება ახლა სულ სხვა აზრით გაიგეს. განსაკუთრებით თავადების ჯგუფთან ახლო მდგომთათვის ცხადი შეიქნა ემხას ერთგული ძიძისშვილის მანევრი.

სამსონ დავანაძე და ნარიქ ეშბაც მიხვდენ, თუ რა განზრახვით ჩაიდინა ეს ამბავი აძბამ. არც ესენი იყვნენ ჰაკის თავგანწირვის წინააღმდეგ. მაგრამ ამ ახალი მომენტის მოაზრებამ ისინი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ჰაკის კომბინაცია ვერ გავიდოდა და კუზმა-მრისხანეს ოფიცერ ემხას ნაცვლად ჰაკის ვერ წარუდგენდენ, როგორც მეზღვაურების მკვლელს. შესაძლებელი იყო, ამას უარესი სკანდალიც კი გამოეწვია: ჰაკი არაფრით არ ჰგავდა მეფის ჯარის თეთრგვარდიელ ოფიცერს, რომელიც, ალბათ, კარგად დაინახეს და გაიცვნეს როგორც უვნებლად გადარჩენილმა მეზღვაურმა, ისე დაჭრილმაც — შეტაკების ცოცხალმა მოწმეებმა.

ბოლოს თვითონ უჯუშ ემხამ გაუადვილა ხელისუფლების წარმომადგენლებს საკითხის გადაჭრა. იგი ხელიდან დაუსხლტდა ნათესავებს და მილიციის უფროსისა და ქალაქის თავის წინაშე წარსდგა.

— აქ ვარ მეზღვაურების ნამდვილი მკვლელი და გნებდებით. გთხოვთ ახლავე გაანთავისუფლოთ ბექირბი ჩაჩბა და დედაჩემი. მოგყვებით, სადაც საჭიროა.

ჰაკი ახლაც არ დაიბნა.

— ჩემი გადარჩენა უნდა და დანაშაულს თავის თავზე იღებს, რადგანაც მეზღვაურები მის გულისათვის მოვკალიო,—ყვიროდა იგი და უჯუშს დედას უჩმობდა, რომ შვილისათვის ჩაეგონებინა თავის შეკავება.

ძალიან ბევრისათვის ბოლოს მართლა გამოურკვეველი შეიქნა, ვინ იყო ნამდვილი მკვლელი და რომელი მათგანი იბრალებდა დანაშაულს.

მაშინ სამსონ დავანაძის ჩაგონებით მილიციის უფროსმა გამოაცხადა, რომ სოხუმის მთავარობა ორსავე ერთად წარუდგენდა კრეისერ „შმიდტის უფროსს და მათ დავასაც ეს უკანასკნელი გადასწყვეტდა.

IX

საღამო მოახლოვებულიყო, როცა სამსონ დავანაძემ და ნარიქ ეშბამ ნავში ჩასვეს უჯუშ ემხა მისი ძიძისშვილითურთ და უკანმოუხედავად კრეისერ „შმიდტისაკენ“ გააქანეს.

აფხაზეთის ცვალებადი ამინდი უკვე შერყეულიყო და ზღვის მხარეს ავდრის მომასწავებელი ფოლადის ფერი ღრუბლები შეკრებულიყვნენ. ამდენხანს ზღვის მშვიდად მინაბულ ზედაპირს ქოჩორი აეყარა. შორეული კიდურებიდან შხუილიანი ყრუ ხმაური მოდიოდა, რომელიც დროგამოშვებით სადღაც ჩაღმუილებით ჩაინთქებოდა.

ავდარი იყო მოსალოდნელი.

ოფიცერი ემხას გემზე გამოჩენამ „შმიდტის“ მეზღვაურთა შორის დიდი აღელვება გამოიწვია. უჯუშ ემხა შეხედვისთანავე იცნო ვასილ ხრისტანიუკის უვნებლად გადარჩენილმა ამხანაგმა.

— აი, ეს იყო, რომ გვესროდა. ამხანაგებო, ამ არამზადამ მოჰკლა ჩვენი ვასკა-პირატი. სიკვდილი მას!—იყვირა მან ემხასკენ თითის გაშვერით და თვალები სისხლით აეკსო.

და უცებ ერთად შეკუჩებული ათეული მეზღვაურის ბრაზმორეულმა ხმამ მეხივით იჭექა:

— ჰკა მაგათ. ზღვაში გადავუძახოთ ყველას, ამხანაგებო.

— აუსვით ხელი მაგ ბურჟუაზიის კერძებს. ყირამალა, ზღვაში, ამხანაგებო.

მუშტებმოღერებული მეზღვაურები ადგილიდან მოირღვნენ და სიხუმელეპისაკენ მუქარით წამოვიდნენ.

ათასნაირმა გინებამ ჰაერი შესძრა.

— ამხანაგებო, შეესდექით.—ვედრების ხმით იყვირეს დავანაძემ და ეშბამ. —თქვენ უფროსთან ვართ მოსული. გვაცალეთ.—და უმალ განზე გადახტენ, რომ მეზღვაურების იერიში აეშორებინათ.

ჰაკი აძბას სიკვდილის ფერმა გადაჰკრა. მოულოდნელად ხაფანგში გამომწყვდეული ნადირის თვალებით მიმოიხედა გარშემო. რა ნახა, რომ მდგომარეობიდან არავითარი გამოსავალი არ იყო, ტანი შეიმკვრივა, მკერდი გამოზნიქა და წინ წახტომით უჯუშს მოელი ტანით ფარივით აეფარა.

— მოგლიჯე ეპოლეტები! გაფცქვენი თავით ფეხებამდე, ეს არამზადა. —აირია ერთხელ კიდევ ერთმანეთში ხმები.

და ათეული დაკარწახებული ფოლადის მკლავი ემხას თავზე დატრიალდა.

ჰაკი ამ მკლავებსა და უჯუშს შუა მოექცა. საცეხველებივით მოძრეულ მუშტებს საოცარი სიმარდით ხან თავს უხვევდრებდა, ხან მხრებს, მკლავებს, რომ უჯუშისავის აეცილებინა და ეშვებივით გადმოყრილი კბილებით ფრეჭენით ილრინებოდა.

დაიზილა და დაიბეგვა. თავპირი გაუსისხლიანდა. მაინც არ დაცხრა.

მაშინ ერთმა გოლიათივით ახმახმა მეზღვაურმა შეოცებით შეხედა და წამოიყვირა:

— ეს კიდევ ვინ ეშმაკია, რომ სოლივით ჩაგვერჭო და ცემას არ გვანებებსო.—გაშალა მკლავები და ჰაკის მორჩილი ტანი ერთი მოსმით შებღუჯა, ბურთივით შეამოგვალა, აიტაცა და გემის ბორტის კიდურისკენ გადასაგდებად გააქანა.

მაგრამ ამ დროს ბანზე კუზმა-მრისხანის ბრძანების ხმაც გაისმა:

— დადექ.

და ნაბიჯშეკრული მეზღვაურები ერთ ადგილზე დაერჭვნენ.

ჩოხა შემოგლეჯული ემხა და ზღვაში გადასაგდებად გამზადებული ჰაკი აძბა სიკვდილს გადარჩენ.

შიშის ზარდაცემული სამსონ დავანაძე და ნარიქ ეშბა კუზმას მივარდენ. მფარველობა სთხოვეს.

გემზე სიჩუმე ჩამოვარდა.

ქანდაკებასავით, გულზე ხელებდაკრეფილი იდგა ემხა თავის ადგილზე. თვალები ძირს დაეხარა, ცოცხალის ფერი არ ედვა. ფირფიტასავით თხელი ნესტოები ამხელდენ მხოლოდ, რომ ის სუნთქავდა.

კუზმა-მრისხანეს თავისი ორივე სახე და საშივე თვალი მიეპყრო მისთვის.

სიჩუმე გრძელდებოდა.

გოლიათ მეზღვაურის მკლავების მარწუხებიდან განთავისუფლებულმა ჰაკი აძბამ მხოლოდ ახლა დაინახა, რომ უჯუშ ემხა ცოცხალი იდგი თავის ადგილზე. ნიშნად გახარებისა უცნაურად დაილრიჭა, გადმოყრილი კბილები უფრო მეტად გამოაჩინა და ყელიდან ფსტვენით გულშემზარავი ხრიალისებური ხმა გამოსცა. ეს უთუოდ მისი გაღიმება იყო ახლა, უჯუშის დანახვით გამოწვეული. მაგრამ ნამდვილად სასიკვდილოდ დაკოდილი მხეცის დაღრინებას ჰგავდა მისი ახრიალებული ღიმილი. მერე უცებ ფეხი მოინაცვლა, აიდგა და მეზღვაურთა რიგის გასწვრივ ჩაიარა თავისი მსუბუქი ნაბიჯებით. უჯუშ ემხას მიუახლოვდა და კუზმა-მრისხანის პირდაპირ თავის გაზრდილს ხელმეორედ მთელი ტანით წინიდან აეფარა.

კვლავ ტანი შეიმკვრივა და მოჩლუგებული, უმეტყველო თვალები „შმიდტის“ სამთვალიან უფროსს გაუსწორა.

შმიდტელებმა ძალაუნებური გაკვირვებით შეათვალიერებს უცნაური ადამიანი.

სამსონ დავანაძეს თავისი ზორბა ტანი გაეჭიმა, კისერი წაეგრძელებინა და თავი და ზედატანი კუზმასკენ გადაეხარა. იგი დაბალი ხმით მოხენებას უკეთებდა მას ოფიცერი ემხასა და ჰაკი აძბას შესახებ. მერე, თითქოს სიტყვებს შორის შეაპარაო, ბექირბი ჩაჩბას განთავისუფლების დაპირებაც მოაგონა.

— ნამდვილი დამნაშე რომელია?—შეაწყვეტინა ქალაქის თავს კუზმამ.

— ამხანაგო უფროსო, ეს ოფიცერი იყო ნამდვილად, რომ გვესროდა.— მიმართა კუზმას მკვლელობის მოწმე მეზღვაურმა, სანამ დავანაძე წამოიძიებულ ენას გაისწორებდა.—ეს ვიღაც კაცია თუ ეშმაკი იქ სულ არ ყოფილა.

— ჰეი, კაპიტან.—გაისმა უკვე ჰაკის აფხაზურ კილოზე წარმოთქმული რუსული.—მე მოვკალი შენი მეზღვაურები და ააჰა.—და ხელის გული დანის მაგვარად ყელთან გაისვ-გამოისვა, ვითომ ეს უთხრა: სამაგიეროდ თავს მოსაჭრელად გაძლევო.—მეტი რა გინდა?

მაშინ კუზმა-მრისხანემ დავანაძეს გადახედა.

— იბრალებს, თუ მართალია?

დავანაძემ თავი ჩაქინდრა რაღაც ორაზროვნად.

კუზმა ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ჰაკის

ახლა ემხამაც დაარღვია თავისი დუმილი:

— ჭკუაზე არ არის. თავი დაანებეთ. გთხოვთ დააბრუნოთ უკან. მე ვარ ის, ვისაც თქვენ მოითხოვდით.

კუზმამ თითი გააქნია უხმოდ ემხასკენ. მეზღვაურებს უბრძანა გემის ქვედა სართულში ჩაეყვანათ იგი და ჩაჩბას ადგილას დაეწყვიათ, ხოლო უკანასკნელი გაენთავისუფლებინათ.

რიცა უჯუშ ემხას მეზღვაურები ორივე გვერდით ამოუდგენ, ჰაკი აძბა კუზმას წინ ორთავ მუხლზე მოწყვეტილად დაეცა, მკლავები გულზე გადაიჯვარა და ვედრებით ამოიკვნესა:

— ჰეი, დიდო კაპიტან!

და თვალთაგან ცრემლი გადმოანთხია.

კუზმამ ერთხანს უცქირა ჰაკის. სახის მრისხანე გამომეტყველებაში წამიერ ზიზღი შეექსოვა, რომელიც მალე უნებლიე სიბრალულმა შესცვალა.

— შენ ხარ მონა, აფხაზო. კრეისერი „შმიდტის“ სახელით განიჭებ თავისუფლებას. წადი და დაივიწყე შენი ბატონი.

ჰაკიმ კი კვლავ ვედრებით მიმართა:

— ერთი თხოვნა, დიდო კაპიტან: ღამტოვე შენს გემზე, სხვა არაფერი მინდა. დამტოვე შენს გემზე, ჰოი, კაპიტან!

ეს იყო მაინც ვაჟკაცის ხმა, თუმცა ვედრების კილოს იგი გაესაწყლებინა და დაემსხვრია.

პაუზის შემდეგ კუზმამ წარმოსთქვა:

— დატოვეთ.

...არ გასულა ხანი მას შემდეგ, რაც სოხუმელები ბექირბი ჩაჩბათურთ გემიდან გაიკრიფენ, რომ საყვირმა ფიცხელი განგაში ასტეხა: ეს იყო ნიშანი ნავთსადგურიდან დაუყოვნებლივ გასასვლელად შემზადებისა.

X

მშვიდი და წყნარი დღე ავდრიანმა ღამემ შესცვალა.

ბნელში გახვეული ზღვა ახლა ისე ბობოქრობდა და ღმუოდა, თითქოს მთელ ქვეყანას წარღვნით და დანგრევით ემუქრებაო.

ზეცა არ სჩანდა.

კიდით კიდემდე, მხოლოდ შავი ღრუბლები მიმოქროდენ, მბრჩოლავი გაზების ბოლივით ზღვის ზედაპირზე გართხმულები.

მთებივით მაღლა აზიდული ტალღების რაზმები ნაპირებს გრიალით ეხეთქებოდენ და დედამიწას ყუმბარებს უშენდენ.

კომლსა და ბოლში გახვეულ საომარ ველზე გამოსული ტანკების შემოტევას ჰგავდა მათი მრისხანე იერიში.

უსკრულის ლაყუჩებით ამონაბერი შავი გრიგალი ზღვის შუა გულიდან გიჟური ფსტვენითა და ბღავილით იმუქრებოდა. წყლის ვეება, ჰაერში ატაცებულ ლოდებს ბურთივით ათამაშებდა. სად ნგრევისა და ტეხის შემზარავი გრიალით ჩაიგუგუნებდა. სად რისხვის ჭექასა და ქუხილს აყენებდა და ბნელი სივრცის კიდურებზე შავი ელვის ბორძალივით გაეკვრებოდა.

პირველყოფილი ქაოსის სუნთქვის ნახლეჩების ბრმა სრბოლას ჰგავდა დაუსაბამო უკუნეთში მისი აწყვეტილი თარეში.

შუალამე გადასული იქნებოდა, როცა აღვირახსნილი სტიქიის ოროომტრიალს გაშლილ ზღვაზე უცხო გუგუნი შეერია, ბრძოლაში გამომწვევ შეძახილივით, და წყვდიადის ამძვინვარებული ტანი სინათლის ლარივით სწორმა სვეტმა შეაპო და შეანგრია, ღრუბლებისა და ტალღების შავ ლაშქარს შიგ შუა გულში შეეჭრა და ოთხივ კუთხით უგზო-უკლოდ მიმოაბნია.

ეს იყო რკინისა და ფოლადისაგან შეკრული კრეისერი „შმიდტი“, რომელიც ზღვის სიღრმისკენ შეუპოვრად გზას მიიკვლევდა ცეცხლით, ორთქლით და მებრძოლ ადამიანთა უდრეკი ნებისყოფით აღჭურვილი.

ტალღების გორგალზე ქანაობით გადადიოდა. ხან თავით უფსკრულს ჩაინთქებოდა, ხან გვერდიდან გვერდზე წვებოდა, მაგრამ მაინც უვნებელი რჩებოდა და უწყვეტი ქშენითა და გუგუნით წინ მიიწევდა.

კაპიტანის საგუშაგოზე კუზმა-მრისხანე იდგა. მარცხენა ხელით რკინის სვეტს ჩასჭიდებოდა, მარჯვნით პროექტორს მართავდა. მკერდმაღალი ტანი წინ სივრცეში შეემართა, თავი მაღლა ჰაერში შეეგდო და თავდამსხმელი სტიქიონის ბნელ ძალებს პირდაპირ შესცქეროდა პირიქით შეტევით.

დროგამოშვებით ზღვის გრიალში, მისი ბრძანების ხმაც გაისმოდა და გემის ყოველ კუნჭულს ცეცხლის ალივით შეკიდებოდა:

— სმე-ე-ნა! მე-დგრად!.. წინ!

ან:

— მესაჭევ, ფრთხილად

მის ხმას გემის სხვადასხვა კუთხიდან მეზღვაურების გამოძახილი ეხმაურდებოდა.

კუზმას საგუშაგოზევე პატარა კუთხეში, რომელსაც პროექტორის უკანა ფარიდან გამონაკრთობ სინათლის ანჩხლი შუქი ხვდებოდა და მოყვითალოდ ანათებდა, ჰაკი აძბა მიჩქმალულიყო, ძრწოლვით და ცახცახით. ორივე ხელი მოაჯირისთვის ჩაევლო და ზედ ძთელი ტანით მიკვროდა, რომ თავის ადგილს. არ მოწყვეტოდა. ჩოხის ამარა იყო და როგორც ყოველთვის, ახლაც თავშიშველი

ამღვრეულ სახეზე ყვითელი ფერი დასდგომოდა და მისი წყვარამი თვალები ყვითლად შეეღება. შიგ ყვითელივე ფერის შიში უკრთოდა და კიდევ რაღაც საიდუმლო ელვარება, მისი შეგნების მიუგნებელი სიღრმიდან ამომავალი, რომლის გამორკვევა არ შეიძლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუზმას ყოველ ბრძანებაზე მეზღვაურთა მიმართ, იგი თვალებს აახამხამებდა, კაკლებს გადაიტრიალებდა და მერე გულჩათხრობილად მინაბავდა. შემდეგ, თითქოს ღმერთს შეღაღადებსო, „შმიდტის“ უფროსს ლოცვის კილოზე მიმართავდა:

— შენ დიდი კაცი ხარ, კაპიტან. ჰო, დიდი, ძალიან დიდი.

მის ხმაში სასტიკად დაფარული პირფერობა ისმოდა და გულსე ნაძალადევად მოწყვეტილი თაყვანისცემა, ერთგულებისა და მორჩილების გრძნობით აჟღარუნებული.

— მე შენ გემორჩილები, კაპიტან. სხვას არავის. შენ გემორჩილება ქარიშხალიც, კაპიტან. ჰო, დიდი ხარ, ძალიან დიდი. იმაახურე საწყალი გლეხი ჰაკი აძბა, რომელიც მუდამ შენი ერთგული იქნება.

ჰაკი პაუზებით ლაპარაკობდა, დროა შერჩევით, ქარის ზუზუნსა და ზღვის ღრიალს შორის, და კუზმას სმენას თითოეულ სიტყვას ისევე სწორად და ზუსტად უმიზნებდა, როგორც ამოღებულ ნიშანს თავის საყვარელ კარაბინს, რომელიც თავის სიცოცხლეში ერთხელაც კი არ აუცდენია.

კუზმას არ ეცალა ახლა ამ უკნაური აფხაზისათვის. მაგრამ რადგანაც ჰაკის სიტყვები მისგან პასუხის გაცემას ან საქმისაგან მოცდენას არ მოითხოვდენ, არ უშლიდა ლაპარაკს, მაგრამ „შმიდტის“ უფროსს ამას გარდა სხვა მოსაზრებაც ჰქონდა, რომ ჰაკი აძბა დაეახლოვებინა და გაეთამამებინა.

საქმე ის არის, რომ კუზმა-მრისხანე თავიდანვე დიდად გააკვირვა ჰაკის ამბავმა. თავდაპირველად არც დაიჯერა მისი თავგანწირულება და თეთრგვარდიელი ოფიცრისადმი გამოჩენილი ერთგულება: ეგონა, რომ ეს იყო ძალდატანება და ჩაგონება თავადების მხრით, რომლებიც შეუგნებელსა და ერთგულ გლეხს ავალებდენ საკუთარი სიცოცხლის გაწირვით ბატონის დახსნას სიკვდილისაგან. მაგრამ როცა საქმის ნამდვილ ვითარებას გაეცნო, მისი რევოლუციონური შეგნება ისე აშფოთდა, რომ ჰაკის კლასიური სიბრმავე საკუთარ შეურაცყოფად მიიღო და გულში გადაწყვიტა ამ იშვიათ ტიპს ახლოს გაცნობოდა, რათა ეკადნა მისი „დამუშავება“. კუზმას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ აფხაზ გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიადაგი მაინც ელემენტარული რევოლუციონური იდეის შესათვისებლად. ძველი მეზღვაური და რევოლუციონერი ერთგვარი შეჯიბრების გრძნობამ მოიცვა.

და სანამ ზღვაზე უცბად ამოვარდნილი ქარტეხილი საშიში გახდებოდა, კუზმა ბევრი ესაუბრა ჰაკის. დაწვრილებით გამოჰკითხა ყოველი მისი ამბავი. მოეფერა. ერთთავად დაიახლოვა და დაიმოყვრა კიდევაც.

ჰაკი აძბა მიხვდა კუზმას განზრახვას. მაშინვე დაჰყვა ნებას. მისი გულის სიღრმეში ისევ იმედმა გაიბრჭყვილა, რომელიც გემზე ამოსვლისა და მეზღვაურების განწყობილების გაცნობისთანავე სრულიად დაჰკარგა. სიტყვის სითამამე შეემატა და გონების ბუნებრივი სიმახვილე გაუორკეცდა. კუზმას მოპყრობა წი-

ლად ხდომილ ზღაპრულ ბედივით შეიგრძნო, რომელსაც თავისი გმირები ყოველი განსაცდელისაგან უვნებელი გაძოჰყავს.

რაც კი ცხოვრების გამოცდილების მარაგი ჰქონდა, ყველას თავი მოუყარა, თუ რამე ნიჭი გააჩნდა,—მიხვედრის, განჭვრეტის თუ მოაზრების—ყველა ერთად დარაზმა და კუზმას გულისა და ნდობის მოსაგებად ააშოქმედა.

* * *

— მე ვიბრძოლებ შენს მხარეზე, კაპიტან.—განაგრძობდა ჰაკი აძბა ისევ გრიგალის ღმუილს ინტერვალებში ისეთი ფრთხილი მოზომილად შემპარავი ხმით, რომ იგი კუზმას ხელის შემშლელ ტვირთად არ მოჩვენებოდა და მისი სმენა ტალღებთან ბრძოლისთვის საჭირო თადარიგს არ მოწყვეტოდა. მისი სიტყვები კუზმას ყურამდე მართლაც სხვათაშორის აღწევდენ, როგორც უნიშვნელო რამ წვრილმანი, რომლის უყურადღებოდ დატოვება შეიძლებოდა,—როგორც ტალღას მოწყვეტილი ერთი წვეთის გაშხაპუნება ან უკუქცეული ქარის ფრთებ შეკეცილი შემობერვის გაშრიალება.

— ბევრი გვყავს მტერი, კაპიტან. ძალიან ბევრი. მე ეს ვიცი. და ძალიან კარგი იქნებოდა, რომ შენს ძალას ერთი-ორი კაცი კიდევ შემატებოდა. უფრო ძლიერი იქნებოდი. ომში ყოველი კაცი—ძალაა, კაპიტან. უნდა იანგარიშო. ოღონდ უნდა ვარგოდენ კი... უბრძანე, დავალება მიეცი, მტერს მიუსიე და თუ არ გაიმარჯვეს, ზედ შეაკალი. რა გენაღვლება... თვალი ისე უნდა უჭრიდესთ, როგორც მახვილი. გული და მკლავი უფრო მაგარი უნდა ჰქონდესთ, ვინემ რკინაა მაგარი. ვინ იცის, სად და როგორ გამოგადგებიან. კარგია, კაპიტან, ძალიან კარგი, თუ ომში გამოცდილი ერთი-ორი კაცი შემოგემატა. რა გენაღვლება. უბრძანე, დავალება მიეცი. მტერს მიუსიე და, თუ არ გაიმარჯვეს, ზედ შეაკალი.

კუზმა მრისხანე მაინცადამაინც ვერ გარკვეულიყო ჰაკი აძბას „ერთი-ორი კაცის“ შემატების ბუნდოვან ფილოსოფიაში. აფხაზის აზრის ბუნდოვნებას მის უცნაურ რუსულს უფრო აწერდა. და რადგანაც არ ეცალა მეტი დრო და ყურადღება დაეთმო მის სმენას დამიზნებულ სიტყვებისთვის, ჰაკის ასე გაეხმაურა:

— შენ კი აქამდის ჩვენს მოსისხლე მტერს მხარს უჭერდი, ჰაკი. მაშინაც კი ეხმარებოდი, როცა მან ერთი მებრძოლი ამხანაგი ვერაგულად მოგვიკლა, ხოლო მეორე დაგვიჭრა... ორივე შენისთანა ხალხის, მუშების და გლეხების, თავისუფლებისათვის იბრძოდა... ჩვენი მტერი—შენი მტერიცაა, ეს უნდა იცოდე!

— ჰააჰაიტ, ბრმა კაცის ამბავია, კაპიტან. სიკვდილის ღირსი ვარ.

კუზმამ განაგრძო:

— თავის განწირვაც კი გინდოდა ვერაგ მტრისათვის, რომ იგი პასუხისმგებლობისაგან გაგენთავისუფლებინა. თავი ძმების მოღალატედ გამოაცხადე... ის, ვინც შენმა თავადმა მოჰკლა, გლეხი იყო უბრალო, მერე შავ მუშად მუშაობდა ქალაქებში. ძლივს ირჩენდა თავს და ხვრილ ცოლშვილს გაჭირვებით კვებავდა.. ორი შვილი დარჩა, რომელთაგან უფროსი მხოლოდ სამი წლის არის...

— ჰააჰაიტ, რა დიდი უბედურება მოხდა, კაპიტან. დამიჯერე, გული მტკივა მისთვის და უზომოდ ვწუხვარ. ძმასავით მენანება. სულ ვიტირო მინდა... მ

კი არასოდეს არ მიტირია, კაპიტან. ახლა კი ვტირი... ვაჰაჰაია, ძმაო, ვაჰაჰაია ჩემო ძმაო.

და ჰაკიმ ხელის გული რამდენჯერმე შუბლზე ტკაცანით შემოუკრა. ზედ ზეთილი და ქვითინი მოაყოლა. მერე ვაიუიანი მოთქმა დაიწყო. მოტირალი ქალივით.

გაკვირვებულმა კუზმამ უცებ მისკენ თავი მოატრიალა, უნდოდა თვალით შეეხედა, რადგანაც ყურს არ დაუჯერა.

ჰაკის სახე ლრეჯით მოეჭცია: წარბებით დაჩრდილულ შავ ჯურღმულებში ჩამსხდარი ყვითელი თვალები ულრმესი მწუხარების შუქით აეციმციმებინა და ქუთუთოებზე, ორთავ ღაწვის გაყოლებით, ცხარე კურცხლების ბრჭყვიალა მძივები ჩამოეკიდნა.

— ვაჰააჰაია... ვაჰაჰაია, ჩემო ძმაო.—მოთქვამდა იგი აფხაზურ ვაჰის კილოზე და თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოდიოდა.

კუზმა გაოცებით შესცქეროდა უცნაურ აფხაზს. არ იცოდა, რა ეთქვა, რა ეფიქრნა ან როგორ მოქცეულიყო...

XI

„შმიდტი“ გაშლილ ზღვაში მშვიდობით შევიდა. უკან დასტოვა ქარიშხლის მძვინვარე ნავარდისა და ტალღების აღვირახსნილი თარეშის არე. აქ მხოლოდ მათი რისხვისა და მუქარის ხმა აღწევდა, როგორც ნადირის კვალს აცდენილი ლომის წყრომა და ბუხუნი, შორიდან მომავალი.

განთიადიც მოტანებულიყო. აღმოსავლეთის შორეული კიდურით ამომავალი დღის წინამორბედი სინათლე ღამის წყვდიადის ძალებს ფრთხილად ზვერავდა, ჯერ კიდევ დახუჭული თვალებით იცქირებოდა და თავისი ბასრი მახვილის ამოსაწვდენად ემზადებოდა.

კრეისერ „შმიდტს“ მდევური ქშინვა შეენელებინა, დაჭიმული კუნთები მოეშვა და გამრაჯვებულის ლაღი, თავმომწონე გამომეტყველებით წინ დინჯად მიიწევდა.

მეზღვაურები ისევ თავიანთ ადგილებზე იდგენ. ერთხელ შემოღებული ერთმანეთის ცვლის წესით, უხმოდ, უსიტყვოდ მუშაობასა და სიფხიზლეს განაგრძობდენ. მხოლოდ დროგამოშვებით მორიგის შეძახება მოულოდნელი გაფრთხილებასავით ჰაერში შეიჭრებოდა და რომელსამე კუთხეში ფიცხელ გამოხმაურებას იწვევდა, როგორც გამოძახილის ხმას:

— არის.

კუზმა კაპიტანის საგუშაგოდან ძირს ჩასულიყო გემის გაშლილ ბაქანზე. თავისი ადგილი ახლა მორიგე ბოცმანისათვის დაეთმო და გულჩათხრობილად კუთხიდან კუთხეში მიმოდიოდა ზურგს უკან ხელებშემოწყობილი.

უძინარ სახეს განთიადის ლურჯი ლანდები უსერავდენ. მისი სახის უძრავი ორთვალიანი ნახევრის ჭრილობას ახლა ათასი სხვა მიმატებოდა, ერთმანეთის წამდაუწუმად შემცვლელი.

პირში ჩაჩრილ ჩიბუხის ტარს კბილებით ძიძგნიდა შეუსვენებლად. ხანდახან ბორტის მოაჯირთან შესდგებოდა, თვალს აღმოსავლეთის კიდურს მიაპყ-

რობდა, თითქოს განთიადის გადმოსაშლელად გამზადებულ ფრთებს სიგრძე სიგანეზე ზომავსო, და ისევ ბანის სიღრმეში მიეშურებოდა. მოუთმენლობა ეტყობოდა. ფარულად ღელავდა.—ჩანდა განთიადს ელოდებოდა.

უცებ დადგა. ცას ერთხელ კიდევ შეავლო თვალები და შემდეგ რომელიღაც მეზღვაურის სახელი მოკლე ხმით წამოიძახა.

მისკენ ხმელი ტანის, მაღალი მეზღვაური წამოვიდა მხრებ-აწურული. ჭოლოკივით მოაქნევდა გრძელ მკლავებს. კუზმას წინ დაუდგა, მკლავები ფრთებივით შეიკეცა.

კუზმამ თვალებში შეხედა და, სანამ რასმეს ეტყოდა, კარგა ხნით სიჩუმე ჩამოაგდო.

— გადაეცი ამხანაგებს: დაკრძალვა მოხდება როგორც კი ინათებს. შეემზადეთ. რევოლუციონური სამხედრო პატივი: სამი ზარბაზანი თითოჯერ ისვრის. გუნდმა სამჯერვე თოფი დასცალოს.

— არის.

კუზმა კვლავ ერთხან დაჩუმდა. მერე დაბალი ხმით განაგრძო:

— შენ გევალება: ხრიტანიუკის ცხედარს თეთრგვარდიელი ბანდიტი გამოაყოლე. ბორტთან დააყენე. მიწუნარდება თუ არა სალიუტის ხმა, უმალვე დახვრიტე და ზღვაში გადაუძახე.

— არის.—წარმოსთქვა მეზღვაურმა და მერე ბორძიკით დაამატა:

— ამხანაგო უფროსო, მიტკა გორბაჩი ითხოვს, ოფიცერი მე დამახვრეტინეთო.

— ეს ის არის, ხრიტანიუკს რომ ახლდა?

— ის არის.

— ოჰ, დროზე არ მიმაგონდა, ბრძანება გამეცა. გადაეცი, რომ ლაჩარი ვუწოდე... მივადგებით თუ არა ნაპირს, სადაც უნდა იყოს, ჩვენს კრეისერს სამუდამოდ თავი დაუკრას. ამუნიცია შენ ჩამოართვი და ბრძანების ასრულებას თვალყური ადევნე.

— არის.

***

თენდებოდა.

„მშიდტის“ ბანზე მეზღვაურთა გუნდი ორ რიგად ჩარაზმულიყო, ერთიმეორის პირისპირ.

მძიმე დუმილი იდგა და უხმო მგლოვიარებას მოეცვა ყველანი.

ზღვა მაინც გმინავდა. ტალღები დაუცხრომლად შხუოდენ და კრეისერიც თავის მდეურ ქშინვას განაგრძობდა. მაგრამ გემის ბანზე გამეფებული ადამიანთა სამგლოვიარო დუმილი მათგან მაინც შეუვალი რჩებოდა.

კუზმა-მამრისხანე განცალკევებით იდგა გემის წინათავის მოაჯირთან. მარცხენა მხრით გუნდისკენ მობრუნებულიყო. თავისი სახის უძრავი ნახევრის ორივე თვალი მეზღვაურებისათვის მიეპყრო, თითოეული მათგანის ნიშანში ცალცალკე ამოღებით.

მის მარჯვნით, ხუთიოდე ნაბიჯის სიშორეზე, ჰაკი აძბა გაჩერებულიყო. მასაც მეზღვაურებისათვის მიებაძნა და თავის მორჩილი ტანი სამხედრო ყაიდაზე გაემართა. ხელები ძირს დაეშვა. სახე ძალზე შეკვირვებული ჰქონდა, თვალებს გაუგებრად აქეთ-იქით აცეცებდა: ხან კუზმას შეხედავდა ფარული ცნობის მოყვარეობით, ხან მეზღვაურთა გუნდს გადახედავდა.

ჰაკიმ არ იცოდა, ეს დუმილიანი საზეიმო დარაზმულობა ასე დილა-ადრინ, რას მოასწავებდა და საშინელი ეჭვი გულს უკაწრავდა.

„ნუ თუ ეს უჯუშის აღსასრულის მოახლოვებას ნიშავს და კუზმამ ჩემს ცრემლებს ანგარიში არ გაუწიაო“, ფიქრობდა იგი. მაგრამ ეს არ სჯეროდა, რადგანაც კუზმას სახის მეორე, ღიმობიერებით აღსავსე მრთელი ნახევარი მას ისე მეგობრული, ყოვლის მიმტევებელი გამომეტყველებით შემოცქეროდა, და მშვიდობას უმოწმებდა.

გემის ქვედა სართულიდან ამომავალ ვიწრო კიბეზე უცებ ერთმა მეზღვაურმა ამოირბინა. უკანასკნელ საფეხურზე შედგა და ფიცხლად ისევ კიბისკენ იბრუნა პირი. მერე დაიღუნა და ხელები რაღაც თეთრ შეკვრას შეაგება, რომელმაც ქვემოდან თავი ამოჰყო.

— გამოუშვი, მიჭირავს.—ჩასძახა ძირს მეღზვაურმა, შეკვრის წინა თავი მკლავებზე მოწიწებით დაისვენა და ზევით ამოიტანა.

ჰაკი აძბა მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რას წარმოადგენდა ეს მოგრძო თეთრი შეკვრა და მეზღვაურთა მგლოვიარე დარაზმულობასაც თუ რა დანიშნულება ჰქონდა.

მისთვის ცხადი შეიქმნა, რომ ამხენაგები მეზღვაურთა წესისამებრ ზღვაში გადაგდებით კრძალვდენ უჯუშ ემხას მიერ მოკლულ ვასილ ხრიტანიუკის თეთრ ტილოთ შესუდრულ ცხედარს.

ასეთი წესის არსებობა ჰაკის გაეგონა, მაგრამ არ ენახა კი.

შვება რამ იგრძრო, რომ სხვა ეჭვი არ გაუმართლდა. მაგრამ თავისი მდგომარეობა მაინც არ დავიწყებია.

ამოასვენეს თუ არა ბანზე ხრიტანიუსკის ცხედარი, მაშინვე გულამოსკვნით წამოიყვირა სლოკინით:

— ვაჰაჰაია... ვაჰაჰაია, ძმაო.

და მუხლებზე დაეცა, მთელი ტანით ჩაიკეცა. თავით იატაკზე დაემხო და სახეზე ორივე ხელი აიფარა.

— ტირილი არ იქნება.—ჩაესმა ყურში კუზმას მოჭრილი ხმა.

ჰაკიმ სუნთქვა შეიკრა და ხმა გაკმინდა.

თავით იატაკზე დამხობილს არც კი შეუნიშნავს, რომ იმავე კიბით, რომლითაც ხრიტანიუკის გვამი ამოისვენეს, ორმა რევოლვერ-მომარჯვებულმა მეზღვაურმა მალე უჯუშ ემხა ამოიყვანა და, მეზღვაურთა რიგებს შუა გავლით, ცხედრის კვალ-და-კვალ, გემის ბორტისკენ უხმოდ გაატარა.

უჯუშ ემხასაც არ დაუნახავს ჰაკი აძბა, რომელიც კუზმას გვერდით თავქვე დამხობილიყო ხმა გაკმენდილი.

ჭოლოკმკლავებიანმა მეზღვაურმა იგი ბორტის კიდესთან დააყენა და ზურგს უკან დაუდგა.

ემხამ მხოლოდ ირიბად შეასწრო თვალი მის წინ ჰაერში შეტყორცნილ თეთრი ტილოს შეკვრას, რომელიც მაღლიდან ძირს დაჰქანდა, ჰაერში მრუდი ხაზის გავლებით, და ზღვის ტალღებში ჩაინთქა.

სამმა ზარბაზანმა უმალვე ზედიზედ ქუხილივით ჩაიგრუხუნა. მერე თოფებმაც გაიტკრციალეს.

ჰაკიმ ახლა თავი ასწია. წელში გაიმართა და მიმოიხედა.

უცებ, საერთო დუმილსა და უძრაობაში, ბორტზე გადამდგარი უჯუშ ემხა დალანდა.

სანამ აზრს მოიკრეფდა, ყურთა სმენა რევოლვერის მკვეთრმა ხმამ შეუნგრია და მისმა თვალებმა კი ერიასა და იმავე დროს აღბეჭდეს რევოლვერის ლულა, რომლის პირიდან ცეცხლმა იელვა.

რევოლვერის ხმაც და უჯუშ ემხაც სადღაც უფსკრულს ჩაინთქვენ.

— ვაჰაჰაი, ჩემო თავო! უჯუშ!—იყვირა ჰაკიმ და თავის ადგილიდან პირდაპირ მეზღვაურთა რაზმს ეკვეთა, შეგლიჯა, შეარღვია და გემის იმ მხარეს მოექცა, სადაც მისმა თვალებმა უკანასკნელად უჯუშის სახე დალანდეს.

— რა უნდა? შეაყენეთ!—გაისმა კუზმას ხმა.

რამდენამე მეზღვაური წინ გადაეღობა ჰაკის. მაგრამ მისი შეყენება ვერ შესძლეს. მაშინ დაიჭირეს, ხელი მარწუხივით ჩასჭიდეს და გაქაჩეს.

— უჯუშ, უჯუშ!—ყვიროდა ჰაკი გიჟივით და ახლა კბილებით კბენდა მეზღვაურებს, სადაც მიუწვდებოდა.

კუზმა მიუახლოვდა. შეხედა.

— ჰაკი!—დაუძახა ჩაგონებით.—რას სჩადი? რა გინდა?

— კაპიტან, მე შენი მეზღვაური ძმასავით ვიტირე. მით ძმობა შემოგფიცე .. შენ კი უჯუში მომიკალი. ძაღლი ყოფილხარ, კაპიტან... ჰო, სისხლი! სისხლი!

წამოიყვირა და ერთხელ კიდევ მთელი ძალღონით გემის მოაჯირისკენ დაიძრა.

— ვაჰაი, შენს ჰაკის, ჯუჯუ!

მისი თვალები სიძულვილის ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდენ გარშემო და პირიდან ცოფის დორბლი სცვივოდა

კიზმაც კი შეზარა მისმა სანახაობამ. ზიზღი და ბრაზი სახეზე შეეკიდა. სახის მუდამ უძრავი ნახევარიც კი მოუქცია და აუკანკალა.

ერთხანს ასე უცქირა.

— გაუშვით.—სთქვა შემდეგ.

ჰაკის ხელი შეუშვეს.

იგი ერთი ნახტომით მოაჯირთან გაჩნდა.

ცხადი იყო მისი განზრახვა.

— შესდექ.—დაიგმინა უცებ კუზმამ და მარჯვენა ხელი რევოლვერისკენ გააქანა. ჰაკი არ შესდგა, მაგრამ სანამ ტანს მოაჯირზე გადასახტომად მოიმარჯვებდა, კუზმასაკენ მოიხედა შელრინებით.

— შენ სიკვდილი გეკუთვნის ჩემგან!—შესძახა კუზმამ, და ამავე წამს მისი რევოლვერიც გავარდა.

შუბლგაგმირული ჰაკი აძბა იატაკზე გაიშხლართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●●●

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— სულ ერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა... აიღეთ. გადააგდეთ.

დამშვიდებული ხმით წარმოსთქვა კუზმამ და მოკლე, მაგრამ ბეჯითი ნაბიჯით თავის კაბინისკენ გაემართა.

1933 წ.
ქ. ტფილისი

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

მყვირალობა[1]

ჩამაჭრდა კახეთს ჰაერი,
ტყეები გადიყირმიზა;
ენკენისთვეში მთებიდან
ისმის ყვირილი ირმისა.

— რასა ყვირიან ირმები
ყორანმთას, ყარაიასა?
სახუნდარიდან მარეკი
გულში გაარტყამს ტყვიასა.

ხარი ირემი ფურს ეძებს
მთაში ნასუქი ლიჭითა,
ქაფსა ჰყრის გადაკაწრული,
ეკლებითა და ხიჭვითა.

თავი ანება ცალისთვის
იალაღების მწვანესა
მოამტვრევს რქების ლაწანით
ჩალას, ტყეს, ლერწმოვანებსა.

დაშტერებული ჯოგები
მორბიან თავდაყირანი,
ხარი ფურს ეძებს ღრიალით
მე—სიყვარულსა მყვირალი!

გალეშებული ხარი ვარ,
გეშს[2] ვიღებ ნიავქარზედა
ჩემი ოცნება მაჩვენეთ
რქა ზედ მივაფშხვნა რქაზედა

სულ მივამტვრიო, დავლეწო,
გულში ოაც გადაირაზა;
შევყვირებ,
როგორც ირმები ყვირიან ყარიასა!

---

[1] მ ყ ვ ი რ ა ლ ო ბ ა—საშემოდგომო ნადირობა ირემზე.
[2] გ ე შ ი—ქვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ გარიყული

ანარეკლი

გაგრძელება *

ნიკომ დილით მიიღო მოკლე ბარათი, დარეჯანს არ უნახავს წერილის მომტანი, სამუშაო ხალათს უკერებდა შვილს და ისიც მოთმინებით უცდიდა... გარედან დაუძახეს... წერილი გადასცეს... ნელინელ ნაბიჯით შემოვიდა სახლში, გაშლილ ქაღალდს კითხულობს, თავ ჩაქინდრული ჩამოჯდა ფანჯარასთან... ფანჯრის მინაზე მზე ბრჭყვიალა სხივებს აბნევს და თვალს უჭრელებს კაცს რომელიც მეათეთ კითხულობს წერილს...

პატარა ნათელა, ბუხართან ციცოს ელაღობება, ის არც ბებიას ადევნებს თვალს და არც მამის სახის მწუხარე მოძრაობას, მისთვის ციცოა ყველაფერი...

დედამ ველარ მოითმინა შვილის გარინდება.

— რა ამბავია, ვინ რასა გწერს, თალიკოდან ხომ ცუდი რამ არ ისმის?..

ნიკომ ღრმად შეისუნთქა ჰაერი... პირი მოკუმა, ლოყები გამობერა... შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო ტუჩებიდან ჰაერის გამოშვება. თითქოს გაბერილი ტიკი იფუკებოდა.

— ფ. ფ. ფ. ფ. ფ. ფ. ფ.

გადასწყვიტა რაღაც, წერილი გაკეცა და უბეში ჩაიდო... დედას არა უპასუხა... უხმოთ იტრიალა ოთახში... გამოიცვალა ფეხთ, ტანთ...

— აბა დედაჩემო, ეხლა დაანებე თავი მაგ ხალათის კერვას... და... ბავშვს ჩააცვი.

— სად მიგყავს. ან რა წერილი მიიღე?.

— თამრო მოსულა და ბავშვის ნახვას თხოულობს.

პირ შექცევით მიუგო ვაჟმა.. ფეხზე წაღას ისწორებს, რაღაცას საქმიანობს... პირს არიდებს დედას. დარეჯანი აენთო... ჭაი ხალივით გაუხდა სახე.

— მერე, შენ მიგყავს და ისიც შენი ხელით?

— მიმყავს და ჩემის ხელით..

— რატომ სჩადიხარ ამ საქმეს?

— იმიტომ რომ იმას ლაჩარი არ ვეგონო, არ იფიქროს რომ მეშინია მისი შეხვედრის...

— მე-კი გეტყვი ჩემო შვილო რომ, შენ ნამდვილი ლაჩარი ხარ...

ვაჟმა საყვედურით შეხედა დედას...

— ცუდად გიცვნია დედი შენი ნიკო.. მე ლაჩარს არავინ არ მიძახის..

---

* იხ. მნათობი № 10.

— მე კი გეძახი ჩემო შვილო, და აი რატომ; რომელმა ცოლმაც თავს ლაფი დაგასხა, ბიჭობა და ვაჟკაცობა შეგირცხვინა შენ ასეთ ცოლთან მიგყავს ბავშვი... ქალმა რომელმაც ისე დააგდო შვილი და სადღაც გაიქცა ეს დედაა? ვინ ნახა შენზე კარგი იმ თვალ დადგარმა...

ბიბლიოთეკა

— დეიაჩემო, არა ერთხელ მითხოვნია, ნუ ერევი ჩემ პირად ცხოვრებაში მეთქი... იმას ჩემთვის ლაფი არ დაუსხამს... არც კაცობა შეურცხვენია.

— ქაა, ერთი ამას უყურეს კაცმა... მა რა კეთილი დაგაყარა?.

— არ უყვარდი ქალს და წავიდა ..

— წავიდა უნამუსოდ..

— კიდევ... ის უფრო უნამუსობა იქნებოდა თუ არ უყვარდი და დარჩებოდა.

— და შენ... შენ მასთან მიდიხარ თავდახრით?

სახის ნაკვთები უთრთის მოხუც ქალს.

— არც როგორ... მე მივდივარ ქალთან, რომელიც იყო ჩემი ცოლი... და რომელიც ჩემი შვილის დედაა.

— კარგი დედაა, ისემც კარგი მას მოსვლია.

— დედა!...

— ჰო, ჰო, ჰო...

— კარგი ადამიანო, შენ მაინც შემიბრალე, ნუ მიმღვრევ გულს... ჩააცვი ბავშვს...

— ენგრეა.. არას მათქმევინებდი და ხო დაინახე რაც გიყო...

წამოდგა დარეჯანი, ნათელას პირი ჩამობანა, თმა დაუვარცხნა, გამოუცვალა ყველაფერი ტან-ფეხზე...

— აჰანდე.. მიართვი ქალბატონს, ეახელი...

ნიკომ კიდევ უკერა დედას საკვედურით... მსუბუქად ამოიხვნეშა, დაიხარა, ბავშვი აიყვანა და გავიდა სახლიდან.

დარეჯანი აივანმი გაჩოყვა, თვალი გაადევნა მაღლა სოფელში მიმავალს.

— ახია შენს თავზე რაც მოგივიდა, ამოდენა სხეულში ლაჩარი სული გიდგა...

მიალაპარაკა ბუტბუტით.. თავსაფარში გაბნეული ნემსი გაისწორა, კაბის კალთებიდან თეთრი ძაფის ნაწყვეტები დაიბერტყა და შებრუნდა სახლში.

—

წინა ღამის მშფოთარე ქარი ჩადგა, დაიმალა, სადღაც მთებს ამოეფარა. კლდეებში შეისრუტა, ქვესკნელში ჩაძვრა... თავი გაარიდა დედაკაცების წყევა-კრულვას. ოქტომბრის მზემ მკრთალად გამოანათა და ჯერ კიდევ სახლის ბანეიდან ჩ მოუღებელ ყვითელ გოგრებს ლაპლაპი აუყენა.

პატარა მდინარის ნაპირებში კოლექტივის ცხვარი შეეფინა და ბუჩქის ძირებში დარჩენილ ბალახს დაუწყო სანსვლა.

კოოპერატივში ბიჭებმა, ახალი ამბავი გადასცეს ერთმანეთს და წყაროზე დედაკაცებს ქოთქოთი შეუდგათ.

— მიწამ კი უყოს პირი მასეთ უსინდისოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქა გაიგეთ? საყვარელიც მოუყვანია თან.

— მოუყვანია მა... მაკრამ წუხელსავე გაპარულა ის ბიჭი.

— რას გამოჩნდებოდა?

— მოჭკლავდა ნიკაი.

კაპასობენ დაკალთავებული დედაკაცები. ზოგი სავსე კოკას იდგამს მხარზე, ზოგიც ეხლა მოდის. ზოგი ავსებს; პატარა, ფეხშიშველა ფარაჯა ჩამოფლეთილმა ბიჭმა ორიოდე საქონელი მორეკა წყაროხე... პირუტყვთ ტუჩი დაჭყვეს წყალს, დასუნთქეს, დაიფრუტუნეს და მაღლა აბრუნდნენ, არ დალიეს.

— შე გასაწყალებელო ბიჭო, რას მოერეკები და ამღვრევ წყალს.

— მა წყალი არ ვასო საქონელს?

— ამ დილა ადრიან რა წყალმაგი გაგიჩდა,

— მოშორდით ერთიი...—დაიღრიჯა ბიჭი.

— აი შე სასიკვდილე...

— სასიკვდილეცა, ხართ და ერთიც მეტი...

— დაიკარგე შე გასაწყალებელო.

შეუტიეს ქალებმა. ბიჭმა გრძელი სახრე დაარტყა დაგუბებულ წუმპეს, ტალახის ნაშხეფები შეესხა დედაკაცებს. ვიღაცამ ქვა ესროლა თავხედს, მან ენა გამოუყო ქალებს და გაიქცა.

მოვიდა ახალი მოამბე ქიტესაანთ უბნიდან... ქალები შეწყვეტილ ამბავს დაუბრუნდნენ..

— ანანო, რა ამბავია..

— რისა ქა..

— თოფლოას ბარიშნა მოვიდა?

ქალს ჩაელიმა ეშმაკურათ, ჭურჭელი დადგა, თავსაფარი გაისწორა, ნაწნავები უკან გადაიყარა და მოემზადა საამბობლათ... ქალები მიეხვივნენ, ვისაც მხარზე ჰქონდა კოკა შედგმული იმანაც კი ჩამოდგა ტვირთი, თითქოს პურის ულუფა უნდა მიეღოთ ისე შეღაღადებდნენ ნამდვილ ამბის თხრობას ქიტესოს მეზობელს...

— ქა, ჩემი სოფონა, წისქვილიდან გვიან დაბრუნდა, ისინი წინ მოდიოდენ თურმე, სოფონა ტვირთით უკან მიჰყვებოდათ, პოდრუჩქით მოსდევდა თურმე კურო.. რას იცნობდა ჩემი კაცი რო ისინი ქიტესაანთ არ ჩასულიყვნენ... შეძოიტანა კაცმა ამბავი, ქალო „სინტერესი“ ჩამივარდა, ვთქვი უნდა ვადევნო თვალი მეთქი. ერთიც ვნახოთ ნაშუალამევს უკან არ მოძუნძულებს თაფლუას სიძე..?

— უი, უი, უი, უნამუსონი.

— ქიტესა კაცია ამის შემდეგ.?

კიდევ მოვიდა მოამბე, ეხლა იმისგან მოელიან ამბავს ახალს და სახალისოს.

— ქაა, თქვენ რა თავს იკლავთ.. ჩვენი ნიკა თავის ფეხით ეახლა იმ კნეინას და ბავშვიც მიუყვანა..

— მეხი კი დავაყარე მაგ ქუდ გადამძვრალს

გაწიწკატდა ახალი პატარძალი, ყვითელი რგვალი მძიმე საყურეები გაისწორა და კოკა შეიდგა მხარზე...

— აბა რო დამდგარხართ და ილანძღებით საქმე შემოგლევიათ...

— ეგ ვილა გდია?

— ჰო, ჰო.. თუ საქმე არა გაქვთ სახლში კოლექტივის სიმინდია დასაფ-შვნელი და იქ მოიქავეთ ხელებიც და ენაც...

წაეხმარა მეორე...

— ერთი ამათ უყურეთ

მა რაა, არ უნდა ეჩვენებინა? თქვენსავით კი არ უყურებს ნიკა ცხოვრებას..

შიაშველა სიტყვა მესამე გოგომ..

— თქვენც ისეთი სასიკვდილე გამოხვალთ რაც ის ბრძანდება.

შეუტიეს

— გვიან გაგიგიათ, არა დავდგებით და თქვენსავით ვიჭორავებთ..

— სოფონას ახალუხი დაუკერე, ნიდაყვებ გამოყრილი რომ დადის..

— გადი, გადი, გადი, აქედან.

დაუტატანეს დედაკაცებმა და ამართეს კოკები, დოქები, თუნგები, რაა თავში დაუშვან გოგოებს.

ახალგაზრდები დაფრთხენ, გაიქცენ და ასტეხეს სიცილ ტკარცალი.

ახლო მოსახლის ეზოში, ქუჩის პირათ მდგარ საბძელში ბზეზე მქექავი ქათმები დაწიოკდნენ, წითელი მამალი საბძლის სარტყელზე შეფრინდა, ერთი დაიყვირა, ბოხი ხმით. ფრთა ფრთას შემოკრა, აჩეჩილი ბუმბული გაისწორა და ქვემოთ მოკისკისე გოგოებს ცალი თვალით დაუწყო ცქერა.

დედაკაცებმა აივსეს ჭურჭლები წ-ლით, სოფელში წავიდ წამოვიდნენ, ქალიშვილებმა რაღაც მოილაპარაკეს და ქიტესას უბნისკენ გაუტიეს.

—

თამრომ შემოიარა ეზო გარემო. ბაღში ფოთლებ დაცვენილი და დაშიშვლებული ხეხილი დახვდა, მიდიოდა თამრო დაბარებულივით, საქმიანი სახით მიაბიჯებდა და ხმელ ფოთოლს შრიალი გაჰქონდა მის ფეხქვეშ. იმტვრეოდა და იმსხვრეოდა. ვენახში ხარდანი დაეძრო ქიტესოს და აქა იქ დაეტუჩებია. უხარდნო ვაზი იწვა მიწაზე და ესეც ფეხებში ეხლართებოდა ის გავიდა ვენახის ბოლოზე, იქ ღობე დახვდა, ღობის გადალმა პატარა ღელე მილიკლიკებდა ქვიშნარიან ჭრელ კენჭებიან კალაპოტში; თამროს უყვარდა ხანდისხან აქ ჯდომა და ფიქრი... ფიქრი მომავალზე.

ქალი ეხლაც მიეგჯინა მკერდით ღობეს, ხან მდინარეს უყურებდა და ხან ბორცვებზე შეწითლებულ დაბალ ბუჩქებს, მაღლობების ძირში საურმე თეთრი გზა მიდიოდა, მოშორებით თეთრი კლდეები მოსჩანდა და კლ-ის იქედამ ბოლი ამოდიოდა.

— „კირსა სწვავენ“ გაიფიქრა ქალმა, ფიქრიდან ფიქრებზე გადავიდა, სიყმაწვილის დღეებმა თვალწინ გაურბინეს, ყველაფერი მოაგონდა, აქაური ამხანაგები, კომკავშირი, კოლექტივში მუშაობა, ნიკო, შვილის გაჩენა; ოჯახი, უსიამოვნება და წასვლა... ნათელა ისევ წარმოუდგა თვალწინ, მამას რომ ეჯდა ურემზე: „როგორ შეხვდება ეხლა ნიკო ჩემს წერილს? იქნებ არც აჩვენოს ბავშვი, რა მტრულად გამომხედა გუშინ, სახრეც კი ამართა ხელში და მერე ხარებს გადაუჭირა, რას მოსთხოვს მეტს, გლეხია, გლეხის ფსიხოლოგიის და კერძო სა-

კუთრების მატარებელი, მაინც ცოდვაა, ცოლიც არ შეურთავს. ქვრივად დადის თურმე“.

— თამრო, თამროიკოო...

გადმოსძახა დედამ აივნიდან..

შეუწყდა ქალს ფიქრები და გამოსწია სახლისაკენ. ვენახზე მიდის უნცროსი და ნადო. ხელზე პატარა გოგონა უზის, პატარა ხელი დეიდას კისერზე მოუხვევია. თამროს გული გადმოუბრუნდა და გამოიქცა, ვეღარ შესძლო სირბილი, შედგა, სული მოითქვა და ისევ გამოქანდა, შორიდანვე გაიშვირა ხელი და გადაცემული ბავშვი ჩაიკრა გულში.

—

დაბინდებულზე მოვიდა ნიკო ნათელას წასაყვანად, კიბეზე რო ფეხი შესდგა გულმა უსიამოვნოდ დაუწყო ცემა... ჩახველება დააპირა და ვერ მოახერხა. ძალ-მა შემოუყეფა, მივარდა დასუნა და გაჩერდა კუდის ქნევით. იცნო პირუტყვმა მოყვარე.

ნიკოს მოაგონდა საღამო როდესაც თამრო წაიყვანა აქედან, სუნთქვა გაუწყდა და აიკნის ბოძს მიეყრდნო. ფანჯრიდან დაინახა, ნათელა მაგიდაზე ზის, წინ თამრო უზის, მკლავები ბავშვის ტანზე მემოურკალავს, ნათელას პაწაწინა ფეხები გულზე მიუბჯენია, შეჰყურებს ალტაკებით, სიყვარულით, ხან ერთ ხელს უკოცნის ხან მეორეს... მთელი დღე უტრიალა ბავშვს, შეიჩვია, ეხლა ნათელა ხელებს უკაცუნებს დედას ლოყებზე, უყურებს დაკვირვებით, უმეგობრდება.

შავი გრუზა თმა ჩამოშლია თამროს, ბაგე გაპობია და ორი ფართე კბილი სადაფივით გამოკიაფობს ალისფერ პირიდან.

ნიკოს თავბრუ დაესხა, მუხლები მოუდუნდა, ფეხის შლით წამოვიდა კიბისკენ და ნელა დაეშვა ძირს.

„ვერ ნახავს ვერ შეეყრება, არ შესწევს ამისი ძალა, იმ დღეს უდიერათ მოიქცა, სახრე შეძართა მის დასარტყმელად, მერე ხარებს გადასცხო, მაგრამ ხომ არ იცოდა ნიკომ... „ვერ ვნახავ“, მართალი უთხრა დილით დედამ: „ლაჩარიო“. „ლაჩარი ვარ, მხდალი, ილითვე ვერ მივბედე. გულმა აღარ გასძლო, ის ძლიერია, ლონიერი. ის წინ წავიდა, მე-კი, ჩამოვრჩი, ვერ გაუთანატოლდი ვერ მოვწყდი მიწას და კერას... აახ ეს“. არეულის თავით და აფორიაქებული სულით ჩამოჯდა ის წყაროს პირას გადაჭრილ ხეზე... დიდი კაკალი მდევივით წამოდგომია თავზე შორ მანძილს აჩრდილებს და ახალ ამოსულ მთვარეს ხელს უშლის შეანათოს სახეში და გამოაფხიზლოს კაცი, დატვირთულ-დამძიმებული, მაღლა თხრილის თავზე გაუალ ხსტეში, ბურდებში ჩაბუდებული შავკაბა შაშვი კრუთუნებს, ისიც სწუხს ძილში რაღასაც, იქნებ ისიც ტოლს დასტირის ან ზაფხულში ბუდიდან დაფრენილ ბარტყებს დარდობს... ან იქნებ მომავალ ზამთრის მოლოდინში თავის მარტოობა აშინებს.. ნიკოს პაპიროსი დაუვარდა ხელიდან, სულით და გულით შეუერთდა ყვითელ ნისკარტას, მიუტირა და მიუსამძიმრა... გულმა გული იცნო და ვინ იცის კაციც ჩიტთან ატირდებოდა...

ქვა გახმაურდა, ცხენის ფეხის ხმა მოისმა. ნიკომ თავი აიღო, გასარჩევზე მოდის ცხენოსანი, მას ორი ქვეითი მოსდევს, ნიკო საჩქაროდ წამოდგა... შარას

გადაურბინა, ვიწრო შუკაში შეუხვია, განერიდა მგზავრებს „რათ უნდა ნახონ კაეშან მორეული, რათ უნდა ჩაახედოს ნიკომ თავის გულში, ბოლმა თავად უნდა მოახჩოს და სოფლის შესაბრალისი—კი არ გახდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

გათენებისას გრძნობით დაჰკოცნა დედამ შვილი, სამი მეტრი კრემდეშინის ნაჭერი გადასცა თაფლოს.

— ამით საცვლები შეუკერეთ.

— შვილო! ასეთი საცვალი რათ უნდა ბავშვს?...

— არა უშავს დედა. რეცხვის ამტანია, ჩვენი ნაწარმოებია... შეუკერეთ და ისე გაუგზავნეთ.. ეს წერილიც გადაეცით ნიკოს, აქა ვსწერ რო... ერთი სიტყვით რაც საჭიროა. ამას გარდა, ხომ გითხარი მე, იქნებ ამ დღეებში მოსკოვში გამგზავნონ..

— ეჰეჰეჰ...

კიდევ ამოიხვნეშა თაფლომ.

— ნუ გედარდება დედა, მე იქედან კარგი მცოდნე დავბრუნდები და მაშინ...

— მაშინ რა იქნება?.

— მაშინ უკეთ მოეწყობა თქვენი საქმეც, ქალაქში წავიყვან ილოს, ნადოს ნათელას..

— მე და მამაშენს?

— თქვენც, თქვენც ჩემო დედა!

— სჩანს შვილო ყველა ქალაქში უნდა წამოვიდეთ, სოფელს არ უნდა ხალხი?

— სოფელშიაც საკმარისი დარჩება დედა. ქალაქს ესაჭიროება კვალფიკაციური მუშა ხელი.

— ეჰ, რა გიყო შვილო! შენი მე არა გამეგება რა, რა ვქნა ასეთი გამიჩნდი და...

— ნუ გედარდება ნუ...

— ერთი კიდევ ამოირბინე ისე ნუ წახვალ დაგიმზადებ რამეებს...

— წავიდეთ, გვიანდება.

უთხრა ქიტესამ ქალს, თავის გამოთლილი მაღალი შინდის ჯოხი აიღო ხელში და კვლავ ყალიონის ბოლებით გაუძღვა წინ... ჩქარა იარეს რაც—კი შეეძლო მოხუცის მუხლებს, ორჯერ არ შეუსვენიათ... მტრედის ფრად ინათა როდესაც ქალაქს მიუახლოვდენ, ახალ ხიდთან მიატანეს.. „დიდი ხანი არ ყოფილა აქ ქიტესო, შორიდან კი უყურებდა, ღამ გათევ რომ წავიდოდა შეშის საჭრელათ მაღლობ ტყეში, იქედან ხედავდა მოხუცი, შორს ცეცხლის ალათ ანთებულ კუთხეს. მაგრამ შიგ ქალაქში არ მოსულა ელნათურების შემდეგ, იშვიათად სჭირდებოდა მას ეს ადგილი, გასაყიდი არ გაჰქონდა, საყიდელს თაფლოც მოუვლიდა, ქალიც არ უნახავს ამ ხანში გამწყრალი იყო.

— ვარსკვლავებივით არ ანათებენ ე დალოცვილები? თავს იგდებს მაგათთან ხარი პარია.. და..

— რა იყო მამა! რას ბუტუტებ შენთვის?

— იმას ვამბობდი შვილო, რა ძალა იყო და რა ხელმა შექმნა მეთქი...

— რაო, რაა? ვერ გავიგე.

— აი ამასა შვილო,.. ე.. იმ ელექტონს ვიძახი...

— ჰოო, შენ ეს გაკვირვებს მამა.. აქ მხოლოდ გაშუბულ ...ებს უყურებ... უნდა წახვიდე და ნახო სათავე, დახაწყისი იმ სინათლის... აი რა გაგაკვირვებს და მოგიყვანს გაოცებაში. იმოდენა მდინარე რო ხელოვნურად არის გადაგდებული, ვებერთელა ტბა შეგუბებული, და საგანგებოდ შექმნილი წყალვარდნილი რომლის ძალის დაჯახება რა თქმა უნდა ათას მანქანებთან ერთად იწვევს სინათლეს. დღეს ასეთი ელსადგურებით დაქსელილია საბჭოთა მთელი ქვეყანა... ეს ყოველივე მშრომლის მარჯვენამ შექმნა და კიდევ მეტი აქვს მას შესასრულებელი ამოცანები.. კი...

ვერ დაათავა ქალმა სიტყვა, საშინელმა ღრიალმა ჩაუკმინდა ხმა.

ქიტესო მსწრაფლად შემოტრიალდა, თავისი მაღალი ჯოხი ჰაერზე შემოიქნია, თითქოს შეებრძოლა რაღაც საშინელებას, მედგრათ შეუტია მოხუცმა უჩინარ ხმას.. რიჟრაჟზე კარგად გაარჩია რომ არაფერი არ იყო, არავითარი მხეცი არ ეტანებოდა. „მაშ საიდან მოდის ეს ხმა“.

— მამა ნუ გეშინია—მიაშველა სიტყვა ქალმა.

— ეს ლომია, ის ღრიალებს.

— ვეჟო, ლომს აქ რა უნდა ამ შუა ქალაქში, ან ჩვენში ლომი ვის უნახავს?

— მამა აქ, ზოოლოგიური პარკია... ესე იგი, მხეცები, ნადირები, პირუტყვები, ფრინავები და ათასი ქვემძრომი ჰყავთ დაწყვდეული.. აქ არიან ვეფხვები, დათვები, მგელი, სპილო, ლეზვის ლორი, ვეშაპი, შველი, ირემი, გედი, ფარშევანგი, არწივი. და რა ვიცი, რაც—კი ქვეყანაზე სულიერია კაცის გარდა..

ყველა ესენი ერთად ძოვენ, როგორ რიგდებიან?

— არა, ერთად კი, არა თავთავისი ბინა აქვთ მიჩენილი, აი გადახედე აქედან. ვერ ხედავ სახლებს?.

— ვერა.. დიდება შენდა უფალო, რათ უნდათ ან როგორ მოინადირეს..?

— მონადირება ადვილია მათი, სხვადასხვა ხერხებით..

— მართალს ამბობს ქოსა..

— ვინ ქოსა ან რას ამბობს?

— ბოლშევიკები ყველ მხეცებზე ძლიერი არიანო..

— ქოსამ რა იცის მამაჩემო ბოლშევიკის ძალა, მხეცის დაჭერას ბოლშევიკობა რათ უნდა.

ეხლა მეორე ხმამ გამოაჯავრა ლომის ღრიალს; პირველი საყვირი მოუხმობდა მუშებს.

თამრომ მამა მიიყვანა თავის ბინაზე და საჩქაროდ გაბრუნდა ქარხანაში

—

თამრო გადახალისებული—დაუბრუნდა დაზგას. მას ეხლა არც მარქვა გაურბის ბატამიდან [1] და არც ღვედი უვარდება მომქმედ შკირიდან ის თვალ ნა-

[1] მანქანის წინ ის ნაწილი საცა გარბი გამორბის მარქვა.

თლათ უყურებს დგიმ სავარცხელებს და ნათელას თმები ალარ ელანდება ქსოვილის ბანდულებში, ქარხანა ხმაურობს, ქარხანა რახრახებს.

ყოველ დაზგასთან დახრილი ქალი ბეჯითად ადეკნებს თვალს ფურეს რომლიდანაც ირღვევა ქსელი, გადის დგიმ სავარცხლის კბილებში და ჩაბეჭილ ჩამკვიდრებული იხვევა მიმღებ ბარაბანზე.

ფარვანასავით დატრიალებს მქსოველი მანქანას, ეს არის მისი შვილი, დედა, ნათესავი, პურის მჭმეველი, დაზგა ყველაფერი გამხდარა მათთვის. არიან კიდევ ისეთებიც ვისაც ეჩქარება, ქარხანა მისთვის მხოლოდ დროებითი თავშესაფარია; ეჩქარება, უნდა მიიწუროს სამუშაო დღე, ეშურება გავიდეს ჩქარა სამუშაო საათები.. გაიგონოს საყვირის ხმა, დააყენოს მანქანა და გავარდეს ქარხნიდან..

თამრო პირველებს ეკუთვნის, მან შეიყვარა საქმე და შეესისხლხორცა მას.

ცეხში მუშების ლაპარაკი არ ისმის, დგიმ სავარცხელს ყველა ჩაუჩუმებია.

ჩამოიარა უფროსმა ხელოსანმა, ვილასაც რალაც გაუსწორა... მივიდა პატარა მაგიდასთან და ასწორებს დაზგის ნაწილებს, ეს მუშა ზეინკალიც არის.

გამოიარა „ტაბელჩიკმა" ხელში უჭირავს ფანქარი და ქაღალდი. აქა იქ დგება, ფიქრობს, ითვლის და ნიშნავს ციფრებს დიდ ფურცელზე.

ერთი დაზგა თავისუფლდება ქსოვილიდან, ააცალეს მიმღები ბარაბანი, მეორე დაზგაზე იდგმის ფუძე და ეგება ქსელი დგიმ აცმაქი.

ტაკ-ტაკ-ტაკ-ტიკ-ტაკ-ტაკ... ტიტინებენ ფირფიტები და ალიაქოთს აყენებენ სარეკელა ჯოხები. თამრო თავ აუღებლივ მუშაობს, გეგმა აქვს შესასრულებლი, მას უნდოდა გადაჭარბება და ახლა? რამდენი მეტრი უნდა კიდევ? საუკეთესო დაზგა უკვალ მ გრამ ორი დღის გაცდენამ მაინც საგრძნობლად დასწია უკან. „რა უყო, ყველამ იცის რომ მე შეგრინავი არა ვარ, არც სიმულიაცია მეხერხება მაგრამ თუ კი, არ შემეძლო? არა უშავს დავეწევი, კიდეც გადავაჭარბებ.

ორი საათი ახლოვდება, ქარხნის საყვირმა სამუშაო დღის მიწურვა ამცნო პირველ ცვლას, სამაგიეროდ მეორე ცვლის კადრები შემოლაგდნენ მწყობრად, ყაყაჩოებივით მოაქვთ წითელი ლოყები. ისინი ჩუმად მივიდნენ თავიანთვის მიჩენილ კუთხეებში, შეინახეს ზედმეტი ტანთ საცმელი, და შეხვეული პარკები, ვისაც რა მოეტანათ სასაუზმოთ. ყველა მოსულ დამხდურნი მიესალმნენ ერთმანეთს, მცირე რამ თქმის შემდეგ პირველები სტოვებენ დაზგას და მეორენი იჭერენ მათ ადგილს, ქარხანას არ გაუგია მუშა ხელის შეცვლა! მოტორები დაუყონებლივ ხრიალებენ, მებრძოლი ღერძი ტრიალებს, დაზგა ზიმზიმებს. დგიმ სავარცხლევს ისევ გაჰქვთ ტკაცუნი და მარქვებს არ შეუწყვეტიათ ფერხული ქსელს აკლდება და ქსოვილს ემატება.

— კლუბში, კლუბში ამაანაგებო! არავინ წახვიდეთ, აუცილებელია დასწრება.

იძახის კულტ-კომის წევრი.

დაბლა ეზოში, კლუბის კარებთან დგას ამხანაგი გულისაშვილი და ყველას ეპატიჟება კრებაზე.

მოგროვდა ხალხი, მომხსენებელიც მოვიდა.

დღის წესრიგში დგას წუნის საკითხი, გეგმის გარღვევის მოლოდინი და სიმულიაცია. ვრცელი სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი. თანამომხსენებელმაც თითქმის იგივე განიმეორა, სიტყვები ბევრმა აიღო განსაზღვრულ რეგლამენტში და წერილობითი შეკითხვებითაც აავსეს თავმჯდომარის მაგიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამრო აილეწა სიმულიაციის ხსენებაზე. მოეჩენა თითქოს დაბეჭრეს დანაშაულში, გაუგეს რომ უმიზეზოთ დატოვა დაზგა ორი დღის წინათ.. გვერდით ამხანაგს რაღაც უჩურჩულა და სიტყვა მოითხოვა.

— მოითმინეთ ამხანაგო! ჯერ ის ამხანაგი ილაპარაკებს.

მიუთითა ერთზე და მისცა კუთვნილი სიტყვა მუშას.

— ამხანაგებო! აქ ბევრი ილაპარაკეს ამხანაგებმა, ილაპარაკა ამხანაგ ვეფხვაძემ, მან სთქვა რომ წუნი გამოწვეულია დაზგების უვარგისობით გეგმის გარღვევის მოლოდინს იწვევს ის გარემოებაც რომ კვალიფიციური მუშა იჩენს დენადობას და ამასაც აქვს თავისი გასამართლებული საბუთიო ვინაიდან ჩვენს ქარხანაში მუშა არ არის უზრუნველ ყოფილი მომარაგებით. ვერ იღებს ის ღირსეულ ხელფასს რადგან დაზგები არ უწყობს ხელს ვერ გამოიმუშავა სასურველი ციფრი და წავიდა კაცი სხვაგან უფრო ღირებულ სამუშაოს საძებრად. აქ მოვიდა ვინმე უცოდინარი, სანამ მან საქმე ოდნავ შეისწავლა, რა თქმა უნდა წუნიც ბევრი მოუვიდა და გეგმაც დარჩა შეუსრულებელი. ამისათვის სასურველია და მე მგონია ასეც უნდა იქნეს ქარხნის დირექციამ, მიაქციოს ყურადღება მექანიკური ცეხის რეკონსტრუქციას.

— ამხანაგო!

აფრთხილებს თავმჯდომარე და საათზე მიუთითებს.

— ამ წუთას დავათავებ.

— სთქვას..

— სთქვას.

იძახიან ადგილებიდან

— დიახ მიექცეს ყურადღება მექანიკურ ცეხს რათა ადგილობრივათ შეგვძლოთ დაზგების დიდი შეკეთება. დაბოლოს შევძლოთ მარქვების ადგილობრივათ გაკეთება... ამხანაგი ამბობდა თურძე ჩვენი მასალა მიქვთ აქედან, იქ აკეთებენ მარქვებს და მერე ვღებულობთ უკან. ახლა მე ვამბობ ამ გადათრევ გადმოთრევას, დროს დაბანდებას...

— გაგითავდათ ამხანაგო რეგლამენტი სამი წუთიც გადააცილეთ.

— მაცალეთ ამხანაგო, ელექტრონის მანქამა ხომ არა მაქვს პირში... თუ არ მოთქვევინებთ და...

— სწორ საკითხზე ლაპარაკობს...

— გაუშვით ათქმევინეთ...

— ჩვენ დროს უთმობთ...

იძახიან აქეთ იქიდამ...

— დიახ ამხანაგებო... ასეა თურმე...

დაკარგა სტყვა.. შუბლზე ხელი მოისვა, ძაფს ეძებს.

— ჰო... რა გახდა... იქაც კაცები არ არიან? იქაც ხელი და თავი არ აკეთებს მთელი მანქანების შემადგენლობას? გამოვიწვიოთ ამხანაგები სოცშეჯი-

ბრში, დავჭიმოთ ძარღვები, გავასწოროთ დღე და ღამე, ჩვენი თავის პატრონი ჩვენვე ვიქნეთ რომ რაღაც რაღაცა მცირე დაბრკოლებები არ გვიშლიდეს ხელს, შეკეთებულ დაზგებზე მივცეთ კვალიფიციურ მუშებს საშვალება უზრუნველ ვყოთ ჩვენი მუშები როგორც სურსათით, ისე ბინებით და მაშინ დავინახავთ როგორ აიწევს პროდუქციის ხარისხიანობა და გეგმის გადაჭარბება... მე დავათავე.

დაჯდა.

— ამხანაგო! თქვენ გეკუთვნით სიტყვა, მაგრამ მოკლეთ თქვით თორემ...

კიდევ დახედა თავმჯდომარემ საათს... აუდიტორიის უკანა ნაწილს მიაქცია ყურადღება.

ზარი შეარხია...

— სსსუთ ამხანაგებო რა ამბავი გაქვთ..

თამრომ რაღა თქვას, სათქმელი პირიდან წაართვეს. ამხანაგმა გადმოალაგა რაც ამას უნდა ეთქვა. ქალმა მოათვალიერა ახლოს მსხდომი ამხანაგები თითქოს შველა სთხოვა, როიალთან ცალკე სკამზე მხრებ ჩამოყრილი ზის ცეხის გამგე... შეჰყურებს უმწეოდ დარჩენილ ქალს და გული უსკდება.

მაგრამ თამრომ მაინც ნახა გამოსავალი.

ჩაახველა ერთი და აიღო თავი.

— ამხანაგებო! რაღა უნდა გითხრათ.. ამ ამხანაგმა პირიდან გამომაცალა სათქმელი, და ეს მოხდა იმისთვის რომ ამხანაგ თავმჯდომარემ დროზე არ მომცა სიტყვა ამხანაგებო! სიტყვა სხვაა საქმე სხვაა, თქმულა და ეს ეხლაც ბევრ რასმეში მეღავნედება. ჩვენ ქალები...

ჰა, ჰა...

ჩაახველეს ბიჭებმა, უწმაწურათ, ქალის ხსენებაზე, თამრომ მრისხანეთ გადახედა მათ.

ამხანაგებო! ესეც ერთი ნიმუში იმისი თუ ჩვენ ქალებს რამდენათ გვიწევენ ანგარიშს; ამხანაგები ახველებენ ჩემ სიტყვაზე თუმცა სჯობდა გულდასმით მოესმინათ რას ვიტყოდი... თავმჯდომარე რეგლამენტში ვერ დასტევს ჩემ სიტყვას რადგან მე იერიშებს ვგრძნობ და მოგერიებას დრო დასჭირდება...

— ჰა, ჰა...

გაისმა კიდევ.

— ღვთის ცეცხლი...

მიაძახეს ქალებმა ადგილებიდან.. თავმჯდომარემ ზარი მისცა და წესრიგისკენ მოუწოდა ახალგაზრდობას...

— წინააღმდეგ შემთხვევაში დასტოვებთ დარბაზს. განაგრძეთ ამხანაგო!

— იმას ვამბობდი... ჰო... მაგრამ კიდევ მოვნახავ სათქმელს... დიახ... აქ წუნზე იყო ლაპარაკი. ჯერ დაზგები ყოფილა დამნაშავე და მერე მუშების დენადობა... მართალია ერთიც და მეორეც მაგრამ ისაც მართალია, რომ ნედლმასალას სათანადოდ ვერ აწოდებს წარმოებას ტრესტი. წუნი თვით ძაფიდან იწყება, დასაწყისი ამ ნაკლს ალბათ ძაფ საღებ ქარხნებიდანაც აქვს, თუ კიდევ შორს არ წავედით და პარკში, შემდეგ თესლში და მის გამოყვანაში არ დავიწყებთ მიზეზების ძიებას, ჩვენ იძულებული ვართ ნამდვილ აბრეშუმის სიმცი-

რის გამო ვსთქვათ ხელოვნური აბრეშუმის ძაფისგან, რაც რა თქმა, უნდა ნაკლებ ხარისხიანობას იწვევს მაგრამ დავანებოთ ამჟამად იმას თავი რომ ტრესტი ვერ გვაწვდის მაღალ ხარისხის ნედლეულს მაგრამ აქ [illegible] ამბავია კოჭების დახვევა ცულლუტათ მიმდინარეობს;. ან თავს ვერ [illegible] მასრაზე და ან უხერხო ხვევაში მთებია ზედ ზედახორათ მიყრილი რაც იწვევს წყვეტას... საქსელესაც ასე სჭირს და რა-კი აქ დაზგაც მოიკოჭლებს რა თქმა უნდა წუნიც იქნება და ვერც გეგმა შესრულდება. საჭიროა სწრაფი ზომები იქნეს მიღებული ყველა ამ დეფექტების გამოსასწორებლათ. ამასთანავე გამოყოფილი იქნეს ყველა ცეხებიდან ბრიგადები რომელთაც დაევალოს კონტროლი და სასტიკი თვალის დევნება მუშების პროცესზე.. ჩემი ცეხის სახელით ვიწვევ შეჯიბრში სხვა ცეხებსაც და სახვევ ცეხსაც ცხადია; მოითმინეთ მოითმინეთ.. ამასთანავე მოვითხოვ გაცხოველებულის ტემპით მოეწყოს ქალების წრეებში საგანმანათლებლო მუშაობა რათა მათი ცოდნის დონე აიწიოს როგორც პოლიტიკურ საკითხში... აგრეთვე ტექნიკის შესწავლა დაუფლებაში.

დაჯდა.

— მე მგონია საკითხი ამოწურულია... წინადადება შემოვიდა შეწყდეს კამათი..

კმარა..

— უნდა წავიდეთ.

— დაღამდა.

— რეზოლიუცია ამხანაგებო.. რეზოლუცია მოისმინეთ.

ყვირის მდივანი. მშიერი ხალხი ნელნელა სცლის დარბაზს მდივანი ოციოდე ამხანაგს უკითხავს რეზოლუციას.

—

— ასეთი შემთხვევა ყოველთვის კი არ მოგეცემა ქალო, ეს პირდაპირ ბედნიერებაა, ვინ იცის რამდენს შეშურდა.. უთუოდ უნდა წახვიდე, არავითარ დაფიქრებას არა აქვს აქ ადგილი.

ლაპარაკობდენ მუშაობის გათავების შემდეგ თამრო და დიომიდე..

— ყველაფერი ეს ვიცი ამხანაგო და მადლობელიც ვარ, უთუოდ შენც შეუწყე ხელი ნიადაგის მომზადებას მაგრამ რა ვქნა სწავლის საქმე როგორ წამივა, უკანასკნელ კურსზე ვარ...

— სისულელეა მაგაზე ფიქრი. ქარხანა, ბგზავნის, შვებულებას მიიღებ და მომავალი წლის პირველ ნახევარში დაათავებ... იქედან დაბრუნების შემდეგ კვალიფიკაცია აიწევს.. ცხოვრებას უფრო გაიადვილებ და უმაღლესშიაც ადვილად შეხვალ მერე...

— მეც-კი ვფიქრობდი ასე.. ვნახოთ.

—არავითარი ნახვა.. ხვალ უნდა გარკვეული პასუხი და მომზადებაც.. ჩვენ კიდეც დავიგვიანეთ... ხუთმეტში იქ უნდა ყოფილიყავით...

ამ ლაპარაკით მიადგნენ თამარის სახლის კარებს, ქალმა სახლში არ შეიწვია უფროსი..

დიომიდემ ერთ ხანს გააჩერა ქალის ხელი ხელში, თამრო წამოწითლდა თავი დახარა, უეცრად წართვა ხელი ხელიდან და გაიქცა.

დიომიდე კიდევ იდგა რომოდენიმე წუთი. ოდნავ ჩაიღიმა, ქუდი გაისწორა და წავიდა ქალაქისაკენ.

—

ნოემბრის დამლევს საგრძნობლად — ციოდა, ადამიანები ბუზულნი გარბოდ-გამორბოდნენ, რკინის გზის სადგურის შესავალში, ერთი მეორეს ეჯახებოდნენ ჯალათები, ჩემოდნები, მაფრაშები. არეულობა და ქოთქოთი იდგა. საათმა სამი ჩამორეკა, ორთქლმავალმა შეჰკივლა ერთი, საშინლად ამოიქშინა და დაიძრა. გავიდა მატარებელი. ერთ რონოდას ფეხ და ფეხ მისდევდა ახალგაზრდობა, ფანჯრებში იდგნენ მიმავალი მგზავრები.

თამრო ყველას უკრავდა თავს. ხელსახოცს იქნევდა, მატარებელმა უმატა ნაბიჯს დასტოვა ბაქანი, მოიტაცა მგზავრი და მიაფარა თვალს.

ხალხი დაიშალა, ყველა წავიდა, წავიდა თამროს გამცილებლებიც, აქ იყვნენ ქარხნის მუშა ქალები, იყო დიომიდე, იყო კურსების მსმენელი ამხანაგებიც...

სადგურის მოშორებით ფიცრის ბაქანზე ხის მოაჯირს დაყრდნობოდა ტატე, ნაღვლიან თვალს აღევნებდა დაბლობებში გაშენებულ ქალაქს. აღმართ, დაღმართს, წარმოიდგენდა მის მიხვიულ მოხვეულ კუთხეებს...

— ოო ქალაქო... მეორედ ვამბობ ამას და ვინ იცის რამდენჯერ ვსთქვა კიდევ... რა ხარ შენის ლაბირინტებით... მოსულს ვინმე უცხოს პატარა ჰგონიხარ. რა იციან მათ თუ რამდენ ნაკეცებში იმალები... თუ რამდენი თვალი გაქვს ზღაპრის მდევივით... ერთის ნახვით ვინ გაგზომოს, ვინ ამოჰკრიფოს შენი გულიდან იქ ნაგუბარი". ალბათ სულ ასე ჩათხრობილი იქნები შენ და მეც მარად ნაღვლიანი".

მეორე მატარებელი ჩამოდგა ლიანდაგში, ახალ მგზავრებს დაუწყეს ჩასხმა, კვლავ აღრიეინდა მებარგულთა გოგორა, ტატეს ყურთან აუტეხა მებარგულმა ზარის რეკვა, ტატემ მოიხედა, ახალგაზრდა ქერა გოგო წითელი თავსაფარით თავშეკრული იდგა საგორავზე, თავმომწონეთ სცემდა ფეხით ზარს, ხელით აბრუნებდა და მიმართულებას აძლევდა გოგორას, ტატემ შეხედა, განურჩეველი სახე ჰქონდა კაცს ამ დროს, თითქოს ის ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა...

თამროს გამცილებლებში უკანასკნელმა მან დასტოვა სადგური. კიდევ იმ პატარა კარებში გამოვიდა და ისევ ის დარაჯი დახვდა რომელიც ამ ოთხი წლის წინ, სთხოვა ბილეთი.

ტატეს პეიონის ბილეთი ნერვიულად დაესრისა ხელში, აღარაფერი ჰქონდა დარაჯისთვის მისაცემი მაგრამ ხვეწნა-კი, არ დაუწყო „გამიშვიო".

— მომეცა...

შეუბღვირა, და აუქნია ხელი..

დარაჯმა ერთი შეხედა სახეში და გზა მისცა. ტატე გამოვიდა სადგურის უკან...

თუმცა ეხლა ღამდებოდა და მაშინ-კი ახალი გათენებული იყო, როცა პირველად მოვიდა ქალაქში, მაგრამ თავისი სულიერი განწყობილება ამგზავსა მაშინდელს. „ეხლაც ცივა, თუმცა მაშინ მძაფრი ზამთარი იდგა, ყინავდა და ყველაფერი გათოშილიყო, მაშინ მასწავლებელი და კოოპერატივის გამგე ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ ტატეს, სახალხო სახლის შესახებ ჩამოვიდნენ, სოფელს სოფელი რო ედავებოდა. „რა ცოტა ვიცოდი მაშინ, რა ხეპრე ვიყავ, ასე მეგონა დიდი ქვეყნის დიდ საქმეზე მოვდიოდი...“

ან რომელია დიდი საქმე ქვეყანაზე?.. არაფერი არ არის დიდი... თვით კაცი პატარაა და ნამოქმედარი თვისი დიდად ეჩვენება...

მივდივართ, მივეშურებით და სად, სადამდის? ხომ აქვს დასასრული ყოველივე დასაწყისს, მეც ხომ მექნება დასასრული, ჩემს იდეას, ჩემს მისწრაფებას? მაშ რაღას ვიტეხავთ თავს.

— ხა.. ბარ დაა...

დასჭყივლა მეეტლემ და ჩაფიქრებულ კაცს ბეჭებში რაღაც მოხვდა,

— რას სჩადი შე ვერანა დაუყვირა, ისევ გაცოცხლდა ძველი ტატე და შეუკურთხა.

— А что лезишь прахади...

— Сам проежай не годяй თუ გადმოგიღე კოფოდან ელენთას ამოგაცლი. მიაძახა ტატემ და განაგრძო გზა ჩოქეზი შვილის ქუჩით.

დაეწყო უკან ხელები და მძიმე ნაბიჯით მიდიოდა, თითქოს არსაით ეჩქარებოდა მოწაფე კაცს... „იქ მუშაკი, სწავლა, მოწაფეები, ლექტორი, ლექციები და მრავალი რამ, მაგრამ ეხლა იქ სიცარიელეა ცივათ შემოხედავს კედლები და ელექტრონსაც შუქი ჩაუქრებოდა, წავიდა ადამიანი ვინც ავსებდა იქაურობას. რა ჰქნას ტატემ, ამოდენა ბრგე ვაჟკაცია მაგრამ აკლია რაღაც ცოლიანობის შემავსი. მას ეჭირვება, ვინმე რომ წააქეზოს, გაეჯიბროს, მისცეს „სტიმული“ იყო ერთი და წავიდა.. მოვიდა მეორე და ესეც წავიდა“..

ფიქრში დიდი გზა კაუვლია, ბაღთან მისულა, აქ კუთხის სახლის კიბეზე ინერციულად შესდგა ფეხი და შევიდა იქ საცა სხვადასხვა კუთხიდან მოსული გლეხობა“ შეკრებილიყო.

— როგორ გამოცვლილა აქაურობა, არც კი იცნობა... როგორ გადუკეთებიათ ყველაფერი... მოსამსახურენი სხვაა... მოლარეც სხვა — გაზეთებსაც სხვა კითხულობს.. ალბათ მდივანიც სხვა იქნება, თინა აღარ ზის თავის ადგილზე, როგორ იყო, სიცოცხლე რომ არ მეგონა უიმისოთ? ის იყო მიზეზი ჩემი ქალაქში ჩამოსვლის, სწავლის კარზე მან მიმაგდო, მერე რა მოხდა? იმას არც უგრძვნია რა ამბავი იყო ჩემ თავს რამ ჩამომიყვანა მეორე გზის ქალაქში... მისი რჩეული თურმე სხვა იყო, მე ისე მიყვავებდა როგორც სათუთ პატარა ბავშვს, როგორც მცირე წლოვანს.. მე-კი აბედივით ვიწოდი.. აი სულელო ჩემო თავო.. ის თავის გზაზე წავიდა, მე მაინც ტარიელი მეგონა ჩემი თავი და დავეძებდი დარეჯანს, ჩამისვენდა მზე და აღარ ვხარობდი.. დღეს-კი, ვინ გავაცილე? სულ სხვა ვილაცა რომელიც შემომხვდა ცხოვრების გზაზე... თამრო.. კარგია თამრო სიცოცხლით სავსეა.. ძისი სიცილი გაზაფხულის დილის მზეა.. მისი აზროვნება შემოდგომის სურნელებაა, ნოყიერი და... მიატანა ტატემ მუშაკის კარებს. აქ გაძოერკვა. გაკვეთილი უკვე დაწყებულიყო. ის მაინც შევიდა კლასში, ფეხის წვერებზე გაიარა, ჩამოჯდა თავის მაგიდასთან და შემოიკრიბა ლონე ყური ეგდო ლექტორისთვის.

ტატე ეხლა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, დიდი ხანია დამორდა ის აკაკი გუნცაძეს. დაშორდა მას შემდეგ, რაც საბედისწერო ამბავს წააწყდა. როდესაც კარგა დამეგობრების და ბევრი ერთად გატარებული თვეების შემდეგ გამოცდა ჩააბარა მეორე კურსზე, აკაკიმ ამ გამარჯვების აღსანიშნავად წაიყვა თავის საცოლესთან. ტატეს გული შეუღონდა, ცოტას გაწყდა არ დაეცა ძირს; ვიღაცა ქალის მაგივრად თინა შემოხვდა, თურმე ეს იყო აკაკის დანიშნული. ქალს გაუჭირდა სრულიად გამოცვლილი ტატეს ცნობა.

— აჰა, თინა! მოგიყვანე ჩემი საუკეთესო მეგობარი და ძმობილი.. ტატე გაიცანი ჩემი ამხანაგი და საცოლე..

— მეგობარო! ამას მე, ხომ დიდი ხანია ვიცნობ, ერთხელ გითხარ კიდეც თუ გახსოვს.. სად იყავ ტატე ამდენ ხანს, რატომ ერთხელ არ შემოიარე.. მაგრამ მე ხომ დიდიხანია წამოვედი იქედან..

— საიდან?

გაიკვირვა აკაკიმ..

— ოო, შენ არ იცი ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ, ხომ ტატე!?

— დიახ ბატონო..

დაილულლულა ტატემ..

— რა იყო ტატე რა მოგივიდა..

— დაჯე კაცო, როგორი ფერი გდევს..

— მგონი ცუდი თამბაქო შემხვდა და დამაბრუა ცუდ გუნებაზე გამხადა.

იმართლა თავი ტატემ.. თავის რკინის ხასიათი მოიშველა და ბოლმა ჩაულაპა.

— აი, ამ წუთას, მურაბიან ჩაის დაგალევინებთ და გაგივლის..

უთხრა თინამ. სწრაფად დატრიალდა ქალი და ფერადმა საჭმელებმა ააჭრელა სუფრა. აკაკი მადიანად შეექცეოდა, კრიჭა შეკრულ ამხანაგს იპატიჟებდა.

ტატემ ზრდილობისათვის გაუძლო სალამოს ნახევარ დროს. მერე მოიბოდიშა: „შეუძლოდა ვარო“. და წავიდა, მაგრამ ოთახში აღარ მისულა იმ ღამეს.. ანგარიშ მიუცემლად იხეტიალა... მტკვრის ნაპირებს ჩაუყვა, ქალაქის მიჯნას გასცდა. მოსახლეობა უკან დასტოვა; წყლის ნაპირას, ბექობის ძირას პატარა მოვაკება ნახა, საცა პირუტყვის ფეხი არ მოხვედროდა და რბილ აბრეშუმივით შიშინებდა შეყვითლებული ბალახი; ტატე მიეგდო ზედ, მკლავები თავქვეშ შემოიკეცა და დაემხო პირქვე. ახალგაზრდას, გაუტყდა ნავი, რომელსაც მშფოთარე მდინარეზე მიაქანებდა, და ეხლა ტატე მდორე ტბის ზედაპირზე ტივტივებდა. გადაბრუნდა, ნიდაყვებზე დაეყრდნო და გახედა გალმა ქალაქს. იქ ათასი თვალი ენთო, ასი ათასი ცვცხლი ციმციმებდა. ჯერ კიდევ ადრე იყო, თბილისს არ ეძინა, მტკვრის ბუტბუტი და ქალაქის გუგუნი ერთი მეორეში იქსოვებოდა. ტატემ შენიშნა მტკვრის მეორე ნაპირზე დაბმული ტივი.. მეტივეებს ცეცხლი გაეჩაღებიათ ზედ და ვახშმობდნენ, ამას შეშურდა მათი ბედი... რა ჰქონდათ მეტივეებს შესაშური?.. „ნეტა რათ იკლავენ თავს. შრომობენ ეზიდებიან, წელს იწყვეტენ.. ალბათ ყველას თავის მიზანი აქვს.. შენც ხომ გქონდა ტატე მიზანი? ისწრაფვოდი წინ „რა იყო მიზეზი? შეჯიბრი.. წყურვილი თვალის გა-

ხელის.. მე ხომ ბრმა ვიყავ?.. ეხლა, ეხლა თვალხილული ხარ? აა.. შენ პატარა კაცო!. ეხლაც ბრმა ხარ“.

მაღლა, საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე გრიალით გარბოდნენ ავტომობილები.. ესეც ჩაესმოდა ტატეს ყურებს, ზემოდან ვარსკვლავები დაყურებდა ვაჟს და ქვეშოთ შიშინა ბალახი სახეზე უცაცუნებდა. თვალებ მოხუჭული ცოცხლად ხედავდა თინას, აკაკის, თავის სოფელს, დედას, მაკას, მეზობლებს, თემკომის თავმჯდომარეს პირობა რომ მისცა“: სასარკებლო კაცი უნდა დავბრუნდეო“. დღევანდელი გამოცდა, მასწავლებლები, კარებს უკან მღელვარე აკაკი, ტატეს სული და გული საყვარელი აკაკი. სოფელში რო გაატარებინა პირველი ზაფხული, როგორი პატივი სცა, რა გულ ახდილი იყო მასთან აკაკი: მაკასაც კი თითქოს სხვანაირად ექცეოდა, ტატეც ფიქრობდა რომ დაისიძებდა, დაიმოყვრებდა.. რატომ დღემდის არა უთხრა, რათ შეყავდა მეგობარი შეცდომაში? არა, მაგათ გულწრფელობა არ ეხერხებოდათ, ალბათ ორპირნი არიან. აკი არა, პირველ გაცნობის დღიდანვე იჭვმა უკბინა ჩემს გულს მაგრამ დავთრგუნე ფიქრი უდიერი.. თურმე წინა გრძნობა მართალი იყო.. ეკ სტყუოდა... ვინ იცის, მაშინ იქნებ არც არა იყო მათ შორის, მე-კი ჯორივით ჯიუტად ვიდექ ერთ ადგილს.. ჩემი ბრალია... ჩემი.. გათავდა, იმ ბინაზე ვერ დავბრუნდები... ეხლა მაინც დავშორდებოდით, აკაკი სახელმწიფო გამოცდას აბარებს... მშვიდობით მეგობარო.. ველარ გნახავ“..

გათენებისას ჩაეძინა ცის ქვეშ და აი ეხლა ეს დიდი ხნის მივიწყებული ამბავი შემთხვევით წამოეშალა თვალ წინ.. გული ატკინა, დაღონდა ახალგაზრდა მაგრამ ამ ჟამად მაინც უგდებდა ყურს ლექტორს როგორ ფერადებით უშლიდა აუდიტორიას ის კლასთა ბრძოლის ისტორიას.

—

სოფლის ბოლოზე კიდევ ცოცხლობს ჯიუტ ქოსას სამიკიტნო; წავიდა მისი დრო, პატარა კაცი უფრო დაპატარავდა, დაილია, ქონდრის სიმაღლეა, ქოსა სახე უფრო დაუჭკნა და გაელანდა. წვრილი თვალები, წვეტიანი ცხვირი ჩალურჯებული თხელი ტუჩები, გაბერილი მუცელი და დაფუებული ხელები.. აი, ეს არის ამ კაცის აღნაგობა.. გადასახადში მიდის მისი მოგება მაგრამ მაინც ჯიუტობს „ან სად წავიდეს?.. რა შეუძლია?. „უჩიტლად“ არ გამოდგება, გუთნეულში და აღმასკომის თავმჯრომარედ. კოოპერატივის ნოქრაბას სჯერდებოდა ერთ დროს მაგრამ.. კომსომოლი გადაუდგა წინ და არ მისცეს გასაქანი. ეხლა ისევ თავის ჭუჭყიან დახლს უჯდა, დაბრეცილ წინდის ჩხირებზე აცოცებდა ხელს, აჩხაკუნებდა და სთვლიდა რაძდენ გლეხს ამოუბერტყა დღეს ჯიბე: მოხარშული ღორის ხორცი, ერბო მოხდილი ყველი, ცოტა პური და მაგარი სასმელი შეადგენდა მის ქონებას.

ამ წუთს, ნახევრად მიბნელებულ მიბჟუტულ დუქანში ზის ერთი მოქეიფე, და მას თავზე ადგას ჯიუტი ქოსა..

დრო გადავიდა, უნდა დაკეტოს სამიკიტნო და წავიდეს, ეს მოქეიფე არ დგება, არც იმღერის, არც ლაპარაკობს, წინ უდგას არაყის ორი ცარიელი ბოთლი, მესამეც დაუნახევრებია, თეშზე პურის ნატეხი და პაპიროსის ნამწვავები ყრია.

— ამხანაგო ნიკო!. წაბრძანდით აწი სახლში, დუქანი უნდა დაკეტო. შეჰბედა მედუქნემ.

— რაო, ამხანაგოვო... მე შევარცხვინე შენი ამხანაგი... ბოლო ... ...

რევს ფეხებს. უნდა წინააღმდეგობა გაუწიოს ამხანაგებს და გაეშვებინოს მაგრამ ლონიერი ხელები იჭერენ. იოკებენ. თითქმის აყვანილი მიჰყავთ. შეავიდნენ ეზოში, კიბეზე ავიდნენ მძიმე ტვირთით და დაურაკუნეს კარს. კარებზე დარეჯანი მოეგებათ და ორ ორი კაცის დანახვამ ნიკოთი ხელზე — ბულ — გაუხეთქა. დაიყვირა.

— რა ამბავია, ვინ მომიკლა.?

— ნასომია დეიდო, ნასომი, ნუ გეშინია.

— ნასომი? სად დალია?.. აქეთ, აქეთ ტახტზე დააწვინეთ..

— თავის კრაოტზე არა სჯობია?

არა, არა, იქ არა წვება ეგ ბედ დამწვარი.

ბიჭებმა მიიყვანეს, ტახტზე დასდეს, დარეჯანმა მუთაქა მიაშველათ.. ფეხთ გახადეს..

— თვალი დაუდგეს.. თვალი დაუდგეს იმ... იმ ჩემ ოჯახის ამომგდებს. — წაიშინა დედამ ცხვირ-პირში. ნიკომ გააღო თვალი, შეხედა დედას, გაუწვდინა ორივე ხელი. მიიზიდა თავისკენ.. სახეზე შეეხო, ჩამოუსვა ხელები.. დედა ჩამოჯდა ტახტზე.. ვაჟი უაზროთ შეეკითხა:

— დედა... თა.. თამრიკო სად არის.. დააუძახე...

— თამრიკო მოკვდა. მოუჭრა დარეჯანმა ცივად. ნიკომ დედის კალთაში გადმოიტანა თავი და ატირდა ბავშვივით.

— სად დალია, ვისთან სომდა?.

— არავისთან დეიდო! მარტოკინა იჯდა ქოსას დუქანში და სომდა.

— მე დავწვავ.. დავწვავ იმ დუქანს.. დაიყვირა ქალმა.

— მაინც დასაწვავია და დასარბევი... ესევე დაჰხურე დეიდო საბანი და აქვე გამოიძინებს. დააპირეს წასვლა.

— მართლა დეიდო! აჰა ფული, რამდენია კი არ ვიცი. მთლიანად დაუყარა ქოსას დახლზე: აბა რას გაუშვებდით.. ნახარჯი გაუსტუმრეთ და დანარჩენი აქ არის..

— მადლობელი ვარ შვილებო! მადლობელი თქვენ გიშველოთ და გახაროთ ჯანით უფალმა.

მიაცილა სტუმრები კარამდის და მიუბრუნდა შვილს.

რატომ იკლავ თავს შე შავ დღიანო. ვის მისტირი? ვინ ატირდება, შენს უკან დედი შენის მეტი..

ვიშვიშებს და ხდის ტანზე.

ნიკამ ბევრჯელ განიმეორა ასეთი ქეიფი; მივა მარტოთ, დაჯდება, მოითხოვს არაყს. მას არ ეჭირება არიფი, ჩუმია და უსიტყვო მისი დროს ტარება. მან დაივიწყა ნათელა, დედა და სასოფლო საქმე.. მას ამ დროს არავინ არ ახსოვს და როცა გამოთვრება ტირილით იგონებს წარსულს.

ამხანაგები დარბევას ეჭადნებიან ქოსას დუქანს. ქოსა გადასახადს უძლებს ჯერ ჯერობით და საბაბი არავის აქვს დაუკეტოს სავაჭრო.

ბიჭის საქმე უკან უკან მიდის.. ამას ხედავს სოფელი და აწუხებს ყველას.

ხელისუფლებამ დაიბარა ნიკო.. პარტკომის მდივანმა ჩაიკეტა კარები და მოელაპარაკა:

— ამხანაგო ნიკო! რას სჩადიხარ?

— რას ჩავდივარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუკვირდა ნიკოს, მას აღარ აქვს ის ცოცხალი, მტყველი და აზრიანი თვალები, ცოტათ გასუქებული... სპირტს დაუბერავს, სხეული განზე გაუწევია და მსუქნად აჩენს. თვალის ქუთუთოებთან პარკები დაჭკიდებია, თმა დაუვარცხნელი, კისერსა და ხელის ფრჩხილებში ჭუჭყი მოჭკიდებია, სადღაა წინანდელი კოხტა გაწკრიალებული ბიჭი, სიბინძურეს და დაუდევრობას დაურევია თავისი ხელი.

— პარტიას სახელს უტეხ შენი საქციელით.

— როგორ, ვქურდობ სხვის ნაშრომს ვიტაცებ და ვითვისებ?

ეგლა გაკლდა.. ამას რომ ჩადიოდე, აქ-კი არ დაგიბარებდით.. ასეთებისათვის ჩვენ სხვა ადგილი გვაქვს.

— მა რას ჩავდივარ?

— თუ გინდა ასე ვსთქვათ ამხანაგო, შენ მართლაც რო ქურდობ..

— როგორ? რაო? აენთო ნიკო!.

— დაიცა, დაიცა ამხანაგო! ნუ ღელავ.. შენ ქურდავ შენს შვილს, დედას, პარტიას, კოლექტივს და ამხანაგებს.. აი რას სჩადიხარ შენ..

ნიკო უფრო გაოცდა, ოთახის კედლებზე დაკიდებულ სურათებს და პლაკატებს შეავლო თვალი. თითქოს მათ შეჰკითხა, „რას ამბობს ეს კაცი“.

— დიახ, დიახ.. „შენ გაკვირვებს ეს მაგრამ ნამდვილად ასე სჩადიხარ.. შენ ლოთობ და ლოთობა ჩვენს ხელისუფლებაში დასაშვები არ არის და ისიც პარტიულისთვის“ რას იტყვი ამ ბრალდებაზე ამხანაგო?

ცოტათ ჩაფიქრდა ნიკო..

— განა მე მინდა?. მაგრამ რავქნა.. რაღაც დავკარგე.. რაღაც გამომელია.

— არ იცი რა გამოგელია? გამოგელია ნების ყოფა, ხასიათის სიმტკიცე..

— ეჰ, ამხანაგო!. რო ვსთქვათ სიმართლე. ვის რას ვაკლებ?

ვაიმე, ვაიმე ნიკო, ნუ თუ მეტი არ გესმის, მეტად ვერ გარკვეულხარ? შენ თავს აკლებ ჯანს და დღეგრძელობას. შრომას ართმევ საერთო საქმეს და მამას უკლავ პატარა გოგოს..

ნიკო ჩატყდა, თითქოს ჩაიკეცა.. მართლად ეჩვენა მდივნის სიტყვები.

— რა ვქნა?..

მდივანი განაგრძობს.

— პარტია ჩემის პირით წინადადებას გაძლევს გამოკეთდე და დაადგე ისევ სწორ ხაზზე თორემ...

აქ, გაღიზიანდა გალოთებული გული, გაბრუებული ტვინი.. გამოუწვევათ შეეკითხა..

— თორემ.. თორემ რა იქნება?

— პარტიიდან მოიხსნები.

ეს არ ესიამოვნა ნიკოს, მას არ უნდა იქედან გამოსვლა: როგორ? გასაბჭოების პირველ დღიდანვე აქტიური მონაწილე ვარ ყველაფრის, კომუნალურ

ბოსტნიდან დაწყებული, გავიარე სოვხოზი, კოლმეურნეობა ყველგან და ყველაფერში მიმიძღვის შრომა, თავდადება და ეხლა პარტიიდან მითხოვენ? რისთვის რათა?".

— არა ძმაო!. პარტიიდან რათ უნდა მომხსნან? ვანა ასეთი დამნაშაობა ჩავიდინე რამ? ვსვამ? მომიხდა ესე.. რა უყო... უბედურებისაგან ვინა ვართ დაზღვეული? ვეცდები დავაღწიო თავი, ვეცდები თუ შევძელი.. ასე ერთბაშათ კი ნუ მომთხოვ... ნელ ნელა დავიჭერ თავს.

— აი, ეგრე ჩემო ნიკო! ეგრე ამხანაგო.. მე ვიდე თავზე.. თავმჯდომარესაც მივეცი სიტყვა. იმედი მქონდა შენი ბიჭობის. ნიკოს გაეღიმა.. სახე გაუშუქდა..

— კარგი ამხანაგო, კარგი.. ჩემთვის გინდათ სიკეთე თორემა, ერთი კაცი განა დიდი დასაკლისია?

— რატომ ამბობ ამხანაგო რატომ? სწორედ ერთეულებიდან შესდგება მთელი კადრები.. ჩვენ თუ ერთეულებს არ გაუფრთხილდით საიდან გვეყოლება მასსა?..

ნიკომ ლაპარაკი შესცვალა..

— მე კი მინდოდა მოვსულიყავ და იმაზე მელაპარაკნა, შემომეტანა წინადადება..

— რაზედ?..

მდივანმა დიდი ბოლი გამოაგდო პირიდან. ბოლი მრგვალ მრგვალათ დაშორდა ერთმანეთს, წავიდა რკალებათ, ნელა დაიშალა და მწვანე ძაფებათ გაიფანტა..

— ჰო, რაზედ უნდა გელაპარაკნა?

— იმაზედა რომ, მოეპატრონეთ იმ სახლს...

— რომელ სახლს?.

— აი, ჩემ დაწყებულ შენობას.

— როგორ, შენ არ გინდა დაათაო და იცხოვრო შიგ?

— მინდოდა მაგრამ, ეხლა აღარ მინდა. მოვათავეთ ძმაო, ზემოთ და ქვემოთ რვა თვალი ოთახი გაიმართება. გინდათ შკოლა შეიტანეთ შიგ, გინდათ კომუნის სახლათ აქციეთ..

შევცდი როდესაც წამოვიწყე.

მდივანმა წვრილი თვალები უფრო მეტათ მოჭუტა... სკამი უკანა ფეხებზე შეაყენა.. გადაწვა.. შიგ ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და გაიჭიმა.. დაუწყო ნიკოს თვალიერება..

— როგორ, არ მოგწონს ჩემი წინადადება თუ.? ძირს სართული სულ მზად არის.. ზემო კედლები ხომ ხედავთ აყვანილია, სახურავი და ხის მასალაა აკლია.

— როგორ არ მომწონს ამხანაგო წინადადება, მაგრამ, შენ არ ინანებ შემდეგში?

— ყმაწვილი ხომ არა ხარ.. თუ მენანებოდეს არც მოგთავაზებდით.

— შენ არ მოითხოვ ბინას?

— არა, მე იმ სახლში არ შევალ. ჩემი ძველიც მეყოფა. თუ კოლექტივი კომუნალურ სახლს ააგებს იქნებ გადავიდე...

მდივანი გააკვირვა ნიკოს აზრმა. ის ქალაქიდან არის მოვლინებული, მას აქვს იქ საკუთარი ბინა; ოთხი ოთახი, ავეჯი და მუსიკა, ჰყავს ცოლი, და-ძმა, სტუმრებიც დაუდით, ეს ყველაფერი კერძო საკუთრებაა.. სერგო პარტიულია, მაგრამ გულის სირღმეში არ ესმის კაცს, განსაზოგადოება, სახლის, ბინის, ქვაბის და ჯიბის.. არ ეთვისება, არ შეუგრძვნია ჯერ კიდევ და ვერ გაუგო, ნიკოს, გულწრფელობა ამოქმედებს, თუ არის კიდევ სხვა რამ მიზეზი.

— ამხანაგო ნიკო! დაფიქრდი ჯერ კიდევ და მერე გვითხარი.

დაფიქრება არ უნდა ძმაო... მე მაინც მაკვირებს ერთი გარემოება.. სად იყვნენ... რის ნებას გაძლევდნენ?

— როგორ?

— კაცო! ჩვენ გავაძევეთ, გავასახლეთ, ხელი ავაღებინეთ, გავლალეთ.. მე-კი... მე აქ... ახალ სასახლეს ვეშმავდი... ეს შეცდომა გვიან შევიგენ მე..

სერგო სახტად დარჩა, გაჩუმდა, პასუხს ვერ მიაგნო... „რა ყოფილა ეს ბიჭი, არა სცნობია სერგოს დღემდის... ეს რაღაც დაუჯერებელია. უძირო ჭაა საცა მრავალ ნაკადებს მოუყრია თავი“... ცოტა ხანს უყურა კიდევ..

ნიკოს გაეცინა.

— რას მიყურებ ამხანაგო?!

— კარგი ნიკო! კარგი ამხანაგო! მე მოველაპარაკები თავმჯდომარეს. შენ წერილობითი განცხადება შემოიტანე, მოვიწვევთ საბჭოს, ვითათბირებთ და გამოვიტანთ გადაწყვეტილებას.. შენც დაესწრები სხდომას.

— ენგრეეეე... მხოლოდ მე-კი მომეცით დრო თქვენს ულტიმატემზე.. ნახავმდი.! ნახვამდი ამხანაგო ნახვამდი.

უპასუხა მდივანმა.. ნიკო გამოვიდა გარეთ.. პარტკომის კიბეზე გლეხები ჩამომსხდარიყვნენ, მზეზე ითბობდნენ ზურგს.. თამბაქოს აბოლებდნენ და გაცხარებით კამათობდნენ. მთლიან გაკოლექტივებაზე ჰქონდათ ლაპარაკი... წამოიშალნენ და გზა მისცეს ზევიდან ჩამომავალ ნიკოს.

სერგო ერთ ხანს იყო ფანჯარაზე მიმდგარი და ანგარიშ მიუცემლად ადევნებდა თვალს ბუზს, რომელიც მომწყვდეულიყო ოთახში; ახლო ტყის წყალობით, უხვი შეშის მიზეზით, შეენახა ხან მოკლე სიცოცხლე ეხლა ფანჯარის მინაზე დაბობღავდა, დაბზუოდა, ჩარჩოს ერთ კუთხიდან მეორეზე გადადიოდა. თბილოდა, ცოცხლობდა და ახარებდა ეს სიცოცხლე.

სერგო უყურებდა ბუზს, უყურებდა ეზოში მოკამათე გლეხებს. უყურებდა ნიკოს ბეჭებს, რომელიც მეზობლებს რაღასაც ელაპარაკებოდა და ზურგ შექცევით იდგა ფანჯრისკენ. უყურებდა ამათ ყველას, ფიქრით-კი ქალაქში იყო კაცი, თავის გაკრიალებულ სუფრა ბინაში.

— Чудак!—სთქვა მან ბოლოს, შემოტრიალდა და დაუძახა დარაჯს, შემოეშვა გლეხები.

—

შუალამეა, ბნელი. და პირქუში, მძლავრი ქარი ფრთებს იმტვრევს და სახლების სახურავებიდან ლაწა ლუწით ჰყრის კრამიტებს;

კაცი, კატა და ქათამი საბუდარში შეყუჟულან, სოფლის მუდმივი დარაჯის ხმაც არ ისმის, სათივეში შეკუჭული რგვლად მოკეცილა და ძიგძიგებს

სიცივისაგან. სოფლის გზაზე ვიღაცა გამოვიდა; ფრთხილად მიდის, კედელ კედელ მიჰკვება, შუა გზის ერიდება.. მიატანა სოფლის ბოლოზე, ერთ გომურს მიეფარა, კიდევ გასცდა გომურს და უკანასკნელ შენობასთან შეუტია, ფიცრულ მიდგმულს ამოეფარა, შეაღო კარი, შევიდა შიგ. ცოტახანი დაჰყო იქ, ისევ გამოვარდა გარეთ.. მარჯვნით პატარა მინდორი გადაირბინა, წისქვილის არხზე გადებულ წვრილ ხიდზე ფრთხილად გავიდა, ძირს დაეშვა, ეკალს წამოედო და სამოსი მიახია, ჩქარა გაინთავისუფლა თავი ეკლისაგან, ბუჩქნარში შეერია და ისევ სოფლისაკენ ამობრუნდა. სოფელს სძინავს პირველის ძილით. განმარტოვებულ სახლს მშველელი არ ჰყავს და გათამამებული ცეცხლი ანადგურებს ქოსას საბადებელს, ქარი უბერავს და აძლიერებს ხანძარს.

დარეჯანი ფეხ აკრეფით შევიდა სახლში, შალი მოიხადა; კაბის ნაფლეთები გასინჯა, თავი გადაიქნია, გაცივებული ხელები დაისრისა, ღუმელზე მოითბო.. მძინარე ბავშვს დახედა და სიცხიან ნიკოს სოველი ტილო გამოუცვალა თავზე.

—

— დედაკაცო! წუხელ ქოსას დუქანი დაუწვავთ—შემოილაპარაკა სახლში ქიტესამ.

თაფლო ბუხარს მისჯდომია, მატყლს ართავს, ქოთანში ლობიო ჩუხჩუხებს. ქაფი მრავალ მარგალიტებად ირევა ერთმანეთში, ხტუნავენ, ცეკვავენ, თავდა ყირა ჩადიან ქვევიდ, ისევ ახლის სახით ამოდიან მაღლა. ცეცხლი ღაღანებს და თაფლოს ფიქრებს აღრმავებს; შორს არის აქედან დედის გული; „სად წავიდა, სადღაც გადაიკარგა, რა უნდოდა ღმერთს, მყოლიყო აქვე, გვერდით, მეყურებინა ორ დღეს.. მე თუ მოსკოვს არ ვყოფილვარ ვერ დავბერდი? რა უნდა, სად დაეხეტება, ვინ იცის სად გამეყინოს, ამბობენ დაუსრულებელი ზამთარი იცისო თავადაც ასე მოიწერა.

— რამ გამოგაყრუა ქალო, არ გესმის? ქოსას დუქინი დაუწვავთ.

— რაო? ქოსას დუქანიო?.. ვის დაუწვავს? თავად ჩაუარდებოდა ცეცხლი·

— არა, ნავთ დასხმულია, სანავთე თუნუქიც იქვე უპოვნიათ დამწვარი.

— ვინ დაწვავდა ნეტა? გაიკვირვა თაფლომ.

— ჩვენ ნამზახლევზე მიაქვთ იქვი.

— დარეჯანზე ადამიანო?

— ჰო დე...

— ტყვილია, საიდან დაწვავდა?.

— ენგრე იძახიან და... იმუქრებოდა თურმე.

— სულ დამწვარა.?

— გადატრუსული ქვის კედლები ღა დგას..

— ახია მაგ წურბელას თავზე...

— აკი გამიკვირდა... წუხელის მეორე მიძინილზე, რაღაც, ქათმების კრიახი შემომესმა, გავედი კარში, დავხედე ნადირი ხომ არსაიდან აუტყდა მეთქი.. იმ მხარეზე სისხლივით წითლად იყო ცა... აზრათაც ამ მომსვლია ცეცხლი ადამიანო.

— მერე და დარეჯანს რათ უნდა დაეწო?
— ნიკო თვრებოდა იქაო იძახიან.
— ტყვილია, თუ სადმე დაწვაა, იმას ჩვენ უნდა დავეწვით.
— ჩვენ რათა?
— იმადა რომ, ის ბიჭი თურმე ავად არის.
— ეჰეჰეეე...
ამოიხვნეშა ქიტესამ.
— ქიტესო, ყველაფერი ეს ჩემ სულს აწვევს სიმძიმეთ.
— შენი რა ბრალია დედაკაცო?
— ჩვენი ბრალია მა რაა.
— დიდება შენდა უფალო!
ქიტესომ ჩიბუხი გამოიბერტყა ხელის გულზე. ისევ აავსო დინჯად.. ბუხარს დასწვდა, ჩიბუხი ნალვერდალში ამოურია. ნაკვერცხალი დააგდო ზედ, მოსწია.. წარბ შეკვრით დააკვირდა ყალიონის თავს.. კიდევ მოსწია, განზე გადააპურ-ჭყა, წვერზე ხელი ჩამოისვა, წელში გაიმართა და ცოლს შეხედა.
— როგორ, მე მაჭანკლები მიუგზავნე და შევეხვეწე წაიყვანე ჩემი ქალი-თქო თუ რა.. არც კი, მკითხეს, კაცადაც არ ჩამაგდეს.. რომ არა ვთქვი, პირში წყალი რომ ჩავიგუბე იქნებ ეგონა დარეჯანს რო, ერთობ მეხარბებოდა მისი ოჯახი?
— ქიტესო! ოჯახს რა უშავდა, თუ ჩემ ქალს მოეხმარა.. ვერ უყურებდი როგორი სახლი წამოიწყო ნიკამ..?
— ეგ არის.. ეგრე-კი მიყურებ დედაკაცო მაგრამ ქიტესო არც ბრმა არის და არც სულელი..
— ეგ რა მოსატანია კაცო?
ლაპარაკობს თაფლო ხელს-კი, არ აჩერებს, თითის ტარი ტრიალებს, ფთილა ფთილას მისდევს, ბუხრის პირას ნაცრიან აგურზე ნახაზებს აჩენს, მატყლის ძაფი იგრიხება, თითის ტარი ივსება, თაფლო მარჯვნივ გადიხრება, რომ დიდზე გაშალოს მკლავი, შემდეგ მარცხნივ გადმოიხრება და ახვევს ნართს.
— ის მოსატანია რომა, თამრო ჩემი შვილია.. მას არ უყვარს ორპირობა, ის ლარივით სწორია.
— ვერ გამიგია რას ამბობ.
— იმასა რომა, ამ დროში კაცი ვერ გაკეთდებაა, მე მამამაც დამიტოვა, პაპასაც არა უშავდა გამრჯელი გლეხი იყო, ურმებს აკეთებდა, საქირაოზე დადიოდა. მცირე რამ განძი დაედო ოჯახის საფუძვლათ.. მაგრამ შენ რო გუშინ არა გებადა ესე უცბათ საიდან გაკეთდი?..
— ეხლა თუ ასე ვიტყვით?
— ეგრეა შენა და ჩემ მორის გაუგებრობა ჭერმა იცის და იატაკმა.. რა ვიცი რა იყო მიზეზი.
— ეჰ ჩემო ქიტესო; საბაბი-კი, ჩვენ გავხდით და აწი რაც უნდა იყოს, მაინც რა თამრო მოსკოვს წავიდა სულ გადაირია თურმე..
— ესეც მაგათი ამბავია.. ახალი ამბავია.
— ვილაც იძახის კაცო გაიხედე...

ქიტესო გავიდა გარეთ... და ისევ მალე შემობრუნდა.

— ვინ არის კაცო?

— დარეჯანს ბიჭი გამოუგზავნია, ცოტა ხანს აქ ამოდგა...

— რა ამბავია ნეტა? უჭირს უთუოდ, ვაი თუ ცუდათ არის ბიჭი. რა პირით მივიდე?

წამოდგა, ფოსტლები დაჰყარა ფეხებიდან, ტანთ გამოიცვალა.. ლობიოს წყალი დაუსხა, შალი წამოიგდო ბეჭებზე, გსვლა დააპირა.

— მიხედე კაცო ოჯახს... აწი ბალღებიც მოვლენ.

— შენ თუ განკარგულება არ გაეცი ისე არ იქნება, შებუზღუნდა ქიტესო.

— მა... შენ რო მიდიხარ, სიტყვას არ აგდებ ოჯახში? ქა..

წაილაპარაკა თაფლომ და წავიდა.

—

თაფლო იმ დროს მივიდა მზახლის ეზოში, როდესაც დარეჯანი გაცხარებით ელაპარაკებოდა მისულ ხალხს.

— რით მიმტკიცებს ეგ წურბელა რომ მე დაუწვი?

— რათ დაუწვავდი, ან, როგორ, შუაღამისას, ძალლი კარში არ გაიგდებოდა, ავადმყოფის პატრონი იქ წავიდოდი?

— სწორედ ეგ დაუხვევია ხელზე, ქოსას, ნიკაი რომ ავად გახდა შენ მის დუქანში სმას აბრალებდი თურმე...

— მე არ დამიწვავს და დამეწვა-კი უნდა, სანამ ბიჭი დამეღუპებოდა, ჩვენი სოფელი არ ვარგა თქვენ ყველანი ცუდები ხართ...

— რათაო დარეჯან, რათ გვლანძღავ შე ქალო!.

— რათ გლანძღავთ? ჩემი ნიკა თქვენ საკეთილდღეოდ სანთელივით დნებოდა; ჩემმა ნიკამ თქვენთვის თავის ნაკვდავ ნაცოდვილარი არ დაიშურა, შეხედეთ.,—გაიშვირა ხელი ახალ შენობისაკენ, ორ სართულიან სახლის კედლები დაეთავებია ალმასკომს, დაეხურა წითელი კრამიტით, ეხლა დურგლები მუშაობდნენ ხის მასალაზე.

— თქვენ-კი ერთი მიკიტანი ვერ ალაგმეთ რომ მე და ჩემთან ერთად სხვებიც არ დაეღუპნა.

— სწორედ ეგ არის დარეჯან, ნიკაი რო ავათ გახდა მიზეზად მე მხდიდაო, მაგან გამიჩინა ცეცხლიო იძახის..

— მერე რა გნებავს, თუნდ ეგრეც იყოს?..

— უნდა ამინაზღაოს თორემ გავასაჩივრებო,—

— მერე და თქვენ არა გრცხვენიათ, რომ ამის სამოციქულოდ. მოდით ხალხო, მე მაინც გაწამებული მაქვს დღე, ქვრივ ოხრობაში ნაზარდნი, ოხრათ მიმოდიან. დამეხსნას და თვალით არდამეხახოს თორემ მამიჩემის სულს ვფიცავარ ორად გაუპობ თავს.

უთხრა მოციქულებს. თაფლოს მიუბრუნდა და მიიწვია სახლში.

მზახალი, შალმობურვილი იდგა და გულ დაწყვეტით შეჰყურებდა მაღალ სახლს „როგორ ფუჭად ჩაუტარა გოგომ ყველაფერი, რა მარჯვე ბიჭი გამოდგა ე ნიკაი“ მართალია მამასახლისი იყო ამ ქალის ქმარი, მაგრამ მაინც ვერ შესძლო მან ასეთი სახლის აშენება. და უბრალო ქოხში დაბერდა თაფლო,.. თამ-

რომ-კი უარჰყო დიდებული ბინა.. ბიჭსაც შეძულებია და ალმასკომისთვის გადაუცია. ისინიც სულელები არ არიან, ოლონდ რამე ჩაიხედონ და..“

„წამობრძანდი თაფლო, ნახე შენი სიძე..—ხმაში უკმაყოფილება დაეტყო, ეს დედის საყვედურია, რომელსაც შვილი გაულახეს უდანაშაულოდ და მიუგდეს, საყვედურია მაგრამ თავდაჭერილი.

თაფლოს გული გაერღვა.. მუხლები შეუცანცარდა და წელში გაკეცილი შეჰყვა მასპინძელს სახლში.

—

გავიდა ზამთარი, დადგა, მაისი, მოახლოვდა გამოცდები. მოწაფეებს დაეჭიმათ ნერვები. რას მოუტანთ გაზაფხული? ყველას აქვს თავის პერსპექტივა, თავისი გეგმა, როგორ წარმართოს მომავალი.

ტატე ფოლადად გადაიქცა, უნდა ფრიადზე დაამთავროს, ჯგუფის ხელმძღვანელია, დღე და ღამე ერთი აქვს და აღარ სცალია მისწეროს თამროს; უკანასკნელ წერილში ისიც გაჭირვებას იწერებოდა; „თეორია და პრაქტიკული“ ერთად აქვთ თურმე გადახლართული, „თამრო საუკეთესოდ მიდის, მხოლოდ გაიცრიცა და აღონებს ფიქრი თბილისზე. აღონებს ფიქრი ბავშვზე, ნიკოზე, გაუგია, მიუწერიათ ავად ყოფილა. ენატრება თამროს ამხანაგები, ეჩქარება ტატეს ნახვაც და მასთან საუბარი. ბევრი რამ ნახა თამრომ ეკლესიებად ქცეულ ქალაქში საცა სიძველეთ ფეხს ვერ აურჩევ თუმცა ახალი წამოწყებაც ბევრია, უნდა ტატეს გაუზიაროს ყველაფერი, მაგრამ ბევრ საწერათ არა სცალია ქალს და ესწრაფის მეგობრებთან შეყრას. ივნისის შუა რიცხვებში ლენინის ქალაქს ინახულებს. ქალაქს „უნძულებზე გაშენებულს მრავალ არხებით დახლართულ დანაწილებულს, საწარმოო ქალაქათ ქცეულ თეთრ ღამიან ქვეყანას ამათ შემდეგ საქართველოში მოისწრაფვის თამარ“.

იწურება მაისი, იწურება გამოცდები, შავი ხალათები შეცვალა თეთრმა და, ახალგაზრდობა გვირაბის გზით ეტანება ბოტანიკურ ბაღს, იქაურ ჩრდილებს და ცივ წყაროს.

ქალაქში ეპიდემია გახშირდა და მსწრაფლ მშველელი მანქანა შეუსვენებლივ დაჰქრის თბილისის ქუჩებში.

დამთავრდა სამოსწავლო წელი. მიიღო ხალხმა ატესტატები; შეიკრა ლოგინები, ჩალაგდა ჩემოდნები, ყუთები, კალათები... ზოგი ოთახს ეძებს, ზოგი ინსტიტუტში მოწყობას ცდილობს, ზოგი ლიტერს ელოდება და ეშურება სოფელში. სასადილო დაიხურა და ქვაბში „კუბში“ აღარ დგას ნადული წყალი.

დილაა მკვირცხლი, სისხამი. შოშიებს ადრე გაუღვიძიათ, ნარიყალის ციხის ნანგრევ კედლებზე შავ ნაბადად შეფენილან და ჟღურტულებენ.. მზე ამოდის და კოჯრის მთიდან მონაბერ ნიავს მეტოქეობას უწევს. ევანგულოვის ქუჩაზე, საყდრის მსგავს დიდ შენობასთან, დგას დახურული ავტო და დუდუნებს, თეთრ ხალათებში გამოწყობილმა სანიტრებმა გამოიტანეს ალაყაფის კარებში საკაცე, უკან ახალგაზრდობა მოსდევს, გაიღო კარეტის კარი, საკაცე შეგორდა, სანიტრებიც შეყვნენ შიგ, კარი მიიხურა, თეთრ ხალათა ახალგაზრდა ექიმი შოფერთან მოთავსდა, მანქანა დაიძრა, მოიტაცა ავადმყოფი და გააქანა ბარაკებისკენ.

——

ცალკე ოთახში წევს ტატე, პირღია და თვალებ გაშტერებული, დამდნარა და დალეულა, სამი კვირის ავადმყოფს აღარ აქვს გონება. მორფი გაუკეთეს, წამალი ვერ მოერია ვერ დააძინა და ეხლა ბურანშია.

მოწყალების დამ დაუძახა ექიმის თანაშემწეს.

— ავადმყოფი სულ წყლად მიდის, ასეთი ოფლი არ მინახავს, უყურეთ წვიმასავით ჩამოდის, ტილოებს ვაფენ ტანზე, მაინც არ შრება..

თანაშემწემ აიღო ავდმყოფის მაჯა..

— სიცხის საზომი ჩაუდეთ,—უთხრა მომვლელს და წავიდა მორიგე ექიმთან.

Тина Иосиповна, пожалуите к бальному.

უთხრა როგორც შეაღო კაბინეტის კარი.

— რა ამბავია, რომელთან?.

— მეცხრე ნომრის, მარტო რომ წევს.

ექიმი წამოდგა და წავიდა, რხევით გაემართა გრძელ ტალანში; თინა გასილა, დამრგვალებულა მძიმეთ მიაქვს ბეჭები, ეშხი და სანდომი მომატებია, მაგრამ, ორი უნებური ხაზი ჩაფენია ტუჩების ბოლოებიდან, ცხვირის ნესტოებიც ჩრდილს აყენებს ზემო ბაგეს. შუბლზე ფიქრის ძაფი განასკვია და ელვარე თვალებში მეტი ზრუნვა ჩაგუბებულა.

ის შევიდა ავადმყოფთან, დახედა, დაიხარა, ჩაჰყურებს სახეში, აიღო მაჯა, ავადმყოფი მისჩერებია უსიცოცხლო. შუშის თვალებით..

— ტატე! ტატე! ვერა მცნობ? მე თინა ვარ თინა არ გახსოვს?.

ტატე ხმას არ იღებს.

თანაშემწემ ამოიღო ავადმყოფის უბიდან თერმომეტრი..

— რამდენია.

— ოცდა ხუთმეტი ექიმო.

— აღნიშნეთ.. ქაფური ჩქარა, მეტი დოზა, ფეხებში ცხელი პარკი ჩაუდეთ.. მოიტათ კონიაკი..

იძლევა თინა გახკარგულებას.. მაჯა ხელში უჭირავს...

— მოიტათ შპრიცი...

ჩქარა.. ჩამოართვა ხელიდან და თავად დაარტყა დიდი ნემსი..

— მორფი რამდენი გააკეთეთ?.

— ნახევარი ექიმო!

— ეგ არის, ვერ მოერია ორგანიზმს და გასტანჯა..

— მე მოვკდი.

ჩააყლაპიეს კონიაკი.

დაიძახა ტატემ უეცრათ. მკვეთრი ხმით.

— მოკვდი მე, მოკვდი მოკვდი..

დაჩუმდა.. თანაშემწემ შეხედა ექიმს,ექიმმა თავი გადაიქნია..

— არა უშავს... გაუვლის...

— გაუძლებს ექიმო სიცხის უეცარ დავარდნას?

— მაჯა საიმედო აქვს, სიცხე ისევ აიწევს.

მე, მკვდარი ვარ ეხლა... თინა... თამარო... თინა... თინა. ჩემი თინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თინა ისევ დაიხარა ავადმყოფზე..

— დაწყნარდი ტატე, დამშვიდდი..

— წავიდა თინა.. წავიდა.. თამროც წავიდა.. ეხლა მე მკვდარი ვარ... მოკვდი მე მოკვდები..

— დაწყნარდი ტატე, ნუ ყვირი!

ტატეს არაფერი არ ესმის..

— ჰო, ჰო, ჰო, თინამ შემჭამა.. აკაკიმ შემჭამა.. თამრომაც შემჭამა.. ეხლა მე შეჭმული ძაღლი ვარ.. მკვდარი.. ლეში... საწყალი ტატე...

ნელა მიაპყრა თვალები მომვლელ ქალს..

— მკვდარს ტირიან... რატომ არ ტირით თქვენ.. რატო.. რა.. ტ.. ო. რა... ქაფურმა გასჭრა.. სითბომ მაღლა აიწია... ფეხებიც დაუთბა..

— ოცდა თექვსმეტი... ოცდა ჩვიდმეტი... ხუთი ხაზიც..

— აღარა უშავს... გადაიტანა.. მადლობა ღმერთო.

ნელა დასდო ავადმყოფის ხელი, ტატეს ჩასთვლიმა.. თვალები დახუჭა.. კიდევ დაიხარა ექიმი. გულის ცემას უგდებს ყურს, სულთქვა დინჯია და ზომიერი...

— მომვლელი არ მოშორდეს, თუ ცვლილება იყოს რამ დამიძახეთ.

სთქვა და წავიდა. მთელი ღამე არ მიწოლილა თინა, ორივე ნიდაყვებზე დაყრდნობილს თავი ხელის გულებზე დაებჯინა და თვალ გაშტერებული ჩასცქეროდა წინ გაშლილ ტაბულას, სულ სხვაგან ჰქროდა ქალის ფიქრები „სირცხვილი ჩემი, რა კან სქელა ვყოფილვარ, ნუ თუ ასე იყო ამბავი, ვერ გაუგე... რას ვიფიქრებდი ან კი რას უშველიდი?

აგონდებოდა, ზედი ზედ ეშლებოდა თვალ წინ წარსული ამბავი.

საწყალი ბიჭი, როგორ გამირბოდა. ან მაშინ რა მოუვიდა აკაკიმ რომ მოიყვანა ჩემთან.. რა თავდაჭერილი ყოფილა.. აკაკიმაც ხო არა იცოდა რა... ყველაფერი უნდა წაიშალოს... ჩემი ბრალი ხო არა არის რა...“

ოთახში დილის რიჟრაჟმა შემოიხედა, მშვიდობის დილა უსურვა ქალს. მან ეხლა ასწია თავი, გათენებულიყო, ელექტრონის სანათურს შუქი დაკლებოდა საცოდავად ბჟუტავდა, თინამ ჩააქრო სანთელი წამოდგა და წავიდა პირსაბანისკენ უნდა გამოფხიზლებულიყო, ექიმები მოვიდოდნენ პალატები გაცოცხლდებოდა, შემოვლას დაიწყებდა უფროსი ექიმი... თინაც მზად უნდა ყოფილიყო.

დას.სრული შემდეგ ნომერში

• • •

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ. ჯაჯანაშვილი

ნაგერალი

რომანი*

ძლევის ქედი

9

— გასწი, გაეთრიე აქედანა! — შეუტია ილო თანდილაშვილმა მურა ძაღლს და ისეთი ჭიტლაყი ამოჭკრა, რომ ძაღლმა წკმუტუნი დაიწყო და კუდ-ამოძუებული გვერდ-გამოგლეჯილ გოდორში შეძვრა.

ილოას ცოლმა, რომელიც იქვე კიდობანთან ფუსფუსებდა, ქმარს შეშფოთებით გადახედა და გაინაბა. აბუზულუნებული გიორგაც გაჩუმდა.

ილო თანდილაშვილი აივნის მოაჯირს გადაეყუდა და თავისი პატარა თვალები, რომლებიც ეხლა რაღაც უცნაური ბოროტი ცეცხლით უელვარებდა, სოფლის თავს გადაჭიმულ ძლევის ქედს მიაშტერა.

ძლევის ქედმა ილო თანდილაშვილს ბოლო ხანებში მოსვენება დაუკარგა. მთის მწვერვალზე გადაშლილი სერი, საიდანაც ახლად აყრილი ტყე იწყებოდა, ბოლო დროს როგორღაც საიდუმლოდ განაბებულიყო და შავად ჩაბნელებული ტყეც შორიდან თითქოს მუქარით გამოიყურებოდა.

ეხლაც წარბებ-შეჭმუხნილი და კოპებ-შეკრული ილო თანდილაშვილი ძლევის ქედს გადასცქეროდა და თავის თაგვივით გაცეცებულ თვალებს ძველი ეკლესიის ნანგრევების შავს სილუეტს არ აშორებდა.

იქ, ზევით, სოფლის განაპირას, დაბურული, გაუალი ტყის ჩრდილებში რაღაც საიდუმლო ამბები ხდებოდა. გულ-ჩათხრობილ, ამრეზილ სოფელს ძლევის ქედიდან რაღაც უცნაური სიო უბერავდა. ილო თანდილაშვილი ამ სიოს დაგეშილი ძაღლივით იყნოსავდა და ყურებ დაცქვეტილი უსმენდა დუდუნს, რომელიც შორს მთებში სოფლის ყრუ კვნესის გამოძახილიდან მოისმოდა.

ილო თანდილაშვილი აივნის მოაჯირს მოსცილდა და ეზოში ჩავიდა. ეზოში კარგახანს უმიზნოდ დახეტიალობდა: ხან მარანში შევიდოდა. ხან ჯინს უტორღიალა, ხან საბძლიდან კევრები გამოათრია და უგემურად ხელში ატრიალა, მაგრამ ყელში მობჯენილი ბოლმა საქმეს ხელიდან აგდებინებდა. ბოლოს უღელს წამოავლო ხელი, გზის პირას ქვაზე ჩამოჯდა და წალდულით თლა დაუწყო.

საღამო ხანი იყო. დაქანცული სოფლელები უკვე მინდვრიდან ბრუნდებოდნენ.

---

* გაგრძელება იხ. მნათ. №№ 8—9, 10.

— რას უკირკიტებ, ილოავ?—გამოეხმაურა თანდილაშვილს ღრჯოლება მაჭარა, მხარიდან ბარი გადმოიღო და ილოას გვერდით ჩაუცქდა.

— ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიანო, ხომ გაგიგონია, მაჭარავ? —უპასუხა ილოამ და წელში გასწორდა.

— ცუდად ჯდომა ილო თანდილაშვილს არა სჩვევია და არც იმისი ცუდად შრომა გაუგონია ვისმე!—მლიქკნელი ღრეჭით უპასუხა მაჭარამ.

ილო თანდილაშვილს ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა და თვალებში (:ოტა არ იყოს დამცინავმა ნაპერწკალმა გაჭკრა, მაგრამ პირმოთნეობამ მაინც გული მოუთბო და შეჭმუხვნილი შუბლი გაუშალა.

— ახლა, ილოავ!—დაიწყო ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მაჭარამ,—ქაიხოსრო ი მიწაზე რომ გადამკიდებია, რას იტყვი? გამოცდილი კაცი ხარ და ცოტა რამ რჩეცას ჩემისთანა საწყალი კაცისათვისაც ნუ დაიშურებ. ვითომ გაიტანს?

— გაიტანა და მორჩა!—მოკლედ მოჭრა ილო თანდილაშვილმა და მაჭარას თვალებში შეხედა.—ერობის ქალალდი ხელში უჭირავს, მიწა იმას აკუთვნეს, კანონი იმისკენაა, ბევრიც რომ იხტუნაო, ვერაფერს გახდები. შე კაი კაცო, არავითარი საბუთები არა გჭერია ხელში, მუქთათ ჩაგიგდია და, აბა, ვინ შეგარჩენდა? ისე კი, ფული ფულად შეგრჩება და ე მაგ შენს პატარა ბოსტანსაც შნოსა და ლაზათს დასდებს. ქაიხოსროს ხასიათი ხომ იცი? ცოტა ნამყენ ვაზს გაგიშენებს, ცოტა ხეხილსა, და შენი სარგებელიც ეგ იქნება.

— ვაზი და ხეხილი კარგია, მაგრამ უმიწობაც რომ არ ივარგებს! სოფლის კაცი ხარ, ხო იცი, ჩვენთვის სახნავ სათესი მიწა რასა ნიშნავს? აი, დასწყევლოს ღმერთმა, საით ჯანდაბიდან გამოტყვრა ეგ ოჯახ-ქორი!—ბოლმით დაუმატა მაჭარამ და ბარი მიწას დაანარცხა.

— მაშ რა გეგონა შვილონიასა!—ნიშნის მოგებით უპასუხა ილო თანდილაშვილმა.—ხომ გეუბნებოდით, ქარის მოტანილს ქარივე წაიღებს—მეთქი! მუქთად დაგვრჩება, ხელსაც ვერავინ გვახლებს! მე რომ აცერცეტებული ხალხისთვის ყური მეგდო, მეც შენსავით ცარიელ-ტარიელი ვიჯდებოდი. მერე, განა ეხლა-კი არ არიან ტუტრუცანები? აბა, აი იმ ძლევის ქედისაკენ გაიხედე!—რაღაც საიდუმლო ხმით ჩაიჩურჩულა ილო თანდილაშვილმა და ხელი ძველი ეკლესიის ნანგრევებისკენ გაიშვირა.—უბერავს, მაჭარავ, იქიდან ისევ ქარი უბერავს! ტვინ ნაღრძობ ხალხს წასალეკად ძლევის ქედიდან წამოჭროლილი ქარიც ეყოფა. მერე, განა, ცოტა დარჩა ჩურჩუტი ხალხი! მე ჩემი დრო მოვჭამე, ჩემო მაჭარავ, ავად თუ კარგად ეს წუთისოფელი დავლიე, მაგრამ,—მამ(ისა არ იყოს, —მე-კი მიყივლია და დანარჩენი ეხლა თქვენ იცით.—ჩაილაპარაკა ილო თანდილაშვილმა და ჩაფიქრდა.—ქაიხოსროს რას ემდური, შე კაი კაცო! შენსას არაფერს გედავება და თავისას არ განებებს. მაშ, როგორ გინდა?—წამოიძახა უცებ ილოამ და თვალები ხარბი ცეცხლით აენთო.—დღეს ქაიხოსროს ქონებას ეპოტინებიან, ხვალ ჩემ ბალსა და შენს ვენახს დააცხრებიან. მე მამული გავაკეთო და ცინგლიანმა ბაკონამ და ზალიკომ მზა-მზარეულად გამართულ მამულს მოუკალათონ! აფსუს! ქრისტე ღმერთი რომ ჭკუას არიგებდა, ნეტავი მაშინ სადა ბრძანდებოდნენ!—სცადა ოხუნჯობა ილო თანდილაშვილმა, მაგრამ გულს აბღანდულმა ბოლმამ ამ ბლანგვ ოხუნჯობას ლაზათი დაუკარგა.

მაჭარა პირდაღებული შესცქეროდა ილოას და გაყინულ ტვინში ტყვიასავით მძიმედ ჩაწოლილი აზრი მთელ მის სახეს რაღაც უილაჯობისა და უმწეობის იერს აძლევდა.

— ეგრე, ჩემო მაჭარავ! დარბაისელი კაცი ხარ, ლაწირაკების ბანაკრობა შენ არაფრად გამოგადგება; ქაიხოსრო კარგ სიტყვას გეუბნება! სანამ დრო გაქვს, ფული გამოართვი, კოხტა მოზვრები იყიდე, ყევარი გეყოლება. ხუმრობა საქმე ხომ არ არის!

— ეს სახნავი-კი ალარსადა მრჩება და საქონელი რაღა ჯანდაბად მინდა? —ამოიოხრა მაჭარამ და თავი ჩაჰქინდრა.

ილო თანდილაშვილი და მაჭარა კარგახანს მუსაიფობდნენ და ერთმანეთს თავიანთ დარდსა და მწუხარებას უზიარებდნენ. თავდაჭერილ ილოას სიტყვაძუნწობას ყბედი მაჭარა ბევრს ვერაფერს დასცინცლავდა, მაგრამ მაინც არა სცილდებოდა.

ილოასა და მაჭარას ერთი-ორი გლეხი კიდევ მოემატა და მალე თანდილაშვილის სახლის წინ ჩვეულებრივი ყაყანი და ჯიჯღინი დაიწყო—შენ ეი, ილოავ! მოისმა უცებ ვიღაცის აღელვებული ძახილი.

გზის პირას გადაოთრებული ბაკონა იდგა, იფნის სახრეს დაჰყრდნობოდა და თავისი დიდი თვალები თანდილაშვილისათვის მიეშტერებინა.

— ილო თანდილაშვილს ბაკონას უკმეხი კილო და მოურიდებელი ძახილი არ მოეწონა, აიმრიხა, კოპები შეიკრა და გზისკენ შუბლ-ქვეშ ბოროტად გამოიხედა.

— რა ქეციანი ძაღლივით შორიდან იყეფები, შე ციხგლიანო, შენა? არ გეკადრება, ცოტა ახლო მობრძანდე!—გასჭექა ილო თანდილაშვილმა და სახეზე სიფითრემ გადაურბინა.

სოფლელებმა მაშინავე ჯიჯღინი შესწყვიტეს და სული განაბეს,

— ძაღლიც ხარ და ძაღლის შვილიცა!—შემოუტია გზის პირიდან ბაკონამ და წინ წამოიწია.—წყალი რად დამიწყვიტე?—ძოუჭრა უცებ სიტყვა ბაკონამ.

— ჩემი ნება იყო და დაგიწყვიტე!—უპასუხა ილო თანდილაშვილმა.

— შენი ნება რომელია? ერთი ციდა სიმინდი მითესია, გინდა ისიც გადამიხმეს? ნახე მაინც, როგორი გადაყვითლებული ღეროები დგას! ნამუსი ალარა გაქვს?

-- ე მანდ ხმა ჩაიწყვიტე, თორემ დედას გიტირებ მე შენა!—გადმოსძახა სახლის აივნიდან ილოას ბიჭმა გიორგამ და კიბეზე გადმოეშვა.

— პატიოსანი დედა გყავს, დედას არ გაგილანძღავ და შენ-კი, თუ ვაჟკაცი ხარ, აქ მობრძანდი და გიჩვენებ, კუნტრუში როგორც უნდა!—შეუტია ქვევიდან ბაკონამ.

— გიორგავ! აქ მოდი, ეხლავე დაბრუნდი, შე სასიკვდილევ, შენა!—დაუყვირა სახლიდან დედამ, მაგრამ გიორგა უკვე ეზოში იყო და მუშტებ შეკუმშული ბაკონასკენ მიიწევდა.

ილო თანდილაშვილი გიორგას წინ გადაეღობა, შეუბღვირა და მუჯლუგუნით კედლისაკენ მიაგდო.

— დაეგდე მანდა! მ_მაგიცხონდა, შენ თუ არ გამომექმაგ, ისე ველარაფერს გავხდები!

გიორგა კედელთან აიტუზა და ბაკონას შორიდან ბღვერა დაუწყო.

— რა გინდა, შვილო, რა ძველი ჯღანივით გადმოგიდია—მიუბრუნდა ილო თანდილაშვილი ბაკონას.—თუ მერაბი ვარ, მერაბობა უნდა მერქვას, თუ არა და სოფლის საქმე არ არის,—არზა მიართვი და იქნება მთავრობის კაცათ შენ აგირჩიონ?—დამცინავი კილოთი დაუმატა ილო თანდილაშვილმა და ხითხითი დაიწყო.

— მთავრობის კაცად ვინ იქნება არჩეული, მაგასაც ალბად, მალე ვნახავთ! ენამ არ გიყივლოს!—თავმომწონეთ უპასუხა ბაკონამ და ხელში სახრე აათამაშა.—შენ ეგ მითხარი წყალს მანებებ თუ არა?

— ჯერი მოვა და წაიყვან!

— რა გახდა ეგ თქვენი ჯერი, რომ ჩემამდის ველარ მოაღწია. ქაიხოსროს ვენახში საკუთარი წყალი ამოუდის და რუს წყალიც იმას მისთავაზე?

— დაჩუმდი, შე ლაწირაკო, შენა! წაგიგძელებია ენა, მართლა, და არ გესმის, რასა როშავ!—გაცეცხლდა უცებ ილო თანდილაშვილი და სახე ჭარხალსავით წამოუწითლდა.—ვენახის ბოლოში რომ მიწა აქვს, იქ რომელი წყარო უდგება?

— მერე რომ არ უდგება! ივან მესამედ მორწყოს და მე მეორედაც არ მომარწყვეინოთ! სადაური სამართალია? შენ ეგა სთქვი, საღალედ ი მიწა შენს გიორგას უჭირავს და უფრთხილდები!

— მერე რომ მე მიჭირავს? რა გნებავს მერე?—აიღრინა ისევ გიორგა და ბაკონასკენ გადახტა.

— ნეტავი შენ რაღა გული გააწყალე, სამგლე გოქივით რომ ატეხილხარ!—წამოიძახა უცებ ბაკონამ, სახრე ლობისკენ მიაგდო და გიორგას საყელოში სწვდა.—რა გინდა, მითხარი, რა გინდა?—შეუბღვირა ბაკონამ და თვალი თვალში გაუყარა, თითქოს ჯერ კიდევ ფიქრობს, გაუყადრო თავი თუ არაო.

სოფლელები გასაშველებლად მისცვივდნენ. მაგრამ სანამ წნელსავით გადაწნულ ჯეელებს ერთმანეთს გააცილებდნენ, გიორგამ იხელთა და ბაკონას სილა გააწნა.

გამწარებული ბაკონა მუგუზალსავით აენთო, თვალები გაუგანივრდა, ტუჩები აუკანკალდა. შუაში ჩავარდნილს მაჭარას მუჯლუგუნი გაჰკრა, განზე გაადო, გიორგას ეძგერა, უგვერდა და თვალის დახამხამებაზე მიწაზე დაანარცხა. გიორგას ცხვირიდან თქრიალით სისხლი წასკდა.

გიორგა წამოიჭრა, ხალათის კალთით სისხლი მოიწმინდა და წალდულას ეცა.

— ბაკონ!—მოისმა სწორედ ამ დროს ქალის მრისხანე ხმა.

გზის პირას მაკრინე იდგა.

ბაკონამ დედას შეშფოთებით შეხედა, გიორგას ერთხელ კიდევ გადაუბღვირა და ლობეზე გადახტა.

— დააგდე ეგ საოხრო!—შეუტია თავის მხრით ილო თანდილაშვილმა გიორგას და წალდულა ხელიდან გამოგლიჯა.

— ილოავ!—მიუბრუნდა მაკრინე თანდილაშვილს და თვალები რაღაც უცნაური სიმტკიცითა და სიჯიუტით აენოო.—წყალი დაგიწყვეტია! გიორგას უთხარი, ეხლავ წავიდეს და ისევ გადმოუგდოს! გესმის?—დაუმატა მიხანედ მაკრინემ და თვალები ილოას მიაშტერა.

— გადაუგდე! - წაუბურტყუნა ილო თანდილაშვილმა გიორგას, უღელსა სწევდა და ბუზღუნით სახლისკენ გაემართა...

***

შორიდან ფრთხილი სტვენა მოისმა. ზალიკომ მაშინათვე ყურები აცქვიტა და ჯაგებიდან გამოძვრა.

— ბაკონაა! — მიუბრუნდა ზალიკო დიმიტრაანთ ვანოას.—აბა, ერთი ფრთხილად სერისკენ გადაიარე და წინ დაუხვდი! შენ-კი ქვევიდან შემოუარე, იქნება იქითა ბილიკიდან ამოვიდეს!—მიუბრუნდა ახლა წივილაანთ ტატიას.

არჯევნიანთ სანდრო ცხრილას ქვეშ ჩაცუცქულიყო და ჩაფიქრებული ახლად შემოერთებულ ამხანაგებს უცქეროდა. სანდრუა ყველაზე უფრო ფრთხილი კაცი იყო და გულის საიდუმლოს ისე ადვილად არავის გაუზიარებდა. მაგრამ ბაკონა ველარ ისვენებდა, ყრუდ და კანტიკუნტად მოსული ამბებით ველარა კმაყოფილდებოდა და იმდენი ჰქნა, რომ ერთხელ ზალიკოს ურემს გაჰყვა და ქალაქში სასურველი ნაცნობობა გაიჩინა. დაბრუნდა თუ არა, მაშინათვე ამხანაგებს გამოუცხადა, ჩვენი წრე უნდა გავაფართოვოთ და ახალი ამხანაგები შემოვიერთოთ. აიჩემა და თავისიც გაიტანა.

და აი, ახლა არჯევნიანთ სანდრო ათიოდე ახალგაზრდა ყმაწვილს დაღვრემილი გასცქეროდა და ქვასავით დადუმებული იყო.

სანდრუას განსაკუთრებით ქვრივი თეკლეს პიჭი ჩოფურა მიხაკა არ მოსწონდა. მიხაკა ერთთავად იკრიჭებოდა და როგორლაც უმიზეზო ხითხითებდა თავისი ქარაფშუტობით რამდენიმე სხვა ყმაწვილიც აიყოლია და მალე ბუჩქებში ჩურჩულ-კურკური და უწმაწური ლაპარაკიც გაიბა.

— რას ხითხითებთ?—ველარ მოითმინა არჯევნიანთ სანდრომ და ჩოფურა მიხაკას შეუბღვირა.— სათამაშოთა და სეირისთვის ჩამ არ მოსულხართ აქა, რომ იკრიჭებით?

ყმაწვილები ერთხანად გაჩუმდნენ, მაგრამ მალე ისევ ჩუმი კისკისი დაიწყეს. არჯევნიანთ სანდრომ წარბები შეიკრა და ის იყო, ხელმეორედ უნდა შეეტია, რომ ახლო ბუჩქებში ლაწა-ლუწი გაისმა და ჯაგებიდან ბაკონა, დიმიტრაანთ ვანუა და წივილაანთ ტატე გამოძვრნენ.

— აბა, ბიჭებო!—დაიწყო მაშინათვე ბაკონამ და ხის ქვეშ ქვაზე ჩამოჯდა.—ცოტა დრო გვაქვს!

ახალგაზრდები ბაკონას გარშემო შემოუსხდნენ და სული განაბეს.

— ყველანი ხართ?—ჩაეკითხა ბაკონა და ყმაწვილებს თავის აღგზნებული თვალები ცელივით შემოურბინა.—ონოფრიანთ დათია სადღაა?—მიუბრუნდა ბაკონა ჩოფურა მიხაკას.

— არ წამოვიდა! —უპასუხა მიხაკამ.

— რად არ წამოვიდოდა, შვილონიასა! იმ დღეს ილოას გიორგასთან ქეიფობდა და გუშინ კი ქაიხოსროს მთელი დღე თავისი ურმითა და ხარ კამეჩით

შველოდა. კარგი უქნია, რომ არ წამოსულა! მაგისთანები ჩვენ არც გვინდა. აბა, ბიჭებო, როგორც ეტყობა, სახუმარო საქმე არ იწყება. ბოლშევიკებმა მთელ რუსეთში გაიმარჯვეს და აქაც შავგულიძეებისა და თანდილაშვილების თარეშს მალე ბოლო მოეღება. იცოდეთ, გათავებული საქმეა! ეხლა როგორმე უბან უბან პატარა წრეები უნდა შევკრად. ხან ტყეში ვართ, ეხლა ბალე სიმინდის მოჭრას დავიწყებთ. მუშაობის დროს, გზაში, ჭირსა თუ ლხინში აქა-იქ სიტყვა უნდა გადავისროლოთ და ხალხი მოვამზადოთ. ნოყიერ ნიადაგზე დაცემული თესლი, ხომ იცით. უნაყოფოდ არ დაიკარგება.

ასე არიგებდა ბაკონა ახალგაზრდა სოფლელებს, რომლებზედაც ახალი სიტყვები, თვით უჩვეული საიდუმლეობა ძლევის ქედის ბუჩქნარებში, გამართული კრებისა როგორღაც ამაღელვებლად მოქმედებდა და ფანტაზიას ულვივებდა.

— ახლა, ბაკონ, ერთი რამ უნდა გკითხო!—მიუბრუნდა ბაკონას პირწითელი ყმაწვილი, რომელიც ხესთან ატზულიყო და ბაკონას თვალს არ აშორებდა—ე ქაიხოსროს რომ მიწებს წაართმევთ, ეგ მომწონს, მაგრამ იმისი მიწა რომ ეხლა ჩვენ გვიჭირავს, ის ვის დარჩება?

ბაკონამ წითურა ბიჭს ეჭვიანად გადახედა, ცოტა ხანს შეფიქრიანდა და მერე მტკიცედ უპასუხა:

— მიწა ხომ მაშინ სახელმწიფოსი იქნება?

— ეგ რა გამოვიდა, მერე?—უკმაყოფილოდ წამოიძახა წითურამ და ტუჩი აიბზიკა.

— მაშ როგორ გეგონა?

— როგორა და—მე უნდა დამრჩეს!

— არა, ჩემო ძმაო, ბოლშევიკები ეგრე არა ფიქრობენ. დღეს ერთ მიწას წაეპოტინები, მერე მეორე მოგინდება; აქ ერთს მოატყუებ, იქ სხვას ტყავს გააძრობ და—პუპლუს!—მეორე ქაიხოსრო თავზე-კი წამოგვაჯდები. მიწა საერთო უნდა იყოს. იმუშავე და იცხოვრე!

— არა, ძმაო, ეგ როგორღაც ჭკუაში არ მეპიტნავება. ჩემსას ჩემი უნდა ერქვას, შენსას—შენი. ორი ძმა ერთად ვერ მოთავსებულა და მე ამ მილეთის ხალხს ხელი როგორ უნდა შეუწყო?—წაიბურტყუნა წითურა ბიჭმა და ისევ ხეს მიეყუდა.

— შენ, ჩემო ძმაო, ონოფრიანთ დათიასავით, ქაიხოსროს ნაპურმარილევი ხარ და ეგრე იმიტომ ლაპარაკობ!—წამოუბუზღუნა ზევიდან ზალიკომ—ძალიან ჩაგბღაუჭე შენ ერთ ციდა მიწას, ყელამდის ხორბლით აგავსებს, მამაგიცხონდა, აი!

— რაღას ილანძღები, რომ ილანძღები! ქაიხოსროს ნაპურმარილევი რად ვიქნები?—შეუტია წითურამ.

— ჰო-და, რა ტყვილს გეუბნება?—წამოექომაგა ზალიკოს ერთი ჯველი—იმ დღეს შენ არ იყავი, ორი კოკა წყალი რომ მიურბეინე?

— მერე რა არი, რომ მიურბეინე?—გაიოცა წითურმა.

— ის არის, ჩემო ძმაო, რომ ან ჩვენთან უნდა იყო, ან იმასთან! ქაიხოსროს მოჯამაგირედ ტილურაც ეყოფა!—ჩაურთო სიტყვა ბაკონამ.

ტყეში რაღაც საეჭვო შრიალი და ბუჩქების ლაწა-ლუწი გაისმა.

— აბა, ბიჭებო. აქ დიდხანს დარჩენა აღარ შეიძლება! დაიფანტენით და თითო-თითო დაეშვით! ეცადეთ, ამხანაგები მოაგროვოთ. ხალხში ხმა დააგდეთ, მილიციას ერიდეთ! — მიუბრუნდა ბაკონა ახალგაზრდებს, რომლებიც ჩაშინათვე წამოიშალნენ და ბუჩქებში მიიმალნენ.

— მოიცა, ზალიკო. — მიუბრუნდა ბაკონა მეგობარს. — ძლევის ქედმა დიდი ამაგი დაგვდო, მაგრამ მეორედ აქ ველარ შევიკრიბებით. ილო თანდილაშვილსა და მაჭარას გაუგიათ და ხომ იცი, — თუნდ ილოასა სცოდნია და თუნდა მილიციასა! — ი წითურა ბიჭს კრებაზე ჯერ-ჯერობით ნულარ მოვიყვანთ. არც ისე შეტევა უნდა! — მეგობრულად უსაყვედურა ბაკონამ. — ჯეელია, მიიხედ-მოიხედავს და ყველაფერს გაიგებს. ლატაკია, ლატაკის შვილი და მაგას ქაიხოსროსთან რა ესაქმება? მაგრამ ჩვენს კრებებზე ჯერ ჯერობით მაინც ნუ მოვიყვანთ. წივილაანთ ტატე მიუჩინოთ და ერთბაშათ ჭკუაზე მოაპროწიალებს! — დაუმატა ბაკონამ და ზალიკოს ალერსიანად მხარზე ხელი დაჰკრა — ეხლა, ჩემო ზალიკო, ერთი ახალი ამბავი უნდა გითხრა, — ჩასჩურჩულა ბაკონამ ამხანაგს. — იმ თვეში, ხომ იცი, ჩვენსკენ ხატობაა. ამ ხატობაზე ქალაქიდან მეჭედლის სიძე ვასუა ამოვა და ახალ ამბებს მოიტანს. საგანგებოდ ჩვენთან არის გამოგზავნილი, დავალებული აქვს გაიგოს, აქ საქმეები როგორ მიდის. ახლა ცოტა მოვისაზროდ, როგორ დავუხვდეთ. ხომ იცი, უცხო კაცს აქ მილიცია საეჭვოდ შეხედავს. ჯერ ერთი, ხუთიოდ-ექვსიოდე კაცის მეტმა არავინ უნდა იცოდეს. მე ვიქნები, შენა, დიმიტრაანთ ვანო, ქარციკაანთ გაბო, წივილაანთ ტატე და არჯევნიანთ სანდრო. კანკორა მოვარიდოთ ერთად არა ვართ! ყველაფერს ვეტყვი. მერე, ტყეში და განაპირა ადგილას. სადმე მოგროვება უხერხული იქნება. ისევ სჯობიან, სადმე ხალხში მოვგროვდეთ. რაკი დღეობაა, თვალში ისე აღარავის ეჩხირება. კაი ფსონის პურიცა ვჭამოთ და საქმეც გავაკეთოთ. რა გაშტერებული მიცქერი, ზალიკო? — შეეკითხა უცებ ბაკონა მეგობარს და ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა.

— მაშ, დაიწყო, ბაკონ?

— დაიწყო ჩემო ზალიკო! — როგორღაც გულის სიღრმიდან უპასუხა ბაკონამ და თვალები ბნელ სივრცეს მიაშტერა.

10

ᲓᲦᲔᲝᲑᲐ

— ვამა გიცხონდა, დიახ! სულ მაგ ჭკუით არ დავდივარ! რომელი გუშინდელი ღლაპი მე მნახე, რომ ყინულზე გამაცურო და ჭკუით მაჯობო? — თავისებურად დასჭექა ილო თანდილაშვილმა და პატარა თვალები გააცეცა ისე, როგორც აცეცებდა ყოველთვის, როდესაც მის კლანჭებში ჩავარდნილ მსხვერპლს უმწეობასა და უილაჯობას შეამჩნევდა.

ღობის ძირას საფლავის ქვაზე ჩამომჯდარმა გლეხებმა ერთმანეთს გადახედეს.

ეკლესიის გალავანში ჟრიამული და ღრიანცელი იდგა. ხალხის ბიბუჭობა გალავნის გასწვრივ ჩარიგებულ მაგიდებს ურბენდა და ნერწყ მორეული შესაქნაოდა ფოჩიან კამფეტებს, რომლებსაც ვიღაც მოქნილი მეწვრილმანე პოლიციელი ... ცხებზე ჭყიდდა. იქავე ახლო დაბალ დაბალი, ჩოფურა კინტო არღანს აჭყვიტინებდა. გვერდით, ფეხმოტეხილ მაგიდაზე რაღაც ზიზილ-პიპილიანი, ბრჭყვიალა ნივთები დაეწყო: მოვარაყებული საშაქრე, ყვითლად შეღებილი შანდლები, ხის სავარცხლები და სპარსეთის შაჰინ-შაჰის პორტრეტით დამშვენებული საბურნუთე კოლოფები. ყბა-მოღრეცილი, თვალწირპლიანი და თმააბურძგვნილი რუსის დედაკაცი,—ალბათ, კინტოს საყვარელი,—ლატარიის ბილეთებსა ყიდდა და წითელ სავარცხლებს სოფლის გოგოებს აწონებდა. „აბა, ლიმონათი, ლიმონათი! აბა, კოხტა მამლაყინწა, ყიყლიყოო!",—გაჰკიოდა კუთხეში მეორე კინტო და ჩხირზე წამოცმულ მამალა-კამფეტს ხელში აპროწიალებდა.

მელიმონადესთან ჯეელი ბიჭი მივიცა და ორი ახალგაზრდა გოგო მიიყვანა. ბიჭი უკვე შეზარხოშებული იყო და ლოთი-ფოთობდა.

— ხუთი ბოთლი ლიმონათი გახსენი!—დარდიმანდულად მიუბრუნდა ახალგაზრდა ბიჭი მელიმონადეს და დოინჯი შემოიყარა.

— მაგდენი რად გინდა, ქა? ვინ უნდა დალიოს?—დაუშალა ერთმა, მაგრამ დარდიმანდ კავალერს ძაინც თავისი ელამი თვალით მადლიერად გადახედა.

— ხოშია!—კრეჭით უპასუხა ბიჭმა და ლიმონადის ბოთლი ჭუჭყიან, გაქონიანებულ ჩაის ჭიქაში მოაყუდა.

ეკლესიის პატარა ეზო თანდათან ხალხით ივსებოდა. აქა-იქ გახუნებული ხალიჩებით ჩარდახ-გადაფარებული ურმების ქვეშ შავ თავშალებში შეხვეული დედაკაცები ჩამსხდარიყენენ და სადილსა ხარშავდნენ. ერთს კუთხეში ჯეელებს ლეკური გაემართათ, მეორე კუთხეში ვიღაც ქალაქელ მედუქნეებს ლურჯი სუფრა გაეშალათ და ქეიფობდნენ.

ბებრუცუნა, კბილებ ჩაცვივნული მღვდელი საცეცხლურით საფლავებს შორის დაფარფატე და. უკან გაბჟურებული სახეალეწილი დიაკვანი დასდევდა, რაღაცას ბურტყუნებდა და ტაბლებს აგროვებდა: ვაზის ფოთლებში გახვეული შილაფლავი, ქათმის ბარკალი, მწვადის ქონიანი ნაჭრები და პურის ნატეხები ჭუჭყიან ხურჯინში დომხალივით ალეზი იყო.

მხარზე თოფაკადაკიდებულ მილიციონერს თავზე დიდი კარტუზიანი ქუდი ჩამოეფხატა. გახუნებული შარვალი ჭრელ წინდებში ჩაეკეცა და თავმომწონედ მაგიდებს უვლიდა, თან ალმაცერად ფოჩიან კამფეტებს გადასცქეროდა.

— მოდი, ერთი შტაქანი ლიმონათი დაგვილიე!—მიიპატიჟა ჯეელმა ბიჭმა, როცა მილიციონერმა გვერდით ჩაუარა, მელიმონათეს მაგიდასთან გაჩერდა და გახსნილ ბოთლებს თვალით გადაურბინა.

მილიციონერმა გოგოებს თვალი ჩაუკრა, ჭიქა ხარბად მოიყუდა და ზლაზვნით ახლა მეორე მაგიდისკენ გაემართა.

დღეობა ბაზრობას უფრო ჰგავდა, ვიდრე საეკლესიო ხატობას. პატარა, ცარიელ ეკლესიაში გული ღვთის მსახურსაც აღარ უდგებოდა. ჰაერი მწვადებისა და ღვინის სუნით იყო გაჟღენთილი და შეზარხოშებული მღვდელ-დიაკვანი უკვე მადიან სუფრებს უთვალთვალებდენ, მაგრამ მოქეიფენი როგორღაც დაპატიჟე-

ბას არ ეპარებდენ. „მოდი, მღვდელო, ერთი ჭიქა ღვინო დაგვლიეთ“, გადმოსძახებდნენ ზოგიერთი სუფრიდან უფრო შეჭაღარავებული გლეხები, ჭიქასა და საჭმლის პატარა ნაჭერს მიაწოდებდნენ და აკვიატებულ ბებრუკუნას ამით იშორებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქა იქ საპატარძლო გოგოების გასინჯვა ხდებოდა. საქორწილო ბიჭები და გასათხოვარი ქალები უფროსებს მოპრანჭულები გამოეყვანათ და მითქმა-მოთქმაში იყვნენ.

— მაშ, მატყუებ, რაღა?— ხელმეორედ ჩაეკითხა ილო თანდილაშვილი ერთს შუახნ-ს, დაბალ-დაბალ გლეხს, ჩიბუხი ხელის გულზე დაიბერტყა და ხითხითი დაიწყო.—ვერ მომატყუებ, ძიაჯან! იმ დღეს შენი ხარები გუთანში არ მება? ლურჯას კიდევ არა უშავს რა, მაგრამ წაბლა ძლივსღა დალასლასებს. ჩემს ხარებს მეუღლეობას ვერ გაუწევს. შენ ხომ იცი, იმას შესანახად არ დავიტოვებ! უღელ ხარში, თუ გინდა, ჩემს დეკეულს მოგცემ და სართზედაც მოვრიგდეთ.

— ჰო, რა გინდა, კაი სიტყვას გეუბნება!—მხარი დაუჭირა ილოას ღრჯოლება მაჭარამ და დაამთქნარა.

გლეხმა ამოიოხრა.

— ცოდო ვარ, ილოავ! ხომ იცი, შენს იქეთ გზა არა მაქვს და ფეხს ნუ მაჭერ!

— რათა, შვილო? თუ გული გეთანაღრება, შენ შენთვის, მე—ჩემთვის, ჩემი გიორგა არც-კი შვრება, დეკეული არ ემეტება, თავისი ბუზღუნით დღეს ნაღველი გამისია!

— მაინც შენი უკანასკნელი სიტყვა როგორია?—შეეკითხა გლეხი და ჯოხს დაეყრდნო.

— დეკეული და სართი!—მოკლედ მოუჭრა ილოამ და თავისი პატარა თვალები გალავანს მიაცეცა.

ეკლესიის ეზოში ქაიხოსრო შავგულიძე შემოვიდა თავისი სტუმრებით.

*
* *

— ე ბიჭი ვილაა, როგორღაც მეცნობა!—იკითხა უცებ ილო თანდილაშვილმა და თვალი გააყოლა ახალგაზრდა ყმაწვილს, რომელსაც მკლავზე საზაფხულო პალტო გადაეკიდა, ქუდით გაოფლიანებულ სახეს იგრილებდა და ეკლესიის ხალხით გატენილ ეზოში თავჩაღუნული მიდიოდა, თითქოს ვერავისა ხედავს და ვერავის ამჩნევსო.

— მჭედლის სიძეა, ვასოას ეძახიან, სტამბაში მუშაობს, ალბათ, სიმამრთან სტუმრად თუ ამოვიდა!—უპასუხა მაჭარამ და ახალგაზრდა ყმაწვილს იმანაც თვალი გააყოლა.

— ჰოოო, ვიცი, ვინც არის!—ულვაშებში ჩაილაპარაკა ილო თანდალაშვილმა და ქალაქელი სტუმარი ეჭვიანი თვალით თავით ფეხებამდე გაზომა.—როგორღაც ახალ მთვარესავით უყვარს გამოცხადება, ალბათ; საიდანღაც ქარმა თუ დაჰბერა! ე არჯევნიანთ ბიჭიც რომ აჰკვიატებია!— დაუმატა ილო თანდილაშვილმა, სახე მოეღრუბლა და როგორღაც გუნება-გაფუჭებული, აღრენილი კილოთი გლეხებს მიუბრუნდა:—ბოლშევიკია!

გლეხები უცბად გაჩუმდნენ და მიმავალ ახალგაზრდას ცნობის მოყვარეობით თვალი გააყოლეს...

შორი-ახლო-კი მოშლილი არღანი ისევ უგემურად აჭყეტინებდა. „აბა, ლიმონათი, ცივ-ცივი ლიმონათი!“—გასჭექდა უკვე ჩახრინწულ-ბანალურ კანტო და მამალა-კამფეტს თავისი სქელი, ხორციანი ტუჩებითა სწუწნიდა.

ეკლესიის ეზოში რაღაც უთავბოლო გუგუნი და ღრიანცელი იდგა. ფერუმარულ წაცხებული, წამოჭარხლებული და გაოფლიანებული გოგოები ხალხის არეულსა და უცნაურად ალეზილ ბრბოში დასრიალებდნენ და შეზარხოშებულ ჯეელებს უფრო თამამადა და გამომწვევი სახით უკეკლუცდებოდენ. ღობის გასწვრივ, ჩარდახიანი ურმების გვერდით და საფლავის ქვებზე გაშლილ სუფრებთან ღვინით გალეშილი ხალხის უთავბოლო ჭიჭყინი და უწმაწური ლაპარაკი ისმოდა, დედაკაცები მთვრალ ხალხს გასცლოდენ, აქა-იქ კუნჭულებში ჩაცუცქულიყვნენ და ჩურჩულებდნენ.

დეკანოზი უკვე შექეიფიანებული დაბარბაცებდა და თავისი გრძელი, გაჭუჭყიანებული და გაქონიანებული ანაფორის კალთებს დააფრატუნებდა. გამაძღარი დიაკვანი დეკანოზს აჩრდილივით უკან დასდევდა და ჭყეტელა თვალებს სულელურად აქეთ-იქით აცეცებდა. ეკლესიის პატარა ეზოში შეჯგუფულ ხალხს თითქოს ღვინისა და მყრალი, ხრაკიანის არყის ოხშივარი ასდიოდა.

— ე ბრუციანს დახე, როგორ ყვინჩილასავით წაუარძელებია კისერი!— წამოიძახა უცებ მაჭარამ, თავისი ყვითელი ღრჯოლები გადმოჭყარა და ცხენივით წაიხვიხვინა.

— მაგრა ჩამჯდარა!—დაუმატა მეორე გლეხმა და შუა ეზოში დოინჯშემოყრილ ბრუციანს გადახედა.

— ბრუციანო, ჰო, ბრუციანო!—გასჭექა ილო თანდილაშვილმა,—რასა ზომავ მაგ ეზოში? სახლ-კარის ადგილს ხომ არ ათვალიერებ?

მაჭარას ილო თანდილაშვილის ოხუნჯობა ძალიან მოეწონა და უფრო ღონივრად წაიხვიხინა.

ბრუციანმა თავისი ცალი თვალით ილო თანდიშვილისკენ გამოიხედა, ერთს ადგილზე შეტორტმანდა, მერე წელში გასწორდა და ბარბაცით იმისკენ წავიდა.

— რა გინდა ჩემგანა?—შეეკითხა ჩახლეჩილი ხმით ბრუციანი ყელ მოღერებულ ილო თანდილაშვილს და ამღვრეული თვალები მიაცეცა.—მაინც, რა გინდა ჩემგანა? ქონში ვეღარ ეტევი, შენი სალავათი-კი გასწყდა, შენი!—შეჰყვირა უცებ ბრუციანმა და სიბრაზით მუშტები შეიკუმშა.

— თუ გინდა ცოტას ჩამოგითლი!—წყნარად უპასუხა ილო თანდილაშვილმა და ტუჩებში ჩაიცინა.—მოდი, ბრუციანო, აქეთ მოდი, ჩემს გვერდით ჩამოჯექი! ძალიან ნუ იბრაზებ, თორემ მალე დაბერდები და მაგდანა აღარ მოგიწვება.

ბრუციანმა თავმომწონედ და ამაყად ყელმოღერებულ ილო თანდილაშვილს ბოროტად ანთებული თვალები მიაშტერა და სიმწარით სახე მოეღრიცა.

ილო თანდილაშვილი-კი თავის პატარა მწვანე თვალებს ბრუციანს არ აშორებდა. უცბად გადიხარხარა:

— რა გაშტერებული მიცქერი, ბრუციანო? ვერა მცნობ? შენ ვგ მითხარი, შენი ნაფუზრის საქმე როგორ არის? ხო, ხი, ხიიი!—წაიხითხითა ილო თანდილაშვილმა და თვალები გააცეცა.

— რა ეშმაკად გადაეკიდე ამ ჩემ ნაფუზარსა? რა გინდა ჩემგანა?—ჩახლეჩილი ხმით ძლივს წაილუღლუღა ბრუციანმა, ელდა ნაკრავსავით ილო თანდილაშვილს გასცილდა და ეკლესიისკენ წაბარბაცდა.—აი, ეშმაკმა-კი წაიღოს მაგისი თავი, რას გადამეკიდა ოჯახქორი! ბურტყუნებდა ბრუციანი, რომელსაც ილო თანდილაშვილის ხითხითი უკანიდან რაღაც შემზარავ გველის სისინად მოესმოდა,

***

არჯევნიანთ სანდრომა და უცნობმა ახალგაზრდა კაცმა ეკლესიის ეზო გაიარეს და მინდორზე გავიდნენ.

გზის პირას, ცაცხვის ქვეშ, ქაიხოსრო შავგულიძე იჯდა თავისი ქალაქელი სტუმრებით. სტატისტიკოსი განაპირებულიყო, მწვანე ბალახზე გაშხლართულიყო და ოცნებობდა. პუპსიკი ცაცხვის ხეს მოჰფარებოდა და ჩამოჩაჩულ წინდებს ისწორებდა.

ლეიტენანტი და ელენე ღობეს მოჰფარებოდნენ. გივი გზაზე იჯდა, თავი ჩაეღუნა და ხელში კენჭებს ათამაშებდა. ელენე ჩაფიქრებული დასცქეროდა. კარგა ხანს გაჩუმებული იდგნენ, თითქოს შეწყვეტილი ბაასის განახლებას ვერც ერთი იმათგანი ველარ ჰბედავსო. გივის შეჭმუხვნილი შუბლი და ელენეს ალეწილი სახე ნათლად მოწმობდენ, რომ მოსაუბრენი იმ წერტილამდე მისულიყვნენ, როცა დუმილი უფრო მეტყველი ხდება და სიჩუმე—მომაჯადოებელი.

ლეიტენანტი ისე ჩაფიქრებული იყო, რომ ვერც-კი შეამჩნია, არჯევნიანთ სანდრომა და უცნობმა ახალგაზრდა კაცმა გვერდით როგორ გაუარეს. ჩუმი ლაპარაკის ხმაზე ელენემ მოიხედა და გაოცებით ახალგაზრდა კაცს შეხედა. უცნობი ღიმილით მიესალმა, თავი ჩაღუნა და ფეხს აუჩქარა. ელენეს სიტყვა ტუჩებზე გაეყინა.

—ვინ არის ეს ყმაწვილი?—შეეკითხა უცებ გივი და ელენეს ეჭვიანად გადახედა.

— ჩვენი მეზობლის შვილია,—უპასუხა ელენემ და გაწითლდა,

გივიმ გაწითლებულ ელენეს თვალებში შეხედა.

იყო რაღაც დამცინავი და ეჭვიანი გივის ამ ყინულივით ცივს გამოხედვაში. ორ-აზროვანმა დამცინავმა გამოხედვამ ელენეს გულში უსიამოვნოდ გასჩხვლიტა. გააბრაზა და სახე უფრო მეტად აულეწა.

— სასაცილოს რასა ხედავთ, ეგრე გესლიანად რომ იკრიჭებით?—შეეკითხა უცებ ბოროტად ელენე და გივის თვალი მოარიდა.

— იუპიტერი ჯავრობს, სჩანს, იუპიტერი დამნაშავეა!—უპასუხა გივიმ და თავისი ეშმაკურად მოჟუჟუნე თვალები ელენეს გაწითლებული პატარა ყურების ბიბილოებს მიაშტერა.

ელენე და გივი გაჩუმდნენ, მეტი აღარაფერი უთქვამთ. მკვახედ ნატყორცნი რეპლიკები ორივეს მტკივნეულად მოხვდა და ლაპარაკის ხალისი დაუკარგა, მტერ-მოყვარეებსავით ერთმანეთს დაბღვერილი უცქეროდნენ.

სამაგიეროდ ცაცხვის ძირას პუპსიკი ქადაგად დაეცა. ქვაზე ჩამომჯდარ ქაიხოსროს, რომელიც ჩაფიქრებული კრიალოსანს ათამაშებდა, რაღაცას გატაცებით ელაპარაკებოდა, თავის ფუნთუშა ხელებს პათეტიურად შეეფარებულიანად ხითხითებდა და ეს სიცილი მთელ მის ჩატუკნულ სხეულს ცომის გუნდასავით უფამფალებდა.

ქაიხოსრო შავგულიძე პუპსიკის გატაცებულ საუბარს როგორღაც უგულოდ უსმენდა. მისი ყურადღება მიპყრობილი იყო ეკლესიის ეზოსკენ, სადაც რაღაც უცნაური ჩოჩქოლი ატყდა. მელიმონათე თავის სავაჭროს საჩქაროდ ყუთებში აწყობდა. კინტოსაც მოვარაყებული შანდლები დანჯღრეული მაგიდიდან აელაგებინა. კალათი თავისი ყბა მოღრეცილი საყვარლისთვის ზურგზე აეკიდა არღანი მხარზე გადაეგდო და წასასვლელად ემზადებოდა. შეშინებული დეკანოზი მოუსვენრად ეკლესიის ეზოში დაფარფატებდა, ხან ერთ ჯგუფთან მიდიოდა, ხან მეორესთან და აღშფოთებული რაღაცას ბურტყუნებდა. ცხენოსანი მილიციონერი ხალხის შუაგულში შეჭრილიყო, თავის ფერდებ ჩაცვინულსა, ქვიქვირ ჩამოშვებულ, ბალან გაცვინულ ლურჯას ატრიალებდა და გლეხების ცნობის მოყვარე კითხვებზე თავმომწონე, საიდუმლოებით სავსე დუმილით უპასუხებდა.

ქაიხოსრო შავგულიძის წინ ზალიკომ გაირბინა, ქვევით დაუხვია და ორლობისკენ გაემართა.

— რა ამბავია, რა ჩოჩქოლი აუტყდათ?—შეეკითხა ქაიხოსრო ზალიკოს.

— აბა რა ვიცი! მე მაგათთვის სადა მცალიან, კამეჩი დამეკარგა და დილას აქეთია ქუდმოგლეჯილი იმას დავეძებ!—აირიდა კითხვა ზალიკომ, მარჯვნით გაუხვია, ლობეზე გადახტა და ვაზებში დაიმალა.

ეზოში ატეხილი ჩოჩქოლი ბოლოს ლეიტენანტმა და ელენამაც შეამჩნიეს და ცაცხვისკენ გაემართენ. ქაიხოსრო შავგულიძე წამოდგა და თავისი შუბლქვეშ ღრმად ჩამჯდარი თვალები ეკლესიის ეზოს მიაშტერა. მინდორზე მილიციის უფროსი გამოჩნდა. უკან რამდენიმე ცხენოსანი მილიციონერი მოსდევდა.

მილიციის უფროსი გზაზე რომ გავიდა, ქაიხოსრო შავგულიძე წინ გადაეღობა, მიესალმა და შეაჩერა.

— რა ამბავია? რა ჩოჩქოლი აუტყდათ?—შეეკითხა ქაიხოსრო და თვალები მოჭუტა.

რა იყო და, ვილაც საეჭვო კაცი შემოპარულა! აქ სადღაც თხუნელასავით დაძვრება და ვეღარ მივაგენი! სტამბის მუშა ყოფილა, ბოლშევიკი! აქეთ აუვლია. თქვენ ხომ არავინ დაგინახავთ მაგისთანა? რუხი პიჯაკი უნდა ეცვას!—დაუმატა მილიციის უფროსმა.

— როგორ არა, ეს არის ეხლა აქეთ აიარეს და მერე მარცხნით დაუხვიეს, რიყისკენ!—ჩაერია ლაპარაკში ელენე, რომელსაც ხმაში რაღაც უცნაურმა მღელვარებამ გაუბზრიალა.

— მართლა? აბა, ბიჭებო, თქვენ ქვევიდან შემოუარეთ, შენ, მიხავ, რიყიდან შეუკარი გზა, შენ წისქვილთან დადექი, ბილიკი გადის, შეიძლება იქიდან გაიპაროს, მე და შენ-კი, გაბო აქეთკენ წავიდეთ!—გასცა განკარგულება მილიციის უფროსმა, მადლობის ნიშნად ელენეს სამხედრო სალამი მისცა და ცხენი თქარა-თქურით ორლობისკენ გააქანა.

ლეიტენანტმა ელენეს ეჭვიანად გადახედა და ჩაფიქრდა.

— ვსთქვათ, მილიციონერები ბოლშევიკს ეძებენ. იმ ოჯახ-ქორეს რაღა ჩოჩქოლი აუტყდათ? ერთი შეხედეთ, მეარღანე როგორ მიძუნძულებს! ჩაილაპარაკა ულვაშებში ქაიხოსრომ და მხრები აიჩეჩა:

— ალბათ, ბოლშევიკები ციდან გავარდნილ მეხად თუ ეჩვენება, რომ დაიგრიალოს და ყველაფერს ლაწა-ლუწი აუდინოს! ჩაილაპარაკა პუპსიკმა, რომელსაც ცაცხვის მყუდრო ჩრდილ ქვეშ საკმაო სითამამე აღმოაჩნდა ოხუნჯობისთვის.

პუპსიკი კარგს გუნებაზე იყო და მოღრუბლული კამპანია კიდევ ახალი ოხუნჯობით ჰსურდა დაესაჩუქრებინა, მაგრამ სწორედ ამ დროს ვაზიანებში თოფმა იგრიალა და ამ გრიალმა პუპსიკს საოხუნჯო სიტყვა ყელში გაუჩხირა.

— ბიჭოს, აღარა ხუმრობენ, აი!—წამოიძახა პუპსიკმა და სახეზე სიფითრემ გადაურბინა.— ემანდ სროლა კი არ ატყდეს?—მოუსვენრად ატოკდა პუბსიკი და ხეს ამოეფარა.

— თქვენ რაღაზე გაფიდრდით?—მიუბრუნდა ლეიტენანტი ელენეს.—თუ კაცი მარჯვნით მიდის და თოფს-კი მარცხნით ისვრიან, თქვენ აღარავითარი საბუთი არ უნდა გქონდეთ შეშფოთებისათვის! –როგორღაც საიდუმლო ხმით ჩასჩურჩულა გივიმ აღელვებულ ელენეს და შუბლ ქვეშ ეშმაკურად გამოხედა.

ამ ორ-აზროვნად ნატყორცნ სიტყვაზე ელენემ აღარაფერი უპასუხა.

ვაზიანებში გასროლილმა თოფმა ეკლესიაში ჩოჩქოლი უფრო გააძლიერა. ჩარდახიან ურმებთან დედაკაცები აფუსფუსდნენ და გაჭუჭყიანებული ჭურჭლისა, ფარდაგებისა და მუთაქების ალაგება დაიწყეს. საბაზროდ მოსული ხალხი გალაგდა და ეზო თანდათან მოცარიელდა. დეკანოზი თავისი დიაკვნით მოქეიფე ხალხს ეხლა უფრო თამამად უვლიდა და ისინიც ხურჯინს თავიანთი ნასუფრალით უფრო ხალისიანად უვსებდნენ.

ქაიხოსრო შავგულიძე ერთბაშად მოცარიელებულ ეზოს ნაღვლიანად გასცქეროდა და გულს რაღაც უცნაური ბოღმა და ნაღველი ებლანდებოდა. ორღობეში ვიღაცის მხიარული ლაპარაკი მოისმა. ცოტა ხნის შემდეგ გზაზე რამდენიმე ახალგაზრდა სოფლელი გამოჩნდა. ახალგაზრდებმა ქაიხოსრო შავგულიძე და იმისი სტუმრები რომ დაინახეს, როგორღაც ერთბაშად გაჩუმდნენ. სოფლელთა შორის ელენემ არჯევნიანთ სანდრო იცნო. ელენე მოუსვენრად ატოკდა და გივისკენ გაიხედა. ლეიტენანტი ქაიხოსრო შავგულიძესთან იდგა და რაღაცას ეუბნებოდა. ელენემ დრო იხილთა და არჯევნიანთ სანდრო ცალკე გაიხმო.

— ხომ არაფერი მომხდარა?—ჩუმად ჩაეკითხა ელენე არჯევნიანთ სანდროს და თვალი გადააცლო დანარჩენებსაც, რომლებიც შორი-ახლოს გაჩერდნენ და ქალაქელ ქალს ეჭვიანად ბღვერა დაუწყეს.

— არაფერი!—მოკლედ მოუჭრა სიტყვა სანდრომ.—კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ მხიარულად და თავმომწონედ დაუმატა არჯევნიანთ ბიჭმა და თავის ამხანაგებს შეუერთდა.

— შენ-ეი, ბაკონ!—გადმოსძახა ცაცხვის ქვეშიდან ქაიხოსრო შავგულიძემ, როცა ახალგაზრდები დაუპირდაპირდნენ.

— რა გინდა? —მკვახედ უპასუხა ბაკონამ, გაჩერდა და თავისი შავი, ნაკვერჩხალივით მოელვარე თვალები ქაიხოსროს მიანათა.

— არ გეკადრება, ცოტა ახლო მოხვიდე?—გადმოსძახა ქაიხოსრომ და წინ წამოდგა.

ბიბლიოთეკა

— ყრუ ხომ არა ვარ, აქედანაც კარგად მესმის! რა გინდა?

— შენი ძმა სად არის?

— ტყეშია!

— ღალა რატომ არ გადმომიტანეთ?

— რა ღალა?—შეუბღვირა ბაკონამ.

— არ იცი, რა ღალა მერგება?

— არ ვიცი!

— გაგაგებინებ!—ბოროტად უპასუხა ქაიხოსრომ და ამ სიბოროტემ მთელი სახე მოუღრიცა.— მიწაში გუთანი აღარ შეიტანოთ!—დაუმატა ქაიხოსრომ

— შევიტან კიდეც, მოვხნავ კიდეც, დავთესავ კიდეც და შევჭამ კიდეც!—გამომწვევი კილოთი უპასუხა ბაკონამ და ქაიხოსროს მოსცილდა.

ელენემ გადაფითრებულ ბიძას გადახედა და დაღონდა.

— ეგრე მკვახედ რად ელაპარაკები, ბიძია? რომ არც ისეთი ბოროტი ხარ, როგორც გამოიყურები?—ალერსიანად მიუბრუნდა ელენე ქაიხოსროს, ყინულივით ცივი ხელი დაუჭირა და თვალებში სიყვარულით შეხედა.

— ეგ შენი საქმე არ არის!—მშრალად უპასუხა ქაიხოსრომ და დაღვრემილი სახით გზას გაუდგა.

სტუმრები უკან გაჩუმებული მისდევდნენ.

*
* *

— რა გიჟებსავით დააჭენებთ მაგ ცხენებსა!—გასჭექა სახლში მიმავალმა ილო თანდილაშვილმა მილიციონერს.

— მოიცა, კაცო, შენ, ალბათ, საქმე გამოგლევია!—ისეთი კილოთი უპასუხა მილიციონერმა, თითქოს ქვეყნის ტვირთი იმისთვის აუკიდიათო.

— საქმე შენ გამოგლევია, რომ მაგ ჯაგლავ ცხენს უთავბოლოდ დააფარფატებ და არ გესმის, რას აკეთებ?—უკანიდან მიაძახა ილო თანდილაშვილმა ცხენოსანს.- ეგეც საქმეშია რაღა!—წაიბურტყუნა ილომ.—კაცო! —მიუბრუნდა მაჭარას,—მჭედლის სიძე ტყის ნადირი ხომ არ არის, ჯაგებში რომ ეძებენ? ანასუნი მაგათ ცერცეტ თავსა!

— მაინც ისე ერთბიშად სად გაჭრა, რომ ვეღარ იპოვეს? ის იყო ჩვენ გვერდით არ აიარა?— გაიოცა მაჭარამ და თავი გაიქნია.—მოხერხებული-კი ძალიან არიან ე ბალშაკები, მართალი უნდა ითქვას!—დაუმატა მაჭარამ და თავისი ღრჭოლები გადმოჰყარა.

— სად გაჭრა და ზალიკომ რომ ძუნძულით აირბინა, ვერ დაინახე? გააგებინა თუ არა, მაშ!—უპასუხა ილო თანდილაშვილმა და თვალები ეშმაკურად მოჭუტა.—მე ვერავინ ვერაფერს გამომაპარებს!—დაუმატა ილომ და ხითხითი დაიწყო...

II

ბნელ ღამეში

თამრიკო მეზობლის სახლიდან გამოვიდა და აღმართზე სწრაფად მაშინ აირბინა, როცა ბაკონა ტყიდან ნალოთი ბრუნდებოდა. ბაკონა ხარებს წინ მოუძღოდა და ჩაფიქრებული პატარა დანით შინდის წკეპლასა სთლიდა.

თამრიკოს სახე უღიმოდა. თვალები უჟუჟუნებდა. გადაფითრებული ლოყები წამოსწითლდებოდა. მთელი მისი ახალგაზრდა სხეული სიცოცხლითა და სიხარულით ჰფეთქავდა, ბაკონა შეჩერდა და ნაცნობ სახეს როგორღაც გაოცებით შეხედა. უცნაურმა გრძნობამ ტალკვესსავით გაჰკრა და აათრთოლა.

თამრიკო თავის სახლში თითქოს ხშირად უნახავს. ცივსა და ბურუსიან ღამეში ბევრჯელ მაკრინესთან გადმოპარულა, მის გვერდით აგიზგიზებულ ბუხართან ჩაცუცქულა და ბეღურა ჩიტივით აჟღმურტულებულა.

ტიტინებდა თავის ბავშურ ენაზე. კისკისებდა და წარა-მარა მძივებსავით ასხმულ თეთრ კბილებსა ჰკრიჭავდა. შავი ხუჭუჭა თმა პატარა, გამხდარ მხრებზე გიშრის კულულებსავით დაჰყროდა. ხშირად უნახავს, მაგრამ არც ერთხელ ეს ხუჭუჭა თმა, ეს დიდი შავი თვალები, აქვირითებული გულმკერდი, ლამაზი, დარგვალებული მკლავები და წერწეტი ტანი არ შეუმჩნევია, თითქოს ახალი ადამიანი გამოეცხადა თვალწინაო.

თამრიკომ შესცინა და ამ სიცილმა, ქალის თვალებში გაელვარებულმა ნაპერწკალმა სხეულში როგორღაც უცხაურად დაურბინა, სისხლი აუჩქროლა გული აუტოკა.

— ჰააამო, შე სასიკვდილე, რა გამწარებული მაწვები!—შეუბღვირა ბაკონამ ლეგა ხარს, რომელიც შეფერხებულ პატრონს შუბლით აწვებოდა და ნაცნობი გომურისკენ მიიწვდა.

თამრიკომ აღმართი აირბინა, ზევიდან გაშტერებულ ბაკონას ერთხელ კიდევ გადმოხედა, გადაიკისკისა და მეზობლის საბძელს მოეფარა.

სახლში ბაკონა გამხიარულებული მივიდა. თვალები ეშმაკურად უციმციმებდა. ნაბდის ქუდი კეუაზე მოეგდო და დოინჯ შემოყრილი ტახტზე მოკეცილ დედას ალმაცერად ზომავდა.

— დედიჯან, აბა, იყუჩე!—წამოიძახა უცებ ბაკონამ, ხელი ხელს შემოჰკრა დედას მივარდა, კისერზე მოეხვია, მიანჯღრ-მოანჯღრია და ლოყაზე აკოცა.

— ნელა, შე გიჟო, შენა!—შეუყვირა დედამ და დამთხვეულ შვილს სიყვარულით შუბლზე ხელი გადაუსვა.—როგორ გაოფლიანებულხარ, შვილო, არ შეგვციდეს!—დაუმატა მაკრინემ და კაბის კალთით ბაკონას ოფლი მოსწმინდა.—შენი ძმა სადღაა?—ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ მაკრინემ.

— ტყეში დარჩა! ჩვენი ბიჭებიც იქ არიან,—ზალიკო, დიმიტრაანთ ვანო ქირციკაანთ გაბრო, და წივილაანთ ტატე...

— კიდევ ღამის თევით წავიდნენ?—უკმაყოფილო კილოთი იკითხა მაკრინემ და ბუზღუნი დაიწყო.

— ნუ ჯავრობ, დედიჯან! ოღონდ დღეს-კი ნუ გაჯავრდები და რაც გინდა, დამავალე! იცი რა, რა გუნებაზე ვარ? ეხლა რომ ლხინში ვიყო, ყველას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავახუნებდი! ჩვენი ბლაღოჩინის შილაფლავში ამოვლებული წვერისა და იმისი გატუკნული სტომაქის მადლი გამიწყრეს, თუ ვტყუოდე!

„ა—აბა, დედი, გადმობრძანდი
შე—ე—ნი ლამაზი ქალითა;
მა—ა—გისთანა მარგალიტი
ა—ა—რ მინახაკს თვალითა.
ცანგალ, გოგო, ცანგალა,
ცანგალა და ცანგალა!

—

შა—ა—ავ თვალ—წარბა,—კოხტა გოგო,
ბრ—ო—წეული ტუჩითა;
ჩა—ა—გეკონე ძუძუებში
ა—ა—მ მკვდარ ძაღლი გულითა.
ცანგალ, გოგო, ცანგალა,
ცანგალა და ცანგალა!

ჩაუმღერა ბაკონამ და თითის წვერებზე შემოპროწიალდა.

— ბიჭო, მთვრალი ხომ არა ხარ?—იკითხა გაკვირვებულმა მაკრინემ, რომელსაც თავისი შვილი ასეთი გატაცებული არასოდეს არ უნახავს.

— ჰო, მთვრალი ვარ, დედიჯან! —წამოიძახა უცებ ბაკონამ, თვალები მოპრუწა, წაბარბაცდა და ტახტზე გაიშხლართა.—მთვრალი ვარ, დედი-ჯან! მერე, იცი, სად დავითვერი? ქვათახევის ტყეში. ჯერ ანწლიანში შევზარხოშდი, ხის ძირში, გუდა-ფშუტა სოკოები, ასკილი და ვარდ-კაჭაჭა რომ მოსდებია! მერე გლერძებში და ეკალ-ღიჭებში გავძვერი, კლდე-ღრე გადავლახე და სერზე გავედი; იქ კი ჰაერმა და გვირილამ დამათრო. პატარა ბორცვზე წამოვწექი და ჩავთლიმე, სანამ ჩემი ბელეშა ხარი თივთიკივით ბალახით არ გამოძღა; მერე ერთ ნაძვს მივადექი, მაგრა დავბალთე, გავაკოპიტე.—აბა, უყურე, ხელები როგორ დამიჯირჯვილდა,—და ნალო თავქე წამოვაბზუკუნე, ეხლა კი, პური მშიან, რომა... ახ, ერთი გემრიელად დამკვარახებული ინდაურის კურტუმი!.. შეჭამანდი არის, დედიჯან?—მოსწყვიტა უცებ სიტყვა ბაკონამ და ბუხრისკენ გაიხედა.

— როგორ არ არის, შვილო? ინდაურისა რა მოგახსენო და შეჭამანდი-კი ბლომადა გვაქვს. ეგ არის, პური აღარ გვიდევს, შვილო. ერთი პური-ღა გვიგდია კიდობანში. როგორმე საფქვავისთვისაც უნდა მოიცალოთ. დილას დიმიტრაანთ ბიჭს გამოვეხმაურე, მაგრამ ყური არ მომაქცია. მე რას შემეპოვებიან, შვილო! იმ კვირამდე წისქვილი ვერ მოიცლისო.

მაკრინემ შვილს ტახტზე პატარა ლურჯი საფენი გაუშალა, კიდობნიდან პური ამოიღო, ჯამი ლობიოს შეჭამანდით აუვსო და წინ დაუდგა.

ბაკონამ მახობლიანი პური გემოიანად გადატეხა და მხიარულად წამოიხახა:

უჰ, შენ კი გენაცვალე, რა მადიანი ლუკმაა!

„გენაცვალე დოლის პურო,
ანაცერო დიკისაო!
გოგო, შებრალება გჭონდეს
ჩემისთანა ბიჭისაო!“

— ძმარი, დედი ჯან!

— ძმარი აი იმ ყურ-მოტეხილ ლიტრაშია.

ბაკონამ ლიტრა აიღო და ლობიოს ზევიდან ძმარი მოასხა.

— ეს რა არის?—წამოიძახა ბაკონამ და ლობიოზე მოტრიტიკებულ ძმარს დააცქერდა ერთი, უყურე, იმ უნამუსო ილოას დაჟოლვილი ძმარი მოუცია! ჰაი, ილოავ, რა ზეთი ხარ, ზეთი!—კბილის კრაჭუნით წამოიძახა სახე-ალეწილმა ბაკონამ და ძმრით სავსე ლიტრა მიწაზე დაანარცხა.

— რა დაგემართა, ბიჭო, როგორ მოლუმპე აქაურობა!—შეტუქსა მაკრინემ შვილი და საყვედურის თვალით შეხედა.

დამშეული ბაკონა დაღვრემილი იღმურძლებოდა.

— კაცმა რომა სთქვას. ერთი პატარა ლიტრა ძმარი დიდი არაფერია. მაგრამ მაინც საწყენია, დედაჩემო! მეზობლები ვართ, ჭაპან-წყვეტით აღებულ გროშებს ვაძლევთ, რად უნდა მოგვატყუოს? მაგრამ რას გააწყობ! ვინ იცის, თავიდანვე ეგრე რომ არ მოქცეულიყო, იქნება ამოდენა ქონებაც ვერ შეეძინა!

მაკრინემ როგორღაც ერთბაშად ამოიოხრა და მოუსვეხრად ფანჯარაში გაიხედა.

— რა იყო, დედიჯან—შეეკითხა შეშფოთებული ბაკონა.

— რა ვიცი, შვილო, როგორღაც გული მებლანდება. ცუდადა ვარ!--უპასუხა მაკრინემ.

— შვილებიც რომ ისეთი გამოუვიდა და! იმ დღეს ტყეში ერთად ვიყავით დიმიტრაანთ ვანოს პური სადღაც დაჰკარგოდა. მშიერი იყო. გიორგას ორი პური ჰქონდა. ის ორი პური ისე უნამუსოდ გაათავა, ერთი პატარა ნაჭერიც-კი არ მოუტეხა. რაღაც გაჯიქებული ოჯახია. ილოას ცოლი რომ არ იყოს, ეგ ოჯახი პირდაპირ ამოსაბუგია და ამოიბუგება კიდეც როდისმე!—დაუმატა ბაკონამ.

მაკრინე გაჩუმებული იყო. შვილის ლაპარაკს კარგად ყურს ვერ უგდებდა ოთახში უმიზნოდ დაფარფატებდა და თითქოს ადგილს ვერსადა ჰპოულობდა.

ბნელი ღამე იყო. გაჭვარტლულ ბუხარში უკანასკნელი ნაკვერჩხალი ჩაიფერფლა და პატარა, მიწური სახლიც წყვდიადმა მოიცვა. აივნის კუნჭულიდან ჭრიჭინას მონოტონური ჭრიჭინი ისმოდა. ძილში გახვეული სოფლის მდუმარებას შორს სადღაც ძაღლების ყმუილი არღვევდა. შემოდგომის მშვიდი, წყნარი ღამე იყო. ვარსკლავებით მოჭედილი ცა მიძინებულ სოფელს დაჭქათქათებდა და თავისი ზვიადი უსაზღვროებით დაუსრულებელი სივრციდან ამაყად გადმოსცქეროდა დღიური ჭირ-ვარამით დაქანცულსა და გარინდულს სოფელს.

— ვარსკლავი მოსწყდა!—ჩაიკვხესა კუთხეში მაკრინემ და ამოიოხრა.

დედის სევდიანობა შვილსაც გადაედო. ბაკონა ტახტზე იწვა და იმ უცნაურსა და ახალს გრძნობებზე ფიქრობდა, უკანასკნელ დროს გულს რომ უმღელვარებდა.

თავის გარშემო ბაკონა სილარიბისა და სილატაკის მეტს ვერაფერსა ხედავდა. გამოჩერჩეტებული ლიყიანი, მუდამ არყით გალეშილი ბრუციანი, დამპალი სახლი თავზე რომ ენგრევა, აძონძილი მაგდანა, დაჩიავებული მაჭარა, ღამ-ღამობით ბოსტნებში რომ დაძვრება და ქვრივებს კიტრებსა ჰპარავს; ღრჯო-

ლებ-გადმოყრილი ლოქო, ერთი კონა ხახვისთვის თებრუას კინალამ კვახივით რომ შეეხეთქა, მუცელ-დასიებული, ჭუჭყიან ბლანდებში აძონძილი ბავშვები.

იყვნენ გაიძვერა ადამიანებიც, აი თუნდაც, ილო თანდილაშვილი, რომელმაც თავისი ჭკუა-მოქნილობით, გაიძვეროობით და მოტყუებით ქონება მოიგდო და ეხლა დანარჩენებს, სილატაკესა და სილარიბეში ჩამპალ გლეხებს, ამაყად და მედიდურად ზევიდან დასცქეროდა. ბაკონა ღარიბი ოჯახის შვილი იყო და ეს ჩატუკნული, გაამაყებული და თავიანთებ შორის ღამურასავით შეპარებული გლეხები პატარაობიდანვე შეიძულა.

კარგად ახსოვს, ერთხელ დედამ პურის სასესხებლად ილოასთან გადაგზავნა. ზედადგარზე ცარიელი ქოთანი ჩუხჩუხებდა. მოსახარში ლობიოც აღარა ჰქონდათ. მთელი დღე მშივრები იყვნენ. ილო თავისი ჯალაბობით სადილს მიირთმევდა. კარებში კოპებ შეკრული ბაკონა რომ დაინახა, სუფრიდან ქათმის ნაჭერი აიღო და მიაწოდა. ბაკონამ მხრები გაიქნია, კარებში აიბუზა და ილოას ხორცის ნაჭერი არ გამოართვა.

— ე მამაცხონებული, დედასავით როგორი ამაყი გამოვიდა!—მიაძახა კარებში ბაკონას, რომელმაც ილოს ცოლს ნასესხი პური გამოართვა და საჩქაროდ კიბეზე ჩამოძუნძულდა.

ბაკონა ფიქრობდა. მისი გონების წინ აჩრდილივით გაირბინა სოფლის ცხოვრების სურათებმა, ათასნაირმა გაჭივრებამ, სილატაკემ, მოხერხებული და გაიძვერა ადამიანების სიხარბემ და მოტყუებამ ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ განვლილ დღეთა სიმწარე და შორიდან მოწოდებული ბრძოლის ხმა უფრო მიმზიდველად და ამაღევლებლად მოესმა...

ფიქრებიდან ბაკონა რაღაც უცნაურმა ჩოჩქოლმა და ჩურჩულმა გამოიყვანა.

ტახტზე მაკრინე წამოიჭრა.

— ბაკონ, ჰა, ბაკონ!—მოისმა კარებთან შემკრთალი, თავშეკავებული ხმა.

— ვინ არის?—გამოეხმაურა ოთახიდან ბაკონა, ფანჯარაში გაიხედა და კარებს მივარდა.

მაკრინე წელში გასწორდა, ერთს ადგილას გაქვავდა და ამღელვარებული თვალები კარებს მიაშტერა..

ბაკონამ კარები გამოაღო და აივანზე ლასტზე გაშოტილი გასისხლიანებული კანკორა დაინახა.

ოთხმა ბიჭმა კანკორა ოთახში შეიტანეს და ფრთხილად ტახტზე დააწვინეს. კანკორა კვნესოდა და ჰბორგავდა.

ჩახეთქილი ყბიდან გადმოსული სისხლი, ზალიკოს ჭუჭყიანი პერანგით აკრულ სახეზე შეშრობოდა. ჩაჭყლეტილი თვალის ნაცვლად შუბლის ქვეშ ამოღრმავებული, შავად ჩასისხლებული ჭრილობა გამოიყურებოდა. ერთი მკლავი განიერ მხარეზე ძონძივით უფამფალებდა.

პატარა ოთახი ერთბაშად ხალხით გაივსო. დედაკაცები დაფაცურდნენ. ზოგმა ტაშტი მოარბეინა, ზოგმა წყლის გაცხელება დაიწყო, ზოგი სხვადასხვანაირ მალამოს მზადებას შეუდგა. გადაფითრებული მაკრინე ტახტის წინ იჯდა და მწუხარებით ცრემლ-გამშრალი თვალით თავის დასახიჩრებულ შვილს დასცქეროდა.

— ვაიმე!—საშინელი ხმით დაიკვნესა კანკორამ და ბორგვა დაიწყო.—ვაი შენ დედასა, შვილო კანკორ!—დაჭრილ ნადირისავით დაიბღავლა უცებ მაკრინემ, თავში ხელი წაიშინა და ეს კლდესავით მაგარი დედაკაცი, რომელს თვალზე-დაც ჯერ არავის ცრემლი არ დაენახა, ქვითინით ლოგინზე დაეცა.

დედაკაცმა ვიშ-ვიში დაიწყეს და აცრემლდნენ,

— კარგი, მაკრინე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი; ავადმყოფი ცოდოა, შეიბრალე, რაღა ეგ უნდა!—სლუკუნით მიუბრუნდა ერთი ხნიერი დედაკაცი, კაბის კალთით თვალებიდან ცრემლები მოიწმინდა და პირქვე დამხობილი მაკრინე კანკორას ძლივს მოჰგლიჯა.

კანკორამ თავისი ცალი თვალით დედას გადახედა, მუშტი შეიკუმშა, ტუჩი ჩაიკვნიტა, მთელი თავისი ძალ-ღონე მოიკრიფა და დაჩუმდა, გაყუჩდა, გაინაბა. დასახიჩრებული ადამიანის ამ საშინელი დუმილის წინაშე ხალხსაც სუნთქვა შეეკრა...

ექიმბაშმა კანკორას ჭრილობები მოჰბანა და შინაური მალამო და წამლები დაადო. ცხელმა წყალმა და წამლებმა ავადმყოფს ტკივილები თითქოს დაუყუჩა, ცოტათი დიშოშმინდა და თვლემა დაიწყო.

— აბა. ეხლა წავიდეთ! იქნება როგორმე დაიძინოს!—მიუბრუნდა ექიმბაში ხალხს და ყველანი გარედ გაიყვანა.

— რა მოხდა, კაცო, ეს რა უბედურება დაგვატყდა თავსა?—შეეკითხა ბაკონა ზალიკოს, რომელიც ეზოში შეჯგუფულ გლეხებში ჩამდგარიყო და ტყეში მომხდარ უბედურებას უამბობდა.

— რა იყო, კაცო-და, თავკავთასთან, კავთურის გადაღმა, აი ხრამის გვერდით, მთის კენწეროზე რომ ფიჭვებია, აიტეხა იქ უნდა ავიდე და ერთი ფიჭვი მაინც მოვჭრაო. მართლა კაი ფიჭვებია, მაგრამ, ხომ იცი, ბაკო, რა მიუვალ ადგილს არის? დავუშალე, მაგრამ მაინც არა ჰქნა. არჯევნიანთ ბიჭი გაიყოლა და აცოცდა. მე ქვევით დავრჩი. ხე მქონდა მოსაჭრელი და ველარ შეველიე. ძირში კარგა რომ გადაუკაფავს, ხევისკენ გადმოზნექილა,—ვარაუდიც ისე ჰქონდა დაჭერილი,—მაგრამ მერე ერთბაშად როგორღაც შემოტრიალებულა. არჯევანიანთ ბიჭი ამბობს, ყველაფერი ისე ერთბაშად მოხდა, რომ გონს ველარ მოვედიო. ალბად კენწეროში სადმე ხის ტოტებს წამოედო, შიგ გაიხლართა და იმან შემოატრიალა. კანკორას ხისთვის თავი მოურიდებია, განზე გამხტარა და ქვას მოჰკიდებია: მაგრამ ი საოხრო ქვა, თურმე, მიწაში ღრმად არა მჯდარა, მოსხლეტილა, დაგორებულა და კანკორაც გაუტანია. ხომ იცით, რანაირი ხრამია? შურდულივით წამოსულ კანკორას თავი ველარსად შეუკავებია და ხრამში გადაჩეხილა.

— მართლა დაწყევლილი ადგილია ის საოხრო, ისა! სხვაგან ბუჩქები მაინც არის, იქ-კი ხელის გულივით მოსვლეპილია!—ჩაურთო სიტყვა ერთმა გლეხმა.

— მაშა, კაცო! ეს პირველი შემთხვევა არ არის! ამას წინადაც ერთი მთიული გადავარდნილა,—დაუმატა მეორემ.

— მოიჭრა გადაფითრებული არჯევნიანთ ტატია,—განაგრძო ზალიკომ.—მაშინათვე ჩვენი ბიჭები მოვაგროვე და ხრამში ჩავედით. საცოდავი უგონოდ

ეგდო. მკლავი მოტეხილი აქვს. თვალი, ალბათ, წვეტიანმა ქვამ ან ხის ტოტმა ჩაუთხარა, წყალნარევი სისხლი სდიოდა ამ უბედურსა! ძალიან დაბეგვილია, მაგრამ იცი რას გეტყვი, ბაკონ? შიგნეულობა დაზიანებული [illegible] ყოფილ! პარატისში აი იმ მთიელმა, წიკლაურიანთ სიძემ ექიმბაშობა [illegible] ასინჯა და ძალიან დამაიმედა, ნუ გეშინიან, მალე მორჩება, ფილტვები და წელები საღი აქვსო. ეგ არის, თვალი დაჰკარგა საწყალმა!.—მწარედ ამოიოხრა ზალიკომ და დაჩუმდა.

უკვე კარგა დაღამებული იყო, და ხალხიც ნელ-ნელა დაიშალა.

— დილაზე იქნება როგორმე ადრე გადმოხვიდე?—მიუბრუნდა ბაკონა ზალიკოს, როდესაც მარტო დარჩნენ.

— რას ამბობ, კაცო, ხომ არ გადარეულხარ? მარტო თავს როგორ დაგანებებ!. იქნება რა გაგიჭირდეს! კაი თბილი საღამოა, აი აქვე ურემზე წავეგდები,—უპასუხა ზალიკომ და ფარაჯა კოფოზე გადაჰკიდა.

— მაგას თუ იზამ, ძალიან დამავალებ!—უთხრა ბაკონამ და მეგობარს მადლიერი თვალით გადახედა.

ბაკონა კარებთან მივიდა და ოთახში შეიხედა. კანკორას ეძინა. თითქოს დამშვიდებული იყო; მხოლოდ ზოგჯერ დაჭიმული კუნთები უთრთოლავდა და ძილში ყრუდ კვნესოდა. მაკრინე ლოგინთან ჩაცუცქული იჯდა და სულგანაბული შვილს დასცქეროდა. ბაკონამ თავისი ფარაჯა აიღო, ურმის ქვეშ დააგო და წამოწვა.

— ბაკონ!— მოესმა უცებ დედის თავშეკავებული, მაგრამ მტკიცე ძახილი.

ბაკონა მაშინათვე წამოიჭრა და დედასთან მიირბინა.

მაკრინეს თავზე შავი შალი მოეხვია, ხელში რაღაც ეჭირა.

— სად მიდიხარ, დედი?—გაოცებით შეეკითხა ბაკონა.

— პატარა ხანს ოთახში შედი, ყური უგდე, ეხლავე გადმოვალ;—უპასუხა მაკრინემ და ეზოში გამოვიდა.

— ამ შუა-ღამისას სად უნდა წახვიდე, დედი? გზები დახრამულია, სადმე არ გადაიჩეხო,—შეშფოთდა ბაკონა.

— შენი საქმე არ არის, შენ აი მანდ შენს უბედურს ძმას ციხედე!—მკვახედ უპასუხა მაკრინემ და ბარბაცით ეზოდან გავიდა.

ბაკონა თავის დედას კარგად იცნობდა. იცოდა, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არასოდეს არა შორდებოდა. ისიც იცოდა, რომ წინააღმდეგობას ვერ იტანდა და ერთხელ მიღებულ გარდაწყვეტილებას აღარა სცვლიდა.

— იქნება ზალიკომ გაგაცილოს, დედი, ზალიკო აქ არის?—სცადა ბაკონამ დედის მორბილება.

— არავინ მინდა;—შემოუტია შორიდან მაკრინემ და ღამის სიბნელეში დაიმალა.

* * *

— დასწყევლოს ღმერთმა, როგორ დაწანწალებენ. ვინა ხარ მანდა, რა გინდა ან შუაღამისას.—წაიბუზღუნა ლოგინში ილო თანდილაშვილმა, კარებში რომ ვიღაცას კაკუნი მოესმა.

— დაჩუმდი, კაცო, იქნება ვინ არის!—წასჩურჩულა ცოლმა ილოას.

ილო თანდილაშვილი ზლაზნით წამოდგა, მხარზე ფარაჯა მოიგდო, კარები გამოაღო და გაიხედა.

— ოხ, შენი ხარ, მაკრინე?—მობრძანდი—მოკრძალებით მიესალმა ილო თანდილაშვილი მაკრინეს და კარი გაუღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუბლ-შეკრული, დაღვრემილი და თვალებ-მორღვეული მაკრინე ოთახში შევიდა და სკამზე ჩამოჯდა.

— ეგ რა უბედურება დაგატყდა თავსა, შე საცოდავო!—მიუსამძიმრა ილოამ.—ძალიან არის დაშავებული?

— უნდა მიშველო!—პირდაპირი პასუხის ნაცვლად მოკლედ მოუჭრა მაკრინემ.

— თუ რაიმე შემიძლიან, რატომაც არა, მეზობელი მეზობელს გაჭირვებაში თუ არ გამოადგა, რა იქნება!—უპასუხა ილომ და ცნობის მოყვარეობით მაკრინეს დადახედა.

— ფული მჭირდება! ჩემი ქმრის ვერცხლის ქამარი მოგიტანე, გირაოდ დაიჭირე.

— ბევრი გინდა?—შემპარავი კილოთი შეეკითხა ილო და თვალები სიხარბით გაუცეცდა

— ათი თუმანი!

— მაგოდენა ფული ვინ მომაოხრა, ჩემო მაკრინე: ორი-სამი თუმანი-კი იქნება როგორმე მოგიხერხო,—გადაუგდო ვაჭრულად გაზომილი სიტყვა ილოამ.

— სამი თუმანი არ მეყოფა.

— აბა, რა გიყო, მაკრინე. ისეთ დღეში ხარ. რომ უარის თქმა არ შეიძლება. ვაჟ-კაცი შვილი გელუპება, შველა უნდა. მენი საცოდაობით ქვეყანა იწკის და მე უნუგეშოდ როგორ გაგიშვა? ცოტა გიორგას ფული მაქვს მობარებული, რიყის მიწაზე ვენახის გადაბრუნებას აპირებს. ნამყენებს ქაიხოსრო ჰპირდება. მერმის შემოდგომით დასჭირდება. თუ იმ დროსთვის ფულის დაბრუნებას შესძლებ, გასესხებ. ათ თუმანზე ათ თუმანს გამოგართმევ. ხომ იცი, ნაკლებს არავინ დაგყაბულდება!—დაუმატა ბოლოს ილოამ და მაკრინეს თვალი-თვალს გაუყარა.

მაკრინემ წარბი შეიკრა, თვალებში ბოროტმა ცეცხლმა გაუელვა, ერთხანად თითქოს შეყოყმანდა კიდეც, მაგრამ უცებ თავისი დასახიჩრებული შვილი მოაგონდა, ჩაიფერფლა და ჩახლეჩილი ხმით უთხრა:

— კარგი, ეგრე იყოს!

— ჩვენს შორის უბრალო სიტყვაც საბუთია, ჩემო მაკრინე. მარამ ხომ იცი როგორი დროებაა? ეგ ვერცხლის ქამარი დიდი არაფერია, ბევრი-ბევრი ორი სამი თუმნის ვერცხლი გამოვიდეს,—ჩაილაპარაკა ილო თანდილაშვილმა

და ქამარი ხელით ასწონა.

— სხვა აღარაფერი მაქვს,—უპასუხა მაკრინემ და ხმაში სასოწარკვეთილებამ გაუბზრიალა.

— ქამარი დასტოვე, ავიღებ, მაგრამ ცარიელი ქამრით რას გაჰხდები, ჩემო მაკრინე? აი, იმ დღეს დათუას ბიჭს ხარისთვის ცოტა ფული დასჭირდა და ონოფრიანთ სიძემ გირაოდ მარანი დაიტოვა.

— ფერდის მიწა აიღე!

— რომელი? ეხლა რომ მოგიზომეს? არა, გენაცვა ხომ იცი, ეხლა მიწების საქმე როგორ არის? დღეს მოგიზომეს, ხვალ იქნება ისევ წაგართვან. შენი რომ ყოფილიყო, კიდევ სხვაა. ისევ სახლი დამიტოვე გირაოდ. ესეც წესია ასეთი, გირაოდ რამე უნდა დასტოვოს ადამიანმა, თორემ სახლს ვინ წაგართმევს, ჩემო მაკრინე? რას იტყვი? დავწერო ბარათი?

— დასწერე!—ყრუდ უპასუხა მაკრინემ და მწარედ ამოიოხრა.

ილო თანდილაშვილი მეორე ოთახში გავიდა, ცოლი გაიხმო, ლამფა აანთო, ბარათი დააწერინა, კამოდის უჯრიდან ფული ამოიღო, რამდენჯერმე გადათვალა და მაკრინესთან გამოვიდა.

— აი, ოცი თუმნის ბარათია, სარგებელი ზედ არის მისული.

მაკრინემ თავისი გამხდარი, დანაოჭებული, აცახცახებული თითებით ბარათზე ხელი მოაწერა, ფული ჩაიბარა და შეწუხებისთვის ბოდიში მოიხადა.

— ბაკონას არაფერი უთხრა! —კარებიდან მიაძახა მაკრინემ.—გაიგე?

— როგორც გენებოს!—უპასუხა ილომ, ულვაშებში ჩაიცინა, მაკრინე კიბემდე ჩააცილა, ოთახში დაბრუნდა, კარი მაგრამ გადარაზა და კმაყოფილი ღიმილით თბილს საბანში გაეხვია.

*
* *

— ბაკონ!—დაუძახა მაკრინემ შვილს და ურემთან გაჩერდა.

ბაკონა ოთახიდან გამოვიდა.

— როგორ არის?

— სძინავს.

— ურემი გამართე!

— ურემი?

— ჩქარა საქონელს თივა დაუყარე და ეხლავე ურემი გამართე; ქალაქს მივდივართ!—მოკლედ და მტკიცედ უთხრა მაკრინემ, ოთახში შევიდა, შალი მოიხადა [illegible]ს მიუახლოვდა და მძინარე შვილის წინ წაიჩოქა...

[illegible]ს, დილით ადრიან მეზობლები ავადმყოფის სანახავად რომ გადმოვიდ[illegible] [illegible]აკრინეს სახლი გადარაზული და გამოკეტილი დახვდათ.

მინისტრი

ქაიხოსრო შავგულიძის სახლში დიდი სამზადისი იყო. დილიდანვე ილო თანდილაშვილი თავისი ოთხი შვილით ქაიხოსროს ეზოში დატრიალდა და სტუმრების დასახვედრად თადარიგს შეუდგა.

— აბა, ბიჭო, ხბო გადმოიყვანე, ქათმებისათვის დედაკაცებს წყალი გააცხელებინე თონე ხომ გაახურეთ? ფქვილი ონოფრიანთ გამოართვი: მახობლიანი ფქვილი აქვს, გემრიელი ლურჯი პური გამოდის! გიორგავ, ერთი ქაიხოსროსთან აირბინე, ცოტა-ხანს მარანში ჩამოვიდეს, მითხრას რომელი ღვინო ჩამოვასხა. თავისი მჭეჭარე ხმით განკარგულობდა ილო და თავმომწონედ ეზოში ფუსფუსებდა.

სამზარეულოსთან იქვე ახლო მორგვზე რამდენიმე გლეხი იჯდა.

— გიგოლავ, შენ რაღა ჰქენი? გააგებინე დედაკაცებსა? — მიუბრუნდა ილო თანდილაშვილი ერთ შუა ხნის კაცსა.

— ჩვენებურებს გავაგებინე, წივილაანთ უბანში-კი ჯერ არ აუსტვარ.

— ხომ უთხარი, თავიანთი კალათებით მოვიდნენ? წივილანთასაც რომ აგერბინა, კარგი იქნებოდა. მოდი, ნუ დაიზარებ, ეხლავე წადი, თორემ მერე ხალხი აირევა და მაგისთვის ვეღარავინ მოიცლის!

— განა, რამდენი კაცი სჭირდება?

— ოთხმოცამდე მუშა ხომ მაინც უნდა? ამოდენა ვენახის მოკრეფას ეხუმრები მერე, ქაიხოსროს ამბავი ხომ იცი? გაჭიანურება არ უყვარს. ორ-სამ დღეში მთელი ვენახი უნდა მოიკრიფოს.

— როდის იწყებს?

— დღეს რაღა იქნება [illegible] ხვალ-კი დილიდანვე დავიწყებთ! სტუმრები ჰყავს და რთველიც ეხლა მეურჩია.

— მართლა მინისტერიც უნდა შოვიდეს? — შეეკითხა მეორე გლეხი, რომელიც კომბალს დაჰყრდნობოდა და ჩაფიქრებულ ილოს შესცქეროდა.

— მაშ, ამოდენა სამზადისს ბრუციანსა და ლიყიანს ხომ არ გაუმართავდა? მილიციონი ამ დილით ორჯელ გადმოიჭრა. გორში ყოფილა და გავლით აქეთკენაც მოუსურვებია წამოსვლა. მიწების თაობაზე მოდისო. გუშინ ერობაშიც კოება ჰქონიათ.

— ე ფონდში რაც ნაყარ ნუყარი მიწა იყო, ხომ დაარიგეს და სხვა რაღა უნდათ? საუკეთესო მიწები კი ისევ პატრონებს დარჩათ და რა გამოვიდა! აი, თუნდა ქაიხოსრო აიღე. რა ჩამოართვეს? სულ რაღაც ორიოდ-სამიოდე დესეტინა მიწა ჩამოაჭრეს, ერთი ხელიკების მიწა და ერთიც დამპალოსი! მორჩა და გათავდა. მიხეილიანთაც თავიანთი ნაფუზრები ხელ-უხლებლივ უჭირავთ.

— გაუმაძღარი ნუ ხარ, დათიავ! დამპალოს საუკეთესო მიწები შენ გერგო, სხვა რაღა გიხდა? რომ უჩივი, რას უჩივი? მაშ, როგორ გეგონა? პატრონებს ცარიელ-ტარიელს დასტოვებდნენ და ყველაფერს შენ მოგართმევდნენ? ი ნაფუზრები შენი რომ ყოფილიყო, ეგრე ხომ არ იტყოდი, დათიავ? — დაუმატა ილოამ და ეშმაკურად თვალი მოჭუტა.

— აგანგალა, განგალა! ჩემი რომ არ არის, მეც ის მაწუხებს, შვილონიასა, თორემ თუ ჩემი საკუთარი მექნება, ვისთან რა მესაქმება? რამდენიც უნდა ეჭიროს!

— სამყოფი ხომ ხედავ აღარ არის! მთავრობას მიწები ჯიბეში ხომ არ უწყვია რომ ამოიღოს და წინ დაგიდოს.

— შენ რა გიჭირს, ჩემო ძამიავ. შავგულიძიანთ ნაფუზრები გვერთ მოიგდე და იმატომ ხარ არხეინადა!

— შენ სად ღა მამაჩემთან იყავი, რატომ შენ-კი არ მოიგდე, თუ შნო გქონდა?

— რა უშნო ადამიანი მე მნახე? — იწყინა დათუამ და დაჩუმდა.

— მაშ, რას ლაპარაკობ, რომ ლაპარაკობ! შავგულიძიანთ ნაფუზრები ჩავიგდე, თუ ონოფრიანთ ბალები, რა შენი საქმეა? შენ შენი თავი გაბარია. თუ შნო გაქვს, შეიძინე თუ არა-და იარე ეგრე კუჭ გამხმარი! ჩემსკენ რას იქყიტები შურიანი თვალითა?

— რა ძალიან იტკიცე?—გაბრაზდა დათუა და წამოწითლდა.—არც ისეა საქმე, როგორც შენა ფიქრობ! შენ ხოდაბუნები გქონდეს გაჭიმული და მე-კი შიმშილით სული ამომძვრეს? თუ შნო გაქვს!—გაიმეორა დათიამ ილოს დამცინავი სიტყვები და თვალები გადაუბრიალა.—რატომაც არა მაქვს შნო? ვერც ჭკუით მაჯობებ, ვერც ვაჟკაცობითა და ვერც მკლავითა. რა ძალიან თავგამოდებული ხარ?

— წადი, ძამო, წადი, სახლისკენ გაისეირნე! დღეს როგორღაც მარცხენა ფეხზე ამდგარხარ! აბა. ტყუილად რაზე სცდები? ან დასაბარი გექნება სადმე, ან გამოსათიბი. თუ არ დაგიშლია და—მინისტერი ხომ ხვალ აქ იქნება. ერთი არზა და მაგისი ჯანი. სცადე ბედი, იქნება როგორმე ქაიხოსროს აი ე ვენახიც შენ დაგიმტკიცოს

— დაიკარგე შენცა და შენი მინისტერიცა!—უპასუხა დათიამ, წამოდგა და ალაყაფის კარებისაკენ გაემართა.

— მაგას თავისი მინისტრები ჰყავს, ბაკონა და კანკორა-,—მიაძახა უკანიდან ილოას ბიჭმა გიორგამ და ჩაიხითხითა.

— აბა, სწორედ ეგ ბაკონა და კანკორა მოგიგრეხავენ კისერსა, მოიცა შენა!—გამოსძახა დათიამ შორიდან და ალაყაფის კარები გაირახუნა.

— ერთი მაგ ქინგლიანს უყურე, რა დიდგულად არის და!—ჩაიბურტყუნა ილოამ და ხბო დასაკლავად წამოაწვინა...

***

მზე უკვე დასავლეთისაკენ იყო გადახრილი, შავგულიძიანთ ალმართზე ეტლი რომ გამოჩნდა. ეტლს უკან რამდენიმე ცხენოსანი მოსდევდა.

— მოდიან!—მიუბრუნდა ქაიხოსრო ელენეს, შუბლზე ხელი მიიდო და გზისაკენ გაიხედა.—ეტლში, მგონია, გივი უზის!—დაუმატა ქაიხოსრომ და დასახვედრად გაემართა.

ცხენოსნები მაშინათვე ცხენებიდან გადმოხტენ, მინისტერს სამხედრო სალამი მისცეს და ჩამწკრივდნენ.

ეტლიდან მაღალ-ზაღალი, ფერ-მკრთალი კაცი გადმოვიდა და ქაიხოსროს იესალმა.

მ დიდი შავი თვალები მაღალი შუბლის ქვეშიდან როგორღაც მოუსვენრად, შფოთიანად და სარკასტიულად გამოიყურებოდნენ. დიდი, ოდნავ მოკაკული ცხვირი და პატარა ნაოჭები შეკუმშულ ტუჩებთან მთელ მის გამხდარსა და გადაფითრებულ სახეს რაღაც სიჯიუტისა და ჭირვეულობის იერს აძლევდნენ

მინისტრი სახლისაკენ გაემართა. ერთს მხარეს ერობის თავჯდომარე მოსდევდა, მეორე მხარეს—ქაიხოსრო შავგულიძე და ლეიტენანტი გივი. მილიციის უფროსი თავისი ცხენოსნებით ეტლთან დარჩა.

ეზოში მინისტრსა და მის მხლებლებს რამდენიმე გლეხი ფეხზე წამოუდგა. ილო თანდილაშვილმა ქუდი მოიხადა და თავისი შუბლქვეშ ჩამძვრალი თვალები იშვიათს სტუმარს მიაცეცა. მინისტრი გლეხებს მიესალმა და ჩქარის ნაბიჯით კიბეზე ავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრებს დაღლილობა ემჩნეოდათ და ამიტომ ვახშამმა მოწყენილად ჩაიარა. მთელი დღის განმავლობაში მინისტრმა ერობაში თავჯდომარის მოკლე მოხსენება მოისმინა და ღამის გასათენებლად შავგულიძესთან გადმოვიდა. გაათავეს თუ არა ვახშამი, ერობის თავჯდომარე მაშინათვე მინისტრს გამოემშვიდობა, ეზოში გამოვიდა და მილიციის უფროს უბრძანა, სახლთან გუშაგები დაეყენებინა.

მინისტრი და ქაიხოსრო კაბინეტში შევიდნენ.

მინისტრმა თაროებზე გაწყობილ წიგნებს ჩამოურა და ბიბლიოთეკა დიდის ცნობის-მოყვარეობით დაათვალიერა.

— ძვირფასი ბიბლიოთეკა გქონიათ!—სთქვა მინისტრმა და სავარძელში ჩაეშვა.—აგრონომი ბრძანდებით, არა?

ქაიხოსროს გაეღიმა.

— არა, ბატონო, სასწავლებელში არა ვყოფილვარ, საქარის სახელმწიფო მამულში დავხელოვნდი!

— ეს წიგნები?—იკითხა მინისტრმა, მაგიდაზე გადაშლილი წიგნი აიღო და გადაფურცლა.

— გიკვირთ განა?—ყრუდ უპასუხა ქაიხოსრომ და თვალებში რაღაც დამცინავმა ნაპერწკალმა გაჭკრა.—ზოგჯერ ასეთი წიგნებითაც ვერთობი. მარტოხელა კაცი ვარ და გულს ვაყოლებ.

— დიდი ხანია სოფელში დასახლდით?

— კარგა ხანია. მამის სიკვდილის შემდეგ სახლ-კარი უპატრონოდ დარჩა და სხვის მამულში მუშაობას ჩემი საკუთარი მეურნეობის შექმნა ვამჯობინე ცოტა ფული მე მქონდა, ცოტა ბანკმაც მასესხა. სახლი ავაშენე, ვენახი ჩავყარე და როგორც ხედავთ, ეხლა უკვე გამართული მეურნეობა მაქვს. საზოგადოდ ჩემი ბედით კმაყოფილი ვარ, თ...

ქაიხოსრომ სიტყვა აღარ დაასრულა.

— თუ რა?—შეეკითხა მინისტრი და თვალებში რაღაც უცნაურმა მოუსვენრობამ გაურბინა.

— თუ ბოლომდის დამცალდა!—უპასუხა ქაიხოსრომ და ხელში კრიალოსანი ნერვიულად აათამაშა.

— თქვენ, განა, ეჭვი გეპარებათ?

— ძალიან!

— რატომ?

— ცხოვრება აიმღვრა, ქარტეხილს ვერ გაუძლებთ. წაგვლეკავს!

მინისტრმა თავისი დიდი წარბები შეიჭმუხნა, კოპები შეიკრა, გრძელი, ხმელი თითები სავარძელზე ნერვიულად აათამაშა და მშრალად ჩაილაპარაკა;

— მე ჩვენი ხალხის შესახებ უფრო კარგი აზრისა ვყოფილვარ, ვიდრე თქვენ!

ქაიხოსრომ ტუჩებში ჩაიღიმა.

— რას იღიმებით?—ყრუდ შეეკითხა მინისტრი და დამცინავი თვალები ქაიხოსროს მიაშტერა.

— ხალხი! ხალხი, ბატონო მინისტრო, მეტაფიზიკური ცნებაა!

— როგორ თუ მეტაფიზიკური ცნება?—გაიკვირვა მინისტრმა და ტუჩებში ჩაეცინა.

— ნუ თუ თქვენთვის ეს გაუგებარია?

— [illegible]ც ადვილად წოსანელებელი სიბრძე უნდა იყოს!—ირონიულად უპასუხა მინისტრმ[illegible]

ქაიხოსროს სა[illegible] ნერვიულად აუცახცახდა, წამოდგა და მოუსვენრად ოთახში სიარული დაიწყო.

მინისტრი ცნობის მ[illegible]ვარეობით უცქეროდა და თავიდან-ფეხამდე ათვალიერებდა.

ქაიხოსრო მინისტრის წინ გაჩ[illegible] და ტკეპნით უპასუხა;

— არც ერთს სოციალურ წრეს თქვენი [illegible]ლობა თავის საკუთარ მთავრობად არ მიაჩნია, ბატონო მანისტრო, და ამიტომ არც ერთ[illegible]ციალური წრე თქვენს დასაცავად თავს არ გამოიდებს.

— ზღაპრებია—უკმეხად შეაწყვეტინა სიტყვა მინისტრმა, ხელი ჩაიქნია და დაამთქნარა.

ქაიხოსრო შავგულიძემ წარბი შეიკრა, სახეზე სიფითრემ გადაურბინა.

— ყოველ შემთხვევაში, ბატონო მინისტრო, მე ისეთს ზღაპრებს მოგახსენებთ, რომლის სიმწარესაც ძალიან მალე ვიგრძნობთ თქვენც და თქვენი უმორჩილესი მონაც!

— თქვენ, ბატონო ქაიხოსრო,—ქაიხოსრო გქვიანთ, თუ არ ვცდები,—წარმოსთქა ტკეპნით ცოტა ხნის პაუზის შემდეგ მინისტრმა.—დიდი ხანია განმარტოებული ცხოვრობთ, კარჩაკეტილად, ფართო ჰორიზონტს მოკლებული და ამიტომ ბევრი რამ ბუნდოვანად და უიმედოდ გეჩვენებათ.

— შეიძლება!—ღიმილით უპასუხა ქაიხოსრომ.—იქნება ყველაფერი, რასაც მე ვფიქრობ და ვგრძნობ, ბნელი განმარტოებული ღამეებით გაოცებიციებიც იყოს! ნეტამც მართლა ვცდებოდე! მაგრამ, სამწუხაროდ, არა ვცდები, ბატონო მინისტრო. ხალხს ძალიან კარგად ვიცნობ. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში საკმაო დრო და საშუალება მქონდა, მის იდუმალ ზრახვებს გავცნობოდი.

— და თქვენც ფიქრობთ, რომ ამ ზრახვების მესაიდუმლე მხოლოდ თქენა ბრძანდებით, არა ბატონო ქაიხოსრო!—ირონიით შეეკითხა მინისტრი და თვალებში დამცინავმა ნაპერწკალმა გაჰკრა.

ქაიხოსრომ მინისტრს შეხედა.

გულის სიღრმეში რაღაც უცნაური გაბოროტება აებლანდა და ამ გაბოროტებამ მთელ მის გამხდარსა და გაცრეცილ სახეს მრისხანე გამომეტყველება მისცა.

— მე მხოლოდ იმასა ვფიქრობ, ბატონო მინისტრო, რომ თქვენ არც ბურჟუებად ვარგირხართ და არც სოციალისტებად! ბურჟუობისა გრცხვენინათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სოციალისტობისა გეშინიანთ. ორჭოფულ მთავრობას-კი პოლიტიკური ქარ-ტეხილი ბზესავით გაანიავებს!—მტკიცედ უპასუხა ქაიხოსრომ და მინისტრს თვალი თვალში გაუყარა.

— მაშ, როგორი უნდა იყოს მთავრობა თქვენის აზრით, არ შეიძლება გავიგოთ?—გესლნარევი ირონიით შეეკითხა მინისტრი.

— რანაირიც უნდა იყოს, ოღონდ გარკვეული ფიზიანომია—კი ჰქონდეს! ვინ ხართ? რას აკეთებთ? ვის ემსახურებით? ცხოვრება ინტერესთა სამკვიდრო სასიცოცხლო ჭიდილია. აი აქაც, ჩვენს გარშემო ყოველი წუთი ამ ჭიდილითა ჰფეთქავს. ვაზები ვენახში თავის თავად არ წამოსკუპებულან! დაიცავთ ჩემს საკუთრებას მოახლოვებული ქარ-ტეხილისგან, თუ ლაჩრულად უკან დაიხევთ და გაჭირვების დროს გამწირავთ?

მინისტი სკამზე მოუსვენრად ატოკდა, წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო.

— იქნება მოსვენება გნებავთ?—შეეკითხა, მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ ქაიხოსრო.

— ურიგო არ იქნება! მთელი დღე მგზავრობაში ვიყავი და საშინლად დავიქანცე!

— წამობრძანდით, თქვენთვის ლოგინი მზად გახლავთ!

ქაიხოსრომ მინისტრი სასტუმრო ოთახში შეიყვანა და ძილი ნებისა უსურვა.

— მომავალს მაინც უიმედოდ ნუ უცქერით, ბატონო ქაიხოსრო!—შიაძახა კარებში მინისტრმა და ფიჯაკი გაიძრო.

ქაიხოსრომ აღარაფერი უპასუხა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა და გამოვიდა.

ქაიხოსრო თავის ოთახში დაღვრემილი და ამღვრეული დაბრუნდა; მაგიდასთან მივიდა და გადაშლილ წიგნს უაზროდ ფურცვლა დაუწყო.

— ფართო ჰორიზონტი!—მწარედ ჩაიცინა ქაიხოსრომ ტუჩებში და სავარძელში ჩაეშვა.

* * *

ვენახში გახურებული რთველი იყო. ასამდის ქალი და კაცი მწკვრივად ჩარიგებულ ვაზებს ფუტკარსავით დაჰსეოდა და ყურძენსა ჰკრეფდა. ივსებოდა პატარა კალათები, მორბედები თავმოდგმულ კალათებს დიდი გოდრებისკენ მიარბენინებდნენ, მეურმეები გოდრებს ურმებზე აწყობდნენ და მარნისკენ მიჰქონდათ. აქ-კი ილო თანდილაშვილი თავისი შვილებით ქაიხოსროს ხელმძღვანელობით საწურავ მანქანებს ამუშავებდნენ და კასრებს ტკბილით ავსებდნენ. ვენახში ჟივილ-ხივილი იდგა. გამაძღარი, მუცელ გამობერილი ბავშვები ჟანგის ფრად აფერადებულ ყურძნის მტევნებს ხარბად აცხრეტოდნენ, მაგრამ ველარა სჭამდნენ.

ლეიტენანტი გივი და ელენე დილიდანვე მუშებში იდგნენ და პატარა მაკრატლებით აკიდოებსა სჭრიდნენ.

გივი კარგს გუნებაზე იყო. ხუმრობდა, ოხუნჯობდა და თან მუსკატის მსხვილს მარცვლებს პირში იყრიდა.

— რატომ არ გინდათ მიპასუხოთ?.—შეეკითხა გივი და ელენეს თეთრს, მზეზე ამწვარ ბეჭებს თვალი გადაავლო.

— აბა, უყურეთ, რამოდენა აკიდია? ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი მტევანი აბია!—აიცდინა კითხვა ელენემ და მძიმე, აკუნწული ტოტი ლეიტენანტ გივის გაუწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივიმ აკიდო გამოართვა, მოიქნია და გოდორში ჩაანარცხა.

— ველური!—გაჯავრებული კილოთი წამოიძახა ელენემ, მაგრამ სახეზე მაინც რაღაც კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა.

— თუ ეგეც იცით, თუ გრძნობთ, რომ ველური ვარ, რატომ არ მიბრთხილდებით?—უპასუხა სახე ალეწილმა გივიმ და ელენეს მკლავში ხელი წაავლო.—ველურობა ხომ სტიქიაა? არ გეშინიანთ: სტიქიამ წაგლეკოთ?

ელენეს გაეცინა.

— არ მეშინიან და რა ვქნა!

— ეგეც კი მართალია!—უპასუხა დაღვრემილმა გივიმ—მე მხოლოდ ცარიელ კასრსავით ვრახრახებ!

ელენემ გულიანად გადაიკისკისა გივისაც გაეცინა.

— იცინეთ, იცინეთ! მარტო გიჟები და სულელები არ იცინიან! მაგრამ სიცილსაც ხომ თავისი საზღვარი აქვს? მე მინდა ჩემი ქარაფშუტობით და, თუ გნებავთ, თავხედობითაც, თქვენს სიცილს საზღვარი დაუდო. ხუმრობა იქით იყოს, ელენე, და მე...

— უყურეთ, სტუმრები სახლიდან გამოვიდნენ, წინ მინისტრი მობრძანდება, უკან-კი მხლებლები მოსდევენ! ალბათ, ვენახში ჩამოისეირნებს?

გივიმ ელენეს ხმაში ირონიული ჰანგი შეამჩნია და გაოცებით შეხედა.

— რა გაშტერებული მიცქერით?—ჩუმად შეეკითხა ელენე და ლეიტენანტ გივს თვალებში შეხედა.

— თქვენს ხმაში ითქოს ირონიამ გაიბზრიალა?

— ვსთქვათ, ასეც არის, მერე?—გამომწვევი კილოთი შეეკითხა ელენე და თვალებში რაღაც უცნაურმა ბოროტმა ციცხლმა გაურბინა.

ლეიტენანტმა გივმა მოულოდნელად სახეალეწილი, აფეთქებულ ელენეს შეხედა.

— მე ვფიქრობ, სასაცილო არაფერია! გარდა ამისა, თქვენი სიცილი მდგომარეობას ისე შეჰშვენის, როგორც ძროხას უნაგირი!—ბოროტად უპასუხა ლეიტენანტმა გივიმ და წამოდგა.

— ბატონო, ლეიტენანტო, თქვენ პასუხსა მთხოვდით! თუ ჩემი პასუხის მონელებას ადვილად შესძლებთ, მოგახსენებთ: მე ბოლშევიკი ვარ.

— ღმერთო ჩემო! „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა!“ ეგეთს საშინელს სიტყვებს რათ მეუბნებით, ქალბატონო ელენე! ხომ შეიძლება გული შემიწუხდეს! თქვენ? ბოლშევიკი?—ხარხარით წამოიძახა გივიმ და ელენეს მკლავში სწვდა.

— მომწყდით თავიდანა!—შეჰყვირა ელენემ. მკლავი ხელიდან გამოჰგლიჯა და ვაზის რქა ნერვიულად ხელში აათამაშა.

გივი გაშეშდა. რაღაც უცნაური, ტყვიასავით მძიმე გრძნობა გულს ბნელად შემოეხვია და წუთით გაელვარებული ნაზი გრძნობები ჩაუფერფლა. ნაღვლიანი სევდიანი თვალებით ელენეს უცქეროდა, უცქეროდა ამ ახალგაზრდა ქალს,

რომელიც წუთის წინ სისხლს უმღელვარებდა, და თითქოს ველარა ცნობდა. რალაც უცნაურმა, თავისი წარმოშობით გაუგებარმა გაბოროტებამ მთელი მისი გრძნობები ერთბაშად თითქოს თავდაყირა დააყენა. ქალის მოკვდეებული სილამაზე ერთბაშად სადღაც გაჰქრა, დაიკარგა, უფსკრულში ჩაიხედა. ჯიზღი ტყვიასავით, ცივი ზიზღი გულს აებლანდა და საიდანღაც სიღრმიდან მოწოლილმა გაბოროტებამ სისხლი აუმღვრია. ეუეუნა, ნაკვერცხალივით მოელვარე თვალები ეხლა თითქოს უაზროდ და ტუტუცურად გამოიყურებოდნენ. ჭორფლიანი ცხვირიც მოღრეცილად მოეჩვენა. მზისაგან ამწვარი ზურგი აჰქეცოდა აქა-იქ გადამძვრალი ტყავიც გამხდარ ბეჭებზე სასაცილოდ გამოიყურებოდა. თითონაც როგორღაც ბატსავით გაჩაჩხულიყო და ცალმხარეს გამხდარი ბეჭი კუზივით ამოეგდო. დაღებული პირიდან ჭიანაჭამი კბილი შავად გამოიყურებოდა. კბილები ჩამპალი ჰქონია გაუელვა თავში ბოროტმა აზრმა, რომელმაც ლეიტენანტს გივის სახე მოულრიცა და შეუშალა.

გივიმ მძულვარებით სავსე თვალებით ერთხელ კიდევ გადახედა ელენეს და ვაზებიდან ბილიკისკენ გაემართა.

— გივი!—მოესმა უკანიდან ელენეს გაბზარული ხმა.

— რა გნებავთ?—შორიდან შეეკითხა გივი.

— ახლო მოდით!—ალერსიანი კილოთი უთხრა ელენემ და ხმა აუკანკალდა.

— მე ყურთ არ მაკლია და მანძილზედაც კარგად მესმის;—უკმეხად უპასუხა გივიმ—მიბრძანეთ, რა გნებავთ?

— მე მინდა, მეგობრებად დავრჩეთ!

— არასოდეს!—აღშფოთებით მოუჭრა სიტყვა გივიმ და სახეზე ალმურმა გადაურბინა.—ჩვენი გზები ერთმანეთს სამუდამოდ დაშორდა. ბოლშევიკი!—ბოროტად ჩაიცინა კბილებში ლეიტენანტმა გივიმ და ვაზიანიდან გავიდა.

ელენემ ლეიტენანტ გივის ამღვრეული თვალი გააყოლა, სიბრაზით ტუჩი ჩაიკვნიტა და ნერვიულად რქა მოგრიხა:

მინისტრმა თავისი მხლებლებით ვენახი დაიარა. ქაიხოსრო ვაზის ჯიშებს აჩვენებდა, თვითეული მათგანის თავისებურებას უხსნიდა და თან ყურძნის ყუფხლებს აწვდიდა. მინისტრი აქა-იქ გლეხებს გამოელაპარაკა და ცოტა-ხნის შემდეგ გზაზე გავიდა, სადაც მას უკვე შებმული ეტლი უცდიდა.

ილო თანდილაშვილი თავისი შვილებითა და რამდენიმე გლეხით იქვე შორიახლოს იდგნენ. ლეიტნანტი გივი ღობის ბოძს მიჰყუდებოდა და ნაღვლიანად გასცქეროდა ელენეს, რომელიც ქაიხოსროს გვერდით იდგა და შეშმუხვნილი სახით მინისტრს ათვალიერებდა.

მინისტრი ქაიხოსრო შავგულიძესა და ელენეს გამოემშვიდობა, გულუხვი მასპინძლობისათვის მადლობა გადაუხადა და ეტლისკენ გაემართა.

ეტლთან მინისტრს ვილაც აბურძგვნილი აკონკილ ფარაჯაში გახვეული გლეხი გადაელობა.

— სად მიძვრები, ბრუციანო?—სწვდა გლეხს მილიციის უფროსი და უკან დასწია.

— მოიცა, კაცო, ამ ყმაწვილს ორიოდე სიტყვა უნდა მოვახსენო!—შეუბღვირა ბრუციანმა მილიციის უფროსს და მკლავი ხელიდან გამოჰგლიჯა.

— ხო სთქვი, რა გინდა?—ღიმილით მიუბრუნდა მინისტრი და კისერი ცოტა არ იყოს თავმომწონედ მოიღერა.

— თუ შეიძლება, ყმაწვილო, ცოტა აქეთ გამობრძანდი, [illegible] მოგახსენო! ბევრი არაფერია, სულ რამდენიმე წუთი მაჩუქე, [illegible] ჩვენი ძლევის ქედის მადლი!

მინისტრმა წარბები შეიკრა, თვალები მოუსვენრად გააცეცა და განზე გადგა.

— აბა, სთქვი ეხლა, რა გინდა?

ბრუციანმა კისერი წაიგრძელა, თავისი ცალი თვალი მოჭუტა და საიდუმლო ხმით მინისტრს ჩასჩურჩულა:

— მე ის უნდა მოქეხსენებინა, ბატონო, ე ბოლშაკები რომ მოდიან. აი ჩემ ნაფუზარს ხომ არ წამართმევენ?

— რაო? ვინ მოდიანო?—შეუტია მინისტრმა და ტუჩები ნერვიულად აუცახცახდა.

— ბალშაკები, ყმაწვილო, ბალშაკები! ამბობენ ციმბირი გადმოუვლიათ და ეხლა ლეკებში არიანო. ხო და, იმას მოგახსენებდი, ყმაწვილო, ნასწავლი კაცი ბრძანდები, მინისტერი კაცი ბრძანდები, შენ უფრო კარგად მოგეხსენება! იმ შემოდგომას ი ჩემს ნაფუზარს ბარე ორმოცი ურემი სასუქი დავაყარე. ეხლა მეუბნებიან, ბალშაკები მოვლენ და წაგართმევენო!

— ვინ გეუბნება?.

— რა ვიცი, ვინ არ ამბობს, შენი ჭირიმე! შენ როგორ გგონია, განა აქ კი არ გაჩნდნენ ბოლშაკები! აი, მაკრინე რომ არის, ქვრივი დედაკაცი, აი დევდურაანთ რძალი, იმი შვილი ბაკონა-კი, გახა, ბოლშაკი არ არის? ზოგჯერ ისეთ-ისეთებს ამბობს ხოლმე! იმ დღეს აი აქ, შავგულიძიანთ ეზოში მომასწრო მირტყა და მირტყა! მაშ, როგორ იქნება, ყმაწვილო? ი ბალშაკები რომ მოდიან, ნაფუზარს არ წამართმევენ?

— გადაეკი იმასაც, ვინც ბოლშევიკების მოსვლის ამბავი გახარა, და დანარჩენებსაც, რომ ჩვენს მთავრობას საკმაო ძალა აქვს მტრის მოსაგერებლად. არხეინად იყავით, ვერავინ ვერაფერს წაგართმევს!—ტკეპნით წარმოსთქვა მინისტრმა და ერობის თავჯდომარისა და მილიციის უფროსისკენ გაემართა.

— ოხ, შენ-კი გაიხარე, ყმაწვილო, მაგ ლაზათიანი სიტყვისთვისა!—ღრეჭით უპასუხა ბრუციანმა და მგლური ნაბიჯით ვენახისკენ გაძუნძულდა.

— ამ კაცის ნალაპარაკევს ყურადღება მიაქციეთ!—მიუბრუნდა მინისტრი ერობის თავმჯდომარესა და მილიციის უფროსს.—თუ მაგან იცის, რომ აქ ბოლშევიკური პროპოგანდა მიდის, თქვენ რაღა დაგემართათ?—უკმაყოფილოდ შეეკითხა მინისტრი ერობის თავმჯდომარეს.

— როგორ არ ვიცით, ბატონო მინისტრო! ზოგიერთები მაინც მეტად წათამამდნენ სულ აღარ გვეპოვებიან; რაიმე ჩვენს საზარალოს რომ გაიგებენ-სულ თვალები უბრწყინავთ და იცინიან!

— მერე, რას უცქერით?—უკმეხად გააწყვეტინა სიტყვა მინისტრმა, რომელსაც რაღაც შინაგანმა ტკივილმა და სიმწარემ მთელი სახე მოულრიცა.—

როდესაც მაკნაირად მოცინარ ადამიანს დაინახავთ, მაშინათვე ხელი უნდა სტაცოთ და ეგრე მოლიმარი სახით გომურში შეაგდოთ! იქ მოჭკვიანდება!—ბოროტად დაუმატა მინისტრმა და ამ სიბოროტემ გადაფითრებული და გაცრეცილი სახე აულეწა.—სახელმწიფოს აშენება თეთრი ხელთათმანებით არ შეიძლება დაუმატა ბოლოს დაბალის ხმით მინისტრმა, რომელმაც მოაჯირთან ატუზულ ელენეს სახეზე უკმაყოფილო გამომეტყველობა შეამჩნია და ამ უკანასკნელი საბოდიშო სიტყვით თითქოს ჰსურდა მძიმე შთაბეჭდილება გაექარწყლებინა.

— ბოლშევიკები ყოველთვის არ იცინიან, ზოგჯერ ისინი ბოროტად და გესლიანად გამოიყურებიან, ბატონო მინისტრო-ჩაურთო სიტყვა ლეიტენანტმა გივიმ და თავისი დამცინავი თვალები დაღვრემილ ელენეს გადაავლო.

მინისტრმა ლეიტენანტი გივის სიტყვებს იდუმალი აზრი ვერ გაუგო და დაუმატა:

— სულ ერთია! მაშ, ეგრე! იმ ბიჭს კარგად თვალყური ადევნეთ და, თუ რამე შეამჩნიოთ,—მინისტრმა ხელი შეკუმშა,—ხომ გესმით?

— მესმის, ბატონო მინისტრო!—უპასუხა მილიციის უფროსმა და მინისტრს სამხედრო სალამი მისცა.

— ნახვამდის!—ერთხელ კიდევ გამოესალმა მინისტრი მასპინძლებს, ეტლში ჩაჯდა, ლეიტენანტი გივი გვერდით მოისვა და ოთხცხენიანი ეტლი ქღარუნით შარასკენ გაქანდა.

უკან თქარა-თქურით ცხენოსანი მილიციონერები მისდევდნენ.

* * *

ქაიხოსრო შავგულიძე ცუდს გუნებაზე იყო. დაღვრემილი სავარძელში იჯდა და ხელში უგემურად კრიალოსანს ათამაშებდა. მინისტრის წვეულებამ მასზე საზოგადოდ მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა. ქაიხოსრო შავგულიძეს ცხოვრებაზე თავისი საკუთარი, მთლიანი შეხედულება ჰქონდა შემუშავებული და მინისტრის ოფიციალურ ოპტიმიზმს არ იზიარებდა. იგი მტკიცე, ენერგიულ სალ კლდესავით მაგარ მთავრობას მოითხოვდა, ისეთს მთავრობას, რომელიც სოფლის სოციალურად ღონიერს ელემენტს დაეყრდნობოდა. თითონაც, როგორც კი შეეძლო, ამ გზით მიდიოდა. თუ გლეხებს მეურნეობის მოღონიერებისა და გაუმჯობესების სურვილს შეამჩნევდა, რითაც კი შეეძლო, ეხმარებოდა-მაგრამ განკერძოებული ადამიანის მკრთალი მუშაობა მას საკმარისად არ მიაჩნდა. ქაიხოსრო შავგულიძეს ჰსურდა, მთელი სახელმწიფოს მართველობა ამ აზრით გამსჭვალულიყო და უდრეკად, თამამად და არა მორცხვობითადა ბოდიშებით გამდიდრებისკენ წასულიყო, თუნდაც უსასტიკესი ექსპლოატაციის გზითაც ქაიხოსროს ამ ექსპლოატაციის არც რცხვენოდა, არც ეშინოდა.

ამის ნაცვლად მან სახელმწიფოს წარმომადგენლისგან მხოლოდ განყენებული ფრაზები და პოლიტიკური სენტენციები მოისმინა. აგონდებოდა მინისტრის გესლიანი, სარკასტიული სიტყვები. მისი დამცინავი გამოხედვა, თავმომწონედ მოღერბული კისერი და ეს მოგონება გულს ბოროტად უტოკებდა.

ქაიხოსრო შავგულიძეს უცბათ ლეიტენანტი გივის ორ-აზროვნად გადაკრული სიტყვები მოაგონდა, თვალწინ ცოცხლად წარმოუდგა ელენეს ალეწილი კოპებ-შეკრული სახე და გულში რაღაც საშინელმა ეჭვმა გასჩხვლიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ელენე!—გასძახა დისწულს მეორე ოთახში და თავისი ცივი თვალები კარებს მიაშტერა.

ელენე კაბინეტში შევიდა და კედელთან აიტუზა.

— რა გნებავთ, ძია?—მტკიცე, მაგრამ ცოტა ამღელვარებული ხმით შეეკითხა ელენე.

— ის რა სთქვა წელან გივიმ? მისი როგორლაც ორაზროვნად გადმოსროლილი სიტყვა არ მომეწონა!

— ლეიტენანტმა გივიმ მინისტრს მოახსენა, რომ მე ბოლშევიკი ვარ.

— მერე, მართალია?—სამარისებული ხმით შეეკითხა ქაიხოსრო და გადაფითრდა.

— მართალია!—ყრუდ უპასუხა ელენემ.

ქაიხოსრო შაკგულიძე კარგა ხანს სავარძელში გაქვავებულსავით იჯდა. მერე ჩახლეჩილი ხმით დისწულს მიუბრუნდა.

— რითაც-კი შემეძლო, გეხმარებოდი, შვილო! თუ შენი საკუთარი, დამოუკიდებელი გზა აგირჩევია, ჩემს დახმარებას აღარ უნდა საჭიროებდე. წადი და თვალით აღარ დამენახო!—ცივად დაუმატა ქაიხოსრომ და თვალებზე ხელები მიიფარა.

ელენე ჩუმად ოთახიდან გავიდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

უკანასკნელი ხატისკაცი

თავები პოემიდან

საბინდო მთიდან მოდევდა ავდარს,
მინდვრებზე ნისლი დადგა ავნისლა,
ცაზე საავდრო ღრუბლები ჩანდა,
როგორც წარბები ამირანისა!

ცას აღარ ესხა ბუდეშურები,
აგვიანებდა წვიმა შემოსვლას,
მთა გორებიდან ეშურებოდა
შეჰოლამებულ ბინდს და ცხენოსანს!..

ამოყოლია მოხდენილ ჭალებს,
ამოუვლია შორი ხეობა,
და მთვარესავით მოხეტიალე
ხეივნის ჩრდილში მოირეხოდა!

ტან მორჩილს შფოთით მოაქვს გზა-შარა,
მტვერი დარჩება მანძილს გავლისას.
ჩამოივაკა, მუხლი გაშალა,
გაიმართა და გაიხალისა!

მართლად გივლია გზები თეთრონო,
შემორჩენია მათრახს ფოჩები,
შეგხებია და შეთრთოლებულხარ,
შეკრავ კამარას და გამოჩნდები!

შორით ხე-ტყეს და გავლილ გზებს ტოვებ,
ნიავმა ქაფი მოსტაცა ლაგამს,
— აანთებ ბინდში ნალს და ნესტოებს
და დაჯერებულ ნაბიჯებს ადგამ!..

მოარხევ მხედარს და ცხენოსანი
ბინდებით ალბად დარდებს აგრილებს...
— შენ გიხაროდა სადღეოსავით
— ის გაჰყურებდა ცაზე გრაგნილებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გრაგნილები ქარმა სიავით
გადაათეთრა ნისლის თაროდან
— ველზე მორბენალს გავდა ნიავი.
მიისტვენდა და მიიჩქაროდა!

იქნებ მიჰქონდა წყევლა ყამარის,
ან გრძნეულივით ნესტანის რიდე.
მთებზე ღრუბლები მოდგენ ფრთამალი,
მოქონდათ წვიმა და დარდებს ცრიდენ!

ხეხილისა და ხე უხილონი,
მოდევდენ მაედარს მოშრიალენი.
მოდგენ მინდვრები რჩეულ ზრდილობით
და იმერული სოფლის შარები!

წყალს უკეთებენ კედელს, ან ჯებირს,
— ეზოებს ირგვლივ აკრავს ყორენი —
— ყორეს გამხმარი ადევს ჯარჯები
და მოდგომია კარს საქონელი!

გალალებულან ნაბალახევი
და მოარწევენ ჯიქნებს მადლიან,
— ჭიშკართან ჩანან — ყაბალახებით,
ჩერდებიან და ისევ დადიან...

ჩაუვლის შარებს მგზავრი გვიანი.
ორღობეებში ჩაიკარგება...
ძაღლებს ფეხის ხმა აღიზიანებს,
გაჰყეფენ გზებს და მგზავრის ნატერფალს!

* * *

სოფლის შუაგულ მკლავ ჩახვეული ჭადრები ჩანან გუმბათებივით,
რამდენი მგზავრი უჩრდილებიათ, რტოს ვერ ურხევდენ უმართებულოდ!
ტრიალ მინდორზე დადინჯებული დგანან ვაჟკაცურ ხელგაშლილები,
რომ ფარშევანგის ბოლოებივით გადაილანდოს ველმა ჩრდილები!
ხან შემოდგება რტოზე რიჟრაჟი და ცვარს დაიბერტყს დილა სისხამი,
ხან ეხეთქება გათავხედებულს: ქარი, ავდარი და ქარიშხალი! —,
ხან დაუბერავს ფოთლებს ნიავი გზები, რომ იწვის პაპანაქებით,
დგებოდა მგზავრი შორი გზიანი და ჩრდილი იდო დაბლა ნაქები!
და დაჰყურებდა მგზავრს მორიდებულს წმინდა გიორგი-ძალდიდებული!!...
ეხლა იმ ადგილს დგას ნასაყდრალი და ჭადრის ჩრდილი კვლავინდებური!..
გუმბათზე ჯვარი გადატეხილა და შეხიზვნია საყდარს ურჯულო,

და ისევ არხევს ფოთლებს ნიავი, მიარხევს რტოებს და ჩაჩურჩულებს!..
შებინდებისას გატეხილ ჯვარზე ყვავი შეჯდება და დაიჩხავლებს:
ამ გზებით ბევრი მგზავრი წასულა, ამ გზითვე ეხლა სხვა მგზავრები წავლენ
და მოსწორებულ სასაფლაოზე ქვები შენდობას ველარ მოგახსენებ
ხვედრი მიწისა ორიოდ ადლი ახსნის ბაგეს და გეტყვის რომ ყოველს:
აქვს დასაბამი და დასასრული, რომ ყოველივე ცვალებადია,
რომ მეგზურები სხვა გზას ეძებენ, მაგრამ იმავე გზაზე დადიან!
რომ დაცემული მგზავრების სწრაფვა, გზებზე ანთია კვლავ სანთელივით
და განწირულთა დაკარგულ საფლავს ჩაუვლის კვლავაც გზა გათელილი!

. . . . . .

* * *

გამოვუცვალეთ სოფელს იერი, ყანებს ბილიკი და მისამართი,
ავყარეთ მიჯნა და გულიდანაც ამოვიყარეთ ჯავრი სამანის!
ხელის გულივით გავშალეთ ირგვლივ ყანა და ველი შემორაგული,
ერთად შევკრიბეთ, ერთი სახლისთვის კერძო მიწა და კერძო აგური!
ვაივაგლახით, გულის ტკივილით, ძლივს დავივიწყე ზრუნვა საჩემო,
ძლივს მოვკალ ფიქრი საკუთრებისთვის შემოხვეული მუდამ გარშემო!
— და საკუთარი სისხლითვე მიიხ[illegible] უნდა ვაშენო!
— თორემ გლეხები [illegible] გარეშე ფეხზე ვერას დროს ვეღ დადგ[illegible]
და სარტო კაცი ქართულ ანდაზას ჭამაშიაც კი შებრალებია!
ვარღვევდით ღობეს, ვშლიდით სანახებს, მაგრამ გულივე გვეურჩებოდა,
დავძლიეთ ტკივილს და ავაშენეთ უფრო მაღალი მეურნეობა!!
— სხვა სიხარულით შრიალებს ჩალა, სხვა სიხარულით პურის ნათესი.
— დაქუცმაცებულ მიწებში ჩადგა მეურნეობა უპირატესი!
და გაიმართა გლეხი უმალვე — უკარმიდამო ან და ცალხარი,
ძლევამოსილი ჩადგა სოფელში მეურნეობა ახალთახალი!!
მაგრამ ახალი საქმიანობით გახარებული ყველა როდია,
აწუხებს ზოგს, რომ გლეხნი ძველებურ მათ ბეგარაზე ველარ მოდიან!
ქოხებთან გზები გამოიცვალა, გარს ძველებურად ველარ ურბენენ,
მიმხვდარან უკვე დღე დაეთვალა მშრომელი გლეხის მტრებს და წურბელებს!
თუნდ ხატისკაცი!.. — სათქმელი ითქვა და ფანჯარასთან შეირხა ჩრდილი —
წარბ შეუხრელად დაგვჯახებია ჩვენივ ოფლით და სისხლით გაზრდილი!..
მოგვეძულდა ყველას სიმართლე ითქვას, ან და რა არი აქ დასამალი,..
მიდიხარ ლაღად გაშლილ ველებზე და შიგ შუაგულ გხვდება სამანი!
ხავსმოდებული, დაბერებული, ხიშანი ძველის და საკუთარის —
უნდა გაჩერდეს მანქანა მის წინ უნდა მობრუნდეს ახლად გუთანი!
დევს მინდვრად, როგორც ულელტეხილი, ან გარდუვალის გამოვლინება,
დგას ხატისკაცი მიჯნის მოთავედ, გამდგარა განზე და მოინება:
მარტო გადუდგეს წინ მთელ სათემოს, მარტო ებრძოლოს ათასიანებს,
— ამგვარი მტერი ან უნდა მოვსპოთ, ან ჩვენ თითონვე დაგვაზიანებს!..
სიმინდი ჩვენგანს ვის არ უმარგლავს, ვის არ შეხვდება ხშირად ამგვარი;

დგას ხუთიოდე დაჩაგრულს შუა ტანაყრილი და მაღალთაგანი!
მას მოუსწრია დაულვაშება და რტოებს ურხევს ქარი მეფურად,
მის ჩრდილ ქვეშ სხვები ვეღარ გაზრდილან, გალეულან და, გაყვითლებულან —
მივა გლეხი ლ ბ თოხს აიმაღლებს, უნდა გააგდოს გახზე თავნება.
— თვალს გადაავლებს ვაჟკაცის მოდგმას და მოსაჭრელად დაეინანება!
რა მედიდურად იგრილებს რტოებს! და შეჩერდება გლეხი წუთიერ,
ან უნდა მოჭრას, არც კი დაფიქრდეს, ან განადგურდეს ირგვლივ ხუთივე!..
მის სასარგებლოდ გული თუ არი, მაგრამ მეურნე. მაინც არ იშლის —
საქმე თავდება ხმების უბრალო უმრავლესობით და ანგარიშით!..
— და დაცემულა, როგორც ალვის ხე, ან მუხა ძველი და ნამეხარი,
გდაწოლია ბელტებს ულონოდ, მზეს ძველებურად აღარ შეჰხარის!..
გათავებულა, როგორც ვაჟკაცი ნატყვიარი და მტრებთან დიდგული,
ზენაქარს ვეღარ დაუზნექია მუხლნაყარი და მხრებ დაჩიდული!
— იმ დარჩენილ ხუთს, გაყვითლებულებს, და ავადმყოფის სათუთ სახიანს
მზე დაუნახავთ გახელილ თვალით და ნაწვიმარზე დაუძახნიათ!
რაკი მოჩრდილე მოცილებიათ გალაღებულან იმ ღეროსავით,
ავარდნილან და დამშვენებულან, დაიმალება შიგ ცხენოსანიც!..
— უნდა მოშორდეს თემსაც მოჩრდილე, დარბაზში თარგმნეს უწინ სათქმელი,
უნდა მოშორდეს; მეც მაგას ვამბობ გლეხის კისერზე ულლის დამდგმელი!
უნდა მოშორდენ ხატისკაცები კოლმეურნეთა გაშლილ სანახებს,
კანონიც ამას დაგვიდასტურებს, ადრევე უთქვამს და გვიკარნახებს:
კოლექტივების მთლიან უბნიდან მტერი ძირიან გადაასახლეთ!..
გარედ ელვები გზებს ანათებენ, და უცებ სადღაც იკარგებიან...
— შვილი?—ოჯახი?..— ესმის სარკმელთან გარინდებულ ლანდს ხშირად კრებიდან.
— შვილიც, ოჯახიც, უნდა მოგვშორდენ ხატისკაცები დედაბუდიან! —
— დავტოვოთ შვილი? — მამა დარჩება, შვილი ხომ მამას ნერგად უდგია!..
ჩემი ტოლია, ჩვენთან გაზრდილა თითქო საჩვენო ფეხიც აუდგამს,
მთელ თემში არვის დაუვარდება, რას ემართლება გლეხი აუგად! —
მაგრამ ადრევე ავუღეთ ალღო. მტრის გასახარად როდი ვირჯებით,
ადრე გავდევნეთ კომკავშირიდან, ადრე დავშორდით ტოლი ბიჭები;
ადრე მივუგდეთ სკოლის კარები, წიგნით ღარიბი მოვამარაგეთ.
ასე ამბობენ: სოციალიზმში ვერ შეეზრდება ტოლ ამხანაგებს!
შავი აქვთ მოდგმა და საბოლოოდ ვერ შეგვეზრდება მაშასადამე.
აყარეს სხვებმაც და არ უკითხავთ სად წავიდენ და სად გადაშავდენ!
მათთან საომრად გლეხს სად ცალია, თავის საქმესაც ვერ აუდიან,
შვილიც, ოჯახიც ხატისკაცები უნდა მოგვშორდენ დედაბუდიან!

***

უკანასკნელი სიტყვების აზრი
ხატისკაცს თითქო არც შეხებია,
მკლავებში თავი ჩაემხო ბრაზით,
ასხამდა წვიმა ფართო მხრებიანს!
დაკბენილ ხელებს სისხლი ჟონავდა,
სისხლს გადაევლო თვალთა გუგანი,

ქართული ბიბლიოთეკა

მიჰმართა ცხენს და ნაბიჯს ოდნავად
მოტეხილობა აჩნდა უგვანი!
დაკეტეს ყველა გზა სასიკეთო,
მას დარდის მეტი რაღა მიჰქონდა
— გაუტკაცუნა მათრახი თეთრონს
და შემოევლო უმალ თითონაც!..

* * *

„ზოგს ჩირაღდანი უნათებს ნაბიჯს ზოგს ენატრება ჭრაქი ან კვარი
ჩემთვის არ იყო ციცინათელაც ბნელში დამიდგეს შავი აკვანი
განა თუ სადმე მადლია, ოხრდები ახალ გაზრდობავ,
დაემგვანები ადრიან გაპარტახებულ ნასოფლარს
— შენ ჩემო ცხენო იალალს ვეღარ წაგიყვან მარქაფად,
დამრჩები ოხერტიალად, ვინმე კალოში გაგაბამს!
— დაიქეც მიწავ, რომ უკან მომდევდენ ქვა და ლოდები,
იტყვიან: ღვარებს მოუკლავთ ვაჟკაცი ცათა ოდენი!!
ნაბიჯს ხომ ვეღარ ვახერხებ, ჩამლეწე თუნდა გრიალით,
სადმე ხრამებში ჩამხერგე ცხენ-კეთილ-უნაგრიანი!
ზარივით ჩაიზრიალონ უზანგებმა და დეზებმა,
შავმა ყორნებმა იხარონ ვაჟკაცის ძუძუმკერდზედა!
ერთხელ არ მოგვკლეს, მდურავში სურდათ სულ ცრემლი გვენამა.
— წეწონ თმები და ულვაში ზენაჭარმა და ქვენამა!..
...ასე გასძახის ღამეს მხედარი და მხრებზე წვიმა ასხამს ჩაფურად.
შემოუგდია შავი ნაბადი ხატისკაცს მხარებზე მამაპაპურად,
და წაუშლია შარები ლეშტერს, ცხენი მუხლამდე ლაფში ჩაფლულა,
ტყეში მოგავდა აპლოდისმენტებს გახშირებული წვიმა შხაპუნა!
— დილით გაივლის მგელი ბალახზე და დაბერტყილი ცვარი დაცვივა,
და ეცემიან ქარტეხილებით, დაცემულებში ერთი კაცი ვარ,
შემომეყინა სისხლი ძარღვებში, ახალგაზრდული მკერდი გაცივდა,
დავიბადე და ოდიდან დამყვა გაუტანელი ბედის დაცინვა!
— გულში დადუღდა ბოლმა უცეცხლოდ, თვალს უშტერებდა ღვარი და რეში,
მიუშვა თეთრონს, გზებს ამოდაღა უკანასკნელი კაცის თარეში!
მათრახთან კიდევ გაიშხუილებს: ქარი: შხლიანი და ქარკეთილი,
გაანათებენ ველებს ელვები, გარბის თეთრონი თავაწყვეტილი:
კაცი არ არი შემფარებელი, ჭიშკრები ჩანან გადაკეტილი,
უკანასკნელი სანთელიც ქრება, ხატისკაცების ჩამქრალ ეტლივით!
... და ზრიალებდა დეზი უზანგზე, თეთრონს ნაკრავი ტკიოდა ათგან,
სარკმლიდან ხშირად გადმოხედავდენ, თვალს მიეფარა გამქრალი მათგან,
თუ იყო მგზავრი გაკვირვებოდათ, მაგრმ მოგზაურს არავის გავდა,
შარებს ცხენ ხეთქით ჩამოუქროლა და ქვის ჭიშკართან ქაქანით დადგა!
ქოფაკმა ერთი შეჰყეფა მხედარს, მერე ღმუილი აღმოხდა ჯავრად,

— ცხენს გადმოევლო, შეაღო კარი ძაღლს უკვე ეცნო პატრონის გული.
ინჯით სავსე დახვდა ონჯარო, რა მადლიერად ხვრინავდა თავლა.
შეშურდა ხარის ბედიც უბედურს—ადამიანურ ცხოვრების ნაცვლად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მიიჩქაროდა ლანდი ოდებთან,
გადაიარა ეზო ანაზდად.
და ხატისკაცმა საბრის ოდენა
თვალები სახლში შემოანათა!

მოირხეოდა, როგორც ხარდანი
და მოეჩვენა კარებში შემდგარს:
კერაზე აღარ ენთო ღადარი.
კერასთან ორი მოხუცი თვლემდა!

მოხუცებს არც კი შეეპასუხა,
კარზე ჰკიდებდა ახდილ ჩაბალახს,
წამოწვა ტახტზე შეწუხებული
და ბალიშებზე თავი ჩაძალა!

— მამა სადღაა!?—კიდევ შეირხა
ცეცხლთან მოხუცი მხრების კანკალით...
— მთაში დავტოვე შებინდებისას,
ცოტაღა ჰქონდა ქერი სამკალი!

— რადღა დატოვე ტრიალ მინდორზე,
რითღა ჩამოვა, სად შეიფარებს?!..
— ნეტავი აღარც ჩამოვიდოდეს
ერთხელ სიკვდილით დავწყდებით ბარემ!

თორემ დღეში ხომ გული სამოცგან
დაგვსერვია და წვალებით ვწუხვართ...
— თქვა ხატისკაცმა, ფეხზე წამოდგა
და შემოუჯდა ჩაფერფლილ ბუხარს!

და ჩააცქერდა მოხუც ბაბუას
ამოღებულს, რომ გავდა მიწიდან,
მოღლილი დევი ცეცხლთან დაბმულა,
მოტეხილა და საწყლად მიხრწნილა!

— ეჰე თქვენ მაინც ბევრს მოესწარით,
ახალს ილბალი ახლავს ნაკლებად,
ადრე დამეცა გულზე ნესტარი,
ადრე დამძახეს გადასახლება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაოსრულებელ გზათა მნახველებს,
გაგიყენიბენ სხვა გზას ავდრიანს,
მალე სოფლიდან გაგვასახლებენ.
სადმე შორეთში გაგვაგზავნიან!

— ეგ რა თქვი შვილო, ხომ არ მახელებ?
ჯავრს ნუ მიმატებ ათას ჯავრიანს?,
— ასე სთქვის მალე გაგვასახლებენ.
უცხო თემებში გაგვაგზავნიან!

— სად გაგვზავნიან??—ადგენ კანკალით
და ჩააჩერდენ თვალებს ჩონჩხები...—
სადღა ვიარო აქვე დამკალი,
გამათავე და ბარემ მოვრჩები!

სადღა ვიარო სიცვდილს ვილოდი
და ჩემი მიწის გამთბარ სამყოფელს...
ვერ გავიხარებ სხვისი მდელოთი
ჩემ შავ მიწაში არ დამამხობენ!...

***

ჩამდგარა ქარი ავდარიანი,
წამოქცეულა ხი მსხმოიარე...
— სად გვაგზავნიან ადამიანო!? —
ეს მერამდენჯერ შეშოგხრიალებს,

მოხუცი ისევ წიხს დავრდომილი,
შემოგხრიალებს და შეშფოთდები,
სადღაც სათქვენო ჩაქრა ცდომილი
და უმთვაროში შეშრენ ფოთლები?

— კრებაზე თქვეს და ალბად ახდება!—
— შეხედავს ზიცას, შურით, მოწმენდილს,
— ჯანდაბას იქეთ, გახრან ძაღლებმა
ჩვენი ძვლები და გული-ხორცმეტი!

***

. . . . . .

გაგიტყდა ძილი, თვალ მოტყუებულს გარიჟრაჟამდე მოგდევს გულის ხმა:
ჯერ კიდევ დროა გადარჩენისთვის უკანასკნელად ღონეს თუ იხმარ.
ვიდრე აგყრიან ამ მიდამოდან, ვიდრე გულდაგულ მოვლენ ბიჭები,
— უნდა გაშორდე დაწყეველილ სახლკარს, უნდა დატოვო მშობლების ჭერი!—

თორემ ინგრევი უიმედობით უნუგეშო და გულგატეხილი
და წინაპრების შავი ტალახი შემოგაყარა სუსხმა თელხივით!
— თითონ გაუხდი მამას მოსაზღვრე, თვითონ ჩაუგდე მმობელს საბანი,
გინდოდა სოფელს არ გათიშვოდი, ტოლებს სალამი მოეცათ შაინც...
— რას არ ეცადე, რა არ ილოხე, და ძაინც არა გამოვიდა რა,
— ყველამ იპოვა გზა სასურველი, შენთვის კი ალარ გამოიდარა!
უნდა გაშორდე დაწყევლილ სოფელს, ვერ გაიხარებ მაინც მათ ახლო,
უნდა წახვიდე ვიდრე აგყრიან, რომ სამუდამოდ გადაგასახლონ,
გადაიკარგე სადმე თითონვე შენივ ლონე და მკლავი დაგარჩენს,
კვლავ ცადე ბედი ერთხელ თუმცაღა დამარცხდი ბედის ცდაში ათასჯერ!
— გერჩია ადრე გეჭრა მადანი, ან ნავთიანი ჭალა გებურღა!
გაშორდი დროზე დაწყევლილ სოფელს თითქო ხელახლა დაბადებულხარ!
პატიოსანი შრომით და ჯაფით იქნებ მიგიღონ სხვებმა ერთგულად,
გახედე ირგვლივ, დიდქვეყანაზე რამდენი შეხებრ შეფარებულა!!...

*
* *

ჯერ ისევ მთვარის ჩრდილი იდგა ძირს...
რომ გამოალო ალი ოდისა,
დაადგა უცნობ გზას ხატისკაცი,
სახლკარს გაშორდა ალიონისას!

განთიადის ჟამს ამინდი მოთბა
და ფრინველები სადღეოს ნიშნად,
საგარეჟრაჟოს ამბობენ ხოტბას:
რიჟ-რაჟ!.. რიჟ-რაჟ!...

ო, თეთრი თვალით გამტყდარო ღამევ,
რამდენის დარდი გაგყვა ბინადრად!
გადაიმართენ ჩრდილები ცამდე
და ცისამარა დღეს გაგინათა!

მგზავრმა ბევრი გზა გადაიგრილა,
— გზები: ულრანი და კლდეღრიანი.
აყვირებულხარ ხევში ყვირილავ,
შეხეთქებიხარ ტალღებს ღრიალით!

გაჭრენ: ტალღები, რომ გაცისფერდენ
და კალმახები ძირს დაცურავდენ...
— ერთად გივლიათ ორმაძიებელს.
წყალს და ხატისკაცს ჰიათურამდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოიტოვე მთები — იმხელა,
მოდიხარ შავი და შავქვიანი,
— ვეფხის ტყაოსნურ ფესვის სიმღერა
და იმერეთის არაგვიანი!

და ხატისკაცის ცხოვრებასავით
აკვნიდან თეთრად მომდინარეობ,
ჩაივაკებ და მოგყვება შავი
დაცემულო და მობინდნარეო!..

ვინ მოვა ხევში გზიდან სამზირო,
გვერდს იმედებით არ აგიაროს!
— ადიდებულო, სისხლით ავსილო,
და იმერეთის არაგვიანო!!

* * *

. . . . . .

ოცი შეტეხა ქარმა კარები, მეოცდაერთეს ანგრევს ჭრიალით,
მეოცე წელი გაგსრულებია, დამშვენებულხარ მხარბეჭიანი!
— რამდენჯერ გზაზე ფეხი შეადგი, გზა დაგახვედრა ბედმა მოჭრილი.
— ბოლოს უცნიხართ ადამიანად: შავქვიანი და ხელდაკოჭრილი!
მიჩერებიხარ თვალ გადუწვდენელ. მთებს ბინდებში, რომ ჩაშავებულან,
მიანგრევ მთებს და სახელ განთქმული მაღაროში ხარ შარშანდებურად!
— გამოდიოდი გვირაბებიდან, ჯერ ისევ მიწის თაღი გეხურა,
— კართან ეწერა წითელ დაფაზე შენივე გვარი ბატიფეხურად!
— მაშასადამე შენც კაცად გთვლიან. გამორჩევიხარ ათას შავტუხას!!
ოთხი წელია უჯრედმა გიძმო, გამოგცვალა და გადაგადუღა!!
ჯაფამ და წლებმა ძლივს დაგავიწყეს განვლილი წვალების საშინელება.
მიგიღეს ტოლად და ამხანაგად ამხანაგებმა აწინდელებმა!!
დაბადებულხარ მათთან ხელ ახლა, სწორი, გამტანი და ღირსეული!
გადაგილახავს მკლავით და სიტყვ თ გრძნობა და ფიქრი მამისეული!
— შხამად შეგერგოს მაღაროს ჰავა, მტრად გადაგექცენ ამხანაგები,
თუ მოწინავე რიგში არ წახვალ, თუ ღირსეულად არ განაღდდები!
გადააშავებთ ლოდებს სიღრმეში, გადაირღვევა ღამე ტიალი.
ზოგჯერ გაძნელდა, სხვები ჩამორჩენ, შენ კი ეთხელაც არ შეტრიალდი,
წინა რიგებში მობრუნებულხარ მკერდ გაღეღილი და ნესტიანი!!

* * *

. . . . . .

უკანასკნელად გაანათებს ცა გაცრეცილი
შავ მიდამოებს დაცემულს და მაღალ მთებიანს,
გაყვება გორებს შავი ბინდი მარგანეცივით
და ლაჟვარდები დარდებივით ჩაღამდებიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელა დაეშვება მთებზე საბინდური,
ველებს გადაივლის გადაილანდება....
იდგენ და ელოდენ ხენი გარინდულნი
რტო რომ დაულეწათ ქარმა დილანდელმა!

იდგენ და ელოდენ ახალს მოულოდნელს,
დაღლილ გიშრებივით ბინდში გალეულნი,
ტყეებს ჩვეულებრივ დარდად მოუგროვდენ
იდუმალება და ნისლი ღამეული!

და მთაგორებში ჩაკარგული ინაბდებიან
მაღაროები—შეფენილი სათოფურებად,
—კარგამოკეტილ დადუმებულ გვირაბებიდან
უკანასკნელი ბინდიც აღარ გამობრუნდება!

ხევში მდინარება ისმის მიმალული,
ჩალის ჩამღერებას ხმა რომ მიამგვანა...
და ნაპრალებიდან როგორც სინანული
ნიავს შენელებულს მიაქვს იავნანა!...

მთვარე გაანათებს მთებზე დაბჯენილი:
ხეებს უჩვეულო ჩრდილი დამართოდათ...
—მთებზე დაუმდნარი თოვლის ნაჭერივით
თეთრი შენობები ჩანდენ სამადნოდან!

. . . . . .

*
* *

სძინავთ საერთო საცხოვრებელში ჯაფით დაქანცულ მაღაროელებს,
მიუახლოვდი დაბალ მოაჯირს, ხელი დაჭკარი და გადმოევლე.
მოდიხარ, როგორც მსჯავრდადებული და შემოაღე კარი შმაგივით,
აანთებ სანთელს და სურვილივით უკანასკნელი აზრი გაგივლის:
აცნობო უჯრედს საშინელება გულში უბრალოდ აშლილ სატკივრის!
აიღებ კალამს და მაგიდაზე შემოუჯდები გაშლილ ქაღალდებს,
უკანასკნელი ღამე თენდება, ხვალ იქნებ შენთვის არცკი დაღამდეს...
—როგორ გაგტეხა ბედმა უპირომ და მოგიყვანა კაცი აქამდე.
რომ ყველა ხიდი ჩატეხილია და სიცოცხლისთვის აზრი გაღმა დევს!
შეხედავ ტახტზე მძინარ მეზობელს—უდაოდოდ ძინავს და იშმუშნება...—
—გაივლის დრო და მოსვენებულ კაცს, შენებრ უბრალოდ დარდი უჩნდება!..—
შენც ყოფილიყავ ტოლამხანაგი რად აგირიდეს მადნის მუშებმა,
—რითღა იცხოვროს ქვეყნად ირემმა უკანასკნელი წყალიც თუ შრება!?

ზის ხატისკაცი ნათელ ოთახში, ჩამოწოლილა შავი კოშმარი,
წერს და ღამეულ დუმილს შეარხევს უკანასკნელი კალმის მოსმანი...
— ჯერ ელექტრონი არ ჩამქრალიყო, ჩირაღდანს გავდა ეზო, ჩახჩახა!!—
— იქნებ მერჩია ამგვარ ღამეში ზოგიერთივით მევლო ყაჩაღად!..
— განთიადისას გავიდა გარეთ და ქარმა კარი შემოაჯახა....

უკან ერთხელაც არ მოუხედავს: ტახტი, რომ იდგა განმარტოებით—
კარის ხმამ ფეხზე წამოაყენა ძილ გატეხილი მაღაროელი,—
მიმოიხედა: არავინ ჩანდა,—კარია ღია: თითქო ელამი..—
წინ უწესრიგოდ დაყრილ ფურცლებზე ჯერ გაუმჭრალი იყო მელანი...
— უმალვე იცნო ხელი დამწეოის, და გაიფიქრა ამდროს სად არის?!—
სად წავიდოდა შუაღამეში, რა ექნებოდა ამოსატანი?!...
და ჩააცქერდა გაშლილ წერილებს—განთიადამდე უდგა სანთელი
— გადაიკითხა აღელვებულმა მეგობრის ფიქრი უკანასკნელი:

. . . . . .

იყო ტალღებში მტვრევა ნავების და ნაფოტების გამოტირება...
ვისაც იმედი არ დაუკარგავთ, ისინი დარჩენ მარტო გმირებათ!
როცა მარტოხარ ამ ქვეყანაზე. მარტო კაცს მეტი ღონე გჭირდება!—
დიდია სწრაფვა წყალწაღებულის ხავსს, რომ იმედით მოეჭიდება!—
წაიღებს საწყალს სიცოცხლის სწრაფვას ჩაუქრობს სადმე წყალი ლოდებთან,
ხელებში ბღუჯად შერჩება ხავსი და უკანასკნელ ცდაში მოკვდება!
თვალ ამღვრეული ახედავს მაღლა, ღია თვალებში ცაა დიდივე,
წაიღებს წყალი და გზების ახლო მგზავრებთან სადმე ატივტივებს!
დიდია სწრაფვა წყალწაღებულის ხავსს, რომ იმედით მოეჭიდება,
როცა მარტო ხარ ამ ქვეყანაზე—მარტო კაცს მეტი ღონე გჭირდება!!!.

• • •

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერცელ გააზოვი

ფეთგანი*

რომანი

წიგნი პირველი. ნაწილი მეოთხე:

„ძველი ანგარიში"

3

— „დავიდის ფარი" გადაშლის ისტორიის ახალ ფურცელს — იტყოდა ხოლმე ხშირად ნათანი.

მაგრამ ეს არ იყო მისთვის ცარიელი სიტყვები. ნათანს ღრმად სწამდა, რომ არამც თუ ახალი ფურცელი, „დავიდის ფარს" უნდა შეექმნა მთლიანად ახალი ისტორია.

მას, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელს, სხვანაირად ვერც წარმოედგინა და ამიტომაც გასაგები იყო, რომ ნათანი დიდი ტემპერამენტით, ენერგიით და თავდავიწყებული გატაცებით შეუდგა იმთავითვე მუშაობას.

მუშაობა მას ვერ წარმოედგინა დეკლარაციის გარეშე; მისი აზრით საჭირო იყო, რომ გარშემო მყოფთ სცოდნოდათ თუ რა სურდა „დავიდის ფარს" და უპირველეს ყოვლისა იგი მივარდა ქალალდს და შეუდგა წერას.

როცა დეკლარაცია მზად იყო და ამხანაგებს წაუკითხა, ისინი ტაშისკვრით შეეგებენ, რაც ნიშნავდა მის ერთხმად მიღებას.

დეკლარაციის ტექსტმა მოხიბლა ჯგუფის წევრები აღფრთოვანებული სიტყვებით, ახალგაზრდული ცეცხლით, გამბედაობით, ბრძოლის წყურვილით და იმ გარემოების დაუსრულებელი ხაზგასმით, რომ რევოლიუციის ისტორია საქებრაელთა ქუჩაზე იწყებოდა „დავიდის ფარით".

აქ უფრო მეტი იყო ზოგადი ამბები, ვიდრე კონკრეტულად დამუშავებული საკითხები, მაგრამ ეს გარემოება არ აწუხებდა ნათანს და ხშირად იმეორებდა:

— დეკლარაციას არ უყვარს დეტალები. დეკლარაციასა და გეგმის შორის არის დიდი მანძილი.

მაგრამ ვიდრე იგი შეუდგებოდა გეგმის დეტალურ დამუშავებას, უკვე დეკლარაციითაც თვალსაჩინო იყო, რომ ნათანს სურდა მოეწყო რაღაც „გრანდიო-

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" №№ 1—2, 4, 5, 6—7, 8—9, 10.

ზული“ ცენტრალური აპარატი „კულტურის სახლის“ სახელწოდებით, რომელსაც უნდა თავი მოეყარა ყველა დაქსაქსული ძალებისათვის, შემოეკრიბა ესოდენ საჭირო ერთეულები, რომლებიც გაფანტული იყვნენ აქეთ-და, გაერთიანებული ძალებით დაეწყოთ განხორციელება იმ გეგმისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ერთი ცხადი იყო: მთავარი ყურადღება უმთავრესად მიქცეული ჰქონდა კულტურის საკითხებს, ხოლო ფართო მასების ეკონომიური ყოფაცხოვრების გარდაქმნა და გაუმჯობესება „დავიდის ფარს“ მოქცეული ჰქონდა დეკლარაციის უკანასკნელ სტრიქონებში.

გეგმაც წავიდა დეკლარაციის გზით:

ცხრაწლედები, წერაკითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის საალკვიდაციო ჯგუფები, ქოხსამკითხველოები, კლუბები, დრამატიული წრეები, მუსიკალური, სასპორტო და სამუზეუმო სექციები. პერიოდული და არა პერიოდული გამოცემები და... საკუთარი სტამბაც კი.

ბოლო სტრიქონებში:

სასოფლო სამეურნეო არტელები და კომუნები, წვრილ ვაჭართათვის საგადასახადო შეღავათები, კოოპერატივების ქსელის გაშლა და უმუშევართა შიგ ჩაბმა.

გეგმის ავტორს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ არც თვითონ და არც მისი ამხანაგები ამ ბოლო სტრიქონებს არ აქცევდენ სერიოზულ ყურადღებას ორის მიზეზით: ჯერ თვითონაც არ იყვნენ კარგად გარკვეულნი თუ რა სურდათ და მეორე არც სწამდათ, რომ ასე ადვილად შესაძლებელი იყო საქართველოს ებრაელთა ფართო მასებისათვის ახალი ეკონომიური საძირკველის აგება. მიუხედავად ამისა ეს პუნქტი გეგმაში მაინც ირიცხებოდა.

ნათანს სურდა, რომ „დავითის ფარი“ ყოფილიყო კორპორატიულ პრინციპებზე აგებული და ამიტომაც შეიმუშავა მტკიცე შინაგანი განაწესი წევრთათვის, რის შემდეგაც „დავიდის ფარი“ მონათლულ იქნა კორპორაციად.

კორპორაციის წევრებმა შეუკვეთეს ჟეტონები, რომელზედაც დახატული იყო ორი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული სამკუთხედი და ჩამოიკიდეს ზედატანსაცმელების მარჯვენა მხარეს.

იკრიბებოდნენ თითქმის ყოველ საღამოობით, უმთავრესად—ნათანის ოთახში, სადაც ერთმანეთს უამბობდენ, თუ რას ლაპარაკობდა ფეთხაინი კორპორაციის შესახებ.

ხოლო ფეთხაინს სინამდვილეში უყვარდა ბევრი ლაპარაკი.

და მთავარი იყო დაცინვა:

— შაულ ათანელი შვილს უნდა საპოჟნიკობა ასწავლოს ჩვენს ხალხს. ნათან ჯანაშვილს კი დოხტურობა და არტისტობა.

— ასეა ძმაო. ნათქვამია: უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო.

— ჩამოუკიდიათ გულზე მაგენ-დავიდები, ვითომ ძალიან კარგი ისრაელები ვართო და უნდათ ამით თვალები აგვიხვიონ.

— წვერს იპარსავენ, შაბათს სტეხენ, ტარეფას სჭამენ და მაგენ დავიდით უნდათ გაგვაბრიყვონ.

— არ დაუჯეროთ არც შაულს და არც ნათანს. მაგათზეა ნათქვამი: გინდა ქვა ქოთახსაო და გინდა ქოთანი ქვასაო.

მაგრამ არც შაულ ათანელიშვილი ჩამორჩებოდა ფეთხაინის კორპორაციის კრიტიკულ შეფასებაში:

— ინტელიგენტები არიან, ღარიბ ხალხს ეუბნებიან: „მოიცა ვირო, გაზაფხულზე იონჯა მოვა და გაძღებიო“. ჯერ უნდა ხალხს ასწავლონ და მერე უნდა პური აჭამონ. მანამდე?

ან და კიდევ:

— სტუდენტებსაც დაუწყიათ ჩვენი ხალხისთვის „ზრუნვა“. გეგმაში, სადღაც კუთხეში მიუწერიათ არტელები და კიდევ რაღაც რაღაცეები. იმათ ხმაურობა უფრო უნდათ, თორემ ეს დანარჩენი აძეები გახგებაა ბიგ ჩაწერილი.

ან:

— მართალია იმათ სწავლა აქვთ მიღებული, მაგრამ ღობე ყორეს მიდებას სჯობია პირდაპირ მოვიდენ და ნახონ თუ რა გააკეთა „პირველმა ნაბიჯმა“. მაშინ ეცოდინებათ თუ როგორ გამოიყენონ თავისი სწავლა.

და ბევრი ამისთანა ამბები, ლაპარაკი და მითქმა მოთქმა მოსდიოდა კორპორაციას ფეთხაინის მდიდრებისა და ღარიბებისაგან.

მაგრამ ფანატიკური რწმენა, რომ საბოლოო ჯამში უნდა გაიმარჯვოს „დავიდის ფარმა“ იყო ის ძალა, რომელიც არ უტეხდა მათ გულს და მოუწოდებდა მათ შემდგომი ბრძოლებისათვის.

და ამ რწმენით დღეები მიჰქროდენ, კვირეები ილეოდენ და თვეებიც აპირობდენ დათარიღებას, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ყოველ მათგანისათვის არ გადაიქცა უდაოდ ის დებულება, რომ ყოველ დიდ საქმეს თან ახლავს თავისი წვრილმანები და რომ ხშირად ეს წვრილმანები ისე თვალსაჩინონი ხდებიან, რომ ისინი ამოტივტივდებიან ხოლმე ძლიერი ძალით ზედაპირზე და დაუხდობლად წალეკენ უმთავრეს საქმეს, რომლის ადგილსაც მოურიდებლად და უსირცხვილოდ თვითონ ეს წვრილმანები დაიკავებენ.

● ● ●

ყოველ მათგანს სურდა თავის გამოჩენა.

იურიდიულად ისინი ერთგვარი უფლებებით სარგებლობდენ: ყველანი სტუდენტები იყვნენ. ამის გამო რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება, მეორეს „მეს“ მიაყენებდა საგრძნობ შეურაცხყოფას და ამიტომაც განუწყვეტლივ სტკეპნიდენ ერთ და იმავე საზღვარს.

ნათანს კარგად ესმოდა, რომ დისციპლინისა და პირადი „მეს“ შეთავსება ეს ისეთივე უბადრუკი ცდა იყო, როგორც ცეცხლისა და წყლის შეზავების სურვილი; მიუხედავად ამისა უდაო იყო ორივე ჭეშმარიტება: უდისციპლინობა შეუძლებელი იყო, ხოლო „მე“-თი ყოველი მათგანი უხვად იყო დაჯილდოვებული.

დაიწყო სულ უმნიშვნელო წვრილმანიდან იმ დროს, როდესაც კორპორაციას სადისციპლინო წესები ჯერ კიდევ არა ჰქონდა შემუშავებული.

ამხანაგები ეწვიენ ფოტოგრაფს, რომელსაც უნდა გადაეღო კორპორაციის შემადგენლობა.

ჩვეულებრივად ექვსივენი აქ ივნენ:
არიელი, აბიშათ, იონა, [illegible]ები, სიმონი, ნათანი.

ივარცხნიდენ ომას და ისწორებდენ ტანსაცმელს.

— აბა მოეწყეთ—მიმართა მათ ფოტოგრაფმა.

როგორღაც ბუნებრივად ნათანი დაჯდა შუაში. ერთ გვერდზე დაიჯდინა ცები, მეორეზე არიელი, აბიმაი როგორც დაბალი ტახით, ... წიო ჰატარა ქვაზე, ხოლო სიმონი და იონა, ტანით მაღლები, უნდა დამდგარიყვნენ ფეხზე, ამხანაგების უკან.

სიმონს არ მოეწონა ორივე გარემოება, რომ ნათანი შუაში ჩაჯდა და რომ სიმონი იძულებული იყო ფეხზე მდგარიყო უკანა რიგში.

„უკვე დაგვაჯდა თავზე ეს პროვინციელი"—გაიფიქრა სიმონმა, მაგრამ ხმა არ აძოუღია და პირსახე აევსო მრისხანებით.

რამოდენიმე დღის შემდეგ სურათი მზად იყო. თითქმის ყველანი გამოსული იყვნენ დამაკმაყოფილებლად გარდა სიმონისა, რომელიც იცქირებოდა საშინელი ნრისხანებით და არა ადამიანური სახით.

— ვიზე იყავი, სიმონ, გაჯავრებული?—სიცილით შეეკითხენ თითქმის ყველანი.

ამ ამბავმა, რომ იგი სურათში ცუდათ გამოვიდა უფრო გააჯავრა სიმონი და ხმამაღლა განაცხადა:

— ამისთანა სურათი მე არ მინდა. ჩემს წილს არც ერთს კაპიკს არ გადავიხდიო.

ამხანაგებმა იცოდენ სიმონის ხასიათი და აღარ აუხირდენ.

ამბავი მაინც თავისთავად ყველას საწყენად დარჩა.

გავიდა ცოტა ხანი.

კრებაზე ხელმძღვანელობდა ნათანი, მოადგილეობა დავალებული ჰქონდა ცების, ხოლო მდივნობა და მოლარეობა აბიშაიმ.

შეჭუშავებული წესის მიხედვით კრებაზე დაუსწრებლობისათვის ან დაგვიანებისათვის შემოღებული იყო ფულადი ჯარიმა პირველ ორ შემთხვევაში, ხოლო გაფრთხილება გარიცხვამდე ხელახლად განმეორების შემთხვევაში.

სიმონმა დაიგვიანა ორჯელ და აბიშაიმ, როგორც მოლარემ წაუყენა ანგარიში.

სიმონი სასტიკად განრისხდა და ქაღალდი თავზე გადაახია.

აბიშაიმ დააყენა კრებაზე სიმონის საქციელი და ნათანის წინადადებით სიმონი ამჟამად გაანთავისუფლეს ფულადი ჯარიმიდან, ხოლო აბიშაისთან უხეში საქციელისათვის გამოეცხადა კორპორაციის საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

სიმონი ისევ სასტიკად განრისხდა, მაგრამ დაემორჩილა უმრავლესობის გადაწყვეტილებას და გულში ჩაიდო ეს ამბავი.

რამოდენიმე დღის შემდეგ სიმონი გახდა ხშირი სტუმარი ზებულონისა, რომელმაც სიმონის წყალობით, დეტალურად იცოდა კორპორაციის ავი და კარგი.

როცა ეს ამხანაგებმა გაიგეს, სასტიკად დაიბნენ და აღარ იცოდენ როგორ მოქცეოდენ. გამორიცხვასაც ვერ ბედავდენ და გამოურკვეველი მდგომარეობის დატოვებაც საძნელო იყო. ყოველ შემთხვევაში სიმონმა აშკარად შეამჩნია, რომ ზოგიერთ საკითხზე ამხანაგები ერიდებოდენ მასთან ლაპარაკს.

ერთ დღეს კრებაზე იგი მოვიდა მთვრალი.

აბიშაი ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა კრებას და საჭირო იყო შემცვლელი მდივანი.

— მე ვიქნები—განაცხადა სიმონმა და კალმისტარს წაავლო ხელი.

— ეს არ შეიძლება—განრისხდა ნათანი.

— რისთვის არ შეიძლება, ყმაწვილო?—შეეკითხა სიმონი ისეთი კილოთი, რომელშიაც გარკვევით ისმოდა მუქარა.

— იმისათვის რომ კრება არსებობს ფხიზლებისათვის და არა მთვრალებისათვის.

— სცრუობ. მე მთვრალი არა ვარ...

— შენ არცხვენ კორპორაციის წევრის სახელს.

— ხმა აღარ გავიგონო მეტი, თორემ შენი ჯავრი ისედაც ყელში მაქვს მოწოლილი ამდენი ხანია და მგონია ახლა დადგა დრო გასწორებისა.

ამხანაგები ჩადგენ შუაში:

— დაწყნარდი, სიმონ, არ გრცხვენია? წადი გამოიძინე.

სიმონი მთლად აიშალა:

— როგორ ბედავთ, თქვე ასეთ ისეთებო? ილაპარაკეთ რაც სათქმელი გაქვთ. მიმალავათ არა? გეშინიათ ზებულონს არ გადავცე, არა? თქვენ გგონიათ ეს პროვინციიდან ჩამოთრეული უფრო ღირსია, არა? მე თქვენ გეკითხებით, ვინ გდია ნათას ჯანაშვილი, რომ ის თავმჯდომარედ ავირჩიეთ? მაგან საყვედურების გამოცხადება იცის. მიმიშვით მეთქი, დავუჟეჟო მაგას პირისახე...

ამხანაგებმა მოკიდეს ხელი და ძალით გაიყვანეს.

სიმონი თუმცა მთვრალი იყო, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ ეს იყო როგორც ფაქტიური, აგარეთვე მისი ფორმალური ჩამოშორება კორპორაციიდან.

მისი გასვლის შემდეგ ამხანაგობამ გამორიცხა სიმონი თავის შემადგენლობიდან და ამის შემდეგ ექვსის ნაცვლად დარჩენ ხუთნი.

ნათანმა მწუხარებით გადახედა ამხანაგებს და გულში გაუელვა:

„ვაი თუ... ხომ არ არის სიმონი პირველი მერცხალი? ხომ არ მიჰყვება სიმონს მეორე, მესამე, მეოთხე? ხომ არ დაინგრევა „დავიდის ფარი“ ბაბილონის კოშკივით და ხომ არ გამართლდება გარე მტრების სისინი, რომ კორპორაცია ეს არის ქარის მოტანილი ხუხულა, რომელსაც ისევ ქარი გააქროლებს უკან?“

ცების თვალებში ნათანმა წაიკითხა, რომ ისიც დაახლოებით ასეთ ფიქრებში იყო გართული და რომ გაეფანტა მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც შეიქმნა სიმონთან მომხდარი ინციდენტის ნიადაგზე, მიმართა ამხანაგებს:

— ჩამოვუშვათ ყურები თუ გავაგრძელოთ მუშაობა?

რაზედაც მიიღო ამხანაგების პასუხი:

— გავაგრძელოთ. რას ჰქვია ყურების ჩამოშვება.

— ვინც წასასვლელი იყო, წავიდა.

— ჯაშუში მაინც აღარ გვეყოლება ჩვენს წრეში.

— ასე ვთქვათ, მშვიდობიანად გადავიტანეთ ბრმა ნაწლავის ოპერაცია.

ამის შემდეგ ისინი შეუდგენ მორიგი საკითხების განხილვას, თავიანთი აზრების დაუსრულებელ გამოთქმას. მაგრამ ყოველი მათგანი კარგად გრძნობდა, რომ მაინც ახსოვდა მომხდარი ამბავი. როგორიც არ უნდა ყოფილიყო სიმონი, მაინც ამხანაგი იყო. ისინი მცირერიცხოვანი იყვნენ და ყოველი ერთეული მათთვის აუცილებელი იყო. ისინი ერთად ჩამოშორდეს ზებულონს და აი. არ გაუვლია ცოტა ხანს და სიმონი უკვე გაიქცა მასთან, რის შემდეგაც არ შეიძლებოდა, რომ თითოეულ წევრს არ მიეცა თავისთვის ასეთი შეკითხვა:

„ოაშია საქმე? სად არის ნამდვილი მიზეზი?"

ეძნელებოდათ შერიგებოდენ იმ აზრს, რომ მიუხედავათ მათი კარგი სურვილებისა, ნათანთანაც გრძელდებოდა ისეთივე ატმოსფერა, როგორიც იყო ზებულონთან. მეთოდებშიაც ნათანი ცდილობდა დაახლოვებით მიებაძა ზებულონისათვის. მაშასადამე აქ გრძელდებოდა ისევე ძველი და მათ კი სურდათ რაღაც ახალი.

ეს აზრები არ იყო ჯერ კიდევ ნათლად და გარკვევით ჩამოყალიბებული მათ შემეცნებაში, მაგრამ გაუბედავად და მკრთალად, ზედაპირზე დასცურავდა ამისგვარი ეჭვები, რომლებიც ჯერ ვერ ნახულობდენ თავის სათანადო გამოხატულებას.

ოდნავი სიახლე ზებულონის დროსთან განსასხვავებლად მოჩანდა იმაში, რომ „დავიდის ფარს" შაულ ათანელიშვილისა და მისი საწარმოოს „პირველი ნაბიჯის" სახით გამოუჩნდა ახალი მებრძოლი.

თავდაპირველად „პირველ ნაბიჯს" ვერ ამჩნევდენ, უკედ, არ სურდათ შეემჩნიათ. მაგრამ თანდათანობით, საწარმოოს ზრდასთან ერთად, შაულის საზოგადოებრივ ფრონტზე მოულოდნელ ამოტივტივებასთან, კორპორაციის წევრებს გულში დაუწყო უცნაურმა შიშმა ღიტინი:

„ეს ბიჭი უფრო შორს წავა, თუ დროზე არ მივიღეთ ზომები".

მაგრამ როგორი ზომები? არ იცოდენ რა უნდა ექნათ და დასცურავდენ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებში:

— იქნებ გამოვნახოთ მასთან საერთო ენა და ერთად შეუტიოთ ფეთხაინის დამყაყებულ უსულგულო მდიდრებს?

— საერთო ენა... ვისთან? ფეხსაცმელების მკერავებთან და ვიღაცა უსწავლელ შაულ ათანელიშვილთან?

— ამისათვის ვსწავლობთ უნივერსიტეტებში?

— შაულს რომ უკვე ხალხი მისდევს?

— ვინ ხალხი? ღარიბები და გაკოტრებულები? მაგრამ განა მარტო ესენი შეადგენენ ისრაელის ხალხს?

და რასაკვირველია, ხალხი, რომელიც აზროვნობს უნივერსიტეტის კედლებში მოხვედრის საზომით, არასოდეს არ გაუტოლებს თავს კულტურულ ფრონტზე „უკანონოდ შობილ" ახალ პირებს, რომლების კატეგორიასაც მათი აზრით უეჭველად ეკუთვნოდა შაულ ათანელიშვილი.

ყოველი დღე, ყოველი საათი და ყოველი პირი, რომელსაც მოჰქონდა მათთან ამბავი „პირველი ნაბიჯის" და მისი გამკის შიღწევებისა—აფეთქებდა მათ ახალგაზრდა გულებს და აქეზებდა მათ ყოველგვარი ნაბიჯებისაკენ, რომლებსაც შეეძლოთ მათი აზრით ამ „არანორმალური მდგომარეობის" ჩანასახშივე აღკვეთა-

ნათანი ხედავდა, რომ კორპორაციის „მუშაობის“ მთელი სიმძიმე ბოლო დროს დაექანა „პირველი ნაბიჯის“ წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ თითქმის მივიწყებულ იქნა თავდაპირველად განზრახული გეგმები, რომ წვრილმანები, შური და უპრინციპობა იჭერდენ ამას იქით ცენტრალურ ადგილს და რომ ამას ნათან ჯანაშვილს ვეღარ უჯერის საჭე ხელში და მას კი აღარ მიჰყავს, პირიქით ის მიჰყვება ინერციით კორპორაციის საჭეს.

ნათანმა ეს უპრინციპობა აიყვანა პრინციპში და დააჯერა თავის თავი, რომ დღევა დელ ეტაპზე შაულ ათანელიშვილთან ბრძოლა წარმოადგენს ერთადერთ სწორ გზას, ვინაიდან ათანელიშვილის გეგმებში და საწარმოოში იმალება რაღაც საშიში აზრები, რომლებსაც შეუძლიათ დიდი, გამოუსწორებელი ზიანის მოტანა.

ახალციხელების და ცხინვალელების კანტორებს ზურგი ჰქონდათ ხალხში.

შაულ ათანელიშვილი აპირობდა ღარიბ ხალხში გამაგრებას და იმავე დროს ცხადი ხდებოდა, რომ ახალი მთავრობაც მის მხარეზე იყო.

ამის გამო შაულ ათანელიშვილი უფრო საშიში ხდებოდა, ვიდრე ერთად აღებული ორივე კანტორა.

და საკითხი კორპორაციისათვის იდგა ასე:

— ან „დავიდის ფარი“ ან „პირველი ნაბიჯი“.

● ● ●

ირაკლი გიორგაძეს არც ახსოვდა კარგად, თუ ვინ გააცნო პირველად იულია ბერგერი. საერთოდ მას არ უყვარდა შემთხვევით გაცნობილ ხალხთან გაცნობობის გაგრძელება. მით უმეტეს არ ჰქონდა ამის სურვილი იულიასთან, ომელიც არავითარ გამონაკლისს არ შეადგენდა და ერთი შეხედვით, ძნელი იყო, რომ იულიას რამეთი მიეზიდა ვისიმე ყურადღება.

ხშირად ხვდებოდენ ისინი ერთმანეთს ქუჩებში: იულია უცქერდა პირდაპირ სალამის მოლოდინში, ხოლო ირაკლი ჩაივლიდა ისეთი სახით, რომ თითქოს არც კი შეუმჩნევია.

ირაკლის ბრაზი მოსდიოდა თავის თავზე:

„რისთვის არ მყოფნის გამბედაობა, რომ სალამი მივცე. იგი ხომ სადღაც გაჰაცნეს. რას იფიქრებს ჩემზე? რა გაუზრდელი და ამპარტავანი ვინმე ყოფილა“.

იულიაც ჰფიქრობდა:

„ეს მგონი ნათანის ამხანაგია. რა დაუშავე, რომ სალამს არ მაძლევს?“.

და ასე გრძელდებოდა კარგა ხანს, ვიდრე ერთმა ღრუბლიანმა დღემ არ ითამაშა განსაკუთრებული როლი მათ შემდგომ ურთიერთობაში.

ამ ხანებში ამინდი ცვალებადი იყო და ქუჩაში მოსიარულე ხალხსაც სხვადასხვანაირად ეცვა: ზოგი პალტოებში იყო, ზოგი კოსტუმებში და ზოგიც მხოლოდ ხალათებში. ძნელი იყო წინასწარ განსაზღვრა თუ როგორი დარი იქნებოდა.

ტრამვაის გასაჩერებელთან, ერთმანეთისაგან მოშორებით ათი-თხუთმეტი ნაბიჯის მანძილზე იდგენ ირაკლი და იულია და ელოდენ ვაგონს.

იულიას ეცვა თბილად და ხელში ქოლგაც ეჭირა.

ირაკლის ეცვა საზაფხულო ხალათი და ეტყობოდა სცოლდა. სურდა რომ მალე მოსულიყო ტრამვაის ვაგონი, სახლში წასულიყო და პალტო გადაეცვა.

ვაგონი კი თითქოს ჟინაზე არ მოჩანდა. სამაგიეროდ ცაზე ერთი-ერთ არც ერთი მოწმენდილი ადგილი. სქელი და შავი ღრუბლები ერთმანეთს უერთდებოდენ ერთმანეთს და მოულოდნელი ელვაჭექა იყო უდაო სიგნალი იმისა, რომ მალე დაიწყებოდა კოკისპირული წვიმა.

თავის შესაფარებელ ეზომდეც დიდი მანძილი იყო და ირაკლის ეშინოდა გაციებისა.

წვიმა წამოვიდა დიდი ძალით.

იულიამ გახსნა თავის ქოლგა და ბევრი არც უფიქრია, მიუახლოვდა ირაკლის და თავს გადააფარა. ირაკლიმ დაბნეულად გაიღიმა.

— ჩვენ მგონია ნაცნობები ვართ. ხომ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო? —შეეკითხა მზრუნველობით იულია.

ირაკლიმ ძლივს მოახერხა:

— პირიქით... გმადლობთ... დიახ...

ვაგონი არ ჩანდა, წვიმა კი ძლიერდებოდა, გაჩერება უაზრობა იყო და იულიამ უთხრა ირაკლის:

— გავიქცეთ. ეს აღმართი ავირბინოთ და იქ ახლოს ვდგევარ. წვიმის გადაღებამდე ჩემთან შეაფარებთ თავს.

და იულიას, თითქმის არც დაუცდია პასუხისათვის, წაავლო ხელი და სწრაფი ნაბიჯებით აიძულა ირაკლი, რომ უკან გაყოლოდა.

ირაკლი ამჟამად არაფერზე არ ჰფიქრობდა. ჰქონდა მხოლოდ ერთი სურვილი, რომ წვიმას გადარჩენოდა, ვინაიდან ძალიან ეშინოდა გაციებისა. ხოლო როდესაც ის უკვე იჯდა იულიას თბილ და პატარა ოთახში, უნებურად გაიფიქრა:

„ვინ იცის რა გორი ყოფაქცევის ქალია. ადვილი შესაძლებელია, ისარგებლა შემთხვევით—წვიმით და შემომათრია თავის ოთახში“.

მეორე მხრივ:

„რომ იულია არა, ძალიან საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდებოდი ჩემი თეთრი ხალათით“.

ასე თუ ისე ცნობისმოყვარეობამ მაგრად წაავლო ხელი ირაკლის და შეუდგა ოთახისა და მისი პატრონის ყურადღებით შესწავლას.

ოთახი თბილი იყო, მაგრამ სადა ღარიბული. ეს ან უშლიდა ხელს, რომ ოთახი იყო სუფთა, მყუდრო, სასიამოვნო. ეტყობოდა იულიას ხელი.

სასტიკად გააოცა ირაკლი კედელმა: ლენინი, სტალინი, მარქსი.

„რა უნდა ამ სურათებს ამ ახალგაზრდა ქალის სახლში. ნუ თუ მართლა მას პოლიტიკა აინტერესებს?“

ირაკლის ცნობისმოყვარეობა თანდათან იზრდებოდა, როცა გადაშალა ერთად ერთი ალბომი, რომელიც იყო იულიას ოთახში: ეს არ იყო ჩვეულებრივი ალბომი ნაცნობების ღია სურათებით და სხვადასხვა მეშჩანური წარწერებით, ეს არ იყო ლამაზი სახეების კოლექცია, არც გამოჩენილ მხატვართა სურათები, არც ქალაქის სურათები, არც სოფლის... ეს იყო რაღაც განსაკუთრებული, რეა-

ლური, საშინელებათა კოლექციაა: პეტლიურას და დენიკინის დარბევების დროს დახოცილ დასახჩრებულ ებრაელთა ალბომი.

ფურცელი ფურცელზე გადადიოდა. საშინელებათა სიძლიერე იზრდებოდა: შეუბრალებელი ჰაიდამაკები. უდანაშაულო და უღონო ხალხი. გადატყავებული კანი. შამფურით ამომწვარი ასოები. კუბოები ასობით, ათასობით...

ირაკლიმ ველარ გაუძლო, გააჟრჟოლა, თმა ყალყზე დაუდგა და ალბომი სასწრაფოდ დახურა.

შეხედა იულიას, რომლის თვალები არც ისე ულაშაზო იყო, როგორც ეს წინედ ეგონა ირაკლის; დაუკვირდა უფრო ღრმად და კიდევ ახალი ხაზები აღმოაჩინა ირაკლიმ მათში: წაუშლელი სევდა და გაურკვეველი შიში.

და რომ დაერღვია სიჩუმე, ირაკლიმ განუცხადა იულიას:

— ეს ალბომი კი არა, საშინელებაა. არ შემიძლია გულგრილად ვუცქირო ამ სურათებს.

იულიამ ოდნავ გაიცინა, მაგრამ ირაკლი მიხვდა, რომ ეს არ იყო სიცილი, აქ იყო რაღაც მწარე ტკივილი, თან ბევრის მთქმელი.

ირაკლი ელოდა, რომ იულია აგერ აგერ დაიწყებდა და განმარტავდა თავის სიცილს, მაგრამ იულია, რომელიც გადავარდა წარსულის მოგონებაში, იდგა განუძრევლად და ფანჯრიდან მისჩერებოდა წვიმას, რომელიც აღარ აპირებდა გადაღებას. ბოლოს იგი თითქოს გამოფხიზლდა, მობრუნდა ირაკლისაკენ და უპასუხა:

— თქვენ ვაჟკაცი ხართ და არ შეგიძლიათ სურათს უცქიროთ. როგორ გაუძლეს ჩემმა თვალებმა, როცა ყოველივე ეს თითონ ნახეს?

და როცა იულიამ წაიკითხა ირაკლის თვალებში თანაგრძნობა, მაშინ განაგრძო:

— ღამღამობით, როცა მძინავს, მეზობლები ამბობენ, რომ მათ ესმით ჩემი კივილი, რომ მე ვყვირი: „მიშველეთ“. ეს გრძელდება უკვე მეოთხე წელი წადია. მე აღარა მყავს ქვეყნად არავინ: არც დედა, არც მამა, არც და, არც ძმა, არც ახლობელი, არც შორეული ნათესავი. პეტლიურას ჰაიდამაკებმა ყველანი ერთ დღეს ამოსწყვიტეს, ჩემი თვალების წინ. არ დაინდეს არავინ, არც დიდი და არც პატარა. სისხლით დაცლილი მკვდრების თვალები ისევ ვედრებას გამოხატავდენ. მე არ ვიცი როგორ გადავრჩი, რა იყო ეს: შემთხვევა თუ სასწაული, მაგრამ მე მაინც გადავრჩი, რომ ცოცხლად მეტანჯა და გულში მეტარებინა უბედური წარსული. მე აღარ შეშეძლო დავრჩენილიყავი უკრაინაში, ჩემს სამშობლოში, რომელიც მოირწყა უდანაშაულო ხალხის სისხლით და სრულიად შემთხვევით გამოვეშურე ტფილისისაკენ.

ირაკლიმ თვითონაც არ იცოდა როგორ მოხდა, წამოდგა, მიუახლოვდა იულიას და ხელზე აკოცა.

იულია დააცქერდა ირაკლის:

— თქვენ გულკეთილი ხართ, ირაკლი. მე კი სხვანაირი მეგონეთ.

— ყოველთვის ასეა. პირველი შეხედვით შეიძლება კაცი შესცდეს.—უპასუხა ირაკლიმ და შემდეგ განაგრძო:—მაშ თქვენ აღარავინ გყავთ?

— ნათესავები—აღარავინ. ისე—ნაცნობებიდან მდიდარი როზენთელდის ოჯახი, რომელმაც იჭკუა და დარბევამდე უშველა თავს უკრაინიდან გამოქცევით. ხანდახან შევივლი ავგუსტინასთან. ბავშობაში ჩვენ ერთად ვთამაშობდით და ესაა სულ, რაც გვაკავშირებს. სხვა არაფერი გვაქვს საერთო: არც ხასიათი, არც მიზანი, არც მსოფლმხედველობა.

— აბა თქვენ საშინლად განიცდით მარტოობას?

— არა. მე მყავს კოლექტიური ნათესავი.

— ეს როგორ?

— მე ეხლა პარტიის კანდიდატი ვარ და როდესაც ვმუშაობ უდიდესი მიზნებისათვის, ვიცი, რომ სიცოცხლე ღირს, უკედ რომ ვთქვა, ჩემი სიცოცხლე საჭიროა.

— თქვენ კომუნისტი ხართ? — შეეკითხა ირაკლი გაოცებით.

— ძალიან გაოცდით? ეჰ, ამხანაგო ირაკლი, ნება მომეკით ასე გიწოდოთ, თქვენში მხოლოდ ორი წლის ისტორია აქვს საბჭოთა მთავრობას. თქვეს, რომელთაც არ განგიცდიათ საკუთარ ზურგზე წარსულის საშინელებანი, არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ საბჭოთა სისტემა ეს არის ერთად ერთი სისტემა, რომელსაც შეუძლია მოსპოს მთელ მსოფლიოში უსამართლობა ეროვნული ჩაგვრისა და მდიდართა ექსპლოატაციისა. საბჭოების დამყარებამ გადაარჩინა ფიზიკურ განადგურებას დანარჩენი მილიონები. საბჭოების დამხობა — ეს იქნება ამ მილიონების საყასბოში გაგზავნა, ისტორიის ბორბლის უკუღმა დატრიალება.

ირაკლი ღრმად ჩააფიქრა იულიას სიტყვებმა, რომელსაც იგი ამბობდა გულის სიღრმიდან, ცხოვრების გაკვეთილით და გარდაუვალი რწმენით.

იულია აგრძელებდა:

— პარტია ეს არის ძალა, რომელიც იულიას სიცოცხლეს აძლევს შინაარსს. რომ არ ყოფილიყო პარტია, მაშინ ჩემი უნუგეშო ისტორია დამთავრდებოდა ჩვეულებრივი თვითმკვლელობით.

ირაკლის თვალებმა, რომელთაც ნათანი უწოდებდა „კურდღლის თვალებს“ უჩვეულო ძალით დაიწყეს თამაში; იულიას სიტყვებში მისთვის იყო ახალი აღმოჩენა ის გარემოება, რომ სასოწარკვეთილებამდე მისული ადამიანი გადარჩა ფიზიკურ დაღუპვას პარტიის საშუალებით.

„ნუ თუ მართლაც ბოლშევიკებს აქვთ ასეთი მაგნეტისებური ძალა“?

და მრავალი საღამოები დასჭირდა ირაკლის იმისთვის, რომ ეს დებულება მისთვის აქსიომა გამხდარიყო.

პროცესი კი დაიწყო იმავე საღამოს მოხუცი პროფესორი მელიტონ გობეჯიშვილის ლექციაზე.

ეს პირველი შემთხვევა იყო ირაკლის ცხოვრებაში, როდესაც მოხუცი პროფესორის ლექცია ველარ გაიგო, უკედ — არ მოეწონა.

პროფესორი თავის ახირებული კაზუსების გადასაწყვეტად ჰქექავდა განყენებულ ისტორიის მტვერს, რომელსაც სიცოცხლის ნასახი არ ეტყობოდა. პროფესორის აზრებში — მეცნიერება შორდებოდა ცხოვრებას და ირაკლის გონებაში უკვე ისახებოდა გაუბედავი პროტესტი.

მეორე დღეს, იულიას სრულიად არ გაჰკვირვებია, როცა მასთან ირაკლი შევიდა.

ერთმანეთის გულწრფელობაში მათ უკვე ეშვი აღარ ეპარებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ იულია ასრულებდა მასწავლებლის როლს, ირაკლი კი ბეჯითი მოწაფის როლს.

დაიწყო წიგნებიდან.

იულია პირველი ქალი იყო, რომელმაც მას გაუწოდა არა ბელეტრისტიკა, არაძედ ლენინის რჩეული ნაწერები.

ირაკლიც დაეტაკა მშიერივით ახალ მეცნიერებას, ახალ სამყაროს, როგორც კოლუმბი ამერიკას და აკვირებდა: რატომ წინედ ასე არ აზროვნობდა, როდესაც აქ ყველაფერი ასე ცხადად, ასე მარტივად, ასე დამაჯერებლად იყო თქმული?

შერცხვა თავის თავისა, რომ იგი ამდენ ხანს არ იცნობდა ლენინს და თავის სირცხვილს იკლავდა იულიას კალთებში.

იზრდებოდა დღითი დღე გრძნობა.

ლენინმა მასწავლებელს შეაყვარა მოწაფე, მოწაფეს-მასწავლებელი. მათ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, მაგრამ რა საჭირო იყო სიტყვა იქ, სადაც ჩაისახა უდიდესი გრძნობა გენიოსის დროშის ქვეშ?

ორივენი ჰგრძნობდენ, რომ მათი ურთიერთობა გადაიხლართა ისეთი მაგარი ჯაჭვებით, რომ მათი გარღვევა მათ ახალგაზრდა ძალღონეს აღემატებოდა.

არც ცდილობდენ.

იულიას გვერდით საათები მიჰქროდენ წუთებივით და ირაკლიმ იცოდა, რომ მისი გულიდან სქოლასტიკა სამუდამოდ განდევნა ცხოვრებამ.

შეიცვალა ირაკლის მსოფლმხედველობა.

შეიცვალა მისი პირადი ცხოვრებაც.

ირაკლის ცხოვრება წინედ მოთავსებული იყო სემინარებში.

ამიერიდან გაირღვა სემინარების რკალი და ირაკლი იმზირებოდა ვრცელი ჰორიზონტისაკენ, სადაც იგი შეხვდებოდა ლენინელებს.

ამიერიდან მან იცოდა რა იყო მიზანი, სად იყო ბედნიერება, რისთვის უნდა ებრძოლა.

და გული სიხარულით უფეთქავდა:

გული რომელიც ამიერიდან მოწიწებით ატარებდა იულიას სახელს.

● ● ●

ნათანს გაუკვირდა, როცა მასთან ირაკლი შევიდა. არ ელოდა. შეეჩვია ამ ბოლო დროს იმ აზრს, რომ ირაკლიმ იგი დაივიწყა. არამც თუ სახლში, თვით უნივერსიტეტშიაც ვეღარ ხვდებოდა, სადაც ირაკლიმ ამ ბოლო დროს გამოსტოვა მთელი რიგი სემინარების და ლექციებისა.

— მემდური არა, ნათან? — მხიარულად ჩაუცინა ირაკლიმ და მეგობრულად ხელი გაუწოდა.

— სად ხარ ირაკლი, სად? მოსწყდი ჩვენს ჰორიზონტს?

— პირიქით, ნათან. ეხლა ამოვედი ჰორიზონტზე. წინედ მოწყვეტილი ვიყავი, ეხლა-აღარა.

— არ მესმის.

— მოწყვეტილი ვიყავი, ისევე როგორც შენ ეხლა.

— მე?

— ჰო. აი ნათან, მიპასუხე აშკარად ერთ საკითხზე: შენ გაქვს მიზანი ცხოვრებაში? იცი რისთვის იბრძვი? და თუ იბრძვი დარწმუნებული ხარ გამარჯვებაში?

ამ მოულოდნელმა საკითხებმა, რომლებიც დააყარა სეტყვასავით ნათანს, იგი შეაშფოთა და დააბნია. თან გაიფიქრა:

„მიზანი როგორ არა მაქვს. მაგრამ ვარ თუ არა დარწმუნებული გამარჯვებაში“?

ირაკლი ელოდა პასუხს, მაგრამ ამაოდ. ამხანაგის სახეზე იგი კითხულობდა მხოლოდ გაოცებას და ხელოვნურ ღიმილს.

— დამუნჯდი, ნათან?

— მე მაინც არ მესმის, რისთვის დაგჭირდა ეს საკითხები. ამერიკა აღმოაჩინე?

— მე აღმოვაჩინე სიმართლე.

— რომელიც დღემდე არ იცოდი?

— არ ვიცოდი, ისევე, როგორც შენ არ იცი არც ეხლა.

— გინდა მასწავლო?

— მე მასწავლებლად ჯერ ვერ გამოვდგები. ამისთვის საჭიროა შეისწავლო ლენინი.

— ლენინი? — და ნათანი უფრო მეტის გაოცებით დააცქერდა ირაკლის, ვინაიდან ნათანის ღრმა რწმენით ამ სიტყვას უნდა მოჰყოლოდა კიდევ რაღაც ამბავი, კონკრეტული, ახალი.

ირაკლიმ პასუხის ნაცვლად გაუსწორა მეგობარს თვალი თვალში, მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და გაჩერდა უსიტყვოდ.

ამ სიჩუმემ ნათანი ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ ირაკლიში მოხდა გარკვეული ცვლილება და მოულოდნელად გაიფიქრა:

„რა უნდა იყოს ისეთი... ხომ არ დავკარგავ ირაკლის... მაგრამ როგორი ეგოისტები ვართ ადამიანები... უპირველეს ყოვლისა ვფიქრობთ საკუთარ თავზე“.

ხოლო ირაკლის თვითონაც მოჰკიდა ხელი, გაანჯღრია და უთხრა:

— აღარ იტყვი? — რაზედაც ირაკლიმ ჩუმად ამოიოხრა და ხაზგასმით შეატყობინა თავისი უკანასკნელი ნაბიჯის შესახებ:

— დღეს მივეცი უჯრედს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

ცივმა ოფლმა გადაასხა ნათანს და რეტდასხმულივით გაშეშდა. ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა ირაკლის ასეთ ნაბიჯს და ჰქონდა ისეთი გრძნობა, თითქოს მას, ნათანს, მოულოდნელად ფეხქვეშ გამოაცალეს ნიადაგი. ძნელი იყო ამ ფაქტთან შერიგება და ასე ადვილად ნათანი არც აპირობდა დათმობას. გადასწყვიტა შეკამათებოდა, რომ როგორმე დაებრუნებინა მეგობრის თავი.

— ირაკლი! შენ უკვე შეიტანე განცხადება?

— მე გითხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შემცდარი ნაბიჯია.

— არა, ნათან. მე მინდა გულწრფელად შენც გირჩიო.

— ირაკლი!

— რა ნათან?

— მაშ შენ ამიერიდან აღარ გწამს ცნება... ერი?

— ჩემთვის ამიერიდან არსებობს ორი ცნება: ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

— საქართველო?

— საქართველო ამით მხოლოდ მოიგებს. გაივლის წლები და შენ დაინახავ, რომ საქართველო აღორძინდება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ხელით.

— ებრაელები?

— ებრაელი ხალხის ნამდვილი მეგობარი მხოლოდ ბალშევიკური პარტიაა. სხვა პარტიებს ებრაელები არ უყვართ. სხვა პარტიების ხელში ისინი წარმოადგენენ ბრმა იარაღს, სათამაშო ტიკინას. მე აღარას ვიტყვი მონარქისტებზე და კადეტებზე.

— ებრაელ ვაჭრებს ბალშევიკები სდევნიან.

— სდევნიან ისევე, როგორც სხვა ყველა ეროვნებათა მდიდრებს, წურბელებს და ექსპლოატატორებს. მათ არ სდევნიან როგორც ებრაელებს, არამედ როგორც კლასს.

— ებრაელები ჰკარგავენ თავის სახეს. მათ არ გააჩნიათ სამშობლო. საოცარი სისწრაფით მიექანებიან ასსიმილიაციისაკენ.

— თუ ეს საჭიროა მათი და საერთო კეთილდღეობისათვის, ამაში არაფერი ცუდი არაა. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ გარდამავალი ხანის მანძილზე, საბჭოთა მთავრობა რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე გამონახავს თავისუფალ მიწებს, რომლებზედაც დაიწყება ღარიბ ებრაელთა მოსახლეობის გადაყვანა.

— ჩვენში? — ირონიულად შეეკითხა ნათანი.

— ჩვენში... საერთოდ მიწების დიდი კრიზისია, მაგრამ შეიძლება აქაც გამოინახოს ორი ან სამი ათასი ჰექტარი მიწა, რომლის დამუშავებასაც შეასწავლიან საქართველოს ღარიბ ებრაელობას.

— ზღაპარია — თითქმის წამოიყვირა ნათანმა.

— ამ ლამაზ ზღაპარს რეალობად გადააქცევს პარტიის ნება.

„ძალიან შორს შეუტოპავს და ვაი თუ უკან დასაბრუნებელი ხიდები აღარ დაუტოვებია“ — გაიფიქრა ნათანმა თავისთვის, ხოლო ირაკლის კი ერთგვარი გულისწყრომით უთხრა:

— ძალიან მალე მოუწამლიათ შენი უმანკო ორგანიზმი. საოცრად მეჩვენება, რომ შენი კურდღლის თვალებიდან დღეის შემდეგ იცქირება ბალშევიკი.

— მოწამლული ის არის, ვისაც ძილს უფრთხობს სიტყვა ბალშევიკი. მე კი საოცრად ის მეჩვენება, თუ რატომ აქამდე არ გადავდგი ეს ნაბიჯი.

სათქმელი იწურებოდა. უკასკული ღრმავდებოდა. ერთიერთმანეთის არ ესმოდათ და საჭირო სიტყვებიც ენას აღარ ეკარებოდა.

უნებურად ნათანს თვალწინ წამოუდგა შაული და დააყენა ის ირაკლის გვერდით:

„შაული. ირაკლი. სხვადასხვა ხალხია. მაგრამ აზროვნობენ ერთნაირად. კლასების ენით. ერის დაყოფით. როგორ ცდებიან, როგორ ცდებიან“.

ნათანს უკვე ერიდებოდა პირდაპირ შეეხედა ირაკლისათვის, რომელიც მას ეუბნებოდა:

— მე რომ შენს ადგილას ვიყო ნათან, დიდი ხანია შევიდოდი პარტიაში, ვინაიდან ღარიბ ებრაელთა კეთილდღეობისათვის — ეს არის ერთად ერთი გზა.

— შემცდარი ხარ, ირაკლი. არა. არა. მე არასოდეს არ დავიჯერებ, რომ ეს არის ერთადერთი გზა.

— შენ მიხვალ პარტიასთან.

— არა.

ირაკლი მოემზადა წასასვლელად.

ნათანს უნდოდა ეკითხა მისთვის: „ასე მალე?“ მაგრამ სიტყვები ენაზე გაუჩერდა.

ირაკლიმ გაუწოდა ხელი და წასვლისას შეეკითხა:

— ნუ თუ ჩემმა მსოფლმხედველობამ ასე დააფრთხო შენი მეგობრული გრძნობა?

ნათანმა გაურკვევლად მხრები ასწია.

მაშინ ირაკლიმ კიდე ერთი საკითხი მისცა:

— მე მალე ცოლს ვირთავ... ქორწილზე არ მოხვალ?

ნათანს ჯერ ეგონა, რომ მას ეხუმრებოდა, ხოლო როდესაც ირაკლიმ შეხედა პირდაპირ, ეჭვს უკვე აღარ ჰქონდა ადგილი და პასუხის ნაცვლად ძლივს მოახერხა:

— ვინ არის შენი საცოლე?

— შენ იცნობ... იულია ბერგერი.

— იულია?... შენ არაფერი გითქვამს ამის შესახებ ჩემთვის.

— ეს მოხდა მოულოდნელად, ამ ბოლო დროს, მაგრამ ეხლა სულ ერთია, შენ ამას არ მიაქცევ ისეთ ჯეროვან ყურადღებას. შენ შეგაშფოთა ჩემმა განცხადებამ.

ნათანი გრძნობდა, რომ ირაკლი ამბობდა სიმართლეს: ნათანი ჯერ კიდევ ირაკლის მსოფლმხედველობაზე ფიქრობდა.

ამის შემდეგ მას აღარც კი ახსოვდა, როგორ გამოესალმა ირაკლის.

გულისტკივილით და მწუხარებით გამოიღო ყუთიდან თავის დღიური და შეუდგა წერას.

ენდობოდა ყვითელ ფურცლებს.

გადაჰქონდა თავისი თავის ნაწილი ამ პატარა ქაღალდებზე.

სწერდა და სწერდა.

4.

„ნათან ჯანაშვილის დღიურიდან“.

„ცუდათ ხომ მაინც არა ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება
და გზა უვალი შენგან თელილი
მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

ტფილისი, 20 იანვარი, 1923 წ.
ღამის 12 საათი.

„მიყვარს ბარათაშვილი. მიყვარს მისი ყოველი ლექსი.

ჯერ არც ერთ პოეტს არ ჩამოუკრავს ასე ღრმად ჩემი გულის სიმებზე. მწუხარება, მარტოობა, სულის ობლობა, მიზნის ძიება, მარადიული სევდა... და ყველაფერი რაც ეკუთვნის მის კალამს, ასე ახლოა, ასე მშობლიური.

მაგრამ ყველაზე უფრო მე მაინც მიყვარს ეს ოთხი სტრიქონი, რომელიც ჩემი აზრით ლოლიკური გამართლებაა იმ საკითხისა, რომელიც პოეტს დაებადა მტკვრის პირას: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა წუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?“

ილია ჭავჭავაძე ამბობს, რომ „მერანი“ ეს წინასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“ არა მარტო იმით, რომ წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსითაც. „სულო ბოროტში“ მიზეზია ნაპოვნი იმ გონების და სიცოცხლის აღშფოთების, რომელიც შავად მღელვარე ფიქრად მისევია ჩვენს პოეტს „მერანში“ და ის მიზეზი მსუსხავი და მწვავე ეჭვია, რომელიც პოეტს მოუკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, დაუკარგა „სულის მშვიდობა“, აღუთქვა და აღარ მისცა თავისუფლება ამ წუთისოფლად.

არა. არ მინდა დავეთანხმო ილიას. არ მინდა დავიცვა ქრონიკალური თანმიმდევრობა და მინდა, რომ „მერანი“ ჩავთვალო დასასრულად და არა დასაწყისად. მე მინდა რომ ბარათაშვილს სიცოცხლის დასასრულს სწამდეს, რომ გზა უვალი მისგან თელილი – მაინც დარჩება.

ამაშია ცხოვრების აზრი და ფილოსოფია, რომელსაც ერთნაირად შეეწირენ: ბარათაშვილი, მიცკევიჩი, ლერმონტოვი და ბაირონი.

მე ღრმადა მწამს, რომ ცხოვრება ეს არის განუწყვეტელი ბრძოლა და რომ ერთი წუთით დავეჭვდე, რომ ეს ბრძოლა გადაივლის შარშანდელი თოვლივით და მისგან არაფერი არ დარჩება—მაშინ მხოლოდ ერთი გზაა: არა მარტო „ფიქრები მტკვრის პირას“, არამედ მთელი სხეულითა და სულით სამუდამოდ უნდა მივებარო მტკვრის აზვირთებულ ტალღებს.

●●●

„ცხოვრებაში ბევრი რამე ხდება. არ შეიძლება ყველაფერს გამოიმაურო, ყველაფერს გაუწიო ანგარიში. მაშინ მოვლენები და ფაქტები იზეიმებენ, ჩვენი სუსტი გული კი ნაღველით აღივსება, ეს ნაღველი ყოველდღიურად გაიზრდება და ერთ მშვენიერ დღეს გულში აღარ დარჩება ადგილი და მოხდება კატასტროფა“.

აღარ ახსოვს რა საკითხს ვარჩევდით.

ერთი კი უდაოთ ჩამრჩა თავში, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ჩვენ მოხუც პროფესორს, საყვარელ მელიტონ გობეჯიშვილს.

კარგია-თეორიულად. მაგრამ პრაქტიკულად?

იქნებ შენ არც კი გრძნობ, ძვირფასო პროფესორო, რომ ამ წუთებში თვალწინ მიდგას შენი ჭაღარა თავი, მრისხანების ნაოჭებით სავსე შუბლი, გულის სიღრმემდე მზირალი პატარა თვალები, რეჟისორული მკლავები და თავისებურად მიმზიდველი ენა, რომელიც ისევ და ისევ მაძლევს რჩევას, რომ არ შეიძლება ცხოვრებაში ყველაფერს გამოეხმაურო?

მაგრამ რატომ არ მასწავლე, პროფესორო, სად არის წყარო, საიდანაც შემეძლოს ამოვწოვო სულგრძელობის ძალა?

ფაქტები ფაქტებათ რჩებიან და მათი დავიწყება ჩემს პატარა ძალღონეს აღემატება.

მე ეს ფაქტები გადმომაქვს ჩემს დღიურში. მათი თარიღი-დღევანდელი დღეა, მაგრამ მე არ ვაგვიანებ, მე მათ ვუკეთებ დაუყონებლივ ფიქსაციას.

წაიკითხავს ვინმე ოდესმე ჩემს დღიურს, გაიღიმებს დამცინავად და იტყვის ჩემი მისამართით: „რა მოცლილი ვინმე ყოფილა ეს ნათან ჯანაშვილი!“.

თავისთავად პატარა ფაქტებია, უმნიშვნელო, უფერული. შეიძლება მართლაც არ ღირდეს მათზე ყურადღების მიქცევა, მაგრამ რა ვქნა, როდესაც არ შემიძლია მათ გულგრილად აუარო?

ადრე დილით ჩამოვიარე ფეთხაინის, იერუსალიმის და სიონის ქუჩები. შევედი თითქმის ყველას მაღაზიებში და დუქნებში ბენიამინ ბერიძისა და ყეზრა შათაშვილის გარდა. ვეხვეწებოდი ყველას, რომ გაესაღებინათ ჩემთვის ბილეთები. („დავიდის ფარი“ მალე საღამოს აწყობს თავისი კულტურული ფონდის გასაძლიერებლად). რეალურად ძალიან ცოტა გავაკეთე. ხალხი ბუზივით ტრიალობდა, წინდაუკან მირბოდენ, ატრიალებდენ უთვალავ ფულებს და როდესაც მივმართავდი რომელიმე მათგანს, მე ვკითხულობდი მათ შეშფოთებულ სახეებზე, რომ მე მათ ხელს უშლიდი, რომ მათ ჩემთვის არ ეცალათ და რომ მე მათ მივაჩნდით რაღაც განსაკუთრებულ ექსპონატად.

ვიღაცამ გადმოიგდო ერთი ოსმალური ლირა. მე დავიბენი და არ ვიცოდი რა მექნა. ხელში მეჭირა იგი და უცნაური თვალებით დავცქეროდი უცხოეთის ვალიუტას.

გვიან გაძახსენდა, რომ ვინც „მიწყალობა“ ეს ერთი ლირა, ის უკვე მაღაზიაში აღარ იყო. მაშ ვისთვის უნდა მიმეცა ბილეთი? ალბად მისი ამხანაგებისათვის ან ნათესავებისათვის, რომლებიც დარჩენ მაღაზიაში. მოვხიე ბილეთი და გავუწოდე. რომელიღაც მოხუცმა გამომართვა, გაიღიმა და მითხრა:

— სულ ერთია, ჩვენ მაინც ვერ წამოვალთ; სად გვცალია თეატრებისთვისო...

და როდესაც შეატყო ჩემს სახეზე დიდი გაოცება, მაშინ თითქოს ჩემს დასამშვიდებლად დაუმატა:

— პატარა ბავშს გამოვგზავნითო...

ეს მეტის მეტი იყო. აივსო მოთმინების ფიალა და კინაღამ დავიყვირე:

„შერცხვით თქვენც და თქვენი გამოგზავნილი ბავშიც. ვის რაში უნდა თქვენი ბავში? იმის მაგივრად, რომ თვით მოხვიდეთ, გაეცნოთ ჩვენს პროგრა-

მას, ჩვენს ახალ სიტყვას, „დავიდის ფარის“ უდიდეს იდეალებს, თქვენ დაგვცინით, გვიცქერით ზევიდან, გვეპყრობით მათხოვრებივით [illegible] გვიკლავთ: „ბავშს გამოვგზავნითო“. არაფერი არ მინდა თქვენგან.

მაგრამ ეს სიტყვები გულში ჩავიმარხე და ხმამაღლა ვერ წარმოვთქვი.

მე ისევ ვიდექი ქუჩაში და უცქეროდი ამ შავ ბირჟას მოფუსფუსეს, მოუსვენარს, ფულის კერპად გადამქცევს. ხელში ისევ გაშლილი მეჭირა საცოდავი ლირა, რომელიც ჩავარდა ჩემს ხელში. ამ დროს მომიახლოვდა ვიღაც ახალგაზდა მდიდრულ შუბაში, ინგლისური ლურჯი შევიოტის კოსტიუმში, პირში ოქრო კბილების ჯარით, ყელზე აბრეშუმის ყელსახვევით და თავზე შავი ფაფახით:

— ჰყიდი?—შემეკითხა იგი.

მე ვერ გავიგე, რა უნდოდა ამ კაცს ჩემგან, ხოლო მან მიმითითა ლირაზე და საკითხი ისევ გაიმეორა.

მაშინ მივხვდი, სასტიკად გავწითლდი და ზურგი შევაქციე.

ჩემმა დაბნეულობამ კინაღამ არ გადამაქცია სპეკულიანტად, შავი ბირჟის მაკლერად!

ეს მგონია აბიშაის ხელობაა. დეე იმან უყოს რეალიზაცია ამ დასაქცევ ლირას.

მე კი აღარ შემიძლია მეტი ამ ქუჩაზე დგომა და სომხის ბაზარით გავდივარ რუსთაველის პროსპექტისაკენ.

უცნაურია: რატომღაც მიყვარს ქინძისთავები და საერთოდ საკანცელარიო ნივთები.

ჩემს ტანსაცმელზე, ზედა ჯიბის თავზე ყოველთვის მაქვს გამწკრივებული ოთხი თუ ხუთი ქინძისთავი. ხანდახან ისინი მიწევენ სამსახურს რამოდენიმე ქაღალდის შესაერთებლად. მაგრამ რა ვიცოდი, რომ ამ ქინძისთავებს შეეძლოთ ჩემთვის მოეყენებინათ ეოდენ დიდი გულისტკივილი, დაუვიწყარი შეურაცხყოფა.

მივდივარ პროსპექტზე. მიღიმის ნაცნობი სახე და მეც სიხარულით ვეგებები მას. ხუმრობა საქმეა? ცნობილი პოეტია, რომელიც შემთხვევით გამაცნეს ამ რამოდენიმე დღის წინედ, რომელიღაც მეორე პოეტის საღამოზე.

მე ძალიან თავი მომაქვს ამ ნაცნობობით. მე სიამაყით ვეუბნები ხოლმე ჩემს ამხანაგებს: „მე უკვე ვიცნობ ამა და ამ პოეტს“.

და მართლაც მიხარია. საერთოდ მიხარია ხოლმე, როცა ვეცნობი ცნობილ მწერლებს. „რამდენ რამეს ვისწავლი მათგან, რამდენ ახალ ახალ აზრებს გავეცნობი“.

და აი, როდესაც მომიახლოვდა ცნობილი პოეტი, მე თავაზიანობით და პატივისცემით ვართმევ მას ხელს, ვაგრძელებ მასთან გზას და ველი, რომ აგერ ის მეტყვის რაღაცა ჭკვიანურს, რაღაცა ახალს, რაღაც საინტერესოს.

მაგრამ იგი იცქირება ირონიულად ჩემი ტანსაცმელისაკენ. მე არ მესმის რა, დაჰკარგა იმან ჩემს ტანსაცმელზე და იმისი მზერა თანდათან სიწითლეს მგვრის სახეზე.

ცოტა ხანს მივდივართ ჩუმად, ხმაამოუღებლად და უცბად... იგი იხრება ჩემსკენ, სიცილით მაძრობს ერთ ქინძისთავს და მეკითხება:

— არ დაგვიწყებია ძველი ხელობა?

მე არ მესმის რა საკითხია და გულუბრყვილოდ ვეკითხები:

— რა ხელობა?

— ქინძისთავებით ვაჭრობა—მიპასუხებს ცნობილი პოეტი, რომლის ხმაშიაც მე მესმის ერთგვარი გესლი, შხამი, სარკაზმი.

შეიძლება გულკეთილი, მეგობრული დაცინვა?

არა. მხოლოდ ბოროტებით აღსავსე გესლი. ა'ე გაიხმაურეს ჩემს ყურებში.

ძველადკანვე მიღებული იყო: როცა წაიჩხუბებოდა ორი კაცი, დამსწრენი ამბობდენ—ივანე და პეტრე წაიჩხუბენო. მაგრამ თუ ეს ორი კაცი ებრაელები იყვენ არასოდეს არ იტყოდენ—აბრამი და მოშე წაიჩხუბენო. მაშინ სხვა-პასუხი იყო მზად: ებრაელები წაიჩხუბენო.

„ებრაელები!“

ამაში იყო მთელი ტრაღედია და მე გვიან მივხვდი ამ პასუხის ახსნას: თურმე ყოფილა მოჯადოებული წრე ურთიერის პასუხისმგებლობისა. თურმე უნდა აგოს პასუხი ერთმა ებრაელმა ყველა ებრაელების მოქმედებისათვის და ყველა ებრაელებმა უნდა აგონ პასუხი ერთი ებრაელის მოქმედებისათვის.

ვაჭრობა—საძრახისი საქმეა. მე არ მიყვარს არც ვაჭრობა და არც ვაჭრები. მე არ მიყვარს საკუთარი მამაც კი, როცა გამახსენდება, რომ ის ვაჭარია. წვრილი ვაჭარია, ღარიბია, მაგრამ მაინც ვაჭრის ლაქა აქვს შუბლზე წაცხებული. მამაჩემი არაა დამნაშავე, ისტორიაა დამნაშავე, მაგრამ ეს ჯერჯერობით საქმეს არა ცვლის. მე სულ სხვა გზა მაქვს არჩეული და არაფერი არ მაკავშირებს ამ უკეთმართ პროფესიასთან.

მაგრამ ამ კაცს, ჩემს გვერდით რომ დგას, ცნობილ ქართველ პოეტს, მაინც და მაინც უნდა, რომ მე მაგებინოს პასუხი ჩემი თანამოძმეთა „ძველი ხელობისათვის“, რომელსაც მან თავი მოუყარა „ქინძისთავებით ვაჭრობაში“.

„არა, პატივცემულო პოეტო! ძალზე შემცდარი ბრძანდებით. მე არა ვვაჭრობ ქინძისთავებით. მე ვუცქერ ცხოვრებას შეიძლება ისევე, როგორც შენ და დრო მოვა...“

მაგრამ ამ სიტყვებს მე მხოლოდ ვფიქრობ და ვიცი რომ ეხლაც ვერ წარმოვსთქვამ ხმამაღლად, ჩემი მობაასის გასაგონებლად.

არა. დღეს ბედი არ მწყალობს. დათარსული დღეა.

მე ისევ მარტო ვარ და ვეკითხები ჩემს თავს: „რა ვქნა ეხლა? ავიღო ხელი საღამოს მოწყობაზე, თუ..?“

„დიახ: „თუ“.

ამაშია საქმე. ეხლა ისე, როგორც არასოდეს, საჭიროა პირველი ყუმბარის აფეთქება. მოვიდენ ვინც მოვლიან, დაესწრონ ვინც დაესწრებიან! თუ დიდები არ ინებებენ მობრძანებას, მაშინ ეს პატარები გადასცემენ მათ, თუ რა ნახეს „დავიდის ფარის“ მიერ გამართულ საღამოზე.

დე ამ საღამომ ამოატივტივოს ჩვენი ცხოვრების ბნელი ძალები ზედაპირზე! დე შეწყდეს გველთა სისინი, რომელნიც მოკალათებულან ფეთხაინის ჭაობში და მთელი საუკუნეებით სწამლავენ გარშემო ჰაერს!

დე...

●●●

25 იანვარი. ნაშუადამევი.

საღამო, რომელსაც ველოდი მთელი რიგი დღეების [illegible] ასეთი გულის ფანცქალით - ეს ეს არის დასრულდა. მაგრამ მე მინდა, [illegible] ბევრი მნიშვნელოვანი დეტალები, რომელიც თან ახლდა საღამოს, ინახებოდეს ჩემს ღღიურში. იქნებ მიუდგომელმა არქივარიუსმა თავის დროზე გამოიყენოს როგორმე.

არ მოსწონდა არც ცეპის ეს საშინელი დაყოფა: ახალციხელები, ცხინვალელები, ლახლუხეპი, აშქენაზები. ჩემსავით შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და ალბად იმიტომ, რომ ისიც პროვინციელია. ასე თუ ისე გამოსავალის ძებნის დროს ცებიმ უცბად მოისურვა შექსპირის მემკვიდრეობა.

მოვიდა და მითხრა:

— ვერ წარმოიდგენ როგორ დამიპყრო ჰამლეტმა, მე უნდა გავიმეორო მისი ხერხიო.

თქმა და ასრულება ერთი იყო. ცებიმ მორცხვად და მორიდებით წამიკითხა ინსცენიროვკის მსგავსი—თავისი საკუთარი ნაწარმოები.

ყოჩაღ, ცები! მე მის უახლოეს მეგობარს არც კი მეპარებოდა ეჭვი, რომ ჩვენი ცები, ასე უხვად იყო დაჯილდოებული საამისო ნიჭით. იგი შემეკითხა მოკრძალებით: „კარგიაო?“

მე ლიტერატურული კრიტიკოსი არა ვარ, მაგრამ „კარგია“ რომელია? შედევრია! აქტუალურია! ზედგამოჭრილია! „დავიდის ფარისათვის“ საუკეთესო ყუმბარაა!

მომქმედი პირები—ფეთხაინის მესვეურები. აქ ყველა ნაცნობებია: ბენიამინ ბერიძე, ყეზრა შათაშვილი, გაბაი მენაშე, რესტორანის პატრონი ეფრაიმი, ძია დათო.

სახელები აქვთ—მხოლოდ გამოცვლილი.

აქტიორები შევარჩიეთ: ზოგი გარედან, ზოგიც გამოვიყენეთ საკუთარი ძალები.

საღამოს პასუხისმგებელ ხელმძღვანელად გამოვძებნეთ „ნეიტრალური და უწყინარი“ ინტელიგენტი, რომელსაც რატომღაც უწოდებდენ პეტია მარკოვიჩს. ბოროტი ენები ლაპარაკობდენ, რომ მას ბავშობაში „ხაიმი“ ერქვა და წარმოშობით ეკუთნოდა ახალციხელებს, როდესაც დაასრულა იურიდიული დარგი, იგი ნოტარიუსის როლსაც ასრულებდა. ჰქონდა დიდი კერძო პრაქტიკა და ამიტომ ერთგვარი ავტორიტეტიც ჰქონდა.

საოცარი კაცია პეტია მარკოვიჩი: უაღრესად ზრდილობიანი, თავაზიანი, ხანში შესული, პატარა ბავშებსაც ელაპარაკება თქვენობით, ქართული ეძნელება, ტანად პატარაა, დაბალი, საკმაოდ ნაყვავილარი, დადის შავი სათვალეებით. არ უყვარს პოლიტიკა. როცა ვინმე ჩამოუგდებს ლაპარაკს ამ თემაზე იგი სასწრაფოდ ცდილობს გადარჩეს ამ ამბავს:

— დამანებეთ თავი, არაფერ ხლაფორთში გავებაო.

აი სწორედ ეს კაცი, დანამდვილებით არ მახსოვს ვისი რჩევით, გამოვაცხადეთ აფიშაზე საღამოს პასუხისმგებელ ხელმძღვანელად.

საღამოს რვა საათამდე არც შევმცდარვართ: პეტია მარკოვიჩი იშვიათი ენერგიით დარბოდა წინდაუკან, კულისებში, სცენაზე, პარტერში, ფოიეში, სალაროში, ბუფეტში...

ყველგან ყველაფერი თავის რიგზე იყო და პეტია მარკოვიჩიც ულრესი ნასიამოვნები განიერად დასეირნობდა თავის პატარა ფეხებით.

რვა საათისათვის გავწიე თეატრისაკენ, ვინაიდან საღამოს პროგრამის ჩატარება მე მქონდა დავალებული. მიუახლოვდი აბას-აბადის მოედანზე თეატრის შენობას, რომელიც ოდესღაც ატარებდა კამერული თეატრის სახელწოდებას, სადაც პირველად ამოსულა ჟიხარევას „მზე“ და რომელსაც წინედ ეტანებოდა თურმე დიდძალი ხალხი.

გულისძგერამ მომიმატა და კინაღამ თვალთ დამიბნელდა, როცა დავინახე, რომ მოედანი სავსე იყო ქალით და კაცით. უნდა გამოვტყდე: არ მოველოდი. სალაროსთან უზარმაზარი კუდია. არის ნერვიული მდგომარეობა, ყვირილი, კივილი, ერთმანეთზე მიწოლა. ყველას უნდა დასწრება. ეშინიათ რომ ბილეთები აღარ იქნება.

„ნეტავ რა მოხდა? რამ მოუარა ამ ხალხს!“ გავიფიქრე და გავემართე კარებისაკენ.

ხმაურობა კი ისევ სასტიკად გრძელდებოდა. ეტყობა პეტია მარკოვიჩიც არ ელოდა ამდენ ხალხს, თორემ წესრიგისათვის უფრო ენერგიულ ზომებს მიიღებდა.

წესრიგის დამყარება ჩვენს ხალხში—ასე ადვილი საქმე არაა. ესეც მთელი პრობლემაა. ეტყობა ამასაც თავის მიზეზები აქვს და ამ მიზეზების აღმოსაჩენად დეე სხვამ ვინმემ იტეხოს თავი. კარგი იქნებოდა, რომ ზებულონს მოეკიდა ხელი. იმას უყვარს წესრიგი.

ჯერჯერობით კი წესრიგის დარღვევის იშვიათი სურათია.

ისმის სხვადასხვაგვარი ყვირილი:

— გამჟყლიტეს... გამჟყლიტეს...

— მი-ლი-ცი-ო-ნერ!

— მიიწიე, რო გეუბნები...

— ვის აქვს ზედმეტი ბილეთი?

— ვიძლევი ორ ზომას.

ამ მოედნიდან კარებამდე მისვლა ალბად უფრო ძნელია, ვიდრე ჯოჯოხეთის ბეწვის ხიდზე გავლა. კიდევ კარგი, რომ კონტროლიორმა მიცნო და დამეხმარა, თორემ მიმიმტვრეოდენ გვერდებს. შეკედი როგორც იქნა. მოლარე სწერდა განცხადებას: „ბილეთები სულ გაყიდულია“.

მაშ ასე. მოულოდნელად: ანშლაგი.

მაგრამ ანშლაგზე უფრო ძლიერი ამბავი დამახვედრა ცებიმ:

— ბენიამინ ბერიძე, ყეზრა შათაშვილი და კანტორების დანარჩენი გაბაები—ყველანი აქ არიან.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ქონდა, ვინაიდან ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ცების მიერ გაკეთებული ინსცენიროვკის გათამაშება და პარტერში ყუმბარის გადაგდება—ეს ერთი და იგივე იყო. მით უფრო მოლოდინში გული ფანცქალობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ ეხლა საქმისაკენ. ენერგიულად. უკვე ცხრის ნახევარია.

სად არის პეტია მარკოვიჩი? ალბად სცენაზეა. მივდივარ, გავიგო, შეიძლება თუ არა მივცე პირველი ზარი.

დახეთ საკვირველებას: პეტია მარკოვიჩი, ეს იშვიათად წყნარი და პატარა ადამიანი, მოულოდნელად განრისხებულა, გაფითებულა და მოღუშული ჩამჯდარა სავარძელში.

— პეტია მარკოვიჩ, შეიძლება მივცეთ პირველი ზარი?—ვეკითხები.

— არა—თითქმის ყვირილით მიპასუხებს.

— რა მოხდა?—ვეკითხები ხელახლა, რის შემდეგაც ჩვენს შორის გაიმართა მემდეგი დიალოგი:

— რისთვის არ მიჩვენეთ გენერალური რეპეტიცია?

— ეს სრულიად შემთხვევით მოხდა, პეტია მარკოვიჩ.

— თქვენ პასუხისმგებელი ხელმძღვანელი აფიშისთვის გჭიროდათ?

— არა, პეტია მარკოვიჩ. რა ბრძანებაა.

— ეხლა მოკლედ ასეა. მე ვიდრე არა ვნახავ ცების ინსცენიროვკას, ზარს არ მივცემ.

— როგორ თუ არ მისცემთ?

— მე ვარ პასუხისმგებელი ხელმძღვანელი და ჩემს უფლებას გამოვიყენებ კანონიერად.

— პეტია მარკოვიჩ...

— ლაპარაკი ზედმეტია. პროგრამისათვის პასუხისმგებელი მე ვარ. მე კი პროგრამას არ ვიცნობ.

— რასაკვირველია უნდა იცნობდეთ, მაგრამ დრო აღარ არის.

— ინსცენიროვკა რამდენ ხანს გრძელდება?

— ოც წუთს.

— არის დრო. ადრე მაინც არ დავიწყებთ.

კამათის გაგრძელება უმიზნო იყო, ვინაიდან დრო იკარგებოდა და ამიტომ გადავსწყვიტეთ სასწრაფო წესით დაგვეკმაყოფილებინა პეტია მარკოვიჩის შელახული თავმოყვარეობა.

ინსცენიროვკა გაითამაშეს.

პეტია მარკოვიჩი იჯდა მოღუშული მთელი თამაშის მანძილზე და როდესაც დასრულდა, იგი წამოდგა და სთქვა:

— პირველი ზარის მიცემა შეიძლება, მხოლოდ ეს ინსცენიროვკა უნდა მოიხსნას.

— არასოდეს—შევკივლე განრისხებით.

— მაშ საღამოს ვაცხადებ მოხსნილად—განაცხადა პეტია მარკოვიჩმა.

— მოხსენით—განვუცხადე მეც და გავემართე გასასვლელისკენ.

პეტია მარკოვიჩი შეშფოთდა: საღამოს მოხსნა, ფულის უკან დაბრუნება, ამდენი ხარჯები და ამ ხალხის უკან გაბრუნება არ იყო ასე ადვილი საქმე. მხოლოდ ვინაიდან მე ვატარებდი პროგრამას, ჩემის წასვლით მართლაც ჩაიშლებოდა საღამო.

მე ძალით გამაჩერეს. დაიწყო ისევ უმიზნო კამათი. არც ერთი არ ვსთმობდით.

მე ძალიან გამაკვირვა, თუ რამ ააპილპილა პეტია მარკოვიჩი. ამის მოყვანილი მოსაზრებები, რომ არ შეიძლება სტუმარი ხალხის [illegible] ყოველივე ეს ნაადრევია, რომ ეს უტაქტობაა—არ მომეჩვენა სერიოზულად. ეტყობოდა სხვა მიზეზი იყო, რომელსაც კარგა ხანს მალავდა და როცა შეატყო, რომ ჩემი ნების მოტეხა არ იყო ასე იოლი ამბავი, მაშინ მას მოულოდნელად წამოსცდა:

— ეს ადამიანი კი არაა. ქვაა.... რკინაა... ახალციხელები... ცხინვალელები... ყველა მთავარი გაბაები... ნათან ჯანაშვილს უნდა რომ დამიფრთხოს მთელი კლიენტები.

— ხა, ხა, ხა! აი თურმე რა ყოფილა. არა, პეტია მარკოვიჩ. ამის მოხსნა არ შეიძლება. იგი საჭიროა. იგი დროულია. იგი...

— კმარა! გააჩუმეთ. ალარ შემიძლია მეტი—და კივილი ჩქარა შესცვალა ხრიალმა, რადგან პეტია მარკოვიჩმა უკვე ხმა დაჰკარგა.

ცოტა ხნის შემდეგ მუქარა შესცვალა თხოვნით და ვედრებით, მაგრამ ამანაც უშედეგოდ ჩაუარა.

შეიქმნა ძალზე დაჭიმული მდგომარეობა: ფარდის იქით ხალხი ჰღელავდა და ყვიროდა: „ვრე—მია", ხოლო ფარდის აქეთ პეტია მარკოვიჩი ასე მოულოდნელად და უხეშად ჩაგვერია „შინაურ საქმეებში", რათა ყირამალა შეეტრიალებინა „დავიდის ფარის" მიერ შედგენილი პროგრამა.

პეტია მარკოვიჩის თხოვნით საქმეში ჩაერიენ მესამე პირებიც, რომელთა საშუალებით იგი ფიქრობდა ჩემზე და ჩემს ამხანაგებზე ზეგავლენის მოხდენას, მაგრამ ამაოდ.

ჩვენ ვიდექით დიდი უსიამოვნების წინაშე.

ამ დროს... მე არასოდეს არ დამავიწყდება ეს სცენა: პეტია მარკოვიჩი გაგვშორდა, სასწრაფოდ აცოცდა კულისებში რომელიღაც ბოძზე და ფარდის დასაშვები თოკი ყელზე შემოიჭირა. სახუმარო დრო სადღა იყო: პეტია მარკოვიჩი თავს იხრჩობდა! სათვალეებიდან გვიგზავნიდა წყევლა კრულვას და თან... უკანასკნელი ნაპერწკალი იმედისა მაინც ღვიოდა მათში.

ჩამოვსვით. დავტუქსეთ. შეგვეცოდა.

— რაც გინდათ მთხოვეთ, ოღონდ ეს მოხსენით...—არ გვეშვებოდა.

პატარა კაცმა გვაჯობა. დავთმეთ. ოღონდ ერთი პირობით: წარმოდგენის დაწყებამდე მე უნდა მეთქვა სიტყვა. პეტია მარკოვიჩი სიხარულით ცას დაეწია:

— თუ გინდათ სუყველამ სთქვით სიტყვა, ოღონდ ეს საშინელი ნომერი მოშალეთ...

. . . გადიწია ფარდა. მე სცენაზე ვარ. ვღელავ. ასეული თვალები შემომცქერიან, ხოლო მე ვარავის ვარჩევ, გარდა პირველი რიგში მჯდომებისა. მარჯვენა მხარეს ჩემი საყვარელი პროფესორი, მოხუცი მელიტონი, რომელიც მოვიდა ჩემის მოწვევით, მარცხენა მხარეს ბენიამინ ბერიძე თავისი მეუღლით და მათ შუაში კი... ნუ თუ ეს ესთერია? ეჰვი არაა: ესთერია. ალბად ესთერის მშობლები ჩემს დანახვაზე უკვე ნანობენ, რომ ესთერი მოიყვანეს, მაგრამ რაღა დროს...

მე არ მინდა შეეხვდე ესთერის თვალებს, თუმცა მე უკვე ვგრძნობ იმათ მწველ ცხივებს ჩემს სახეზე...

ესთერი — სტიმულია. მე მინდა ვილაპარაკო კარგად, ვიწყებ ნელა.

ხმა-დამაჯერებელია და ვგრძნობ, რომ არ ვყალბობ. ჩემი ხმა თანდათან ძლიერდება და ემატება მას სიმხნევე.

მე ალბად მთელი საუკუნეები მწყუროდა ტრიბუნა, ბოლმა მოწოლილი მქონდა ყელზე და ვისარგებლე შემთხვევით.

მოულოდნელად შევეფეთე ესთერის თვალებს, სადაც წავიკითხე გამართლება ჩემი სიტყვებისა. ამ გარემოებამ შემასხა ფრთები, ამიტაცა ზევით, ზევით და საშინელი ბრალმდებელის ენით გავანადგურე ყველა ის „დიდები", რომელთა წყალობითაც ჩვენი ხალხი მისცემია დაუსრულებელ ძილს ორიათას წლიან ბალიშზე, არ დავინდე კანტორები, მათი მესევურები, მათი საქმეები...

მე ვაგრძელებ ჩემს სიტყვას და თან მესმის, რომ გამწარებული პეტია მარკოვიჩი დარბის კულისებში, აბაკუნებს ფეხებს და უნუკეშოდ ბურტყუნობს:

— გადაამლაშა... გადაამლაშა... კმარა სიტყვა... აღარ მინდა სიტყვა... დასდგით თქვენი წყეული ინსცენიროვკა...დასდგით...ის სჯობია...ის ლიბერალური მაინცაა... ეს სიტყვა კი საშინელებაა...სადღა გამოვყო სირცხვილით თავი...ოი ნათან ჯანაშვილო...კმარა...კმარა...

გვიანღაა პეტია მარკოვიჩ!

ნათან ჯანაშვილმა ჩაიგდო ტრიბუნა. აწი მისია ბურთი და მოედანი.

მე ვასრულებ სიტყვას.

დარბაზის ორი მესამედი ჰქუხს ტაშისცემით, ხოლო პეტია მარკოვიჩის პატარა ორგანიზმი იცლება ათასნაირი გინებით.

საღამოს პროგრამა გაგრძელდა ჩვეულებრივად. დანარჩენი უკვე აღარაა საინტერესო.

ანტრაქტის დროს მოვძებნე ჩემი პროფესორი, რომლისგანაც, მინდა გამოვტყდე, ძალიან მსურდა მიმღო ქება ჩემი წარმოთქმული სიტყვისათვის.

და რა გავოცდი, როდესაც ჩემი სიტყვის „კვალიფიკაციის" შესახებ იგი შემეკითხა:

— იცი ამას რა ეწოდება იურისპრუდენციაში?

— რა?

— თავდასხმა უვარგისი საშუალებებით.

● ● ●

1 თებერვალი. სადილობის დრო

საინტერესო შეხვედრა მქონდა ქუჩაში ძია დათოსთან.

შემამჩნია თუ არა შორიდანვე სიხარულით გამოქანდა ჩემთან. ჯიბიდან ამოიღო ქაღალდი, რომელზედაც გამწკრივებული იყო ციფრები და თვეების სახელწოდება.

— რა არის ეს? — შევეკითხე.

— ძველი ანგარიშია. მალე უკვე წელიწადი შესრულდება, რაც ჯამაგირი არ მიმიღია.

— კიდევ არ მიგიღია?—შეეკითხე თანაგრძნობითა და ღიმილით.

— არ მიმიღია, ხო ხედავ, დავათრევ ამ სიას. ერთი ხადარდელი მაქვს: მოხუცი კაცი ვარ და ყეზრა შათაშვილის ჯავრი არ მინდა საფლავში წავიყოლო. ამიტომაც ვიჩქარი, ჯამი გაუკეთე იმას, რაც მერგება და ჯავრიანი თანხა შედგა. ეს ფული რომ როგორმე ამაღებინა, ჩემს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა.

— ხომ გაქვს იმედი ძია დათო?

— ისრაელი შვილის სიცოცხლე თავიდან ბოლომდე იმედია. ის ვინც იმედს ჰკარგავს იმას წილი აღარ უდევს ცოცხლებში.

— კავშირში თუ იყავი რა გითხრეს?

— სიმართლე მოგახსენო, ნათან, აღარ წავსულვარ. ჯერ კიდევ მინდა როგორმე შინაურულად მოვაგვარო. მოვიცდი კიდევ რამოდენიმე დღეს და თუ არ მეშველა, მერე წავალ და ორივეს ვუჩივლებ.

— მეორე ვიღაა?

— მეორე—ეს ახალი ჭირია, კოჭლი მელამედი. აკადემ ბარუხუ სამართლიანია, ეგ რო კოჭლი არ ყოფილიყო ქვეყანას დააქცევდა. ჯერ ერთი ფეხით რა ამბებს სჩადის. მაგას რომ ორივე ფეხი მთელი ჰქონოდა—ადმორის ადგილს მოინდომებდა. ღმერთმა კი დაუკოჭლოს მაგას მეორე ფეხიც. ამენ.

ბედნიერია ძია დათი! მაგას მხოლოდ ერთი რამ აწუხებს: ძველი ანგარიშის განაღდება. მთელი მისი თავის ქალა შეპყრობილია მხოლოდ ამით. დღედალამ ჰფიქრობს ერთსა და იმავე საკითხზე. თუმცა რაზე უნდა იფიქროს? განა ძია დათოს არსებობა არ უნდა? მეორე მხრით საოცარია: ჯამაგირს არ აძლევენ. რაზე არ ანებებს თავს ლოცვას?

ფეთხაინია დამნაშავე, რომლის ჭაობის ამოშრობა არც ისე ადვილია. „დავიდის ფარის“ საღამომაც განვლო, მაგრამ რევოლუცია არ მოხდა. ყველაფერი ისევ თავის ადგილზეა. კანტორების მესევურებმა არ შეიმჩნიეს შეურაცხყოფა, ბირჟა ისევ მოქმედობს, ყეზრას გვერდით ამოუდგა კოჭლი მელამედი და ბნელეთის მოციქულები განაგრძობენ არსებობას.

მე კი ღდემდე ყურში მიწივის მოხუცი პროფესორის განსაზღვრა: „თავდასხმა უარგისი საშუალებებით“.

მინდა სიმწრით ვიცინოდე: რისთვის მოეპყრო ასე მკაცრად ჩემს სიტყვას პატივცემული მელიტონი? იგი ხომ არ იცნობს ჩვენს ცხოვრებას? ნუ თუ მართლაც იგი ასეთი კონსერვატორია? მაგრამ რა საჭიროა საყვედურები სხვების მიმართ. არ სჯობია ჩემს თავს გამოუტყდე, რომ პროფესორის სიტყვები საუბედუროდ, ჯერჯერობით აღსრულდა?

არის უსათუოდ რაღაც საერთო პროფესორისა და პეტია მარკოვიჩის შორის. ისინი აზროვნობენ თავისი სათვალეების ქვეშ ერთნაირი საზომით. იმათი თაობა მოდის დინჯი და ზომიერი ნერვებით. ვიკითხოთ ჩვენ—ახალგაზრდებმა!

. . . ფეთხაინი და გალუთი[1] სინონიმებია. მე და ესთერი ვუცქეროდით ერთმანეთს. მე ვიყავი სცენაზე, იგი—პარტერში. ო, როგორ გვწყუროდა ეთმანეთთან დალაპარაკება. რამდენს მეუბნებოდა მისი პატარა, ჭკვიანური და

[1] გალუთ—ტყეობა, დიასპორა.

ტანჯული თვალები! მაგრამ ეს ჩვენ არ შეგვეძლო. ჩვენ ჯერ კიდევ შეგვეძლო ვართ ვიღაცა სხვის, გარეშეს, მესამე პირების ნებასურვილით.

ბენიამინ ბერიძე ეკუთვნის ძეცხრამეტე საუკუნეს, ესთერი — მეოცეს. მაგრამ ჯერ მეცხრამეტეა გამარჯვებული. ჩემი და ესთერის გული კი დაჭრილია.

ნეტავი როდემდე? რითი გათავდება ეს ბრძოლა? რამდენ ხანს კიდევ გაუძლებს ესთერი წარსულ საუკუნეთა იერიშებს? იგი ხომ სუსტი, უღონო ქალია. არ ვიცი...

როგორ იქნება ჩემი მომავალი—ვერც კი წარმომიდგენია.

უნებურად მაგონდება ჩემი ძვირფასი დედამამა.

საცოდავები, მოხუცები, ღარიბები...

მწამს, რომ ვუყვარვარ მათ მთელი სულით და გულით, რომ მე ვარ მათთვის ყველაფერი ამ ქვეყნად, მაგრამ მე მათი შვილი, ვარ თუ არა ღირსი ასეთი უმწიკვლო მმობლებისა? რითი ვუხდი მათ მე სამაგიეროს?

და ბოლოს კიდევ ერთი საკითხი.

მინდა, ძალიან მინდა ვიცოდე, გულის სიღრმეში ხომ არ შესდით იმათ ეჭვი თავისი ერთად ერთი შვილის პატიოსნებაში?

მამაჩემი ჭკვიანი კაცია. ნუ თუ შესძლებენ ფეთხაინის მოციქულები დაუბნელონ მას გონება და წყროლით აღავსონ ჩემზე?

და უნებურად მაგონდება დე სილვა.

როგორი კარგად ეუბნება აკოსტას:

— ოი ურიელ, შეხ ჯერ კიდევ ბევრი ტანჯვა მოგელისო.

ბევრი...

● ● ●

25 თებერვალი. დილის 10 საათი.

გასაბჭოების ორი წლის თავი.

გარედ ზეიმია, ჯარების აღლუმი, დემონსტრაცია.

მე ისევ ვზივარ ჩემს ოთახში, ვებაასები ჩემს დღიურს, მაგრამ ხმაურობა, რომელიც მოდის ქუჩიდან ხელს მიშლის და აზრებს თავს ვეღარ ვუყრი.

ეს აღლუმი—ღირებულებათა გადაფასებაა.

მიდიან ძველები. მოდიან ახლები.

ამ ახლებში ალბად მედგრად აბიჯებენ: შაული, ირაკლი, იულია.

(საკვირველია რამდენად იულია შორს ყოფილა ავგუსტინასაგან!)

ვინ იცის, შეიძლება მათთან არის გულკეთილი დანიელიც, რომ ლიც აბიჯებს მათთან ერთად და ამართლებს თავის საწარმოოს სახელს: „პირველი ნაბიჯი“.

რატომ არ ვარ მეც მათთან?

გასაგებია: ვერ შევეწყე იმ მოძრაობას, რომელიც ძირშივე სპობს ყოველივე ეროვნულს. თანაც მაშინებს ასეთი პირდაპირი დაყოფა: მდიდარი, ღარიბი.

წინედ გარკვეულად იყო: ქრისტიანი, ებრაელი.

მტრობის საფუძველი იყო სარწმუნოება, ეროვნება და ეს გასაგები იყო.

მაგრამ როგორ გავიგო მდიდრისა და ღარიბის დაპირდაპირება?

ფული?

არა, არ მესმის.

მერე რა ვუყოთ, ირაკლიმ რომ მითხრა ამას წინედ: „შენ ერთი ნაბიჯით წინ მიდიხარ, ორით-უკანაო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ვქნა, მაინც არ მესმის, არ მესმის.

ვერ შევეგუე ოცდახუთ თებერვალს, რომელშაც მოსპო სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება.

მეუბნებიან: ეს თავისუფლება მოუსპეთ სხვა პარტიებს, კლასობრივ მტრებს-პროლეტარიატის საკეთილდღეოთაო. პროლეტარიატი უმრავლესობაა, მისი მტრები კი-უმნიშვნელო უმცირესობაო.

ეს ღირსებაა. პირდაპირ მაინც ამბობენ.

მოიგონე, ნათან, 1920 წლის შემოდგომა.

ჩემი საცოდავი დაბა, რომელსაც უცბად ქალაქი უწოდეს.

არჩევნები ქალაქის საბჭოში.

სალოცავის ეზო. უზარმაზარი გალავანი. აუარებელი ებრაელები, ქალი და კაცი.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან გახურებული ორატორები: მენშევიკები, ფედერალისტები, ნაციონალდემოკრატები.

„ებრაელებო! ხმა მიეცით მენშევიკებს!“

„ებრაელებო! ხმა მიეცით ფედერალისტებს!“

„ებრაელებო! ხმა მიეცით ნაციონალდემოკრატებს!“

ეს არ იყო მარტო მოწოდება. თავს ნუ მოვატყუებ. სჯობია სიმართლე ვაღიარო: აქ იყო დაშინება, მუქარა, რევოლვერები.

და დამფრთხალმა ებრაელებმა არ იცოდენ რა ექნათ, ვიდრე ვიღაც ჭკვიანმა ებრაელმა არ ნახა მოულოდნელად თავისებური გამოსავალი:

„ებრაელებო! მიეცით ხმა მაოლოდ საკუთარ სიას!“

სასწრაფოდ შესთითხნეს უპარტიოთა ახალი პარტია.

ასარჩევი იყო ქალაქის საბჭოში — სულ ოცი ხმოსანი.

გავიდა თორმეტი ებრაელი. (ბუნებრივი იყო: დაბის უმრავლესობას ებრაელები შეადგენდენ). დანარჩენები — თითო-ოროლა.

ეს არ მომხდარა არსად: „როგორ გაბედეს ურიებმა მენშევიკების ჩაფლავება, რომლებიც ყველგან, მთელ საქართველოში „იმარჯვებენ“.

და დაიწყო: ფარული თუ აშკარა დევნა, საბოტაჟი, დეპეშები, ვიდრე ნელ ნელა არ მოიმაგრეს პოზიციები „შეურაცხყოფილებმა“.

ეხლა ვეკითხები ჩემს თავს: ისინი გაჰკიოდენ თავისუფლებაზე.

განა ეს თავისუფლება იყო? განა ეს არჩევნები იყო?

და კიდევ კარგი... მოვიდენ ბალშევიკები და ყველანი გააჩუმეს.

მაგრამ მე?

მე არ ვიწამე ძველები, მაგრამ მაინც ვერ მივედი ახლებთან.

ო, მე ჯერ ბევრი რამე მყოფს, მე ჯერ საკმაოდ მტკივა ჩემი შეურაცხყოფილი ეროვნული გული. ირაკლის არაფერი აქვს დასაკარგი. მის ეროვნულ ფუნქციებს თვითონ საბჭოები ასრულებენ, ხოლო ჩემთვის არავის სცალია.

შაულს და დანიელს უხარიათ ფეხსაცმელები. იმათ მეტი არაფერი არ უნდათ. მიეცი ლუკმა და გააჩუმე. რუთიკოს აღარ ჰშია. მაშასადამე: პრობლემა გადაჭრილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მე ვერ გავყიდი ჩემს სულს, ვერა.

მე რაცა მწამს — მწამს ღრმად და შეუცვლელად.

„დავიდის ფარი“ ჩემი დროშაა და მისი ხელით გავანგრევთ ფეთხაინს. ჯერჯერობით ვეცემით ბრძოლებში, მაგრამ ეს გულს არ გაგვიტეხს. დავეცემით, კვლავ წამოვდგებით და ასე.

შეიძლება სრულიადაც დავმარცხდეთ და მიზანსაც ვერ მივაღწიოთ, მაგრამ საყვარელი პოეტის თქმის არ იყოს, — „განწირულს სულისკვეთება ცუდათ არ ჩაივლის და უვალი გზა — „დავიდის ფარის“ მიერ თელილი მაინც დარჩება“.

და ისტორიის პირველი გვერდიც ამით გაიხსნება...“

5

— რამდენი ხანია აღარ მოსულხარ. გამარჯობა ოსიპ. აი შე ცულლუტო! ასე უნდა? ძალიან კი მეფიცებოდი: მიყვარხარო! ხა, ხა, ხა! — მიეგება ავგუსტინა თავის სტუმარს მისთვის ჩვეული კისკისით.

ეს კარგი შესავალი იყო და ოსიპის ნიკაპზე აღიბეჭდა ღიმილის ხაზები. პასუხის საძებნელად თავი ოდნავადაც არ შეუწუხებია:

— მოგიკვდეს ჩემი თავი, აკგუსტინა. მიპრძანე და დღეში თუ გინდა სამ ჯელ გავალ უფრო უკეთეს გეტყვი: ბარემ გადასწყვიტე, გამომყევი ცოლად და სულ შენი ვიქნები.

— ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა! — ისევ კისკისებდა ავგუსტინა.

— მე სიმართლეს გეუბნები, შენ კი დამცინი. პირდაპირ არ მესმის, რა გვიშლის ხელს. მამა ჩემი მდიდარი კაცია, როცა შეიტყობს რო ცოლს ვირთავ, ტყავს გავაძრობ და ბევრ ფულს წავართმევ. ეს თბილი და გემოზე მოწყობილი ოთახიც აგერაა. ქეთუბის წამკითხველიც ბზადა მყამს. ერთი სიტყვა სთქვი და... გიყვარდეს! ოცდაოთხ საათში ისეთი ქორწილი გავაჩაღო, რომ მთელი ამიერკავკასია მარტო ამაზე ლაპარაკობდეს. ნუ იცინი და ნულარ მტანჯავ, ავგუსტინა. სთქვი; თანახმა ხარ?

ავგუსტინა ზევიდან დააცქერდა ოსიპს და გაიფიქრა:

„ამ სულელს სინამდვილეში ჰგონია, რომ ეს შესაძლებელია“.

უპასუხა:

— ასეთი დიდი საკითხის გადაწყვეტა ერთ წუთში როგორ შეიძლება. მოვიფიქრებ, აღწონ დავწონი, მოვამზადებ მშობლებს და მერე გეტყვი პასუხს.

ოსიპისათვის ესეც ბევრი იყო, გაურკვევლად გაიღიმა და თავი გააყოლა ავგუსტინას, რომელიც მიდიოდა სარკისაკენ თმის გასასწორებლად.

ავგუსტინამ უსაყვედურა:

— მე არ მითქვამს შენთვის გაჩუმება. აბა მომიყევი რა ახალი ამბები იცი?

— რა ვიცი, რომელი ერთი გითხრა...

— აი მაგალითად: რა ისმის თქვენს ამხანაგებში? ნათან ჯანაშვილმა გაგაცალკევათ შენ და ზებულონი, არა? ყველა ამხანაგები იმის მაარეზე გადასულან.

— ეგ არაფერია. გადასვლა და გადმოსვლა ორივე ტყუპი ძმებია, მეტირა საქმე გვაქვს. სიმონი უკვე ჩვენთან გადმოვიდა. ახლა სამი ვართ, სიმონი ამბობს, მალე აბიშაიც წამოვაო. აბიშაის კიდევ სხვები მოჰყვებიან.

— თავს ირთობთ. სხვა?

— ჰო, მართლა, რამეელა ამბავი მოვიტანე, კინაღამ არ დამავიწყდა.

— რა?—აინთო ცნობისმოყვარეობით ავგუსტინა.

— იულია ბერგერი გათხოვდა.

— ნუ ხუმრობ!

— ხუმრობა რომელია. დღეს გადაიტანა ბარგი თავისი ქმარის ბინაზე.

— ვინ არის მისი ქმარი?

— ნათანის ამხანაგია: ირაკლი გორგაძე.

— ნათანის ამხანაგი: ირაკლი გორგაძე—გაიმეორა ავგუსტინამ და მრისხანებით აინთო.

იგი არ აქცევდა ყურადღებას ოსიპის გაოცებას და ნერვიულობას უმატებდა. თვალები აემღვრა და მათში აშკარად მოჩანდა: ბრაზი, წყრომა, შური. ამ წუთებში ძნელი გასაგები იყო ავგუსტინა, რომლის თავში საოცარი სისწრაფით ირეოდა სავადასხვა ამბები და აზრები:

„იულია გათხოვდა... გათხოვდა... ეს ღარიბისა და ოხერტიელის ქალიშვილი, რომელსაც სამადლოდ გაუტოლე თავი და მეგობრად მივიღე აქ, ტფილისში. რასაკვირველია უკრაინაში ჩემს მეგობრობას ვერ ეღირსებოდა... დახედეთ ერთი იმ გველს. როგორი ჩუმჩუმად გაძოუწყია საქმე .. აქ კი ჩემთან სჩიოდა... მამაკაცებში უილბლო ვარ, ულამაზო ვარ... შენ ბედნიერი ხარ, მე კი უბედურიო... გათხოვდა... ჩემზე ადრე... პირველად ის გათხოვდა... და მერე ვისზე... ნათანის ამხანაგზე... ეჰ, ავგუსტინა, ნუ თუ იულიამ უნდა გაჯობოს?“

და ხმამაღლა უპასუხა თავის თავს:

— არა.

— რა არა?—შეეკითხა ოსიპი.

— ეს შენი ჭკუის საქმე არ არის.—მიუგო გაჯავრებით და შემდეგ როდესაც შეატყო, რომ ოსიპს ამით აწყენია, მიუახლოვდა, თავისებური ეშმაკობით თავზე ხელი გადაუსვა და შეეკითხა:

— რა დღეა დღეს?

— კვირა.

— კარგია რომელი საათი იქნება ეხლა?

— თერთმეტი.

— ძალიან კარგი. სადილობამდე კაცი საქმეს გააკეთებს. ეხლა სახლში იქნება?

— ვინ?

— ვინ?—გამოაჯავრა—ნათან ჯანაშვილი.

— რაღა საქმე გაქვს ნათან ჯანაშვილთან?—შეშფოთებით შეეკითხა ოსიპი.

— შენ რა... არ ანებებ თავს ეჭვიანობას?—გაჯავრებით მიახალა ავგუსტინამ და ცოტა ხნის შემდეგ ბრძანების კილოთი უთხრა:—აბა ჩაიცვი პალტო და გამომყევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად უნდა გამოგყვე? ნათან ჯანაშვილთან?

— ჰო.

— მე წაჩხუბებული ვარ.

— იმის ოთახამდე მომყევი. შენ დაბლა მომიცდი. მე იმასთან პატარა საქმე მაქვს. გავჩერდები ხუთ-ათ წუთს, მეტს არა. მერე ერთად წავიდეთ ქალაქში სასეირნოდ.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა მოალბეს ოსიპი, სასწრაფოდ გადაიცვა თავის პალტო და თან სიხარულით ალმოხდა:

— გიყვარ-დე-ეს...

ამის შემდეგ დაელოდა ვიდრე ავგუსტინა მორჩებოდა თავის ტუალეტს, კარებში გზა დაუთმო თავის „სატრფო არსებას" და გარედ გასვლისთანავე, ნამდვილი ჯენტლმენივით ნაზად და ფრთხილად გაუყარა მკლავი მკლავში.

ოსიპი განიერად მიაიბჯენდა ავგუსტინას გვერდით და უცნაური დაკინვით შესცქეროდა ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელიც მიდიოდა ქუჩის მეორე მხარეს პარალელურად,—თითქოს ეუბნებოდა:

„რას იჭიმები ბიძია. მდიდრის ქალიშვილი ხარ, მაგრამ ავგუსტინასთან შედარებით არაფერიც არა ხარ. ჰო, კარგად შემომხედე. ოსიპ ოსიპიჩი გახლავართ".

ავგუსტინამ შეამჩნია, რომ მისი თანამგზავრი დაჟინებით იცქირებოდა უცნობი ქალისაკენ და შეეკითხა:

— რას ჩაციებიხარ იმ ქალს. ნაცნობია?

— ასე ვთქვათ სანახევროდ, ესე იგი ვიცნობ ვინც არის, მხოლოდ პირადათ არ ვიცნობ.

— რა საინტერესოა უცნობი ქალი?

— ჰხედავ ავგუსტინა, როგორი პატარა ქალია შენთან შედარებით. უკვე ორი საქმრო ჰყავს.

— დეტალებიც რო გცოდნია.:.

— პირველი მაგის საქმროა ყეზრა შათაშვილი. გახსოვს იაფად რო მოგვცა საქონელი ქარვასლაში? ისა. მეორე—ნათან ჯანაშვილი...

ავგუსტინას ხელი ჩაუვარდა დაბლა და გაფითრდა.

— რა გემართება ავგუსტინა?

— არაფერი... ხანდახან ავი ზნე მომივლის ხოლმე... ნუ მიაქცევ ოსიპ ყურადღებას.

მაგრამ ოსიპისათვის ძნელი იყო არ მიექცია ყურადღება; არც ისეთი დიდი ჭკუა იყო საჭირო იმის მიხვედრისათვის, რომ ავგუსტინას ორგანიზმს დაუნდობლად სჭამდა ეჭვიანობის მატლი, ღრღნიდა, გულისცემას უხშირებდა...

ავგუსტინა თვალებით ჩაერჭო ესთერს:

„მაშ ეს არის?...ეს... დახედეთ მაგის მწვანე თვალებს... როგორი დამშვიდებით იცქირებიან... მერე რა ნახა მაგაში... რა არის მასში მიმზიდველი... ჩვეულებრივი ფერმკრთალი გოგონა... ტუჩების შეღებვაც ვერ მოუხერხებია ხეირიანად... ჰო და ნათანი თავის ტუჩებს, თავის ვნებას უნახავს ამ...ამ...ამ გომბიოს... ოჰ, ნეტავ არ მრცხვენოდეს ქუჩისა, მივვარდებოდი ამ ქალს და სა-

კუთარი ფრჩხილებით ამოვუკაწრავდი გულიდან ნათანის სახელს... განაწებდი ავგუსტინას მეტოქეობას“...

ესთერი მიდიოდა თავისთვის და არც კი ჰგრძნობდა, რომ ბინალელურად მას მისდ ვდენ ესოდენ მტრული თვალები.

ასე გაგრძელდა რომელიღაც მოსახვევამდე, სადაც ესთერმა ჩაუხვია.

ავგუსტინა ისევ თავის თავთან იყო:

„კიდევ კარგი, რომ ესეც იმასთან არ მოდის, თორემ ალბად რაღაც დატრიალდებოდა... ერთი საინტერესოა, თუ ყოფილა იგი ოდესმე ნათანის ოთახში?“.

და ამ საკითხზე იგი უარესად გაწითლდა.

ოსიპმა ამ დროს ხელახლა გაუკეთა თავის ხელი მკლავში, რა დროსაც სრულიად დაუმსახურებლად ავგუსტინამ მიახალა:

— გიჟი!

ეს ისე ხმამაღლა იყო ნათქვამი, რომ ზოგიერთმა გამვლელებმაც გაიგონეს, შედგენ ქუჩაში და აშკარა ცნობისმოყვარეობით დაუწყეს მზერა უცნაურ წყვილს.

ოსიპმა „პროტესტის“ სიტყვაც ველარ მოასწრო, ვინაიდან ისინი უკვე მიუახლოვდენ ნათანის ოთახს; ავგუსტინა მყის შეტრიალდა, ოსიპისთვის ზედ არც კი შეუხედავს, უბრძანა მას ეცადა და ამის შემდეგ სასწრაფოდ აირბინა კიბეზე.

გულმოკლული ოსიპი დასეირნობდა ქვაფენილებზე წინ და უკან და ითასი ეჭვებით აღსავსე, წყევლა კრულვას უგზავნიდა თავის გულში ხან ნათანს და ხან ავგუსტინას.

ნათანი გართული იყო თავისი დღიურის წერაში და როდესაც ავგუსტინამ შეაღო მისი კარები, თითქმის არც გაუგონია. როცა ნათანმა ასწია თავი და შეხედა ახლად შემოსულს—საკუთარ სახეზე გაკვირებას აღარა ჰგრძნობდა და თავისი დღიურისათვის სასწრაფოდ გაიფიქრა ერთი ფრაზა, რომელიც უნდა ყოფილიყო დაახლოებით ასეთი:

„მე აღარ მაოცებს ეს მოულოდნელი „ვიზიტები“. ო, როგორ შევეჩვიე მათ!“

შემდეგ მექანიკურად სკამი მიუწია სტუმარს და ხელით ანიშნა, რომ დამჯდარიყო.

ავგუსტინამ გაუწოდა მას თავისი ხელი, რომელიც ნათანამ საკმაო ზრდილობით და გულგრილობით ჩამოართვა. ავგუსტინამ პირველივე წინადადება ააშენა საყვედურით:

— ცუდი მასპინძელი ხარ. არც კი მთხოვ, რომ პალტო გავიხადო.

— შეშა არა მაქვს. სიცივეა ჩემს ოთახში.—მიუგო ნათანმა.

ავგუსტინა გეგმავდა, როგორ აეგო შემდეგი წინადადებები, მაგრამ მოულოდნელად და სრულ ად უკეგმოდ, მას წამოცდა:

— ეს ჩემი უკანასკნელი შეხვედრაა.

— მიემგზავრებით ტფილისიდან? —თავაზიანად შეეკითხა ნათანი.

ამ თავაზიანობამ ავგუსტინა გამოიყვანა მოთმინებიდან:

— შენ არასოდეს არ ჰღალატობ შენს თავს. მელაპარაკები ისევ თავაზიანობით, ისევ თქვენობით, ისევ ბანზე აგდებით. არ გინდა [illegible] გამიგო. შენ ისევ გაუტეხელი ხარ, ნამდვილი კერპი, ჯიუტი...

— რა გნებავთ? განა თქვენთვის კიდევ არ არის გამორკვეული ჩემი დამოკიდებულება თქვენსადმი? განა აღარ უნდა შესწყვიტოთ ჩემზე ნადირობა?

— ნათან! მე მინდა რომ თქვენ შემირთოთ ცოლად.

— ეხლა ისევ თავიდან იწყებთ?

— ნათან!

— კმარა. ეს არასოდეს არ მოხდება. ვერ გამიგია, რისთვის ამომიღეთ მიზანში. ნუ თუ ჩემს გარდა აღარ არიან ახალგაზდები? ნუ თუ არავინ არის მსურველი თქვენი შერთვისა?

უკანასკნელმა საკითხმა ააპილპილა ავგუსტინას თავმოყვარეობა:

— მე დღესვე დაგარწმუნებ არიან თუ არა მსურველები ჩემი შერთვისა... ხოლო შენ კი, ჩემი ასეთი შეურაცხყოფისათვის, აბუჩად აგდებისათვის—მწარედ განანებ. ცხოვრება დიდია, გაივლიან წლები, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

ამ სიტყვების დროს სახეზე სიწითლის ალმური ეკიდა, თვალებიდან ცეცხლის ნაპერწკლებს ისროდა, კბილებით ტუჩებს იკვნეტდა და აუწერელი ზიზღით შესცქეროდა ნათანს, რომელიც გაოცებით მხრებს სწევდა.

ავგუსტინამ უკანასკნელად უთხრა:

— მე წავყვები პირველ შემხვედრს ეხლავე. ამ წუთში. ხოლო შენ კი...

და აღარ დაასრულა. სასწრაფოდ გამოვარდა ოთახიდან ღრმა რწმენით, რომ ეხლა კი სამუდამოდ გამოეთხოვა ნათანს და მის ოთახს და ასეთივე ღრმა გადაწყვეტილებით, რომ პირველ შემხვედრს, თავის ნაცნობს, იგი გაჰყვებოდა ცოლად, დაუყონებლივ.

„ნუ ჰგონია ამ პროვინციელს, ნურც იმ უსვინდისო იულიას, რომ მე ვერ გავთხოვდები“.

სასწრაფოდ ჩაირბინა კიბე და როდესაც წააწყდა ოსიპს, კიდეც გაუკვირდა, ვინაიდან აღელვებამ სავსებით დაავიწყა, რომ მას ქუჩაში ოსიპი ელოდებოდა.

„რა გაეწყობა. ოსიპს ბედი ჰქონია. ლატარიაში მომიგო“—გაიფიქრა და თავისი „პირველი შემხვედრის“ გასაოცებლად, შეეკითხა:

— გიყვარვარ ოსიპ?

— რაფერი მერე...

— მოიტა ხელი.

— აი ჩემი ხელი.

— მაშ ასე: გადავსწყვიტე. მოგყვები.

— ცოლად?

— აბა მსახურად?

— ჰო, შენ კი გენაცვალე მაგ გადაწყვეტილებაში. ვაი, ქუჩა არ იყოს, როგორი მაგრად ჩაგკოცნიდი.

— მაგას მოესწრები. ეხლა სასწრაფოდ საქმეზე ვიზრუნოთ.

— ვიზრუნოთ. გენაცვალე. მე ეხლავე მივწერ წერილს მამაჩემს.

— რა დროს წერილებია. დღესვე ქეთუბა უნდა წავიკითხოთ.

— დღესვე?—გაოცდა ოსიპი.

— დღესვე. საღამომდე კიდევ ხუთი ექვსი საათია.

— კი მაგრამ...მომზადება უნდა...ფული. ტანისამოსი. ... ...ინა... —გაუბედავად შებედა ოსიპმა.

ავგუსტინამ მიანათა თავისი მრისხანე თვალები:

— როგორ ყმაწვილო? შენ ეხლავე მიპირობ ურჩობას? ან მოაწყე დღესვე, როგორც მე ვსთქვი, ან და სხვას წავყვები. გაიგე?

— ყველაფერს ვიზამ, შენ გენაცვალე, ოღონდ გული ნუ მოგივა.

— იქნება დღესვე ქეთუბა?

— იქნება.

— ასე მომწონს. წადი ეხლა გავარდი და მიიღე საჭირო ზომები.

და გამოთხოვებისას, ვიდრე ავგუსტინას ხელზე ემთხვეოდა, ოსიპი სიხარულით რამოდენიმეჯერ შეხტა ჰაერში და მთელი ქუჩის გასაგონად ხმამაღლა შესძახა:

— გიყ-ვარ-დეს...

● ● ●

ალბად არასოდეს, არც ერთი გამოცდების წინაშე, ასე მაგრად არ აძგერებულა მისი გული. უნდა ითქვას ოსიპის სასახელოდ, რომ ამ რამოდენიმე საათის განმავლობაში მან გამოიჩინა იშვიათი ორგანიზატორის ნიჭი, ვინაიდან იგი კარგად გრძნობდა, რომ ასეთი დღე მისთვის ჯერ არ გათენებულა და ალბად ეს მისთვის იყო პირველი და უკანასკნელი.

როცა იგი მიჰქროდა ქუჩიდან ქუჩაზე—უკვე მას გარკვეული ჰქონდა თავისი მარშრუტი:

„ზებულონი. აბიშაი. ყეზრა“.

და თან ჰფიქრობდა:

„გამიწევენ ეხლა ამხანაგობა—კარგი, არა და დედას ვუტირებ ყველას. ეხლა კი დავატრიალებ ჩემს მკლავებს“.

ამ ღრმა რწმენით იგი შევარდა ჯერ ზებულონთან, რომელსაც გადმოეყარა თავისი შკაფიდან აუარებელი ქაღალდები და შიგ საოცარის გულმოდგინეობით ჰქექავდა.

— მომილოცე ზებულონ!—ხმამაღლა შესძახა ოსიპმა.

— რა იყო ბიჭო, რამ მოგიარა?—შეეკითხა ზებულონი.

— მომილოცე მეთქი. იყვირე: მაზალტობ ოსიპ! ცოლი შევირთე, მერე რაფერი ცოლი!

— ვინ შეირთე ბიჭო ალარ იტყვი?

— ავგუსტინა.

— ხომ არ გაგიჟდი ოსიპ? ავგუსტინა რავა წამოგყვებოდა?

— გიჟიც ხარ და მეტიც. შე კონტრრევოლიუციონერო, არასოდეს არ უნდა დამიჯერო? გათავდა ჩემი გიჟობის დრო. დღეს საღამოს ექვს საათზე იწყება ჩემი დაჭკვიანება.

— საღამოს ექვს საათზე? რა მოგელანდა?

— ექვს საათზე ცხინვალელების სალოცავში ქეთუბა მაქვს. გინდა დამეხმარო თუ არა?

— თუ ავგუსტინა მართლა გაგიჟდა და მოგყვება, მაშინ მე შენი პირველი შოშბინი[1] ვარ—და ამ სიტყვებთან ერდად გადაეხვია ოსიპს და გადაკოცნა. შემდეგ შეეკითხა:—მეორე შოშბინი?

— აბიშაისთან გავვარდები ეხლა. სიმონი ძალიან შორსა ცხოვრობს და იმასთან ასვლას ვერ მოვასწრებ.

— აბიშაი—კარგია შოშბინად, მაგრამ სიმონის დაუპატიჟებლობა არ ივარგებს.

— დავპატიჟოთ. მაგრამ ვახშამი სადაა?

— როკორ თუ სადაა. შენ ცოლს ირთავ და მე მეკითხები?

ოსიპი დაეღრანჯა:

— შენი ჭირიმე, ზებულონ. მეცი ეს ერთი პატივი და მერე იმსახურე ჩემი თავი, რამდენიც გინდა. დახარჯე ამაღამ შენი ფული და შენს სახლში მოვაწყოთ ვახშამი. მწვადებს ჩემი ხელით შევწვავ. მერე მამაჩემი რო გაიგებს ჩემი ცოლის შერთვას—გამომიგზავნის ფულს, აბა რა ეშმაკი დაემართება. დაკაპეიკებამდე გაგისწორებ ანგარიშს, ავგუსტინას მზემ. კარგი? თანახმა ხარ?

— ჯანდაბას შენი თავი. თანახმა ვარ. ხუთ საათზე მოვალ ავგუსტინასთან. მერე იქიდან ლოცვაზე. მერე ჩემთან.

—გიყვარდეს...როგორი ვიქეიფებთ.

და ფრთებშესხმული ოსიპი გავარდა აბიშაისთან.

— აბიშაი მომილოცე—შესძახა შესვლისთანავე.

აბიშაი საუზმის შემდეგ ჩვეულებად მიღებულ ლოცვას ბუტბუტებდა და თვალებით შეეკითხა „რა ამბავიაო“.

— ამ საღამოს ქეთუბა. მერე ვახშამი. გიყვარდეს...

აბიშაიმ როგორც იქნა დაასრულა თავისი ბუტბუტი, ნელი ხელის კვრით ჩააგდო ოსიპი სავარძელში და უთხრა:

— აბა ეხლა მომიყევი სუყველაფერი, რაშია საქმე. არაფერი გააპარო.

ოსიპმაც მოუყვა ყველაფერი მოკლედ და გაოცებულ აბაშაის არც კი აცალა აზროვნება:

— მითხარი ჩქარა. იქნები თუ არა ჩემი მეორე შოშბინი?

— ვიქნები, რა საკითხია. ქეთუბა საქმეა. ხუმრობა ხო არაა.

— ერთი კიდევ. სულ დამავიწყდა: შენი კოსტუმი უნდა მათხოვო ამაღამისთვის.

— კოსტუმს როგორ დაგიკავებ, მაგრამ ერთი შენ თავს შეხედე და მერე მეკ გადმომხედე. ძალიან პატარა მოგივა.

— ეგ არაფერი. როგორმე ჩავძვრები. როგორმე გავწევ. მე ეხლა ყეზრასთან გავიქცევი და მერე ისევ შემოგირბენ კოსტუმის წასაღებად. შენ არსად გაიპარო, იცოდე, სახლში დამხვდი. ეხლა კი მოდი შე კონტრრევოლუციონერო, გადამეხვიე, მაკოცე, მომილოცე.

[1] შოშბინი—დაახლოებით—მაყარი.

— მაზალტობ ოსიპ! ძალიან ბედი მოგწევია.

— მადლობელი ჩემო აბიშაი. ეს ჩვენი შერიგებისა იყოს—და ოსიპმა მაგრად ჩაჰკოცნა, რის შემდეგაც სასწრაფოდ გაემართა ყეზრას ბინისაკენ, ვინაიდან, ოსიპის აზრით კვირა დღეს ყეზრა არ იქნებოდა ქარვასლაში.

ყეზრას ბინაზე ოსიპს უთხრეს, რომ ყეზრას ნახვა შეიძლება ცხენოსნელების კანტორაში, სადაც მას სხვა გაბაებთან და მელამედთან ერთად ჰქონდა მოწვეული კრება ფრიად საყურადღებო საკითხებზე.

„მით უკეთესი"—გაიფიქრა ოსიპმა და გაუდგა კანტორისაკენ.

სალოცავში შესვლისთანავე ოსიპმა თვალი მოჰკრა ძია დათოს ზურგს, რომელიც საოცარი გულმოდგინებით იცქირებოდა პატარა კარების ხვრელში. ოსიპმა სწორად აიღო ალღო:

„ალბად ეს კარები კანტორისაა. ისინი ეხლა იქ არიან".

და ძია დათოს ყურადღების მისაქცევად ჩაახველა.

ძია დათო შემოტრიალდა გაჯავრებით, აავლო თვალი უცნობ კაცს და საკმაოდ უკმეხად, შეეკითხა:

— რა ამბავი, ახალგაზრდა?

— ყეზრა შათაშვილი მინდა ვნახო საჩქაროდ.

— არ შეიძლება. კრებაზეა.

— კრებაზე როა, ვიცი. მაგრამ საჩქარო საქმეა.

— იმათაც საჩქარო საქმე აქვთ.

— თუ ეხლავე არა ვნახე, ამ საღამოსთვის ქეთუბას ველარ მოვასწრებ.

ძია დათო გაიღიმა და საკმაოდ შერბილდა:

— ხოოო...შე კაი კაცო, თუ კი ქეთუბა გქონდა, ამდენ ხანს გეთქვა. როგორ არ შეიძლება ნახო. კისერს მოვტეხ და ისე გიჩვენებ.

თქმა და ასრულება ერთი იყო. ძია დათომ ხელი ჰკრა კარებს, რომელიც ჭრაჭუნით შეაღო, შევიდა შიგ და დამსწრეთათვის ყურადღების მიუქცევლად ოსიპი შიგ შეიპატიჟა.

ის ის იყო ყეზრა შათაშვილი აპირებდა წამოხტომას და ძია დათოსთვის დაყვირებას, მაგრამ მოულოდნელად ოსიპის დანახვამ სულ დაავიწყა ძია დათო.

— ოსიპ ოსიპიჩს ვახლავარ! მოჩრძანდი, ძვირფასი სტუმარი ხარ. გაიცანით და ხელი ჩამოირთვით ყველამ ვინც არ იცნობთ.

ყველაზე ადრე ძია დათომ ჩამოაროვა ხელი.

ყეზრამ ბრაზისაგან კბილები გააკრაჭუნა, მაგრამ გაჩუმება არჩია.

ოთახში იყო შვიდი გაბაი, მათში ერია მენაშეც, ხოლო კოჭლი მელამედი იჯდა საპატიო ადგილას ყეზრას გვერდით.

ბუხარში ენთო ცეცხლი, რომელიც იძლეოდა სითბოსა და კმაყოფილებას.

ოსიპმა შესვლისთანავე თავი იგრძნო თავისიანებში და საკითხი პირდაპირ დააყენა:

— ქეთუბა საღამოს ექვს საათზე.

ყეზრა მიხვდა, დახედა საათს და „საქმის კაცის" კილოთი დაიწყო:

— მართალია ცოტა დროა ექვსამდე და ვერ მოვასწრებთ, მაგრამ მაინც უნდა მოვასწროთ. ოსიპ ოსიპიჩი დიდი განათლებული კაცია, მაგრამ საისრაელო არ ავიწყდება. რაბი!—მიმართა კოჭლ მელამედს—დასაგვიანებელი ადარ არის. შეუდექით ქეთუბის წერას. მოუნდებით ორ საათს. არა, შეიძლება მეტსაც. ეს თქვენი საქმეა. ქეთუბის დასაწერ და წასაკითხ გასამრჯელოს მიიღებთ ჩემგან, ესე იგი ობშჩესტვასგან.

— ეხლავე შევუდგები წერას. კარგია რომ დილიდანვე ყველაფერი თან წამოვიღე—სთქვა მელამედმა, რომელმაც აიღო ხელში ფანქარი და ოსიპს შეეკითხა ხათან ქალას[1] სახელისა და გვარის შესახებ.

— იოსებ იოსების ძე ხანანაშვილი და ავგუსტინა ლევის ასული როზენფელდი.

— დედოფალი აშქენაზი ყოფილა—სთქვა მელამედმა მას შემდეგ, რაც ჩაიწერა მათი გვარები და თავისი მხრით დაუმატა—საღამოს ექვსი საათისთვის შეიძლება ქეთუბის წაკითხვა.

ოსიპისათვის საკითხი ამოწურული იყო, სასწრაფოდ გამოესალმა ესოდენ „გულკეთილ საზოგადოებას“ და გავიდა გარეთ, რათა მოეგვარებინა დანარჩენი საკითხები.

მისი გასვლის შემდეგ ყეზრამ საჭიროდ დაინახა, რომ ამხანაგებისათვის მიეცა შემდეგი განმარტება:

— ობშჩესტვა უნდა დაეხმაროს ოსიპ ოსიპიჩს ორი გარემოებისა გამო. ჯერ ერთი ეგ როგორც განათლებული ადამიანი ძალიან გამოსადეგი კაცია. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ეგ როგორც ნასწავლი, მეტისმეტად ჭკვიანი კაცია, ესე იგი რა მინდა ვსთქვა, ძალიან ჭკვიანი კი არა, ცოტა კიდეც ხანდახან მოუვლის ხოლმე აქ—ამ ადგილას ყეზრამ თითი გაატკაცუნა შუბლზე და განაგრძო —და ამიტომ იგი საშიშიცაა... ესე იგი მთლად საშიში კი არა, მაინც...

გვიან მოაგონდა, რომ ძია დათოც ოთახში იყო. ინანა.

— ეხლა კი, გაბაებო, წავიდეთ სახლებში და კრება სხვა დროს გავაგძელოთ, მივცეთ ბატონ რაბის საშუალება, რომ ქეთუბა დაამზადოს მალე, ესე იგი მალე თუ არა, საღამოს ექვსი საათისათვის მაინც.

გაბაები გამოვიდენ კანტორიდან და მელამედი შეუდგა მუშაობას.

●●●

ძია დათო სალოცავში დაფუსფუსებდა.

პატარა ოთახში მელამედს მუყაითად ამოჭყავდა ქეთუბის ქაღალდზე „ნაბეჭდი ასოები“ და იცოდა რისთვისაც მუშაობდა: ელოდა კარგ გასამჯელოს.

სწორედ ეს გარემოება უკლავდა გულს ძია დათოს, რომელიც ცოცხით ხელში, მაგრამ უსაქმოდ წინ დადიოდა წინ და უკან და ნერვიულობდა ისე, როგორც არასოდეს.

ბევრი რამ აკვირვებდა მას:

„რისთვის აძლევენ მელამედს ჯამაგირს თავის დროზე, ხოლო მას კი—ამდენი ხანია ასე უღმერთოდ აწამებენ?

[1] ხათან ქალა—მეფე დედოფალი.

„რისთვის არის გამოსადეგი ეს ვიღაც კაცია, რომ უფასოდ უკითხავენ ქეთუბას? (უფრო სწორია ის, რომ ყეზრას ეშინია მისი).

„და დაბოლოს. ნუ თუ ამ ქეთუბამ არაფერი ხეირი არ უნდა მომცეს?“

და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, სიხარულით წვერები ამოიგრეხა.

მოაგონდა:

„ილელ ჰაზაკენი[1] იყო მგონია, ალბად რამდენიმე ათასი წლის წინედ, რომელმაც სთქვა: „თუ მე არა ჩემი თავისათვის—მაშინ ვინ? თუ ეხლა არა—აბა როდის“. კარგად უთქვია, ჩემმა ბზემ. ეს უნდა გაკეთდეს ეხლავე. ეს უნდა გავაკეთო მე. მხოლოდ ასე გავინაღდებ ჩემ ფულს მხოლოდ ასე შეიძლება გასწორდეს ძველი ანგარიში. იყვირებენ, ილრიალებენ, მაგრამ, დათო, არ შეგეშინდეს! დღეს თუ ხვალ ყოლამ ჰაბას გაემგზავრები. მეტს რაღას დაკარგავ? ასე. გადაწყდა“.

შემდეგ შედგა კარებთან და ხვრელში თვალი გაჰყო:

„მგონია მალე გაათავებს“.

მელამედი მართლაც ასრულებდა ქეთუბის ტექსტს და კმაყოფილი თავისი მუშაობით, ჩვეულებრივად ღიღინებდა:

— ა-ა-ა-ა-ა...

„ვნახოთ ვინ აღიღინდებდა ამ საღამოს“—ემუქრებოდა თავის გონებაში ძია დათო.

მალამედი წამოდგა.

ძია დათოს რომ სკამის გაწევის ხმა შემოესმა დაუყონებლივ გააღო ოთახი და შიგ შევიდა.

მელამედმა დაახვია მზრუნველობით ქეთუბა და უჯრაში ჩასდო, რის შემდეგაც თავის დაქნევით გამოეთხოვა ძია დათოს და გავიდა გარედ.

მელამედის გასკლისთანავე, სიფრთხილით ჩაიკეტა შიგნიდან კარები, გამოიღო ქეთუბა, ერთხანს საკმაო ცნობისმოყვარეობით უკქირა შავ ებრაულ ასოებს და შემდეგ მოულოდნელად გააქანა თავის უბისაკენ. მერე ისევ გამოაღო კარები, მოძებნა სალოცავის დიდი ბოქლომი, ჩამოჰკიდა კარებზედ და როცა დარწმუნდა, რომ კარი კარგად იყო დაკეტილი, ჩავიდა დაბლა და არხეინად გადახედა ქუჩას.

უბეში ერთად მოხვდენ: ოსიპის ქეთუბა და ძია დათოს ძველი ანგარიში.

●●●

ავგუსტინას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: სწრაფად დასრულებულიყო ქორწინების ცერემონიალი. მას არ სურდა ამ წუთებში ეფიქრა თავისი გადაწყვეტილების მიზანშეწონილების შესახებ. ის რაც გადაწყვიტა ავგუსტინამ—დასრულდა. მის შეცვლაზე აღარ შეიძლებოდა ლაპარაკი. მორჩა და გათავდა.

საზრუნავი სხვა იყო:

„რა ვუყო მშობლებს, შევატყობინო თუ არა? ისინი ასე ადვილად არ მოიწონებენ არჩევანს. იმათ იციან, რომ აუარებელი ახალგაზრდობა მეხვევა თავს.

[1] მოხუცი ილელი.

დამიწყებენ საყვედურს: „ეს არის შენი ამორჩეულიო?“ დაიწყება სცენები, ტირილი, ისტერიკა. დღევანდელ ამბავს უსათუოდ ჩამიშლიან და მერე თვით ეს ამბავი საინტერესო აღარ არის... საჭიროა მხოლოდ დღეს, სწორედ დღეს და არა ხვალ... იყოს ოსიპი! სულ ერთი არაა: იქსი, იგრეკი?... ოღონდ კი ის საძაგელს მოხვდეს გულში... ოღონდ კი იმას შეატყობინონ, რომ მე დღესვე გავთხოვდი, რომ უკვე ქეთუბაც წავიკითხე... ხა, ხა, ხა! აი ნომერი!... მშობლებს კი ფაქტის წინაშე დავაყენებ... ქეთუბის შემდეგ, ამაღამ, ან შეიძლება ხვალ... დაუძახებ და ვეტყვი: „კეთილ ინებეთ გაიკანით—ჩემი ქმარი. აბ მოგწონთ? თქვენი საქმეა. ასე თუ ისე თქვენ დაგჭირდებათ ამ ამბავს გაუწიოთ ანგარიში, ვინაიდან იგი უკვე ჩემი ქმარია“. წარმოდგენილი მაქვს მათი გაბერილი სახეები... მაგრამ ოცდაოთხი საათის შემდეგ ყველაფერი უკვე მოგვარებული იქნება და ავგუსტინა ჩაიწერება ხანანაშვილების სიაში. ხა, ხა, ხა! „ავგუსტინა ლვოვნა ხანანაშვილი“.

და ავგუსტინამ სერიოზულად გადასწყვიტა, რომ იმ დღეს თავისი მშობლებისათვის არ ეთქვა არც ერთი სიტყვა. ამასობაში იგი დროს არ ჰკარგავდა და თავის შკაფში სათითაოდ არჩევდა კაბებს. უნდოდა ყველაზე ლამაზი კაბა ჩაეცვა საქორწინოდ. ასე თუ ისე ერთგული იყო თავისი დეევიზისა, რომ ქალისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა სილამაზე.

ნასადილევს, დივანზე წამოწოლილი შეიპყრო ერთმა შიშმა:

„ერთიც ვნახოთ და ვერ მოაგვარა ოსიპმა დღეს ეს საქმე. მაშინ? ლუკმა ლუკმა ავკუწავ. გიჟი! რას ჰქვია ვერ მოაგვარა? მე იმას ცოლად მივყვები და ის უბრალო ამბებსაც ვერ მოაგვარებს? მაშინ უმჯობესია არ მომეკაროს“.

როცა საათმა უკვე ხუთი დარეკა და ოსიპი არსად ჩანდა, მაშინ ავგუსტინას საფუძვლიანად წაავლო ხელი აღელვებამ და თვალები ბოროტებით აევსო.

ათი წუთის შემდეგ ოთახში შემოვარდა ოსიპი.

— ძლივს!—წამოხტა ავგუსტინა, რომლის სახეზე ნაძალადევ სიხარულთან ერთად კრთოდა გაუკვებარი შურისძიების ხაზები.

ოსიპის გარეგნულმა შეხედულებამ ავგუსტინა დააწყნარა: ოსიპს ეცვა პალტარა, მაგრამ მაინც ახალი კოსტიუმი, გაეკეთებია თეთრი საყელო, რაც ასე იშვიათი იყო ოსიპის ცხოვრებაში, არ დავიწყებია არც ადეკალონი და ხელში ეჭირა უზარმაზარი კონა ყვავილებისა, რომელიც დიდის გაჭივრებით ეშოვა დამკრძალავი ბიუროს მაღაზიაში.

— ეს შენ ჩემო მტრედო—მიართვა ავგუსტინას და ხელზე აკოცა.

— გმადლობ—უპასუხა ავგუსტინამ და გვერდით მოისვა—როგორაა საქმეები?

— ძალიან კარგად. უკვე ყველაფერი მოგვარებული მაქვს.

— მაინც როგორ? ხო იცი, მიყვარს წინასწარ ვიცოდე ყოველგვარი დეტალი.

— სრულ ექვს საათზე, ცხინვალელების ჯამაათის სალოკავის ეზოში დანიშნულია ქეთუბა. შოშბინებად იქნებიან: ზებულონი და აბიშაი. მოვა სიმონიც. ქეთუბის შემდეგ იქნება დიდი ვახშამი, რომელსაც ვაწყობ ზებულონის სახლში. იგი უკვე დაბლა გვიცდის.

— ყოჩაღ ოსიპ, შენც არც ისე მოუხერხებელი კაცი ყოფილხარ, როგორც წინედ მეგონა. მოსაზრებაც გქონია და საქმის მოწყობაც შეგძლებია.

— მაშ არა?

— ყველაზე კარგად ის მოგსვლია თავში, რომ ვახშამი ... მოგიწყვია. ჩემმა მშობლებმა მაინც ჯერჯერობით არაფერი იცან — და ... მათ შევატყობინო ხვალ ან ზეგ. რას იტყვი?

— შენი მშობლები რაში მედარდება შენ ხომ მომყვები! გიყვარდეს... იმათ თუ არ უნდათ იყონ ისე. შეტყობინებით როგორც გსურდეს: გინდა ხვალ და გინდა ერთი წლის შემდეგ.

— ხა, ხა, ხა! რა სასაცილო ხარ, ოსიპ. ხომ არ წავიდეთ ნელნელა, რომ ჩემმა მშობლებმა არაფერი ეჭვი მიიტანონ?

— წავიდეთ, შენ გენაცვალე.

— აბა ორი წუთიც დამიცადე.

ავგუსტინა შევიდა შირმის იქით, მოიყვანა პირისახე წესრიგში, სასწრაფოდ გადაიცვა თავისი ამორჩეული კაბა, თან საზამთრო პალტოში გაეხვია და ოსიპთან ერთად, ნელა და ფრთხილად გამოვიდა თავის ოთახიდან.

ისინი მიაბიჯებდენ დიდმნიშვნელოვანად. ყოველი მათგანისათვის ამ ნაბიჯებში თითქოს ძველისა და ახალის საზღვარი იყო: ავგუსტინა ბედს ეთხოვებოდა, ოსიპი—უბედობას.

... დასაწყისი მოეწონათ:

ქვაფენილზე მათ უკვე ელოდებოდათ სამი ამხანაგი: ზებულონი, სიმონი, აბიშაი.

ყოველივე მათგანმა თავისებურად მიულოცა ავგუსტინას, მაგრამ ერთი აზრი—რომ ეს ამბავი მოულოდნელად მოხდა—წითელი ხაზივით იყო გავლებული ამ მოლოცვებში და რათა დაეკმაყოფილებინა მათი ცნობისმოყვარეობა, ავგუსტინამ მიმართა ყველას ერთად:

— იტყვიან: „ავგუსტინა გაგიჟდაო“? დამიფურთხებია! მე ყოველთვის მიყვარდა ორიგინალობა. არც ეხლა ვიხევ უკან. მე მივყვები ოსიპს. ნორჩა და გათავდა.

— გიყვარდეს...—ვერ მოითმინა ოსიპმა, რო აღტაცებით არ წამოეძახა. მისმა თანამგზავრებმა ოდნავ გაიღიმეს.

როცა მიუახლოვდენ ცხინვალელების სალოცავს, უკვე საათის ექვსი იყო.

ეზოში მოგროვილიყო საჭირო მინიანი[1]. აქვე დაფუსფუსებდა გაბაი მენაშე და და კოჭლი მელამედი. არსად არ ჩანდნენ: ყეზრა შათაშვილი და ძია დათო.

„სად არის ყეზრა? ეს რას ნიშნავს?“—გაუელვა თავში ოსიპს.

თანდათანობით ოსიპი აშჩნევდა, რომ ხალხს, ჰქონდა შეშფოთებული სახეები, რის გამოც მასაც მოულოდნელად ფერმა გადაჰკრა: „ნეტავი რა მოხდა?“

აიხედა სალოცავისაკენ: კარებზე დიდი ბოქლომი იყო ჩამოკიდებული.

[1] მინიან—ათი სრულწლოვანი მორწმუნე ებრაელი, რომელთა დასწრება აუცილებელია, რათა შესრულებულ იქნეს საჯაროდ ებრაული ლოცვები და სხვადასხვა ტრადიციული რიტუალები.

კოჭლი მელამედი და გაბაი მენაშე უცნაური აღელვებით ერთმანეთს ეჩურჩულებოდენ.

ზებულონი, სიმონი და აბიშაი ჩაცვივდენ უხერხულ მდგომარეობაში. ოსიპი და ავგუსტინა იდგენ სახტად, უაზროდ.

მათ შესცქეროდა მთელი ეზო: დარცხვენით, თანაგრძნობით, დაცინვით. უჩვეულო, არ მომხდარი და არ გაგონილი ამბავი იყო.

აშკარად სენსაცია:

ძია დათოს დაეკეტა სალოცავი და სადღაც დამალულიყო.

„ხათან ქალა“ და მლოცველები სიცივესა და გაუგებრობაში დარჩენილიყვენ გარედ.

გამწარებული ყეზრა შათაშვილი თავქუდმოგლეჯით დარბოდა მთელ ქალაქში ძია დათოს მოსაძებნად და მოსაყვანად.

●●●

ძია დათო შორს არ იყო. იგი ტრიალობდა ახლო მახლო და როცა შეამჩნია, რომ მალე ღამდებოდა, ხოლო არეულობა ლოცვის ეზოში თანდათან უფრო ძლიერდებოდა, გადასწყვიტა გამოჩენილიყო. ჯერ კიდვე ეზოში შესვლამდე მის ყურებს ესმოდა გახურებული ლაპარაკი:

— დაბვაჯდა ძია დათო და ესაა.

— რამდენჯელ გადავწყვიტეთ მისი მოხსნა. გაბაები მაინც ვერ შეელიენ.

— რას შეელეოდენ. ფულს მაგას არ აძლევენ. მაგისთანა მუქთ შამაშსად იშოვიდენ.

— რაც უნდა სთქვი, ძალიან დროს გვაჭამა სირცხვილი. მერე განათლებული ხალხი მაინც არ იყოს!

— ვაი დედასა მისას.

— ყველა ყველა—მაგრამ გასაღების წაღება როგორ შეიძლება. ხალხს ლოცვა უნდა.

— ეს ჯამაათის უპატივისცემლობაა.

— ეს ჩვენი მასხარად აგდებაა.

— მოხსენით, გააგდეთ, პასუხისგებაში მიეცით!

— მანამდე კი რას უდგეხართ. ხედავთ, დაღამდა.

— შეამტვრიეთ კარები. ძია დათოს მერე გაუსწორდებით.

— გამოიტანეთ ქეთუბა და მორჩით ბარემ!

ხალხი ეზოს თანდათან ემატებოდა. ყველაზე უფრო გულსაკლავი გარემოება ცხინვალელებისათვის იყო ის, რომ ხმაურობაზე ეზო აივსო აუარებელი ახალციხელებით, რომლებიც აშკარად მოვიდეხ სეირის საყურებლად და რომლებიც ხვალ ამ ამბავს საქვეყნოდ სამასხროდ გახდიდენ.

ძია დათოს მოულოდნელი გამოჩენა დაემთხვა ერთი წუთით ადრე გაოფლიანემული ყეზრას შემოსვლას, რომელმაც უიმედოდ ხელი ჩაიქნია:

— ვერ ვნახე ის სულძაღლი...

— სულძაღლიც ხარ და ერთიც მეტი—მიიღო პასუხად.

მოიხიდეს. ამას ამბობდა ძია დათო. მისი მოულოდნელი შემოსვლა სეირისა და სენსაციის ატმოსფერას უფრო აძლიერებდა.

ოსიპი ბრაზისაგან ცეცხლივით აენთო და მზად იყო რაღაც საბრალელი საქმის ჩასადენად, მაგრამ მას დიდი დაჯერება ჰქონდა ზებულონისა, ხოლო ამ უკანასკნელმა მას ურჩია, რომ არ გარეულიყო მათ შინაურ საქმეებში.

„ესენი თვითონ მოაგვარებენ ერთმანეთშიო“.

მოგვარებას პირი არ უჩანდა. ძია დათომ ეზოს კუთხეში შეამჩნია მოზრდილი ქვა, მივიდა და ჩამოჯდა. შემდეგ დაიკრიფა გულხელი და მიაშტერდა ყეზრა შათაშვილს.

ყეზრა შათაშვილი მიუახლოვდა ძია დათოს:

— რას გვიშვები ძია დათო! ნუ მოგვჭერი ქვეყანაზე თავი. მოიტა გასაღები. თუმცა გასაღები ჩვენ არ გვინდა. ჩვენ ქეთუბა გვინდა. მელამედს იქ დაუტოვებია.

— ხათან ქალა იცდის ძია დათო, ჩქარა. —დაუმატა თავის მხრით მენაშემაც.

— ხათან ქალა!

— ხათან ქალა!

— ხათან ქალა!

გაიმეორეს ზოგიერთებმა.

ყველანი მიუბრუნდენ ძია დათოს, რომელიც ერთხანს განაგრძობდა ჩუმად ყოფნას, ხოლო შემდეგ თანდათან გაიხსნა მისი შეკრული პირი და საოცარის გულგრილობით მიმართა ყეზრას;

— ადონაისა და ბალშევიკების მეტს აღარავის აქვს უფლება უბრძანოს ძია დათოს. შემომხედე, შვილად გამომადგები. შენ კი... ზღვა ვერ დაიტევს შენს უსამართლობას, ყეზრა.

უბიდან ამოიღო ძველი ანგარიში და განაგრძო:

— შესრულდა უკვე ერთი წელიწადი, ესე იგი თორმეტი თვე. როდესაც შემოვიტანე განცხადება, რომ ჯამაგირი მომიმატეთ-თქო, თქვენ არც ჰო მითხარით, არც არა. მქონდა ოცდახუთი მანეთი. ვითხოვდი სამ თუმანს. მე ეხლა მაინც სამი თუმნის კვალობაზე ვანგარიშობ. თორმეტი თვე რომ სამთუმანზე გადავამრავლოთ — იქნება ოცდათექვსმეტი თუმანი. ოთხას მანეთს აკლია—რაღაც ოთხი თუმანი. მაგრამ ჩემი ამდენი წვალებისათვის ეს ოთხი თუმანიც მერგება. გაიგე? ვიდრე არ ჩამაბარებთ მთლიანად ოთახს მანეთს, ქეთუბის წაკითხვა არ მოხერხდება. აი ლოცვის გასაღები.

თქა და ლოცვის გასაღების ყეზრასთვის გადაცემა ერთი იყო.

დამსწრენი და რასაკვირველია მათ შორის ყველაზე უფრო ყეზრა შათაშვილიც გააოცა ამ მოულოდნელმა წინააღმდეგობამ, რომელიც არსებობდა ძია დათოს სიტყვებსა და მისივე მოქმედების შორის.

„ალბად ჭკუაზე შეირყა“—გაიფიქრა ბევრმა მათგანმა და ზოგიერთებმა თანაგრძნობითაც მოიხსენიეს:

— საწყალი!

ძია დათო გაუნძრევლად აგრძელებდა ჯდომას.

გაბაები და კოჭლი მელამედი სიხარულით ავარდენ სალოცავში.

ბავშვებმა სალოცავიდან გამოიტანეს დიდი ტალეთი, ოთხივ კუთხივ წამოაგეს ჯოხებზე და გადააფარეს ხათან ქალას. ზებულონი, აბიშაი და სიმონი ამოუდგენ მათ გვერდით. ყეზრამ და მენაშემ ჩამოიტანეს ღვინო და ჭიქები, ვინაიდან ისინი აპირებდენ ხათან ქალას მოწმეებად ყოფნას და თითქმის უკვე სავსებით დაავიწყდათ ძია დათოსთან მომხდარი ინციდენტი. რომელიღაც მორწმუნემ ჩამოიტანა სიდური[1] და ყველაფერი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მოსალოდნელი უსიამოვნება უკვე აცილებული იქნა.

ელოდენ მელამედის ჩამოსვლას, რომელსაც უნდა ჩამოეტანა ქეთუბა და დაეწყო მისი კითხვა.

მელამედი იგვიანებდა და ეს დაგვიანება ისევ ხელახლა ჰქმნიდა ნერვიულ მდგომარეობას.

ყეზრას გულმა უგრძნო, რომ საქმე კიდევ არ იყო კარგად და გაქანდა მელამედთან, რომელიც მაგიდის გაღებულ უჯრასთან იდგა თავზარდაცემული და სასოწარკვეთილებაში გახვეული.

— რაბი! რა მოხდა?

— ქეთუბა მოუპარავს.

— ქეთუბა?—ეკვალა ფერი ყეზრას და თავის არსებაში საშინლად გააჟრჟოლა:

„ვინ გადურჩება ეხლა ოსიპს. აშკარად მიმბეგვავს სახალხოდ“.

ხოლო მეხლამედის გასაგონად ხმამაღლა წარმოსთქვა:

— ოჰ, ძია დათო, როდის უნდა ამოვიყარო შენი ჯავრი.

ბევრი ფიქრის შემდეგ ყეზრამ არჩია კიბეებზე წყნარად ჩამოსულიყო, რომლის შემდეგ მივიდა ძია დათოსთან და ჩურჩულით დაუწყო ვედრება:

— თორის გულისთვის, ღმერთის ხათრისთვის...

— ოთხასი მანეთი—ამბობდა ძია დათო.

— ხათანქალა რა შუაშია. გავასწოროთ სხვა დროს ანგარიში. თუმცა არაფერი გერგება. მოგცემთ რაც გერგება...

— ოთხასი მანეთი...

— ძია დათო, სირცხვილი, შენი წვერების მაინც მოირიდე...

— ოთხასი მანეთი.

— ძია დათო...

უმიზნო იყო ყოველგვარი ლაპარაკი გაქვავებულ გულთან, რომელსაც ოთხასი მანეთის მეტი არაფერი ახსოვდა.

ავგუსტინა იჩენდა საოცარ თავდაჭერილობას, რომელსაც არ ესმოდა თუ რა ხდებოდა მის გარშემო. ხოლო ოსიპი, რომელსაც ესმოდა, რომ კაკალი მის თავზე ტყდებოდა, ველარ იკავებდა თავს, თანდათანობით მისი სახე ღრუბლებით იფარებოდა და უცბად ეძგერა ყეზრას:

— ვინ გგონივარ მე შენ? ვის იგდებ მასხარად?

— არა, ბატონო ოსიპ, მე არა... ძია დათო.

— ძია დათო მე არ ვიცი. საჩქაროდ წაიკითხეთ ქეთუბა...

[1] სიდურ—სამლოცველო წიგნი.

— ქეთუბა მოუპარავს...

— მოუპარავსო?—და ოსიპი გამოვარდა წრიდან და მოლოდ ყვირილი:

— მოვკლავ, მოვკლავ, გავგიჟდები, გამიშვით, მე მაგათ ეჭირებ დედას...

ზებულონი და სიმონი ძალით აკავებდენ ოსიპს, ყეზრა შიშისაგან ცახცახებდა, აბიშაი ეწეოდა უმიზნო არბიტრობას ძია დათოსთან, ძია დათო კი უკვე ერთგვარ კმაყოფილებას გრძნობდა შექმნილი არანორმალური მდგომარეობიდან.

მაგრამ ერთ წუთს ძია დათოსთვისაც შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა. ეს ის მომენტი იყო, როდესაც ოსიპი მივარდა ეხლა უკვე მას მოქნეული მუშტით. ძია დათომ გაუძლო ოსიპის თვალებს და ამ ერთმა წუთმა ფაქტიურად მიანიჭა ძია დათოს უპირატესობა, რომელიც ფეხზე წამოდგა, ავიდა იმ ქვაზე, რომელზედაც იჯდა და მიმართა ოსიპს, ყეზრას და დანარჩენ იქ მყოფთ:

— მე ღრმა მოხუცი ვარ და ორი დღის სიცოცხლე კიდევ დამრჩენია. ვისაც უნდა მოვიდეს და შემომკრას. მე არავის არაფერს არ ვედავები. მე ვითხოვ ჩემსას. ჯამაათო! ღმერთი აღარ არის ქვეყანაზე? ცოლშვილი მშიერ მწყურვალე, შიშველტიტველი მე არ მიტირის? მთელი წელწადია კვნესის და ვაებით გამაძღო ყეზრა შათაშვილმა. კმარა ისრაელებო, ჩემი ამდენი დაძალვა. მოვიდა დრო და მეც უნდა გავინაღდო ჩემი ძველი ანგარიში. ქეთუბა გადამალული მაქვს ისეთ ადგილას, რომ ადამიანის შვილი ვერ მიაგნებს. ან ყეზრა შათაშვილმა გადამიხადოს ეხლავე ოთხასი მანეთი, ან ქეთუბა გადასდევით. მე სულ ერთია აქვე რომ ჩამომახრჩოთ—ქეთუბას მაინც არ მოგცემთ...

სთქვა და გადმოვიდა დაბლა.

შეიქნა ნამდვილი არეულობა, ყვირილი, გინება, მელამედის, ყეზრას, ოსიპის და სხვების ბოლმის უაზრო გადმონთხევა:

— რჯულის ღალატია.

— გაახერემეთ. შეაჩვენეთ.

— ოთხასი მანეთი არ ერგება.

— რაც ერგება მიეცით და გაათავეთ.

— ეს რა საქმე მიყო ყეზრამ? მოვკლავ, მოვკლავ, გავგიჟდები...

ძია დათო მოულოდნელად აეტუზა ოსიპს და ავგუსტინას პირდაპირ, რომელთაც მიმართა:

— ხათან ქალა! თქვენ მოსწრებიხართ მრავალ კარგ წელიწადებს, ბედნიერ სიცოცხლეს, საყვარელ შვილებს—გეხვეწებით, მიიღოთ წილი ჩემს საქმეში და მატყუარა ყეზრა შათაშვილი აიძულეთ, რომ გადაიხადოს ჩემი ოთხასი მანეთი, თქვენი ჭირიმე.

ავგუსტინამ არ იცოდა რაში იყო საქმე, მაგრამ ძალზე მოეწონა მოხუცი ძია დათოს სახე და ოსიპს უთხრა:

— დაეხმარე.

ეს ოსიპისათვის საკმარისი იყო. იგი ხელახლა გამოვარდა წრიდან, წაავლო ხელი ყეზრას, წაუჭირა ყელში და უთხრა:

— ეხლავე ამოიღე ოთხასი მანეთი.

— ბ... ბატ... ტონ... ნო ო.. ო სსს... ოიპ...

— ხმა, კრინტი! შენი ჯავრი ძველიც მაქვს შემონახული. იძლევი თუ არა ფულს?

— არ ერგება ბატონო ამდენი! — წაიხრიალა ყეზრამ.

— ანგარიშისათვის არა მცალია. ჩქარა ფული, თორემ წაგიბორიბ ეხლავე ქათამივით — და როგორც პირველი სიგნალი ფრჩხილები ღრმად ჩაარჭო.

ყეზრამ ჩაიყო უბეში ხელი, ამოიღო ფული, გადათვალა ოთხი ასეული მანეთი და საშინელი სინანულით გაუწოდა ოსიპს.

— გიყვარდ.ს... თვალები საიქიოში ხომ არა გაქვს? არ იცი განა ვის უნდა მისცე თავისი ვალი?... აი შე მატყუარა, შენა.

ყეზრა შათაშვილმა თავისი საკუთარი ხელით გაუწოდა ძია დათოს ოთხასი მანეთი.

ძია დათომ ხელების კანკალით გადათვალა ფული, შემდეგ გამოხვია მაგრად ცხვირსახოცში, ჩასდო ღრმად გულის უბეში, ზევიდან ღილები შეიკრა, მიუახლოვდა ხათან ქალას, მადლობის ნიშნად ხელი ჩამოართვა და განაცხადა:

— ძველი ანგარიში დასრულდა. ეხლა შეუდგეთ ქეთუბას.

ნელნელა უბიდან ამოაცოცა ქეთუბა. გაისმა დამსწრეთა სიცილი. ზოგიერთებმა ტაშიც დაუკრეს.

მელამედი შეუდგა ქეთუბის კითხვას მგლოვიარესავით.

ოსიპი ოფლს იწმენდდა. ავგუსტინას გამოეჩინა თავისი თეთრი კბილები.

ყეზრა მოშორებით ძლივს სუნთქავდა და ბრაზისაგან კბილებს ერთიერთმანეთზე აცემინებდა.

ახალციხელები და ოსიპის ამხანაგები დროგამოშვებით იღიმებოდენ.

ძია დათო იდგა ხათანქალას გვერდით წელგამართული, ამაყად, შოშბინივით. და როდესაც დასრულდა ქეთუბის კითხვა, ყველაზე ადრე და ყველაზე ხმამაღლა ძია დათომ შესძახა ტრადიციული:

„კოლ სასონ ვეკოლ სიმხა
კოლ ხათან ვეკოლ ქალა“.[1]

ამის შემდეგ იგი მიუახლოვდა ყეზრას და უსურვა:

— შენიც მომასწროს ღმერთმა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

• • •

[1] „ხმა ლხენისა და ხმა სიხარულისა,
ხმა მეფისა და ხმა დედოფლისა“.

დასავლეთის პოეზიიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლორდ ბაირონ

სენნაქერიბის დამარცხება

„ებრაული მელოდიებიდან"

თითქოს ცხვრის ფარას დაეცაო მშიერი მგელი.
ისე ბრწყინავდა ოქრო-ვერცხლით აშურის მეფე
ისე ელავდა მეომართა მახვილი მჭრელი,
როგორც ვარსკვლავი—გალილეის ზღვით მეოცნებე
როდსეაც ღამით მის ტალღებში ღელვაა ნელი.

როგორც ფოთლების ამწვანება ზაფხულის დარში,
იქ გაშლილიყვნენ მზის ჩასვლისას დროშები მათი.
როგორც ფოთლები შემოდგომის ეყარნენ კარში.
როდესაც უკვე განთიადის რეკდა საათი—
ხმელი ფოთლები გაფანტული სუსხიან ქარში.

სიკვდილის შავმა ანგელოსმა იდუმალებით
დაჰბერა თავის ჩუმი სუნთქვა სახეებს მტრისა.
იმზირებოდნენ მძინარეთა ცივი თვალები
და აღარ სცემდა ძველებურად მხნე გული მკვდრისა,
უკანასკნელად რომ შეინძრა აკანკალებით.

იქ გდია რაში შერახტული, ოდესღაც სწრაფი:
ველარ და ველარ დაეწევა მჭროლავ ნიავებს,
და უსიცოცხლო ნესტოებთან დაღვრილი ქაფი
ზღვის თეთრ ქაფივით, გამშრალ მიწას ულოლიავებს:
ამაყ სიცოცხლის გაწყვეტილა უდროოდ ძაფი.

და იქვე ახლოს, სადაც მკვდარი გდია მერანი,
მისი ამაყი მხედრის სახეც გაფითრებულა
მდუმარ კარვებში აღარ ისმის აბჯართ ჟღერანი
დაჟანგებულან სულ უქმობით და მიგდებულან:
ომის საყვირი მშვილდისარი, დროშა ეერანი.

აშურის ქვრივნი ქვითინებენ, რომ დანგრეულა
და მტვრად ქცეულა დიდი ბაალის დიდი ტაძარი
რომ წარმათები მტრის მახვილით კი არ ძლეულან
და არ გამხდარა კერპთა ძალა მხოლოდ ნაცარი,
არამედ უფლის უზენაეს ნებით მსხვრეულა!

● ● ●

ბედნიერი ხარ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბედნიერი ხარ და ვგრძნობ, რომ უნდა
მეც ბედნიერი ვიყო შენსავით:
მიჩვეულია სიყვარულს მუდამ
შენს ახლოს გული დაუგეშავი.

შენი ქმრის ხვედრი ბედია სრული—
ჩემში შორეულ ტკივილთა მჩენი—
შეიძულებდა მას ჩემი გული,
რომ სიყვარული არ ჰქონდეს შენი.

მე შენი ბავშვი, როდესაც ვნახე
ესცან დამსხვრეული ჩემი ოცნება
და მის მოღიმარ მამის მსგავს სახეს
ვაკოცე, თუმცა რა მეკოცნება!

მე მას ვაკოცე და ვემალები
მას, რის ატანაც უფროა ძნელი:
იმას ხომ ჰქონდა შენი თვალები,
შენსავით კარგი და საყვარელი!...

მერი, მშვიდობით! განვშორდეთ უნდა,
რომ დავიწყებას მივსცე წარსული:
მიჩვეულია სიყვარულს მუდამ
შენს ახლოს ჩემი მშფოთარე სული.

მეგონა მაშინ, რომ სიამაყეს
შეეძლო ძლევა ჩემი არსების,
მაგრამ სანამდის ვხედავ შენს სახეს,
ბავშური ცეცხლი გულშივ დარჩების.

მე ვიყავ მშვიდი და მოგონება
რეკავდა თითქოს ისევ იმ ზარით...
სულ სხვაა ეხლა შენი მონება:
ჩვენ შევხვდით—მაგრამ არც შევიძარით,

შენ იქ შეავლე თვალი ჩემს სახეს.
იგრძენ შეხვედრა ჩვენი გულების
და იმ თვალებმა შენ დაგანახვეს
მხოლოდ სიმშვიდე განწირულების.

შორს! შორს! ჩემს გულში მარად მძინარე
შორი სიზმარი აღარ დაიძვრეს,
და დავიწყების ზღაპრულ მდინარეს
გაჰყვეს ეს გული ან სულ დაიმსხვრეს.

• • •

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველი

ოზიმანდიას

შევხვდი მოგზაურს ძველ ნანგრევთა შორი მხარიდან
და იმან მითხრა: ორი ფართე ქვის ფეხი ვნახე
უდაბნოს მდგარი. ბედმა მათაც არ ააარიდა
თავის ბეჭედი და მაღალი ქანდაკის სახე
ჩამოაშორა დამსხვრეული თითქმის გარედან.
ის ახლოს არის. დაღარული მკაცრი ბაგეთი
და ცივ ბრძანებით, თუმც ქვიშაში ჩაფლული გდია,
ამბობს, მის შემქმნელს სიცხოველე ჰქონდა აგეთი,
რომ ის ეხლაც კი ზედ წარწერილ სიტყვებს მაგონებს:
„მე მეფეთ მეფეს მიწოდებენ ოზიმანდიას,
ჩემნი საქმენი, ჰე უფალო, შენც დაგაღონებს“.
მაგრამ ნანგრევი სდგას მდუმარედ და იყურება.
დაუფლებია გაშიშვლებულ ქვიშის მთა-გორებს
განმარტოება და უსაზღვრო უდაბურება.

თარგმანი ინგლისურიდან

გ. გაჩეჩილაძის.

● ● ●

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. მელაძე

გაკვრით კლასიკოსებზე*

ყველაზე დიდ სადავო საკითხს თავიდანვე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში თერგდალეულების საკითხი წარმოადგენდა. ქართული ნაციონალისტური კრიტიკა თავიდანვე იმ აზრს იცავდა და ამტკიცებდა, რომ თერგდალეულებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით პირველად ააფრიალეს ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი დროშა და პირველად გაკიცხეს და დაგვისურათეს ბატონ-ყმობის საშინელი სურათები თავიანთ მხატრულ შემოქმედებაში. ეს აზრი ჯერ კიდევ მე-19-ტე საუკუნეში გამოსთქვეს ალ. ხახანაშვილმა, არჩილ ჯორჯაძემ, კიტა აბაშიძემ და სხვებმა, ყოველივე ამის გახსენება დღეს გვჭირდება იმიტომ, რომ ამ აზრს დღესაც იცავენ და ამტკიცებენ ქართველ კრიტიკოსთა ერთი ჯგუფი, როგორიცაა ვ. კოტეტიშვილი, ვ. ხუროძე, კ. კაპანელი, მიხ. ზანდუკელი და სხვები, ამ დებულების საწინააღმდეგოთ თავიდანვე დაპირისპირებული იქნა მარქსისტული აზრი ამხ. ფ. მახარაძის მიერ, რომელიც ამტკიცებდა, რომ თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით არა თუ იბრძოდა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ არამედ ყოველ მხრივ ცდილობდა როგორმე შეეწყო ხელი მისი გადარჩენისათვის,

ილია ჭავჭავაძის მხატრული ფაქტებიც ამის დამადასტურებელია, მართალია ილია ავტორია ისეთ ნაწარმოებების, როგორიცაა მისი „კაკო ყაჩაღი", „კაცია-ადამიანი", „ოთარაანთ ქვრივი", „გლახის ნაამბობი" და სხ. მაგრამ არც ერთი მათგანი არ ლაპარაკობს შესახებ იმისა, რომ მათი ავტორი წინააღმდეგი იყო ბატონ-ყმური ურთიერთობისა და მათ წინააღმდეგ აწარმოებდა გამანადგურებელ ბრძოლას მათი მოსპობის მიზნით; ჩვენში კი, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ნაციონალისტურ კრიტიკოსების მიერ შექმნილია ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ილია ჭავჭავაძეს და საერთოდ თერგდალეულებს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ახალი სამოქმედო პროგრამა წამოეყენებინათ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ აზრს დღესაც მტკიცედ ადგია მიხ. ზანდუკელი, რომელიც თავის წიგნში „თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში" წარმოუდგენლად ამახინჯებს მარქსიზმს, ბურანში ხვევს სინამდვილეს და გვერდს უვლის საკითხებზე სწორ და ზუსტ პასუხების გაცემას, მართალია არავინ არ ურყოფს იმ ფაქტს, რომ თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით თავიანთ მამებთან, რომანტიკოსებთან შედარე-

* დასასრული. იხ. „მნათობი" № 10.

ბით უფრო ახალი სამოქმედო პროგრამით გამოვიდენ მე-60 წლებში, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ისინი სავსებით უარყოფდენ ძველს, და სხვა საწინააღმდეგო კლასობრივ პოზიციებიდან ებრძოდენ მამებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერგდალეულების და კერძოდ ილია ჭავჭავაძის მთავარი ბრძოლა ამაში მდგომარეობდა, რომ თავისი წინაპრები დაერწმუნებია: უთქვენოთ მართალია ცხოვრება არ შეიძლება, მაგრამ თქვენ გაქვთ უარყოფითი მხარეები, სისასტიკე, მოუქნელობა და სიზანტე, საჭიროა მეტი ამოქმედება, საჭიროა ახალ დროსთან შეგუების გზის გამონახვა და ბრძოლა თავად-აზნაურობის გადასარჩენად, ილიაც თავის მხატვრულ შემოქმედებაში ამ მიზანს ემსახურებოდა. მართალია მან „კაცია-ადამიანში“ გაკიცხა ლუარსაბი, მართალია მან „გლახის ნაამბობში“ დაგვისურათა ბატონის ველური ინსტიქტები, მართალია მან „კაკო ყაჩაღში“ გვიჩვენა ბატონის უხეშობა და სხვა, მაგრამ ყოველივე ეს ილიას მიერ თავის კლასის მიმართ სამტრო გამოსვლა კი არ იყო იმ მიზნით, რომ ლუარსაბები საბოლოოდ მოსპობილიყვნენ, არამედ სამეგობრო და რაც მთავარია ეს იყო კლასობრივი თვითკრიტიკა, უსათუოდ ამით უნდა ავხსნათ ილიას დევიზი, „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“ ადვილი გასაგებია, თუ ვის გულისხმობს ილია მტერში და მოყვარეში. აი ამ პროგრამით და საბრძოლო ლოზუნგებით გამოვიდნენ მაშინ ისინი 60-ან წლებში სამუშაოთ ჩვენი კრიტიკოსებისათვის კი ეს შეუმჩნეველია და ზანდუკელის ენით ისინი ამბობენ:, „სახელწოდება „თერგდალეული“ აგრეთვე მისი სინომიმი „რუსეთუმე“, როგორც აღმნიშნავი სახელი რუსეთში განათლება მიღებული ქართველ ახალგაზრდისა, რომელიც ველარ შეეგუა დრომუქმულ, პატრიარქალურ ბეჭედზე დამყარებულ, მოდუნებულ და დაძაბუნებულ ჩვენს ცხოვრებას, ჯერ კიდევ მე-19-ტე საუკუნის 50-იანი წლების კარებშივე გვხდება, ხოლო 60-ანი წლების დასაწყისში ჩვენი ახალგაზრდა ინტელიგენცია ამ სახელწოდებით ჯგუფობრივ გამოდის სამოღვაწეოთ სამწერლო და საბრძოლველ ასპარეზზე, როგორც გარკვეულ მისწრაფებათა მატარებელი მიმართულება, და ჩვენს ცხოვრებას თავის მძლავრ ბეჭედს ასვამს.

თერგდალეულის ფსევდონიმით გამოდის ამ დროს სხვადასხვა მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ერთისა და იმავე პოზიციის განსამტკიცებლად, და ეს პოზიცია ახალგაზრდობის, ძველი ცხოვრების უარყოფის, ცხოვრების ახალი პრინციპების მიხედვით გარდაქმნისა, ასე, რომ 60-იან წლებში ფსევდონიმი „თერგდალეული“ გადაიქცა ახალი მიმართულების ზოგად სახელად, და ამ მიმართულებას ჩვენს ლიტერატურასა და საზოგადო აზროვნებაში გარკვეული სახე აქვს და მან გარკვეული ბეჭედიც დასვა, როგორც ჩვენს ლიტერატურას, ისე საზოგადო აზროვნებასაც.[1]

მიხ. ზანდუკელის აზრით თერგდალეულები გარკვეულ სამოქმედო და საბრძოლო პროგრამით ამოვიდნენ ძველი წესწყობილებისა და მისი ზნეჩვეულებების წინააღმდეგ. თერგდალეულებმა, როგორც ზანდუკელი ფიქრობს, ძველი

---

[1] მიხ. ზანდუკელი—თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში გვ. 1—2 1928. წ.

ცხოვრება საფუძვლებშივე უარყვეს და წამოაყენეს საზოგადოებრივი განვითარების ახალი პრინციპები, ეს დებულება უსათუოდ შემცდარია, შემცდარია იმიტომ, რომ თუ თერგდალეულებმა ძველი წესწყობილება, ფეოდალური ყოფა და ბატონ-ყმური ურთიერთობა საფუძველშივე უარყვეს, მაშინ ისინი კლასობრივ ნიადაგზე უნდა დაპირისპირებოდნენ ძველი ცხოვრების წარმომადგენლებს, მაგრამ ეს ხომ ასე არ მომხდარა? ზანდუკელი ამ მდგომარეობას შემდეგნაირად ასაბუთებს:... თერგდალეულნი და ხალხოსნები განვითარდენ უშუალოდ რუსული საზოგადო აზროვნებისა და ლიტერატურის ზეგავლენის ქვეშ, რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრების სინამდვილის პირობებში; როგორც რუსეთის საზოგადო აზროვნების და ლიტერატურის ისტორიაში 60-ანი და 70-იანი წლები მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი, ისე ჩვენს საზოგადო აზროვნების და ლიტერატურის ისტორიაშიც თერგდალეულნი და ხალხოსნები უშუალოდ, მჭიდროთ დაკავშირებულნი არიან[1] ეს დებულება უდავოდ შემცდარია, რადგან ჩვენს თერგდალეულებს არაფერი საერთო არ ქონდათ რუსეთის 60-იან წლების ინტელიგენციის რადიკალურ მისწრაფებებთან; მართალია თერგადალეულები პირველ ხანებში, როცა ისინი რუსეთში იმყოფებოდენ, რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივ აზრის გავლენას განიცდიდნენ, მაგრამ საქართველოში დაბრუნების შემდეგ მას ისევ ივიწყებდენ. აი, რას ამბობს ამის შესახებ ამხ. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე:

„მაშინდელი ინტელიგენცია სულ ერთთავად მაღალ წოდებას ე. ი. თავადაზნაურობას ეკუთნოდა ვიმეორებ, მე ვამბობ იმ ხანაზე, რომელიც მოყვა უშუალოდ ბატონ-ყმობის გადავარდნას მე ვიღებ აქ იმ ეპოქას, რომელიც განისაზღვრება დაახლოებით გასული საუკუნის მესამოცე—მეოთხმოცდაათე წლებით (1860—1890) ეს ეპოქა შეიძლება გაიყოს თავის მხრივ რამოდენიმე ხანად, პერიოდათ, ეს ეპოქა იწყება, ეგრედწოდებულ მესამოცე წლების მოღვაწეებით ილ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, პ. უმიკაშვილი და სხვა. რომლებიც გარეგნულად თითქო ემხრობოდენ რუსეთის განმანათლებლების იდეებს, და ფორმალურად თანაუგრძნობდენ გლეხობის განთავისუფლებას ბატონ-ყმური უღლიდან, მაგრამ არსებითად კი მესამოცე წლების ცნობილი წარმომადგენლები ძველ ბატონ-ყმურ საქართველოს დასტიროდენ, მასზე ღვრიდენ ცრემლებს, მასზე მოთქვამდენ, შემდეგში მესამოცე წლების მოღვაწეების გვერდით ჩნდებიან ეგრედწოდებული „ნაროდნიკები“ რუსეთის „ნაროდნიკების„ მიბაძვით, რომლებიც პირველ ხანებში მართლაც იზიარებდენ ამ უკანასკნელთა უტოპიურ-სოციალისტურ შეხედულებებს, მ ა გ რ ა მ ჩ ქ ა რ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს თ ა ნ ა ვ ე ს რ უ ლ ე ბ ი თ ი ვ ი წ ყ ე ბ დ ე ნ ა მ შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ებ ს, დ ა ა რ ს ე ბ ი თ ა დ ხ დ ე ბ ო დ ე ნ ა ნ თ ა ვ ა დ - ა ზ ნ ა ურ ო ბ ი ს, ა ნ ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს მ ო მ ხ რ ე ე ბ ა თ“.

ჩვენში ასე მოხდა, ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი თავადაზნაურობის მხარეზე დადგა, ისინი, როგორც მხატრული შემოქმედებით, ისე პრესის საშუალებით, ენერგიულად იბრძოდენ თავადაზნაურული წოდების გადასარჩენათ.

თერგდალეულები არა თუ იბრძოდენ წოდებრივ უთანასწორების მოსას-

[1] მიხ. ზანდუკელი იგივე წიგნი გვ. 42.

პობად, არამედ აყენებდენ ურთიერთ მშვიდობიანად თანამშრომლებისა და კლასობრივ ზავის თეორიას, ამ თეორიებში არაფერი არაა პროგრესიული და ახალი, ეს არის ძველის-ძველი, დახავსებული დებულება ბატონისა და ყმის ურთიერთობის შესახებ, ილია ჭავჭავაძე მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში იმის მტკიცებას მოუნდა, რომ ბატონსა და ყმას შორის არავითარი პრინციპიალური განსხვავება არაა, განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ მოკითხვის ბარათში ბატონი-ბატონად მოიხსენიება და გლეხი კი გლეხადაო, ილიას აზრით გლეხის ცხოვრება არაფრად არ განსხვავდება ბატონის ცხოვრებისაგან, რადგან გლეხები ყოველ მხრივ უზრუნველყოფილნი არიან. ბინები ბევრი აქვთ, სასმელ-საჭმელი და სხვა; ამ აზრს ილია ჭავჭავაძე მარტო ზეპირად როდი იცავდა, დებულებას ის აღრმავებდა თავის მხატრულ ნაწარმოებში და მისი გაზეთი „ივერია“ ც ამ მიზნისათვის ბრძოლას მოანდომა. ჩვენში ამ ფაქტს ჩქმალავენ და თერგდალეულები გამოყავთ, როგორც პირველი რევოლიუციონერები, რომლებმაც თავიანთი ბრძოლის იარაღი მიმართეს არსებული წყობილების და განსაკუთრებით კი თავად-აზნაურულ ინსტიტუტის წინააღმდეგ აი რას სწერს ამის შესახებ მიხ. ზანდუკელი. „ილია ჭავჭავაძის და სხვა თერგდალეულების მოღვაწეობა ტრიალებდა შემდეგი მთავარი საკითხების გარშემო: 1) გადმოტანა და დამყნობა ჩვენს ცხოვრებაზე იმ მოწინავე იდეებისა, რომელიც მათ შეითვისეს რუსეთის მოწინავე აზროვნებიდან (აგრეთვე ლიტერატურაში დამყარება რეალიზმისა) 2) უარყოფა დრომოჭმული პატრიარქალური ტრადიციებისა , 3) შეურიგებელი ბრძოლა ბატონ-ყმობასთან 4) მთლიანი ეროვნული შეგნების გამომუშავება საზოგადოებაში და მთლიანი, თავისუფალი, ახალი ცხოვრების პრინციპებზე აშენებული საქართველოს იდეიის სამსახური“[1].

ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი ს მიერ ოთხ მუხლშია ჩამოყალიბებული თერგდალეულების სამოქმედო პროგრამა, პირველი მუხლის შესახებ, სადაც ამტკიცებს, რომ ვითომდა ისინი (თერგდალეულები კ. მ.) ცდილობდენ რუსეთის მოწინავე აზრების გადმონერგვას ჩვენში არაფერს არ ვიტყვით, რადგან ზევით უკვე აღვნიშნეთ ამ აზრის უსაფუძვლობა, რომელსაც დაუპირისპირეთ ამხ. მ ა ხ ა რ ა ძ ი ს გარკვეული მოსაზრება ამ საკითხზე, რაც შეეხება მეორე მუხლს სადაც ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი აღნიშნავს, რომ თერგდალეულებმა მიზნად დაისახეს „უარყოფა დრომოჭმული, პატრიარქალური ტრადიციებისა“ უსათუოდ შემცდარია, თუ რატომ ამის შესახებ, ვილაპარაკოთ ეხლა.

ძველი ტრადიციების უარყოფა ნიშნავს ძველი ყოფა ცხოვრების დამახასიათებელ თვისებებზე საბოლოვო ხელის აღებას და ახალი სამოქმედო პროგრამის წამოყენებას. თერგდალეულებმა და ამ შემთხვევაში კერძოდ ილია ჭავჭავაძემ არა თუ უარყო ძველი პატრიარქალურ-ფეოდალური ტრადიციები, არამედ ხელი მიყო მის გაღრმავებას და მისი არსებობის აუცილებლობის დასაბუთებას: ყველასათვის ცნობილია ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს გაზეთი „ივერია“ და მისი საქმიანობა, აღნიშნულ გაზეთით ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს შეუნელებელი იერიშები მიჰქონდა ყველა მათ წინააღმდეგ ვინც წინ აღუდგებოდა მის პრინ-

[1] მიხ. ზანდუკელი“ თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში გვ. 67 .

ციპებს და სურვილებს. გაზეთ „ივერია“ წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძის მებრძოლ დროშას, რომლელზედაც გარკვევით ეწერა: ჩვენ ვიცავთ ფეოდალურ-პატრიარქალურ ტრადიციებს და ამ ტრადიციების დამცველთა მოწინავე რიგში ილია ჭავჭვაძე იდგა. მაგ. არის თუ ფეოდალურ პატრიარქალურ ტრადიციების დაცვა ის, როდესაც ილია ჭავჭავაძე „ივერია“-ში თავგამოდებით იცავს ხმლისა და გუთნის ფილოსოფიას? ეს საკითხი ხომ ძველთა ძველია? ხმლისა და გუთნის ფილოსოფია ხომ კლასობრივ ზავისა და სიწყნარის შესახებ ლაპარაკობს? ხმლისა და გუთნის თეორია ხომ ბატონ-ყმობის სასარგებლო თეორია? აი რას სწერს ამის შესახებ ილია: „ქვეყანა ვისია? ყოველივე ჩემიაო“, ამბობს ოქრო ყოველივე ჩემიაო იძახის ხმალი, ყოველისფერს ვიყიდიო“—მოჰკვეხს ოქრო, ყოველისფერს ხელში ვიგდებო“ იქადის ხმალი, მითამ აგრეა? არა გვგონია, ჩვენის ფიქრით თავმოწონებულს ოქროს და გაზვიადებელს ხმალს, ამ ორ პატიოსან მეტოქეს, დავიწყებიათ, რომ ქვეყანაზე მაგათ გარდა არის ერთი კიდევა რაღაცა, რომელსაც თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში, მართალია, ის ერთი რაღაც ქედ მოხრილია, ჩუმი, წყნარი, უწყინარი, ტანად მრუდე, მაგრამ გულით მართალი და პირად ბრწყინვალეა, იგი ხმა ამოუღებლივ, ხმა გაკმენდილ ფეხმძიმედ დაიარება ქვეყანაზე, არც კვეხს, არც ბაქიქობს, არც არავის ერჩის, არცარავის ეცილება და საქმობს თავის თავად დინჯად, აუშფოთებლად, სულ მუდამ და დაუძინებლივ, იმას, რომ ერთი ბეწვხანს ჩასთვლემოს, არც ოქროსა ექნება რამე საყიდავი და არც ხმალს მოსატაცებელი... იმას, რომ ერთი ბეწო ხანს ჩასთვლემოს მეთქი; არ ვიცი ქვეყანას რა დაემართებოდა, თუნდა ოქროს მთები იდგას და ხმლების ტყეები, უიმისოდ ოქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და არცა თვითონ ძალოვან ხმალს დიდი რა ხანგრძლივი მანძილი.

„ის ერთი რაღაც გუთანია“ . . . . . .

„შორს წასვლა საჭირო არ არის მაგალითი თვალწინ გვიდგია, მაგალითები ჩვენ თვითონ ქართველები ვართ, ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა? ხმალმა და გუთანმა“ ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს; ადგილზე, რომ ფეხმოკიდებულები ვართ სხვებსავით არ დავიქსაქსენით არ გადავცვივდით აქეთ იქით ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელ მტერს გაუძელით, გაუძელით და გადავრჩით ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა ეგ იმიტომ, რომ ერთ ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამითვე დღემდე. ასეც ვიქნებით შემდეგშიაც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალ-ღონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება.

„გუთანი, ქართველებო, გუთანი, და ხმალი იყოს ფარი მისი, თავი დაბოლო აქ არის, დამიჯერეთ, წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, ნათქვამია, ქვეყანა იმისია, ვინც მიწაზედ ფეხდადგმულია და მიწას ამოქმედებს ხმალის მფარველობის ქვეშ“.[1]

ზემოდ მოყვანილ სტრიქონებს ჩვენ კომინტარიებს არ გაუკეთებთ, არამედ მოუსმენთ ამ საკითხზე ამხ. ფილიპე მახარაძეს

[1] ჟურნალ „ივერია“ №-11, 1881—წ. გვ. 150—155.

და ყველაფერი აშკარა იქნება", აი ამხანაგებო, მათი დროში, ამბობს მახარაძე საუკუნოების განმავლობაში ასე ვიყავით: ხმალი ეჭირა თავად-აზნაურობას, გუთანი გლეხკაცობას და ეხლაც ასე უნდა დარჩესო! ე. ი. არაფერი შეცვლილა, თამარის დროიდან, ერეკლეს დროიდან არაფერი არ შეცვლილა, ყველაფერი დარჩენილია ისე, როგორც იყო ძველად, თითქოს არაფერი არ მოძხდარიყოს ქვეყანაზე ისე ოცნებობს „ივერია" და მისი სულის ჩამდგმელი" [1]

განა ცხადი და ნათელი არაა ყველაფერი? განა აქ ილია ჭავჭავაძე ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების ძველ დრო მოქმულ თეორიას არ იმეორებს? განა იგი არ აცოცხლებს ძველი პატრიარქალურ ფეოდალურ ტრაციებს?

ილია ჭავჭავაძეს ცხოვრება ყოვლად წარმოუდგენლად მიაჩნია ხმლისა და გუთნის გარეშე, მისი აზრით ხმალი უგუთნოთ არ ვარგა და გუთანი უხმლოდ, ან და ბატონი უგლეხოთ და გლეხი უბატონოდ, ამ აზრს ილია შემდეგი სიტყვებით უფრო ასაბუთებს, იგი სწერდა: . . „ ერი ვაჭრობაზე მიქცეული, დარღვეულია, დაქსაქსული, გაფანტულია, . . . ამიტომ საპოლიტიკო მოქმედებისათვის იგი ლონე მიხდილია . . . ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება რომელსაც ფეხი მიწაზე უდგას და ხელი გუთანს უვლია." სრულიათ, ლოლიკურია ამ აზრზე ამბ. ფილიპე მახარაძის დასკვნები" თქვენ ხედავთ, თუ როგორი მჭერმეტყველობით და თავგამოდებით იცავს ი. ჭავჭავაძე პატრიარქალურ—ფეოდალურ წესწყობილებას, ე. ი. არსებითად თავად-აზნაურობას და მის ინტერესებს, მართალია ისტორიული განვითარების ლოლიკა დაუნდობლად აქარწყლებდა ყველა მის მიერ წამოყენებულ დებულებას, მაგრამ ამას იგი თითქოს ვერც კი ამჩნევდა"

ზანდუკელის და მის ტიპის კრიტიკოსებისათვის ყოველივე ეს გაუგებარი ხდება და განაგრძნობენ ათას გვარ ლეგენდების და ზღაპრების შექმნას თერგდალეულების შემოქმედების ირგვლივ, მათ მხედველობიდან რჩებათ ილია ჭავჭავაძის ცნობილი პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული" სადაც ძველი ფეოდალურ საქართველოს იდეალიზაციაა მოცემული. ილიას მეფე მიაჩნია, როგორც მამა და აი კიდეც სწერს"

„მაგრამ ჩვენ რა გვეშველება,
ჩვენ, მეფეო, შენთ დამკარგველთ?
მამობას ვიღა უზამს
შენგან დაობლებულ ქართველთ?
ერს ოფლის მღვრელს და ტვირთს მძიმეს
ჭირსა ლხინად ვიღა გვიქცევს?
წუთისოფლის მძიმე უღელს
შენებრ, მეფევ, ვინ გაგვიწევს?
ამას სტირით, რომ მიდიხარ
და აობლებ შენსა ერსა,
ვეღარ მოუმართავ ხელსა,
ჩემებრ უძლურს, გაჭირებულს
მწედ ვეღარ მიეშველები,
ღარიბს, ობოლს, ქვრივს და ოხერს
პატრონად არ ეყოლები"

(გვ. 183).

[1] იხ. ფ. მახარაძე ეგნ. ნინოშვილის დრო ცხოვრება და შემოქმედება

ილია ამ პოემაში იცავს ფეოდალურ საქართველოს და მის იდეალიზაციას ეწევა, მას ყოვლად წარმოუდგენლად მიაჩნია ქართველი გლეხობა მეფის გარეშე იმიტომ, რომ მეფე მამა იყო მათი, რომელიც გლეხობას ყოველ მაჭირვეობაზე ეხმარებოდა, ილია ჭავჭავაძე ივიწყებს იმ წინააღმდეგობებს და ბრძოლებს, რომელსაც ადგილი ქონდა საქართველოში მეფის წინააღმდეგ. ისტორიაში კარგა ცნობილია ის ფაქტი, თუ ქართველი მეფეები, როგორ მამობასაც უწევდენ გლეხობას, ილია ამ მშვიდობიანობის და ურთიერთ თანამშრომლობის თეორიას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იცავდა, იგი ყოველთვის ცდილობდა შეერიგებია ბატონი და ყმა გაემრთელებია ჩატეხილი ხიდი, იგი უდავოდ თავადაზნაურულ ლიბერალიზმის წამომადგენელია, რაც იმას გულისხმობს, რომ ყოველგვარ კლასობრივ ბრძოლის გარეშე, მშვიდობიანათ, წყნარად უბრძოლველად და უსისხლოდ მოეხდინა ორ მოპირდაპირე წოდების შერიგება არა იმ მიზნით, რომ გაეუმჯობესებინა გლეხობის მდგომარეობა არამედ იმიტომ, რომ შეენარჩუნებინა ბატონ-ყმური ურთიერთობა.

მიხ. ზანდუკელი კი თერგდალეულების და კერძოდ ილიას შესახებ სწერს: „მათი მიზანი იყო, შეურიგებელი ბრძოლა ბატონყმობასთან"-საერთოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი—ზანდუკელი და სხვა კრიტიკოსები გვერდს უვლიან საკითხის სწორად გადაჭრას და თუ რაიმე მარქსისტული აზრი არსებობს კლასიკოსების შესახებ მის იგნორაციას ეწევიან. მაგ. მეტად საინტერესო კითხვას წარმოადგენს შემდეგი: თერგდალეულების ორგანო „საქართველოს მოამბე" აწარმოებდა თუ არა ბრძოლას ბატონ ყმობის წინააღმდეგ ან და როგორი პოზიციები ჰქონდა მას ამ საკითხში?

ამ კითხვაზე პასუხს თვით ჟურნალ „საქართველოს მოამბე"-ს რედაქცია იძლევა: „ყველაზე დიდი ნაკლოვანება აცხადებს რედაქცია ჩვენი ჟურნალისა ის იყო, რომ სხვათაშორის დროების ინტერესი არ ჰქონდა ეგ ინტერესია ყოველი ჟურნალის, სული, ეგ აცხოველებს, ეგ აბრუნებს სულს, არც—ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებს და რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არამც თუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერ სცადა კიდეც იმავე მიზეზით, რომ „დრონი შეფობენო" ამის გამო ჩვენ ჟურნალს ფერი დააკლდა. „მოამბემ" შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახალოს გასასინჯი იყო . . . კვლავ იქნება ჩვენს ჟურნალს, დრო დაუდგეს და კარგი ნაყოფი მოიტანოს. ამის იმედი მით უფრო არის, რომ ბევრმა აგვითქვა გულმოდგინე შემწეობა„[1]

რედაქციის შენიშვნა სამართლიანია. გაზეთ „საქართველოს მოამბე", თერგდალეულების მაშინდელი ორგანო, არა თუ ვერ შეეხო ბატონ-ყმობის საკითხს, არამედ ამ საკითხის დასმაც ვერ შესძლო, ჟურნალმა გარკვეული მოსაზრებით გვერდი აუარა აღნიშნულ საკითხებს, რადგან თვით თერგდალეულების მიზანს არ შეადგენდა ბატონ ყმურ ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლა. „საქა-

[1] „საქართველოს მოამბე" 1863-წ. №-11.

რთველოს მოამბე“ ამბ. ფ. მახარაძის ენით, რომ ვფქვათ „მკვდარი ორგანო იყო, რომელიც არც კი ეძებოდა ნამდვილ ცხოვრებას„ მიხ. ზანდუკელი იმდენადაა გატაცებული იმ აზრით, რომ [illegible] „საქართველოს მოამბის“ რევოლუციონერობა და მასში [illegible] ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა, რომ ჩვენ მიერ ზემოდ მოყვანილ რედაქციის შენიშვნის გამო სწერს „უნდა ისიც აღინიშნოს, რომ თერგ-დალეულთა თვით-კრიტიკა ჟურნალის ფერმრკთალობის და დროების ინტერესის უქონლობის შესახებ გადაჭარბებულია, ეს თვით კრიტიკა თერგ-დალეულებისა ჩვენი აზრით დაუმსახურებელია, მიუხედავათ მართლადაც „უდროობისა“ რადგანაც, როგორც თვით რედაქცია შენიშნავს „დრონი მეფობენ“ „საქართველოს მოამბე“ მაინც ახერხებდა დროების ინტერესის ასახვას: თავის ფურცლებზე დროის მწვავე საკითხების გამოტანას, საერთოდ ძველი წყობილების კრიტიკას და მეტად დაურიდებელ კრიტიკასაც აწარმოებდა ხან თუ პუბლიცისტური წერილების საშუალებით, ხანაც უფრო კი მხატრული შემოქმედების გზით, მხატრული შემოქმედებით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აზროვნებაში მეტად მკაფიოდ, მწვავედ და მკვეთრად გამოტანილ იქნა ის უდიდესი მტკივნეული საკითხი, რომელიც ცენტრალური იყო რუსეთის სინანდვილეში 40-წლებიდან, განსაკუთრებით 60-იან წლებში, და აქედან ჩვენშიაც ეს იყო ბატონყმობის საკითხი, ეს საკითხი, ჩვნი ცხოვრების სინამდვილეშიაც მწვავე იყო.[1]

მიხ. ზანდუკელი აქ არ ჩერდება და იგი სწერს: „საქართველოს მოამბეში“ მოთავსებულ მხატრულ ნაწარმოებში ილია ჭავჭავაძე მარტო ხალას ლოზუნგს კი არ ისვრის ცხოვრების მორევში, არამედ ჩვენი სინამდვილის ნიადაგზე აღმოცენებულ და განვითარებულ ცოცხალ ტიპებს გვაძლევს. ამ ნაწარმოებთა გმირების ცხოვრებისა და თვისებათა გადაშლაში პოეტი მკვეთრად შლის ჩვენი ცხოვრების უარყოფით მხარეებსაც განსაკუთრებით ბატონყმობისას„[2]

ზანდუკელი დაჟინებით ამტკიცებს, რომ „საქართველოს მოამბემ“ ბრძოლის ფრონტი გაშალა ბატონყმობის წინააღმდეგ, რომ მისმა რედაქტორმა ილია ჭავჭავაძემ გამანადგურებელი იერიშები მიიტანა ბატონ-ყმურ წყობილების წინააღმდეგ, ზანდუკელს რომ დაუჯეროთ—„ილია ჭავჭავაძემ მხატრული ლიტერატურა მშვენიერ საბრძოლველ იარაღად გამოიყენა, ვგონებთ, იშვიათი პუბლისტური სტატია შესძლებდა იმ დროს ისე მკვეთრად, გაბედულად, მჭუხარედ დაეთრგუნა ბატონ ყმობის უმსგავსოება, როგორც შესძლებს კაკოს, ზაქროს მხატვრულმა სახეებმა და, თითქოს შემთხვევით შემოტანილმა ხალხი გულის და მხურვალე მაჯის ცემის ცოცხალმა ასახვამ არსენას სახით განა იმ დროს სხვა გზით ამაზე მძლავრად შეეძლო კაცს გადმოესროლა ბატონ-ყმობის სქელი კედლით შემოზღუდულ ქვეყანაში ბატონ-ყმობის უარყოფა? განა შეიძლებოდა უფრო მკვეთრად და ღია ფერებში გადმოეცათ გლეხკაცის უუფლებო, მონური დამოკიდებულება ბატონისაგან.?[3]

---

[1] ზანდუკელი-თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში გვ 123.

[2] იხ. იგივე წიგნი გვ. 126.

[3] მიხ. ზანდუკელი იგივე წიგნი გვ. 131

როგორც სხვა კრიტიკოსები, ისე მიხ. ზანდუკელიც აქ უსათუოდ ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღს“ გულისხმობს და ის წარმოუდგენია უდიდეს ხელშესახებ დოკუმენტად, რომელშიაც ილიამ გაკიცხა და დაგმო ხალხურად საძაგელი და საზიზღარი ინსტიტუტი, რომელსაც ბატონ-ყმობა ეწოდებოდა. არავინ არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ილიას დასახელებულ პოემაში არის ვითომდა ერთგვარი პროტესტი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მხოლოდ ერთგვარი? გვეტყვიან ისინი განა პროტესტს არ ნიშნავს კაკოს ყაჩაღობა, ზაქროს მიერ ბატონის მოკვლა და მისი ტყეში გავარდნა?. შეიძლება ასე იყოს, მაგრამ პოემის ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი სულ სხვა რაიმეს გვიჩვენებს. საქმე იმაშია, რომ ილია ჭავჭავაძემ კაკო ყაჩაღში უაღრესი გარკვეულობით ჩამოაყალიბა თავის კლასობრივი მსოფმხედველობა. მან დააზუსტა მისი აზრი ბატონ-ყმობის შესახებ და უფრო ნათლად წარმოგვიდგინა თავისი პროგრამა. შეუდგეთ აღნიშნულ პოემის გარჩევას, მაგრამ წინასწარ აქ უსათუოდ გარკვეული უნდა იქნას შემდეგი: როგორ მდგომარეობაში იყო გლეხობა ბატონ ყმობის დროს ეკონომიურად ქონდა თუ არა მას არსებობის საშუალება? ცხადია არა, ამის შესახებ ჩვენი წერილის პირველ ნაწილში, როდესაც რომანტიზმს ვარჩევდით, საკმაოდ ვილაპარაკეთ მხოლოდ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა აქაც შევეხოთ გაკვრით:

მაშინდელი საზოგადოების მაღალ წრეებში გავრცელებული და უფლება მოპოებული იყო ის აზრი, რომ ბატონი და ყმა მამაშვილურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდენ, რომ ყმა გლეხს არასფერი არ უჭირს ეკონომიურად, მათ ბევრი აქვთ მოსავალი და თავისუფლად შეუძლიათ იცხოვრონ, ბატონიც ხელს უწყობს გლეხს, რომ იგი ეკონომიურად კარგად ცხოვრობდეს, ამ აზრს ილია ჭავჭავაძეც იცავდა. როგორც თავის „კაკო ყაჩაღში“, ისე შემდეგ პერიოდში „ივერიაში“-დაც ილია იცავდა იმ აზრს, რომ გლეხს ბატონთან არაფერი არ უჭირს, გლეხკაცობა გაჭირვებას არ განიცდის, იგი თავისი-ბედით კმაყოფილია და სხვა.

ამ საკითხზე „ივერია-ს თავის დროზე „იმედი“ გამოეკამათა; „იმედ“-ში სწერდენ, რომ „გლეხს თოკი აქვს ყელში მოჭირებული დი ჩვენი ლიტერატურა მას ბედნიერად რაცხს“, „იმედი“ უსათუოდ სწორი იყო „ივერია-“სთან ბრძოლაში, „ივერია“-ს პოზიციები გლეხობის საკითხში, ჯერ კიდევ „კაკო ყაჩაღში“-ა მოცემული. მივყვეთ თვით ტექსტს და ეს დებულება ნათელი გახდება. ერთი რამ აშკარად უნდა ითქვას დღემდე ჩვენს კრიტიკაში არ მოუხდენიათ „კაკო ყაჩაღი“-ს კრიტიკული ანალიზი, ჩვენ კი ვეცდებით თავი დავაღწიოთ ამ უხერხულობას, კონკრეტულად გავარჩიოთ თვით ტექსტი, რადგან იგი ძალიან ბევრს ლაპარაკობს ჩვენს სასარგებლოდ და ზანდუკელის და მისი თანამოაზრეების საწინააღმდეგოთ. ზაქრო ტყეშია კაკოსთან, და უამბობს თავის თავგადასავალს:

„მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი,
როცა ბატონმა სახლს მომაშორა.
წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი,
ჩემს სახლკარიდგან გამაგდეს შორა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კი დავლონდი, დაჩაგრდა გული.
ყოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა . . .
სხვები ლხინობდენ და მე კი ლული
ცრემლისა თვალზე არა მშრებოდა".

მაგრამ გაიარა დრომ ჟამმა და . . .

„ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე
კიდეც ვლხინობდი, კიდეც ვმღეროდი,
ჩემს სახლკარზედა არც დღე, არც ღამე
აღარ ვფიქრობდი, არ ვლონდებოდი,
ძამო! რა ტკბილად, რა უდარდელად
ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ!
არარა მქონდა იქ საფიერებლად;
ჩემი მოძმენი არ მაძალებდენ".

ზ ა ქ რ ო ბედნიერად თვლის თავის თავს, მას ბატონთან ყოფნის დღეები ტკბილად აგონდება. იგი კმაყოფილია და მადლიერი თავის კეთილ დღისა, იგი დიდი აღტაცებით იგონებს იმ ტკბილ დღეებს, რომელიც მას გაუტარებია ბატონთან მწყემსობის დროს. არსად ჩანს ზ ა ქ რ ო ს მიერ რაიმე უკმაყოფილების ანდა პროტესტის ელემენტები მთელი პოემის მახეილზე, ზ ა ქ რ ო ს თავის თავზე ბედნიერი ამ ქვეყნად სხვა არავინ არ მიაჩნდა.

ზ ა ქ რ ო ამის შემდეგ განაგრძობს მწარედ იმ ამბის მოყოლას, რომელიც მას და მის მამას შეემთხვა და ნაღვლიანად ამბობს თუ როგორ წამოუქციეს მის თვალწინ მამა და თუ როგორ გაუროზგეს.

„მაშინ კი როცა წამომიქციეს
და მოხუცებულს როზგი დამიკრეს.—
თვალთ დამიბნელდა, ამენთო გული
მივვარდი თოფსა გამწარებული,
მხრიდამ გადვიგდე მაშინვე თოფა,
და, რომ ყვიროდა „დაჰკარ, დაჰკარი".
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიქექა
და შეუნგრია გულის ფიცარი—
იმ ჩემ ბატონსა, ჩემს დამღუპველსა,
თავის-თავის და სხვის წამწყმედელსა" (გვ. 164)

როდესაც კ ა კ ო მ ზ ა ქ რ ო ამ ფაქტის გამო შეაქო ზ ა ქ რ ო მ უპასუხა:

„განა საქები არის, რომ შვილმა
თავისი მამის სისხლი აიღოს?
ამას იქმოდა ყოველი კაცი
თუნდა მხდალი და თუნდ ვაჟკაცი" (გვ. 165)

დიახ ზ ა ქ რ ო მ აიღო თავისი მამის სისხლი, ზ ა ქ რ ო მ ბატონი მოკლა არა იმიტომ, რომ იგი საერთოდ ბატონი იყო და თვითონ გლეხი, არამედ, იმიტომ, რომ მასში გაიღვიძა შურის ძიების ინსტიქტმა, იმიტომ, რომ მას თვალწინ მოხუცი მამა გაუროზგეს, ზ ა ქ რ ო ს მიერ ჩადენილ მკვლელობას არა აქვს სოციალური საფუძველი. იგი კიდეც ნანობს მის მიერ ჩადენილ ფაქტს და ნაღვლიანად ამბობს „იმ ჩემ ბატონსა, ჩემ დამღუპველსა, თავის-თავის და სხვის წამწყმენდელსა". აქ ი ლ ი ა მ გარკვევით დასვა საკითხი და მიუთითა ბატონებს:

ცოტა ლმობიერად მოიქეცით, თორემ დაღუპავთ თქვენს თავსაც. განა ზაქროს თქმაშიც ეს განწყობილება არ მოსჩანს?

ჩვენი კრიტიკოსები ამ ფაქტს ივიწყებენ და ზაქროს თვლიან ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლად, რაც უსათუოდ შეცდომაა, იმიტომ, რომ როგორც თვით ზაქრო ამბობს, მან მამის სისხლი აიღო, ზაქროს მიერ ჩადენილი მკვლელობა არის წუთიერი აფექტის შედეგი. მას არ ქონია წინასწარი გარკვეული მოსამზადებელი ნიადაგი, ზაქროს მიერ ჩადენილ მკვლელობას ჩვენ მაშინ ჩავთვლიდით ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლად, რომ მას თავიდანვე ბატონთან ყოფნის დროს ოდნავადაც მაინც გამოეთქვა თავისი უკმაყოფილება ბატონყმობის მიმართ; ზაქრო არ შეგვიძლია ჩვენ მივიღოთ, როგორც იმ გლეხობის ტიპი და წარმომადგენელი, რომლებიც აქტიურად ებრძოდნენ ბატონყმობას. ზაქრო თავის ბედთან შეგუებული იყო, იგი ბატოხთან თავს კარგად გრძნობდა, არასფერი არ აწუხებდა, ამდენად ილიამ თავის პოემით იგივე დებულებები დაიცვა, რასაც იგი იცავს თავის „კაცია ადამიანში“

ჩვენ უსათუოდ შემცდარად მიგვაჩნია განსვენებულ ამხ. სიმონ ხუნდაძის აზრი, ის სწერდა: „კაკო, ზაქრო (პოემა „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“) და გაბო („გლახის ნაამბობი“) ბატონყმური ეპოქის შვილები იყვნენ, ეს ტიპები გაცხარებულ წოდებრივ ბრძოლის პერიოდში წარმოიშვნენ, როდესაც შევიწროებული გლეხი იბრძოდა თავისი პირადი თავის უფლებისათვის.[1]

გამოდის, რომ ზაქრო იმ შევიწროებულ გლეხობის ტიპია, რომლებიც იბრძოდნენ პირად თავისუფლებისათვის. ამავე დროს პოემიდან არ შეიძლება დასახელებულ იქნეს ერთი ისეთი ადგილი, სადაც ზაქრო თავის თავს შევიწროებულად გრძნობდეს ბატონთან და ან მის შესახებ რაიმე უარყოფითს ლაპარაკობდეს?

დაუბრუნდეთ ისევ თერგდალეულების და „საქართველოს მოამბეს“,—როგორც ზემოთ საკმაო გარკვეულობით ავღნიშნეთ, „საქართველოს მოამბე“—ამხ. მახარაძის აზრით მკვდარ ორგანოს წარმოადგენდა, რომელსაც ხმაც კი არ ამოუღია ბატონყმობის წინააღმდეგ. მიხეილ ზანდუკელი კი წინააღმდეგ შემდეგს სწერს: „და განა „კაცია ადამიანისთანა“ მძლავრი სატირა და აღშფოთება ბევრი დაწერილა და გამოთქმულა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ? განა ასე მკვეთრად ჩვენს მწერლობაში, პუბლიცისტური იქნებოდა, თუ მხატვრული, დანიელ ჭონქაძის გარდა, ვისმე უჩვენებია, რა საშინელებამდის მიიყვანა ბატონ-ყმობამ „კაცია ადამიანის“ ტომისა და მამულის პატრონი ეს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ უნიჭიერესი გრგვინვა განა „საქართველოს მოამბე-“ში არ გაისმა? და განა ეს არ იყო თანამედროების უძლიერესი გამოძახილი, რომელმაც ფერიცა და ხორციც ძლიერი, მიმზიდველი, ცხოველი და ძარღვიანი მისცა „საქართველოს მოამ-

[1] ს. ხუნდაძე „არსენას ტიპი ქართ. ლიტერატურაში იხ. ჟურნ. „დროშა“ 1933 წ. №—13.

ბეს"? ამაზე მეტი განა შესაძლებელი იყო იმ ცენზურისა და საერთოდ იმ უხანობის პირობებში? ამისათვის სამართლიანად არ მიგვაჩნია თვითკრიტიკა „საქართველოს მოამბე"-ს რედაქციასა (ე. ი. „თერგდალეულთა")—ყველაზე [illegible] ნებელ ჩვენი ჟურნალისა ის იყო, რომ სხვათა შორის დროებას [illegible] ინტერესი არ ჰქონდა...არც ერთი ჩვენი ცხოვრების შინაგანი გამოჩინება, არცერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალ წინ გვიტრიალებს და რომელიც ყოველივე ცოცხალი კაცისთვის საინტერესოა, არამც თუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა თუმცა ზოგჯერ კი სცადაო"[1] „საქართველოს მოამბე" სწორედ იმისთვის აღარ გამოვიდა შემდეგი წლიდან ასკვნის ზანდუკელი, რომ მან არამც თუ სცადა ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება (ე. ი. ბატონ-ყმობის შესახებ თავისი აზრის გამოთქმა). არამედ იგი საშინლად სინამდვილის გატიტვლებით, დაურიდებლივ, მკვეთრად, გამოაჩინა, მხატრული შემოქმედების შემწეობით[2].

ზანდუკელი ისევ ძველ ლეგენდას იმეორებს „საქართველოს მოამბე"-ს შესახებ, რომელმაც დაარსების თანავე „ძალიან მალე განუტევა სული" (მახარაძე) ზანდუკელის აზრით, „საქართველოს მოამბე"-ს მებრძოლობა გამოიხატება მასში, რომ იქ დაიბეჭდა ილიას „კაცია ადამიანი" და ამავე ზანდუკელის აზრით ეს ნაწარმოები წარმოადგენდა მძაფრ სატირას ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, ამ დებულებას სინამდვილესთან არ შეიძლება რაიმე საერთო ქონდეს. „კაცია ადამიანი" სატირა კი არა, თვითკრიტიკაა, რომელშიაც მოცემულია ის უარყოფითი მხარეები თავადაზნაურობისა, რომლის გამოსწორება მათივე ინტერესებისათვის აუცილებელი იყო; ეს მოსჩანს „კაცია ადამიანის" ყოველ სტრიქონში. აი რას სწერს ილია აღნიშნულ მოთხრობაში: „მე გავათავე და შენ, რაც გინდა, ჰქენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ, ორივეს საბუთი ისევ ამავე მოთხრობაში გაქვს..." ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა, ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახოს—რამდენადაც შეძლება აქვს შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო მანამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა, რამ გატყვია? ეს მოთხრობა დეე, სარკე იყოს და მე—თუ გინდა მთქმელი ვიქნები, დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე, ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე, მეც მოყვარესავით გეტყვევი,—სარკე მოვიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე? რა ვუყოთ, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგა და შიგდაშიგ ლაქებიანიცაა, რაცა მქონდა ის მოგართვი, როგორც შემეძლო ისე დაგეხმარე, თუ მაინც და მაინც წყრომას არ დაიშლი შენი ნებაა, მე შენის წყრომისა არ მეშინიან. მაშინ მხოლოდ დავლონდები, რომ შენშიაც მოვტყუვდი, რომ შენ ის არ ჰყოფილხარ რაც მეგონე. მაშინ გულხელდაკრეფილი ესღა დამრჩება სათქმელად: მე მიყვილია და გათენდება თუ არა, ეგ ღმერთმა იცის" „მე მიყვილია და გათენდება თუ არა" ძალიან

[1] „საქართველოს მოამბე" 1863—წ. №—11

[2] მიხ. ზანდუკელი „თერგდალეულები და ხალხოსნები ქართ. ლიტ." გვ. 147 148.

ბევრის მთქმელია. ილიას მისი „კაცია ადამიანი“ მიაჩნია სარკედ, რომელიც მან წინ დაუდგა თავად აზნაურებს, შიგ ჩაახედა და უთხრა: სახეზე შავი ლაქები გაცხიათ და მოიშორეთ, მხოლოდ მტერი დაფარავს შენს ნაკლს მოყვარე კი მიგითითებს და პირდაპირ გეტყვის, ილიასაც თავი მოყვარე მიაჩნია ლუარსაბისა, მან მიუთითა ლუარსაბს უარყოფით მხარეებზე, ლუარსაბი ილიამ დახატა უსაქმო, უქნარი, გაბერილი, ზარმაცი არა იმიტომ რომ ამით თავადაზნაურობა გაემასხარავებინა, არამედ იმიტომ, რომ მას სარკეში დაანახვა თავისი თავი და უთხრა, ჩემო ლუარსაბ ასე არ ვარგა, ცოტა გაინძერი, შენც წაიმუშავე, მიხედე შენს ადგილ-მამულს, მარტო ლოგინზე გორიალი და ჭერზე ბუზების თვლა არ კმარა, ქვეყანა გამოიცვალა და ამ გამოცვლილ პირობებს უნდა შეეგუოთ, აი, რა იყო „კაცია ადამიანი“-ს მიზანი;

ქართულ კრიტიკოსთა ერთი ჯგუფი 19-ტე საუკუნის კლასიკოსების შეფასებას აწარმოებენ ტენდეციურად ეს მდგომარეობა ჩვენი აზრით უნდა აიხსნას ძველი ბურჟუაზიული კრიტიკის ტრადიციების გავლენით და მეორე მხრივ კლასობრივ ბრძოლის გამძაფრებით. ზემოდ დასახელებული კრიტიკოსები, როგორც წერილის პირველ ნაწილში აღვნიშნავდით, აცოცხლებენ ისტორიის არხივს ჩაბარებულ მავნე იდეოლოგიას. განსაკუთრებული აქტივობა ემჩნევა დღეს ლიტერატურის საკითხებში სოციალ-ფედერალისტურ და ნაციონალურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას, ეს ძალიან ადვილი შესამჩნევია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება თერგდალეულებს და განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძეს. ავიღოთ მაგალითად კონსტ. კაპანელის მუშაობა სალიტერატურო კრიტიკაში, ერთ ადგილას მას მოჰყავს სტრიქონები ილიას „აჩრდილიდან“ და ასკვნის: „რა არის ეს თუ არა სოციალისტური წესწყობილება! საკვირველია, რომ ამ სიტყვების შემდეგ ილია ჭავჭავაძეს აბრალებენ რეაქციონერობას, რა კაციც არ უნდა ყოფილიყო ილია კერძო ცხოვრებაში, ლიტერატურისათვის წარმოადგენს უდიდეს და უძლიერეს ღირებულებას სწორედ, როგორც რევოლუციონერი, პოემა „აჩრდილი“ დაწერილია 1859 წელს მაშასადამე იმ დროს, როდესაც არამც თუ შრომისა და რევოლუციის შესახებ იყო ლაპარაკი ლიტერატურაში, არამედ გლეხთა განთავისუფლებაზედაც კაცი არ ფიქრობდა: რუსეთში გლეხები გაანთავისუფლეს 1861 წ. და ისიც მხოლოდ ზოგიერთ გუბერნიაში, საქართველოში კი 1864 წ. მაშასადამე „აჩრდილი“-ს დაწერის ხუთი წლის შემდეგ, იმ დროს როდესაც საქართველოში გასავალი ჰქონდა მხოლოდ ჩინს, აღმატებას, არისტოკრატობას, იმ დროს როდესაც ქართველ საზოგადოებაში ტრიალებდა იდეა ბატონ-მორჩილობისა და არისტოკრატიული „ირეპროშაბელიზმის“.

ილია ჭავჭავაძე ტიტანური გამბედაობით ღაღადებს შრომისა და რევოლუციის სიდიადეზე; კლასთა უთანასწორობაზე ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ: ქართული სული, რომელსაც ბატონობდა ფეოდალური არისტოკრატია ილია ჭავჭავაძემ გადახარა თავის განცდებით, ზრახვებით და იდეალებით შრომისა და რევოლუციისაკენ; ქართული სული, რომელიც ცხოვრების აზრს ეძებდა უსაქმობაში, რომანტიულ ცქერასა და გმირის კულტში, ილია ჭავჭავაძემ ქართულ გლეხობას გადააბარა-ბღაჭიაშვილებს, გაბროებსა

და გიორგის გადასცა... ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურაში შრომის, სამართლიანობისა და რევოლუციის პირველი დიდი მოძღვარია.[1]

კ. კაპანელის აზრით ილიას ტყვილად სწამებენ რეაქციონერობას, იგი უდიდესი რევოლუციონერია და მებრძოლი სოციალისტი; ვიკითხოთ ერთი წუთით ვის გულისხმობს, კ. კაპანელი ცილის მწამებელთა იმ რიცხვებში, რომლებიც ილიას რეაქციონერობის ბრალდებას უყენებენ? უსათუოდ მას აქ ამბ. მახარაძე ყავს მხედველობაში რადგან რეაქციონერი ილიას პირველად მახარაძემ უწოდა, არა ზერელედ არამედ, მას ეს დაუმტკიცა ფაქტებით, უსათუოდ რეაქციონურია თვით კაპანელის აზრი, როდესაც მას ილია სოციალისტად, „შრომის, სამართლიანობის და რევოლუციის პირველ დიდ მოღვაწედ" მიაჩნია. ილიას რევოლუციონერობის შესახებ ამბ. ფილიპე ამბობს: „აბა ერთი წუთით მაინც შეეცადეთ წარმოიდგინოთ ილია ჭავჭავაძე „რევოლუციონერი" და „სოციალისტი" ჭეშმარიტად, როგორც ამბობენ: ქაღალდი ყველაფერს აიტანსო" მაგრამ კაპანელი მარტო არაა, ამასვე იმეორებს დოცენტი მიხ. ზანდუკელიც. იგი სწერს: „ილიას მსოფლმხედველობაში, როგორც საერთოდ თერგდალეულთა მსოფლმხედველობაში სხვადასხვა ვარიაციებით გადაიხლართა ლიბერალურ ბურჟუაზიულ--რადიკალ-დემოკრატული იდეოლოგია, ილიასათვის და საერთოდ თერგდალეულებისათვის მუშის საკითხი გარკვევით წამოიჭრა. ხშირად მათ მიერ მუშის საკითხის გაშლას გადაწყვეტას რადიკალური ხასიათი აქვს: ხშირად მათ გაგებაში სოციალისტური ელემენტებიცაა ჩაოთული.[1]

რით უნდა ავხსნათ ასეთი მდგომარეობა, რომ კრიტიკოსების ერთი ჯგუფი თითქმის ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ ილიას და საერთოდ თერგდალეულების შესახებ და მათ ნათლავენ მებრძოლ რევოლუციონერებად და სოციალისტებად? ამ საკითხის სწორ ახსნას ამბ. მახარაძე იძლევა თავის წერილში „მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში". იგი სწერს: „მე ვფიქრობ ამ შემთხვევაში ჩვენ უბრალო შეცდომასთან არ გვაქვს საქმე, აქ ჩვენ ალბად საქმე გვაქვს უფრო სერიოზულ მოვლენასთან, რა თქმა უნდა, ეს ვაჟბატონები ამახინჯებენ სინამდვილეს, ისინი რყვნიან ისტორიას, ეს აშკარაა, რადგანაც გიჟი ან სულელის მეტი აბა ვინ დაიჯერებს თერგდალეულების რევოლუციონერობას და სოციალისტობას? რა თქმა უნდა ასეთი სისულელე არ სწამთ მათ, ვინც ამასზე სწერენ: ეს ვაჟბატონები არც ისე სულელები არიან: მაშ რაშია საქმე? რისთვის გათავხედდენ ისე ეს ვაჟბატონები, რომ ასეთ სისულელეს ჯერ სთხზავენ და შემდეგ უსირცხვილოთ აქვეყნებენ? შეიძლება ვინმეს გონია, რომ ამ ვაჟბატონებს რევოლუცია და სოციალიზმი უყვართ და ამიტომ გამოყავთ რევოლუციონერებათ და სოციალისტებათ თერგდალეულები და ჭავჭავაძეები? არა, იმათ მთელი თავისი არსებით სძულთ როგორც რევოლუცია, ისე

[1] კ. კაპანელი ქართული სული ესტეტიურ სახეებში გვ. 141—42,
[2] მიხ. ზანდუკელი — თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში გვ. 172.—

სოციალიზმი, და თუ იმათ ილია ჭავჭავაძე და ძმანი მისნი გამოყავთ რევოლუციონერებათ და სოციალისტებათ ამას ისინი სჩადიან მხოლოდ იმ მიზნით, რომ რევოლუციის და სოციალიზმის სახელი დასცენ მკითხველის თვალში, და მართლაც რა ფასი აქვს, რა მნიშვნელობა უნდა ექნეს რევოლუციას და სოციალიზმს, როდესაც როგორც ერთის ისე მეორის მებაირახტრებად გამოდიან ისეთი რეაქციონური და მონარქისტული მწერლები, როგორც იყვნენ ჭავჭავაძეები და ძმანი მათნი!!?. უსათუოდ ამ მდგომარეობით უნდა აიხსნას მათი ასეთი გამოსვლები და მუშაობა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში.

როგორც დავინახეთ, კ. კაპანელი ერთგვარ გაკვირვებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ილიას რეაქციონერს უწოდებენ; მისი აზრით ეს დიდ მწერალზე ცილის წამებაა ვინაიდან იგი ბრძოლის და შრომის პოეტია. ცილის მწამებელთა პირველ რიგში ისინი უსათუოდ ამხ. მახარაძეს გულისხმობენ და მის წინააღმდეგ მიაქვთ იერიში; მაგრამ იერიშების უსაფუძვლობა ყველასათვის ცხადი და ნათელია, არავინ არ უარყოფს და არც ამხ. ფ. მახარაძეს არას დროს და არსად არ დაუწერია, ის, რომ ილია, როგორც მწერალი არაა დიდი—პირიქით,—იგი უსათუოდ ძალიან დიდი, სერიოზული და საინტერესო მწერალია, მაგრამ ეს არავის არ აძლევს იმის საბუთს, რომ მისი რეაქციონურ მონარქისტული მსოფლმხედველობა მიჩქმალული იქნეს, ილია დიდია უპირველეს ყოვლისა თავის კლასისათვის, მისი თეორიები „ჩატეხილი ხიდის“ გამრთელების იდეა, კლასობრივი ზავი, ხმლისა და გუთნის ფილოსოფია მიმართული იყო იქეთკენ, რომ გაემტკიცებინა, გაემაგრებინა ისედაც ნიადაგ შერყეული ფეოდალური არისტოკრატია, ამით აიხსნება ილიას შემოქმედებაში რომანტიზმის მძლავრი გავლენა, და ამითვე უნდა აიხსნას საერთოდ თერგდალეულების რომანტიკოსობა, მართალია მათ რომანტიზმისა და გრ, ორბელიან ნ. ბარათაშვილის და სხვების რომანტიზმს შორის არის განსხვავება მაგრამ არა არსებითი არა პრინციპიალური, არამედ ფორმალური. „მამები“ არიან რომანტიკოსები, შვილები კი რომანტიული რეალიზმის წარმომადგენლები, რომლებიც კლასობრივ მსოფლმხედველობით მამებისაგან არაფრით არ განსხვავდებოდენ. ზანდუკელს, რომ ვკითხოთ მამა“ და „შვილთა“ შორის სრული გაუგებრობაა, მსოფლმხედველობითი სრული სხვა და სხვაობაა, ისინი თითქმის სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდენ [1],

ზანდუკელის ამ მოსაზრების შინაარსი გარკვეულია რადგან მისი აზრით თერგდალეულებმა და ამ შემთხვევაში მათმა მებაირაიტრემ ილიამ წამოაყენეს სულ სხვა საქართველოს, სულ სხვა ცხოვრების პრინციპი, ვიდრე ეს მამებს სწამდათ. აკი ამ აზრს ზანდუკელი შემდეგნაირად გამოხატავს: „ახალი საქართველო ილიას ღრმა რწმენით და შეგნებით უნდა აშენდეს თავისუფალ საქართველოს ფარგლებში, პოლიტიკურადაც და სოციალისტურადაც, თავისუფალი ადამიანი და თავისუფალი შრომა აუცილებელია ხალხის თავისუფლებისათვის, მისი მომავლისათვის. ხალხის წინმსვლელობისათვის, და მის კეთილდღეობისათვის უპირველესად საჭირო იყო ხალხი განთავისუფლებულიყო იმ საშინე-

[1] მიხ. ზანდუკელი—„თერგდალეულები და ხელოსნები ქართ. ლიტ. გვ. 79.

ლი მონობის უღლისაგან, რომელსაც ბატონ-ყმობა ერქვა, ბატონყმობა ხალხის, მთელი ერის შემოქმედებითს ნიჭს ადუნებდა არჩობდა. ანადგურებდა, ხალხის ბედნიერების და კეთილდღეობის მოპოების პროცესს აბრკოლებდა, აი, სწორედ ამით აიხსნება, რომ ილია ჭავჭავაძე და საერთოდ თერგდალეულებმა თუმცა ეროვნული განთავისუფლების პრინციპი გამოაცხადეს მთავარ პრინციპად, მაგრამ უპირველესად, როგორც აუცილებელი საძუალება ამ მიზნის მოსაწვევად ბატონ-ყმობის მოსპობა დაისახეს. ამიტომაც სასტიკი და შეურიგებელი, დაუნდობელი ბრძოლა გამოაცხადეს და აწარმოვეს კიდეც მათ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ [1]

მართლაც, თუ თერგდალეულებმა ილიამ ისეთი სამოქმედო პროგრამა წამოაყენეს, როგორც ეს ზანდუკელს გონია, მაშინ არაფერი არ გვეთქმის ამის საწინააღმდეგოთ, მაგრამ ეს ხომ ასე არის, ზანდუკელის აზრი აშკარა ფედერალისტურია, რადგან „საზოგადოთ გონიათ, რომ როგორც ილია ჭავჭავაძე, ისე იმ ახალგაზრდობის გუნდი, რომელსაც მესამოცე წლების მოღვაწეებს უწოდებენ, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე ჰქუხდენ და ჰქექდენ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ უფრო გასაკვირველია ეს კიდევ ის გარემმოებაა, რომ ყველა ეს მოღვაწენი თავად-აზნაურები, განთქმული ოჯახის შვილები იყვნენ და აი თურმე პირველად ვის ამოუღია ხმა დაჩაგრულ გლეხკაცობის სასარგებლოთ, ვინ ცდილობდა აღედგინა ფეხქვეშ გათელილი სახელი ადამიანისა“ აი თურმე „ვინ მიიტანა ეერიშითავად-აზნაურობის და მისუფლება უპირატესობის წინააღმდეგ“ საიდან ან როგორ გავრცელდა მესამოცე წლების მოღვაწეებზე ასეთი აზრი? როდის იყო, რომ თავად-აზნაურებს და განთქმული ოჯახის შვილებს ოდესმე ჩვენში ბრძოლა აეტეხოს ბატონყმობის წინააღმდეგ? ჩვენ განვიხილეთ ამ მხრით მესამოცე წლების მწერლობა და არაფერი ამის მზგავსი იქ ჩვენ არ დაგვინახავს. მესამოცე წლების დასაწყისში, ე. ი. იმ დროს, როცა ეს საჭირო იყო ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ მესამოცე წლების მოღვაწენი ან სიტყვით ან საქმით ამხედრებული ყოფილყვენ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, მხოლოდ Post foctum, როცა ბატონ-ყმობა კანონით გაუქმდა ! ესეც პირველ ხანებში, ისინი ლიბერალობდენ და ვითომც დაჩაგრულ გლეხკაცობას ესარჩლებოდენ, მაგრამ რაც ხანიგადიოდა მათ ლიბერალობასაც თანდათანსაფანელიაკლდებოდა და ბოლოს ძველი ლიბერალები კონსერვატორებათ გადაიქცნენ [2]

ამის შემდეგ ზანდუკელის დებულებების უსაფუძლობას მტკიცება არ ესაჭიროება, ამხ. მახარაძე მარქსისტულ ახსნა განმარტებებს აძლევს თერგდალე-

---

[1] იქვე გვ. 127.

[2] ფ. მახარაძე—დ. ჭონქაძე და მისი დრო—გვ. 95—96.

ულების და მათი ხელმძღვანელის ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას, რომლებიც როგორც ზანდუკელს გონია ბატონ-ყმობის წინააღმდეგ კი არ ქუხდენ და ჰექდენ, არამედ ბატონ-ყმობის ზევიდან გაუქმების შემდეგ გადაიქცენ ლიბერალებად, დროთა ვითარებაში კი გადაიქცენ კონსერვატორებად და მთელი საბრძოლო იარაღი მიმართეს არა მშრომელთა ხალხის ინტერესების საკეთილდღეოთ, არამედ მათ წინააღმდეგ, სწორედ ამ მდგომარეობას უსვამს გასაკუთრებული ხაზს ამხ. ფილიპე მახარაძე, ეს დებულება ამხ. მახარაძემ ჯერ კიდევ 1903-წელს და მასზე უფრო კიდევ ადრე წამოაყენა, რაც ისტორიულ სინამდვილის მიერ გამართლებული იქნა, ზანდუკელი და „ძმანი" მისნი თავიანთ შემცდარ და ფედერალისტურ კონცეპციას თერგდალეულების შესახებ დღესვე აყენებენ. ისინი შეცდომებს უშვებენ არა მარტო ილია ჭავჭავაძის შეფასებაში არამედ ისინი სასტიკად ცდებიან აკაკი წერეთლის და სხვა თერგდალეულების შეფასებაში. თუ ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა თავად-აზნაურულ წოდების გადარჩენისთვის თუ იგი ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავის პუბლიცისტურ წერილებით დაუნდობლათ ილაშქრებდა მარქსიზმის წინააღმდეგ, მეორე მხრივ აკაკი წერეთელი თავისი ლირიკით, რომელიც დასველებულია რომანტიული ცრემლებით ძველ ფეოდალურ საქართველოს ეტრფიალებოდა და ამბობდა:

„გმირებს უძახის, უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა".

თუ ვისთვის ან რისთვის უნდოდა აკაკის ეს დაფი და ნაღარა, ყველასათვის ადვილი გასაგებია.

აკაკი უმთავრესად პატრიოტულ ლირიკის წარმომადგენელია, მისი შემოქმედება წარმავალ კლასის რომანტიზმს შეიცავს, იგი სასტიკ პროტესტს აცხადებს რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და იბრძვის მისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. იგი სწერს.

„დამეხსენი, ჩრდილოელო,
რა მაქვს შენთან საზიარო?
ნუ, ნუ ჰფიქრობ, ჩემო მწველო,
რომ მფლობელად აღგიარო".

მაგრამ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავდა, რომ აკაკი თავის შემოქმედებაში საღმე აცხადებდეს პროტესტს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. მისი იდეაა სამშობლოს განთავისუფლება რუსეთის ბიუროკრატიზმის ბრჭყალებისაგან და მთლიანი საქართველოს შექმნა, ყოველგვარ კლასობრივ დაჯგუფებების გარეშე, სადაც ცხოვრება მისი აზრით უნდა ყოფილიყო მშვიდი, წყნარი, უბრძოლო, და მამაშვილური. ჩვენში ნაციონალისტური კრიტიკის წარმომადგენლები ზანდუკელის ენით აცხადებენ: „თუ თერგდალეულთა შემოქმედებაში ხალხოსნური მიმართულება აშკარად და მთლიანად არ არის გატარებული, სამაგიეროდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ხალხოსნური იდეოლოგიის საფუძვლები ჩაქსოვილია მათ ნაწარმოებში. ამის დამამტკიცებელია ის დემოკრატიული ნაკადი, რომელიც აფერადებს მათს შემოქმედბას, დაჩაგრულთათვის ზრუნვა, მათი ცხოვრე-

ბის ასახვა, მათი უმწეო ცხოვრების გაუმჯობესებისათვის თანამოზიარეთა რაზმის გადიდება, ეს ხომ მთავარ დევიზად დაისახა რუსმა ინტელიგენციამ 60-იანი წლებიდან; ხომ ამასვე ემსახურებოდენ ჩვენი თერგდალეულნი. აკაკი წერეთელიც ამ მხრივ ღვიძლი შვილია თავისი დროისა, ხალხის უმწეო მდგომარეობის ამსახველი სურათები მის ნაზ და მდიდარ ლირიკაში უხვადაა გაბნეული[1]

უფრო ქვემოთ ზანდუკელი აკაკი წერეთელის შესახებ სწერს „აკაკი წერეთელმა გლეხის უმწეო მდგომარეობა კარგად იცის ის ბავშობისას ძიძის ოჯახში გლეხ-კაცის ცხოვრების სინამდვილეში ექვსი წლის განმავლობაში ტრიალებდა, ეს ცხოვრება პოეტს შეგნებასა და მეხსიერებაში მეტად მკვეთრად ჩაეჭიდა მჭიდროთ გაება კავშირი პოეტსა და გლეხს შორის ეს კავშირი ხალხისა და პოეტს შორის არასოდეს არ გაწყვეტილა ხალხის ცხოვრების მაჯის ცემა პოეტისათვის ნაცნობი იყო, ხალხის გაჭირვებული ცხოვრებით გამოწვეული კვნესა პოეტის ჩანგზე მკვეთრ-გამოძახილს პოულობდა, ამიტომ აკაკის ლირიკაში საკმარისად მკაფიოდაა ასახული გლეხ-კაცის უმწეო მდგომარეობა“.

აკაკის მხატვრული შემოქმედება ამის საბუთს არ იძლევა, ზანდუკელს გონია, რომ რადგან აკაკი რუსეთის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს, ეს გლეხთა ცხოვრების გამოსარჩლებაა; საკითხის ასე დაყენება უსათუოდ შემცდარია, აკაკი წერეთლის არც ერთ ნაწარმოებში გლეხი არ გამოსთქვამს უკმაყოფილებას თავისი ბედით; იგი პირიქით კმაყოფილად თვლის თავის თავს; აკაკის მუშა ამბობს·

„ბედს არ ვემდური, ღმერთს ვმადლობ!
თავი არ მომაქვს საკვეხნად,
თავდებათ მაღლა ზეცა მყავს.
და დედამიწა ამ ქვეყნად.[2]

როგორც ვხედავთ აკაკის მუშა ბედნიერათ რაცხს თავის თავს. მას არაფერი აწუხებს ამ ქვეყნათ.

ისე როგორც რაფიელ ერისთავის გლეხებს აკაკის მუშებსაც არა აქვთ სიცოცხლე, ბრძოლის უნარი, მომავლის შეცნობის პერსპექტივა, აკაკის იზრით მუშებს ბატონებთან არაფერი არა აქვთ საბრძოლო, რადგან უბედურების მიზეზი ისინი კი არ არიან, არამედ რუსეთის ბიუროკრატიზმი, საქართველოს განთავისუფლების იდეა აკაკის შემოქმედებაში გარკვეულ კლასობრივ შინაარსს ატარებს აკაკი ძალიან კარგად ხედავდა, თუ როგორ მიექანებოდა დაღუპვის გზაზე ფეოდალური არისტოკრატია;

აკაკის მთავარი თემაა სამშობლო და მისი ბედი, მის პატრიოტულ პოეზიაში თავიდან ბოლომდე ფეოდალურ საქართველოს იდეალიზაცია არის მოცემული აკაკის არსად არ ამოუღია ხმა ბატონ-ყმობის საწინააღმდეგოთ, მას არსად არ დაუხატია ბატონ-ყმობის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი ყმები,

[1] მიხ. ზანდუკელი—თერგდალეულები და ხალხოსნები ქართ. ლიტ. გვ- 159.
[2] იხ. აკაკის რჩეული ნაწერები—ტომი 3-გვ. 113.

პირიქით ეს ყმები თავისი ბედით კმაყოფილნიც არიან, მათ არაფერი არ ადარდებთ, ყველაფერი ბევრი აქვთ, აკაკიმ ეს შეხედულება ყმებზე გარკვევით ჩამოაყალიბა ლექსში „მუშები“ იგი ასე მიმართავს მუშებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბიჭო მამალმა იყივლა,
აპირებს გათენებასა!,.
მუშა ხარ, მეტს ძილს ერიდე,
როგორც ჭირსა და სნებასა!
თორემ თუ თავი წაგართვა,
დაგაბეჩავებს ტიალი,
დაგავიწყდება გუთანი,
თოხის და ნამგლის ტრიალი!
ცისკრის ვარსკვლავიც კაშკაშობს
ის ხომ თვით უფლის თვალია!—
დაჰხარის მუშას, როცა ის
საქმეზე მიმავალია,
ადექი ღმერთი ახსენე,
დაგხედოთ იმ ჩვენ ყანასა!
გულგასავსებათ დანამულს
ნიავი უმღერს „ნანასა“ (ტ. 4– გვ. 124).

ასე ფიქრობს აკაკი—მუშის საქმეა მხოლოდ გუთანი და ნამგალი, სხვა-ძას არ ესაქმება. პოლიტიკურ თავისუფლებაზე აკაკის მუშა არსად ლაპარაკობს, თითქოს ეს საკითხი მაშინ არც ყოფილიყოს, მაგრამ ჩვენთვის კარგი ცნობილია ის ფაქტი, რომ გლეხობა ეკონომიურად უზრუნველყოფასთან ერთად მოითხოვდა და მწვავედ აყენებდა პოლიტიკურ თავისუფლების საკითხს, აკაკის მიერ მთავარ საკითხის არ შემჩნევა, უგულებელყოფა უდავოდ მის კლასობრივი პოზიციებით აიხსნება. მას არ „ეცალა“ ამ მეტად „წვრილმან“ საქმეებისათვის ის გართული იყო, როგორმე ეპატრონებინა მის „ავადმყოფ“ სამშობლოსათვის, როგორმე გამოეყვანა ეკალ-ბარდში გადავარდნილი სულიკო, და მთელი ხმით ძიემართნა:

„ცა ფირუზ-ხმელეთ ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ შენთვის მოკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო,
„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზეკალია დამაფარეო...
და, რომ მოკვდები. გახსოვდეს
ანდერძი დაგიბარეო:
„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა ფირუზ—ხმელეთ—ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო“. (ტ. 4. გვ. 75).

დიახ, ცა ფირუზი-სამშობლო მხარე ადარდებდა აკაკის, სამშობლო მხარე ფეოდალებისა. ამიტომაც იყო, რომ იგი ყველგან მისი სამშობლოს ბედს დაეძებდა, ამიტომაც იყო, რომ იგი ძველ საქართველოს გმირებს ეძახდა თავის სამშობლოს გამოსახსნელად, ამიტომაც იყო, რომ იგი გულდამწყვეტით მიმართავდა სამშობლოს მიწას:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„იტირე მიწავ სამშობლოვ!
ზარი აუშვი, ზეცაო!
ისტორიულმა ღვთის რისხვამ
დღეს ჩვენთვის იორკეცაო..
სად არის კუბო თამარის
ქვეყნისგან ნაამბორისა?
ვის ხელში არის საფლავი
ნინო მოციქულ სწორისა?...
ქრისტეს სახელით ქრისტეს სჯულს
წვალება შემოერია
და ჩვენს ეროვნულ ფიცარზე
„ქართველი" აღარ სწერია,
ვიტიროთ?!. არა! ვაქკაცსა
არ შვენის ცრემლით გლოვანი!..
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი". (ტ. 4. გვ, 70).

აი, საით იყო მიმართული აკაკის მთელი გულისყური და შემოქმედებითი პოტენცია, აი, რა აწუხებდა და რისთვის იბრძოდა იგი „და ჩვენს ეროვნულ ფიცარზე" „ქართველი აღარ სწერია", მას უნდა ეროვნულ ფიცარზე ისევ გარკვეულ ასოებით დაეწერა ქართველი. ამით აიხსნება უსათუოდ აკაკის მიერ 1906-წ. 1-ლ იანვრის ლექს „ინტერნაციონალი"-ს დაწერა, ამ ლექსით აკაკის მიზანია არა ის, რომ მუშათა მოძრაობას გამოეხმაუროს, აკაკი 1905 წლის რევოლიუციას ეროვნული თვალსაზრისით და სარგებლიანობით უცქერის, აკაკი სწერდა:

„უნდა მტერი დავამარცხოთ
ძალმომრეკი, უსამართლო!
რა გვაქვს მასთან ჩვენ საერთო
საპირადო ან სამადლო
ეს იქნება საბოლოო
შეტაკება მწარე ომი!..
და თუ ვძლიეთ ჩვენთან ერთად
გაიხარებს ყველა ტომი"

(ტ. 4. გვ. 126.

აკაკი ფიქრობდა, თუ რუსეთის ბიუროკრატიზმს მოვიცილებთ და ეკლიდან გამოვიყვანთ სულიკოს, ან უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, თუ საქართველოს გავანთავისუფლებთ რუსეთისგან, მივცემთ მას ეროვნულ თავისუფლებას — და ჩვენს ეროვნულ ფიცარზე ისევ ქართველის სახელს დავაწერთ, მაშინ ჩვენს აბრძოლო აღარაფერი გვექნება. რასაკვირველია; აკაკი აქ მოტყუვდა მან ვერ შენიშნა 1905-წლის რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები, მან ვერ შენიშნა მისი უდიდესი პოლიტიკური შინაარსი და ვერ გაარჩია მუშათა-კლასის ბრძოლა ეკონომიურ უფლებების მოპოებისათვის და პოლიტიკურ თავისუფლებისათვის, ამ გვარად აკაკი თავის ლექსს „ინტერნაციონალი"-თ ისევ ძველ კლასობრივ პოზიციებზე დარჩა, ყოველივე ამის შემდეგ კიდევ არიან ჩვენში კრიტიკოსები, რომლებიც დიდის ამბით იცავენ აკაკის რევოლიუციონერობას. კოტეტიშვილს, თუ დაუჯერებ, „აკაკი წერეთელი ჩვენს ლიტერატურაში დემოკრატიულ მი-

მართულების ერთ-ერთი დამწყებთაგანია, იგი „თერგდალელული“ იყო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი სახალხო იდეების მატარებელი იყო, „თერგდალეულობა“ თავისი დროის რადიკალობისა და რევოლიუციონერობის ერმნიშვნელი მცნებაა, მარტო პატრიოტობა კი არა, არამედ საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი გარდაქმნა, მთელი თავისი პოლიტიკით, ეკონომიკით ზნეობით, ეს იყო ჩვენი „სტუდენტების საფიქრებელი და საოცნებო, ხოლო უპირველეს ყოვლისა, ამ საშინელ და უკაცური დაწესებულების გაუქმება და მთელი მისი შედეგების ლიკვიდაცია, რომელსაც ბატონ-ყმობა ერქვა.

„ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი ღრმად ჩასწვდა ჩვენი გლეხის ბუნებას და გადაგვიშალა მისი სული, დაგვანახვა ის პასიური ამყოლობა არსებულისადმი, რომელიც გლეხს ახასიათებს, მაგრამ ამ გარეგანი სახის იქით ის ღრმა შეურიგებლობა და პროტესტანტობაც დაგვანახვა, რომელსაც ეს ხალხი გულის სიღრმეში ატარებდა“. ჭეშმარიტად ამაზედ ითქმის ხალხური თქმულება—მგლის თავზე სახარებას კითხულობდენ და მაინც ცხვრებისაკენ ქონდა თვალიო“—სწორედ ასე სჭირთ ჩვენ კრიტიკოსებს, იმის შემდეგ, რაც მათ თავზე „სახარებები“ იქნა წაკითხული, ნუთუ ასეთ რამეებს კიდევ უნდა იმეორებდნენ? ყოველივე ეს მაჩვენებელია იმისა, რომ კლასობრივი მტერი ჯერ კიდევ იბრძვის ცდილობს თავისი მავნე რეაქცხონურ იდეოლოგიის გავლენების გაძლიერებას. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი ს, კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ს და სხვების წიგნები ამის დამადასტურებელია, დრო არის თერგდალეულების და საერთოდ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს საკითხში დამკვიდრდეს მარქსისტული გაგება. ჩვენ სასტიკად უნდა შევებრძოლოდ ყველა მათ, ვინც ცდილობს ამ საკითხებში მარქსიზმის უგულებელყოფას და გვერდის ავლას; ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატიურად ვამხილოთ ფალსიფიკატორები, გავამახვილოთ ყურადღება კლასიკოსებისადმი და განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ კლასიკოსების მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ა დ გაგების საკითხს.

• • •

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ხუნდაძე

ივანე მაჩაბელი

გარდაცვალებიდან 35 წლის შესრულების გამო

მიმდინარე წელს 35 წელი შესრულდა ივ. მაჩაბლის გარდაცვალებიდან, უკეთ მისი დაკარგვიდან. რაღაც უცნაური იყო ამ შესანიშნავი პიროვნების ცხოვრების დასასრული: იგი მოულოდნელად გაუქრა საზოგადოებას ხელიდან და ამ „გაქრობის“ ამბავი დღესაც ვერ გამოურკვევიათ. დაკარგვის მეორე დღესვე გაზ. „ცნობის ფურცელი“ სწერდა; „გუშინწინ, 26 ივნისს, დილით ადრე, თითქმის ოთხ საათზე, თ. ივ. მაჩაბელი გამოვიდა თავის სახლიდან და აღარსათ სჩანს. სახლში დაუტოვებია პორტმანე, საათი და ოქროს ღილები პერანგისა. ერთი სიტყვით, არავითარი ძვირფასი თან არ წაუტანია. ამ ამბავმა მომეტებულად ააღელვა მისი ოჯახობა და მაშინვე დაუწყეს ყოველი მხრით ძებნა. აგერ მესამე დღე გადის და კიდევ ვერ უპოვნიათ„. (იხ. „ცნობის ფურცელი“ № 570, 1898 წ,) ივ. მაჩაბლის ასეთმა მოულოდნელმა დაკარგვამ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ათასგვარ ლეგენდებს მიაცა გასავალი, იგივე გაზეთი სწერდა: „დღეს მეშვიდე დღეა, რაც ვერ უპოვნიათ თავ. ივ. მაჩაბელი. ამდენი ხნის მოუძებნელობის გამო ტფილისში ათასი ლეგენდა და მითქმა-მოთქმა შეითხზა. ამბობენ, რომ ცოცხალი უნდა იყვესო, სადმე იმალებოდესო, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი არსად სჩანს, რადგან მთელი კვირა ასეთი ცნობილი კაცი ვერსად დაიმალებოდა“... და სხ. (№ 572). დიდხანს ეძიეს, დიდი ზომები მიიღეს მაჩაბლის აღმოსაჩენად, მაგრამ სულ ამაოდ. „ამდენი ხნის ძებნამ სულ ტყუილად ჩაიარა... ათასგვარი ჭორებისაგან მოსვენება არ არი... ამ ჟამად ახალი ცხელი ამბავი დატრიალებს ქალაქში: ვითომ თავ. მაჩაბელი რომელიმე უდაბნოში, მონასტერში იმალებოდეს“ (№ 587). ერთი წლის შემდეგ „კვალი“ სწერს: „ამ ხნის განმავლობაში ის ბევრი ეძიეს მარა ვერსად ვერავითარი კვალი ვერ ნახეს. თავი მოიკლა? უცხოეთში გადაიხვეწა? ეს და სხვა ასეთი კითხვები იბადებიან და ისევ კითხვებად რჩებიან. საიდუმლოება მისი დაკარგვისა დღემდის ვერ გამოირკვა., სვე-ბედი დაკარგულისა დაბეჯითებით არავინ უწყის“... („კვალი“ № 26, 1899 წ.).

მაგრამ ივ. მაჩაბლის სვე-ბედა და „მისი დაკარგვის საიდუმლოება„ დღესაც 35 წლის შემდეგაც, არავინ იცის დაბეჯითებით. ეს საკითხის ერთი მხარე. ხოლო საკითხის მეორე მხარე იმაში გამოიხატება, რომ მისი ღვაწლი, შრომა და აზრო-

ვნება სრულიად შეუსწავლელი და გამოურკვეველია. ჩვენში ბევრმა იცის, რომ ივ. მაჩაბელი შექსპირის ტრაგედიების საუცხოვო გადმომთარგმნელია ქართულად, რომ იგი გაცხარებულ ბრძოლას ეწეოდა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, და უკანასკნელ ხანებში მთელი თავისი ენერგია ამ ბრძოლა-ოპოზიციას შეალია. მაგრამ ეარავინ იცის თუ რა და რა საკითხში ებრძოდა იგი ჭავჭავაძეს, როგორი იყო მისი აზროვნება და სამოღვაწეო პროგრამა, ყოველივე ეს კითხვა, სრულიად გაუშუქებელია ჩვენში და თვით ივ. მაჩაბელის მოღვაწეობა გამოურკვეველია და შეუფასებელი.

მართალს სწერდა „კვალი“ 1899 წ. „ივ. მაჩაბელი პატარა კაცი არ ყოფილა: ის ისეთი მოღვაწე არ ყოფილა, რომ მისი დაკლება არაფრათ ჩაეგდო საზოგადოებას“. ივ. მაჩაბელი მრავალ-მხრივი მოღვაწე იყო. იგი მთელი 20 წლის განმავლობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ საქმეებში: იგი რედაქტორი იყო სამი წლის განმავლობაში გაზ. „დროებისა“ (1883—85), უფრო ადრე თანა-რედაქტორი ჟურნალ „ი ვ ე რ ი ი ს ა“, სათავად-აზნაურო ბანკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, წევრი სხვა და სხვა საზოგადოებისა, განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მისი მოღვაწეობა თეატრალურ კულტურის საქმეში და საერთოდ მწერლობაში. თეატრალურ კულტურის აღორძინებას იგი ხელს უწყობდა, როგორც თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით დრამატიულ საზოგადოებაში, ისე თარგმნებით. ზედმიწევნით მცოდნე ევროპული ენებისა და ლიტერატურის — მაჩაბელი ამდიდრებს ჩვენს მწერლობას შექსპირის მთელი რიგი ტრაგედიების საუკეთესო თარგმანით. აღსანიშნავია რომ ივ. მაჩაბელმა, 18 წლის სრულიად ახალგაზრდამ, დაიწყო შაქსპირის „მეფე ლირის“ თარგმნა ქართულად 1872 წ. (იხ. „დროება № 1872 წ. ვას. მაჩაბლის წერილი) 1873 წლიდან მას მიეხმარა იმჟამად პეტერბურგში მყოფი უკვე სახელგანთქმული ი. ჭავჭავაძე და ერთად გადმოთარგმნეს ეს ტრაგედია, რომლის პირველი მოქმედება 1873 წ. „კრებულში“ დაიბეჭდა, ხოლო მთლიანად ცალკე წიგნად ორიოდე წლის შემდეგ გამოვიდა. მის კალამს ეკუთვნის სხვა მწერალთა ნაწერების თარგმნა ქართულს ენაზე. მაგრამ ივ. მაჩაბელი არა მარტო მთარგმნელი და პრაქტიკული მოღვაწე იყო, იგი ნიჭიერ პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ა დ ითვლებოდა. სამწუხაროდ, ეს მხარე მისი მოღვაწეობისა სრულიად გაუშუქებელია ჩვენს მწერლობაში. ამიტომ გვინდა ამ პატარა წერილში მოკლეთ მაინც შევეხოთ მისი მოღვაწეობის ამ საინტერესო მხარეს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ივ. მაჩაბელს მისი პუბლიცისტური ნიჭის გასაშლელად ნაკლებად უწყობდა ხელს ობიექტიური პირობები, უფრო მეტი—დიდი ხნის განმავლობაში იგი სრულიად მოკლებული იყო შესაძლებლობას. მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა დაიწყო 70-იან წლების მიწურულებიდან და განსაკუთრებით გაღრმავდა 80-იან წლების დასაწყისში, როდესაც მის ხელში გადავიდა გაზ. „დროება“. ამ დრომდე იგი გარედან თანამშრომლობდა პრესაში. რაღაც წელიწადნახევრის განმავლობაში (1882—83), ივ. მაჩაბელი ი. ჭავჭავაძემ მიიწვია თავისი „ივერიის“ თანარედაქტორად, მაგრამ, „ივერიაში“ მოთავსებულ წერილებიდან მის კალამს უმნიშვნელო ნაწილი ეკუთვნის და იგი უმთავრესად ტექნიკურ მუშაობას ეწეოდა, ჟურნალის ტონისა

და შინაარსის მიმცემი ი. ჭავჭავაძე იყო. 1883 წ. დაავადმყოფდა ს. მესხი, „დროების“ რედაქტორი, რომელმაც 14 წლის განმავლობაში დიდი მზრუნველობა გაუწია ქართულ პერიოდიკას. (იხ. მაჩაბლის წერილი: „ჩვენ მესხი“ გაზ. „დროება“ № 1883 წ.). „დროების“ მემკვიდრეობის შესახებ [illegible] დიპლომატიური ბრძოლა გაჩაღდა ინტელიგენტთა წრეებს შორის: ი. ჭავჭავაძეს გაზეთის გადაცემა თავის ერთგულ კაცებისათვის უნდოდა და არ იყო მომხრე, რომ მისი რედაქტორობა ივ. მაჩაბელს ჩავარდნოდა ხელში, თუმცა იმ ხანებში მასსა და მაჩაბლის შორის საგრძნობ წინააღმდეგობას არ ჰქონია ადგილი. დავ. სოსლანი (კეზელი) მაშინდელ „დროების“ მდგომარეობის შესახებ სწერდა: „ეს ორი თვეა, რაც „დროება“ დასაკლავ ხარის მდგომარეობაში იყო... რასაკვირველია ჩვენმა ყლაპიებმა სუნი აისხეს და ცბიერის ღიმილით და ტანის რხევით გაუთამაშ გამოუთამაშეს დროებას... საქმე მთლად გაჩალხული იყო, მხოლოდ ჯვარის წერის დღე არ დაენიშნათ. საქმრომ აკი სახლი მორთო, ნამცხვარი დაამზადა და გულის ძგერით ელოდა პირველ ღამეს, მაგრამ საბრალოს ამდენმა სამზადისმა ტყუილად ჩაუარა და მორთულობა წაუხდა. უეცრივ საიდგანღაც მიწის მგელივით გამოტყვრა ერთი ჩათუქესანი ბიჭი (ე. ი. მაჩაბელი ს. ხ.), პატარძალი თვალწინ მოსტაცა და თავისთვის წაიყვანა“ (დროება“ № 85, 1833 წ.).

შეიძლება ითქვას, რომ „დროების“ საკითხი იყო პირველი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც პირველად გამოიწვია უკმაყოფილება და წინააღმდეგობა ი. ჭავჭავაძესა და ი. მაჩაბლის შორის. სერ. მესხმა ი. მაჩაბელს მიანიჭა უპირატესობა და თავისი „14 წლის ნაამაგევი“ მას გადასცა. სერ. მესხი გამოსათხოვარ წერილში სწერდა: „ყველანი გაიგებს—თუ რა გულით, რა გრძნობით ვეთხოვებოდი მე გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმაწვილ-კაცობის ძალღონე ჰკუა გონება და, ერთი სიტყვით, მთელი ჩემი არსება შევწირე... ერთი რამ მანუგეშებს: ისეთი სანდო კაცების ხელში გადადის გაზეთი, რომელნიც, იმედია, ჩემზე უკეთ თუ არა, უარესად არ წაიყვანენ იმას, რომელნიც უკეთეს პირობებსა და გარემოებაში ჰკიდებენ გაზეთს ხელს და, მაშასადამე, უფრო-გაუადვილდებათ იმის რიგიანად და მართებულად წაყვანა“. „დროება“ № 85, 1883 წ. ი. მაჩაბელმა მესხს მეგობრული ფიცი მისცა: „ჩვენა ვკიდებთ ხელს სერგეი მესხისაგან დატოვებულ გაზეთს, მაგრამ დღეს საზოგადოებასთან სალაპარაკოდ არა გვცალიან. ამ წერილით გვინდა მხოლოდ საზოგადოების წინაშე მივცეთ პატიოსანი სიტყვა სერ. მესხს, რომ მისგან უდროოდ დაობლებულს გაზეთს დედინაცვლობას არ გაუწევთ და შეძლებისამებრ, ჭირში აღზრდილს, ბოლოს მაინც მხიარულებას ვაჩვენებთ“ (იქვე) მაჩაბელმა გაზეთის რედაქტორობას ენერგიულად მოჰკიდა ხელი, მაგრამ 1885 წ. მთავრობის განკარგულებით იგი სამუდამოდ დაჰკეტეს და რედაქტორი სამართალში მისცეს. ი. ჭავჭავაძემ ისარგებლა შემთხვევით და თავისი „ივერია“ 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა. ი. მაჩაბელი დარწმუნებული იყო, რომ ამ ახალი გაზეთის რედაქტორობა მას ჩაბარდებოდა, მაგრამ ი. ჭავჭავაძემ თვით იკისრა გაზეთის ხელმძღვანელობა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააღრმავა მათ შორის უკმაყოფილება. მაჩაბელს „ივერიაში“ მონაწილეობა არ მიუღია. როგორც პუბლიცისტს,

სამოღვაწეო ასპარეზი ხელიდან გამოეცალა და გარიყული დარჩა. მხოლოდ 1893 წ. დაიწყო მუშაობა „კვალის“ რედაქციაში და ისიც ეჭვსი თვით. ამრიგად პრესის სარბიელიდან გარიყულმა ი. მაჩაბელმა თავისი ენერგია შექსპირის თარგმანებისაკენ მიმართა და განსაკუთრებით საბანკო საქმეებისაკენ. 90-იანი წლების დასაწყისიდან მაჩაბელსა და ჭავჭავაძის შორის გაცხარებული ბრძოლა გაჩაღდა, რამაც შეიწირა ამ ნიჭიერი მწერლის მთელი ენერგია. ამ პერიოდში თუ რაიმეს სწერდა („მწყემსში“, „კვალში“ „ივერიაში“, ცალკე წიგნად) უმთავრესად შეეხებოდა ი. ჭავჭავაძესა და საბანკო საკითხებს.

ერთ-ერთი მიზეზი ჭავჭავაძე-მაჩაბლის ბრძოლისა აუცილებლად პრესის ხელმძღვანელობა და რედაქტორობაც იყო. მაჩაბელი უწუნებდა გაზეთს, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „სრული უნაყოფობა ეტყობა თ. ჭავჭავაძის მოღვაწეობას გაზეთში“: 1892 წ. ი. ჭავჭავაძის საწინააღმდეგოდ გამოცემულ თავის ბროშურაში ივ. მაჩაბელი სწერდა: „... 1885 წელს ის“ (ივერია) ჰგავდა მისუსტებულ მოხუცს, რომელსაც სული ძლივსღა შერჩენია და რომლის სიკვდილ-სიცოცხლე არავისათვის საყურადღებო აღარ არის... მაგრამ გასჭრა „ივერიის“ რედაქტორის ილბალმა, ბედის ვარსკვლავმა გამოუნათა და ამ წელს დაიხურა „დროება“, ერთად ერთი ქართული გაზეთი... და აი ბებერმა „ივერიამ“ ერთხელ კიდევ ფერი იცვალა, ბავშვის სახვევებში გაეხვია, არტახები შემოიჭრა და პირველ იანვარს 1886 წლისას წარდგა საზოგადოების წინაშე ახალი შვანდირით—როგორც პირველი ნომერი ყოველ დღიური გაზეთისა... რად გარდა ჰქმნა (ი. ჭავჭავაძემ) ქართული ყოველ-დღიური გაზეთი? უმნიშვნელო, უსიცოცხლო, უსულო ქაღალდის თაბახად, რომელიც მხოლოდ თ. ჭავჭავაძის პირადს ინტერესსა და წადილს ყურმოჭრილ მონასავით ემორჩილება“ (იხ. „ილია ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“ გვ. 17—84 1892 წ.).

ასეთი სასტიკი განაჩენი გამოუტანა ჭავჭავაძის „ივერიას“ ი. მაჩაბელმა. მკითხველი ხედავდა, რომ იგი ჭავჭავაძეს ებრძვის და უწუნებს არა პოლიტიკურ მიმართულებას და სამოღვაწეო პროგრამას, არა იდეოლოგიას, არამედ გაზეთის არა შესაფერისს ხელმძღვანელობას, გაზეთის „უსულო“ ქაღალდის თაბახად გადაქცევას“.

—

ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ივ. მაჩაბელი ნაროდნიკი იყო. ეს მეტად შემცდარი აზრია. შეიძლება ივ. მაჩაბელზე იყო რაიმე გავლენა ნაროდნიკებისა, მაგრამ მისი აზროვნების დამახასიათებელი ძირითადი თვისება ამაში არ გამოიხატება. ჩემი აზრით, ივ. მაჩაბელი პროგრესიულად მოაზროვნე თავ-აზნაურობის იდეოლოგი იყო, სზორედ იმ ფენის, რომელმაც შეიგნო კაპიტალისტური, მნიშვნელობა და ძალა და მოიწადინა თავისი წოდების ცხოვრების შეგუება და შეზრდა ამ ახალ ვითარებასთან:, იგი, ამრიგად, გაბურჟუების გზაზე დამდგარ თავად-აზნაურობის იდეოლოგია და მისი სამოღვაწეო პროგრამა კაპიტალიზმის გაზვიადების პრუსიული გზისა ამსახველია. აქედან მკითხველი ნათლად დაინახავს, თუ რაში გამოიხატებოდა ი. ჭავჭავაძის და ივ. მაჩაბელის ბრძოლის

არსებითი სოციალური საფუძვლები: ეს იყო ბრძოლა ერთი და იმავე კლასის იდეოლოგებისა. ი. მაჩაბელი ბევრად უფრო პროგრესიული იყო ი. ჭავჭავაძეზე, იგი აქტიური და მებრძოლი დამცველი იყო თავისი წოდების ინტერესებისა, იგი უფრო ჩქარის ტემპებით მოითხოვდა ძველი წყობილების გადახალთების შეგუებას კაპიტალისტურ ურთიერთობასთან. რამდენიმე ნიმუში ამას ნათელს მოფენს.

საინტერესოა ივ. მაჩაბლის სოციოლოგიური შეხედულებანი. ერთ მეთაურში იგი სწერდა: „კაცობრიობის ისტორიის მსვლელობა გვასწავლის, რომ ამ მსხვერპლობას უმთავრესი აზრი, დედა ძარღვი არის პიროვნების განვითარება, ნამდვილი კაცად გადაქცევა. სრულიად პროგრესი, წინსვლა კაცობრიობისა იმაში გამოიხატება, რომ მის ცნობილ ხარისხზე თქვენ ჰპოვოთ კაცი, პიროვნება, ინდივიდი, განვითარებული კაცთ-მოყვარე... ყოველივე, რაც ისტორიაში, კაცთა ნათესავს წარსულში ჰშველიდა ამ გვარს მუშაობას, კაცის პიროვნების განვითარებისას პროგრესიულ მოვლენად ითვლება (დროება № 195, 1885 წ.)! ეს დებულება ი. მაჩაბელს სუბიექტიური სოციოლოგიის სალაროდან აქვს ნასესხები. თავისთავად პიროვნების განთავისუფლების თეორიის წამოყენება უკვე ნიშნავდა ბურჟუაზიული აზროვნების შექმნას მის იდეოლოგიაში. რასაკვირველია, მას არ ესმის საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების ძირითადი კანონები და „კრიტიკულად მოაზროვნე“ პიროვნებაში ხედავს საზოგადოების მამოძრავებელ ფაქტორებს. არ ესმის მას არც კლასთა ბრძოლის მნიშვნელობა. იგი ნათლად ხედავს, რომ „შრომასა და კაპიტალს“ შორის ბრძოლაა, მაგრამ ეს შემთხვევით მოვლენად მიაჩნია და მათ მორიგებასა და შეთანხმებაზე ოცნებობს. მაჩაბლის შეხედულებით „საუკეთესო მოწყობილება საზოგადოებრივის ცხოვრებისა ის იყო და არის, რომელიც კაცის ბოროტსა და მხეცურს ინსტიკტებს გზას ულობავს, ფრთებს ჰკვეცავს და სამაგიეროდ კეთილ მისწრაფებას უღვიძებს“ (იქვე № 195, 1885 წ.). ამ დებულების მიხედვით, მთავარი არის ადამიანის შინაგანი სუბიექტიური გარდაქმნა და არა ობიექტიური გარემოს შეცვლა მიუხედავად ასეთი შეხედულებისა, მაჩაბელს აქვს წამოყენებული მეორე სოციოლოგიური დებულებაც, რომელიც ევოლიუციის, აზრის პრინციპს გამოსახავს. „ქვეყნის ცხოვრება იმავე განვითარებისა და წარმატების კანონებს ემორჩილება, რომელნიც ჰსუფევენ მთელს ბუნებაში საზოგადოდ და ორგანოვანს ბუნებაში კერძოდ. ყოველივე ორგანოვანი არსება იზრდება, ივსება, წარმატებაში შედის უმაღლეს ხარისხს მიაღწევს სისრულისას შემდეგ უძლიერდება და სრულიადაც ისპობა. ასევეა საზოგადოებრივი ცხოვრებაც“ („დროება“ № 191, 1885) მაგრამ მაჩაბელი განსხვავებასაც ხედავს ორგანიულ ბუნებასა და საზოგადოების განვითარების შორის: უკანასკნელი არ კვდება, არამედ კრიზისს განიცდის, დაუძლურებული ცხოვრება კვლავ წარმატებაში შედის, გადახალისდება და წინსვლას იწყებს. არის ისტორიაში ისეთი მომენტები „როცა ერი სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა გამო იძულებულია შესცვალოს, ცოტად თუ ბევრად, გზა თავის ისტორიულის ცხოვრებისა“. ასეთ პერიოდში საჭიროა სიფრთხილე და წინდახედულობა. „ზნეჩვეულება, სარწმუნეობა, ეკონომიური წესნი, სამიწაწყლო და წოდებრივი ურ-

თიერთობანი არას არ შეიცავდენ ამ დროს მეტად საწინააღმდეგო სწარმატების და პროგრესის იდებისას“ (იქვე). ავტორი ნათლად ხედავს, რომ ძველი წესი შეიცვალა და ახალი ურთიერთობა დამყარდა მსოფლიოში „ამ ჟამად ფულმა, კაპიტალმა დაიპყრო ყოველი სფერო ცხოვრებისა. მხოლოდ ფული და კაპიტალი შეიქმნა ძლიერ ფაქტორად ცხოვრების ყოველიმხრივი გაუმჯობესებისა და წარმატებისათვის. ეს წესები რუსეთშიაც შემოვიდა და დღეს მის გაძლიერებას ვეღარაფერი ვერ შეაყენებს... შემოვიდა და ამ ჟამად სრული ბატონი შეიქმნა ჩვენ ცხოვრებაში... ამ ახალმა ვითარებამ მალე მოუღო ბოლო ჩვენის ძველი ცხოვრების წესებს. ეს წესები სრულიად აღარ შეეფერებიან იმ ახალ ვითარებას, და თუ მალე არ შეითვისებ, ეს ახალი ვითარება, ჩვენი ეკონომიური კეთილ-დღეობა, ჩვენი უზრუნველობა ნივთიერი და ამის გამო გონებრივიც და ზნეობრივიც საეჭვო საგნად შეიქმნება, საშიშროებაში ჩავარდება. მე ვამბობ ფულებრივის მეურნეობის წესების შეთვისებაზე კაპიტალისტური წარმოების კანონების შეგნებაზე და ამ შეგნების შესაფერისად მოქმედებაზე“. (იხ. წერილი: „კერძო შენიშვნები“, „დროება“ 199, 1885) ამრიგად ჩვენს პუბლიცისტსა და მის ორგანოს ესმის ახალი წესების მნიშვნელობა და მასთან შეგუებას მოითხოვს. ბუნებრივი იქნება და რომ ავტორს აქედან შესაფერისი დასკვნა გაუკეთებია და ახალი წესის მეთაურად ბურჟუაზია გაეხადა. მაგრამ მაჩაბელი ამ ლოლიკურ დასკვნამდე არ მიდის. ავტორს კვლავ უნდა ძალა-უფლება და მეთაურობა თავად-აზნაურობას შეუნარჩუნოს. იგი სწერდა: „რომელს წოდებას შეუძლიან ჩვენში საზოგადოებას სათავეში ჩაუდგეს და მის წინ-სვლას ხელი შეუწყოს? ამის პასუხს დიდი თავის-მტვრევა არ მოუნდება: გლეხკაცობას მეტად ბევრი პირადი საზრუნავი აქვს, რომ საზოგადოებაზე იფიქროს, ვაჭრობის წოდება ჯერჯერობით არ არსებობს და ისტორიის მსვლელობამ ჩვენს თავად-აზნაურობას მიუჩინა მეთაურობა, ავად თუ კარგად, ეს წოდება წინამძღოლობდა ჩვენს ერს ომსა და ლაშქრობის დროს და მშვიდობიანობაშიც იმდენი შეძლება და მოცალეობა ჰქოდა, რომ ეს საპატიო უღელი კისრიდან არ გადაეგდო და პირნათლად ეზიდა“ (იხ. მისი წიგნაკი: „ი. ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა“ გვ. 8, 1892 წ.). ამასვე სწერდა ი. ჭავჭავაძეც. (იხ. მისი წერილი: „მოვალეობა ჩვენი თავად-აზნაურობისა.“ „ივერია“ № 20, 22, 23, 1893).

—

ამ რიგად, მაჩებელს თავად-აზნაურობა სრულიად არ მიაჩნია განწირულ წოდებად., იგი ამ წოდებაში ხედავს საზოგადოების „საპატიო უღელის“ მტირთველსა—მეთაურს. ამ ძირითად დებულებიდან წარმოსდგებოდა მაჩაბლის საბანკო კაპიტალიც. რამაც გამოიწვია განხეთქილება მასსა და ი. ვავჭავაძის შორის. ამ საკითხის შესახებ კამათს მათ შორის პრინციპიალური იდეოლოგიური ხასიათი არ ჰქონია. ბანკი მაჩაბელსაც თავის წოდების გადასარჩენად უნდოდა., იგიც დ. ყიფიანივით ამბობდა:“... თუმცა ბანკი სასარგებლო დაწესებულებაა, მაგრამ იგივე ბანკი ბევრს თავად-აზნაურს მამულს ხე

ლიდან გამოაცლის, თუ ჩვეულებრივი წოდება არ შეიცვალა, და ეგ იგი ისე ციდლობს შესცვალოს ეს წოდება, რომ ჩვენის თავად-აზნაურობის ზნესა და გარემოებას შეუფეროს“ (იქვე გვ. 101. მაჩაბელი ჭავჭავაძეს უწუნებს მოღვაწეობას, რომ ცუდად მუშაობ, საბანკო საქმის არაფერი გესმის და ამიტომ ბანკი და თავად-აზნაურობა ზარალშია. ადგილის უქონლობის გამო, ამ ადამიანის შესახებ მეტის თქმა შეუძლებელია.

ი. მაჩაბლის პუბლიცისტიკის დასახასიათებლად არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იგი, წინააღმდეგი ი. ჭავჭავაძისა, მომხრე იყო ხიზანთა მიწით განთავისუფლების გამოყიდვით (იხ. „დროება“ №1, 106, 1885 წ. №106 1884 წ. და სხ.). მაჩაბელი მოითხოვდა დაჩქარებულიყო გლეხობაზე „ნადელების გადაცემა. (№ 108,1885 წ. და სხვა) აღსანიშნავია რომ მაჩაბელი მთელ რიგ წერილებში ხაზს უსვამს ქართველების რუსისტახტისადმი ერთგულებას.

საინტერესოა მაჩაბლის ესთეტიური თეორია, ცნობილია, რომ იგი საუკეთესო მცოდნე იყო ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების. ერთ მეთაურში იგი სწერდა: „პოეზია რომ არ იყოს, ამბობს ბერნე, ხალხის ცხოვრება ერთს დაუსრულებელს სისხლის ღვრას წარმოადგენდაო, მართლაც, პოეზიას დიდი გავლენა აქვს კაცის გრძნობაზე და ამ მხრივ დიდს სამსახურს უწევს საკაცობრიო პროცესს. იგი აკეთილშობილებს კაცის გრძნობას, მოქმედებს გულზე, აგრილებს მის ბუნებას, ჭლაგმავს ბოროტს ინსტიკტებს და ხეპრეს ჩვილ არსებათ ჰქმნის“. („დროება №125, 1885 წ.) რასაკვირველია, მაჩაბელი პოეზიის კლასიური ბუნების შესახებ არ ლაპარაკობს; მაგრამ მისი ესთეტიური თეორიის გამოსავალი წერტილი თავად-აზნაურული ლიბერალიზმია, რომელსაც სურს „პოეზიით გააგრილოს“ მოწინააღმდეგე კლასის ამბიხებული ბუნება, ამრიგად მისთვის პოეზია იარაღია მოწინააღმდეგე და ამბოხებული წოდების დასამშვიდებლად და დასამორჩილებლად.

დრამატიული ხელოვნების შესახებ ი. მაჩაბელი სწერდა:

„პოეზიის გვირგვინი არის დრამა და დრამატიული მწერლობა და რამდენადაც დრამა მაღლა სდგას სხვა გვარ პოეზიაზედ, როგორც თავისი სირთულით, ისე შინაარსით (ეს შინაარსი წარმოადგენს კაცთა პირდაპირ მოქმედებას ხვადასხვა გულის თქმათა და ვნებათა ზედ-მოქმედების გამო) იმდენად მისი მოქმედება უფრო ძლიერია ადამიანის ბუნებაზე, მისი ზედ-გავლენის სფერო ვრცელია, მისი სახსარი და იარაღნი უფრო მარჯვენი არიან და ამისათვის დრამის სამსახურიც კაცობრიობის წინაშე მისი სულიერის გავნითარების შესახებ უფრო დიდია და უფრო საყურადღებო. აი, ეს დედა-აზრი უნდა შეიგნოს და შეითვისოს ყოველმა თეატრის მოღვაწემ, რადგანაც თეატრი და სათეატრო დასი უპირველესი შემავალია, უპირველესი იარაღია დრამის გავლენის გავრცელებისათვის და მისი კეთილ-ზემოდქმედების სიმტკიცისათვის. დრამა თავის თავად, უდრამატიულ დასოდ, მოკლებულია თავის ძალას... მაგრამ სასურველია, რომ თვით დრამატიული მწერლობა შეივსოს და გავრცელდეს დრამატიული მწერალნი განიმსჭვალონ თავის ხელობის დიდ სარგებლობით და მეტი ყურადღება ათხოვონ დრამას და სადრამო თხზულებად“. (იქვე).

ასეთ ამოცანებს უყენებდა პოეზიასა და კერძოდ დრამატიულ მწერლობას 80-იან წლებში გაბურჟუების გზაზე შემდგარი საზოგადოების სახელით ი. მაჩაბელი.

● ● ●

წიგნი და მკითხველი

ალექსანდრე სულავა

ენტუზიაზმის პოეტი

კ. ლორთქიფანიძის „ლექსების კრებულის“ გამო

ამას წინად პროლეტარული პოეტის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ლექსების წიგნი გამოვიდა. ეს წიგნი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მან სრულიათ სამართლიანად მიიპყრო კრიტიკის ყურადღება, ამ წიგნში შეკრებილია ყველაფერი ის, რითაც რამოდენიმე წლის განმავლობაში კ. ლორთქიფანიძე იმკვიდრებდა პოეტის რეპუტაციას და ყურადღებას იქცევდა, როგორც პროლეტარული მსოფმხედველობის ნიჭიერი ლირიკოსი.

მართალია კ. ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ ასეთი სახით ლექსების შეკრება ნიშნავს განახლებულად დაიწყოს წერა, რისთვისაც ამ წიგნის პირველ გვერდზედვე მოყავს რუსი პოეტი მ. სვეტლოვის აზრი ამის შესახებ, მაგრამ ფაქტი, მაინც ფაქტად რჩება, რომ აქ შეკრებილი პროდუქცია—წლების განმავლობაში ნაფიქრი და ნაგრძნობი პოეტური ბრძოლის შედეგი და ცხოვრების მიერ ბრწყინვალედ გამართლებული პრაქტიკაა.

ტყვილად არ აფრთხილებს თავის მკითხველებს პოეტი, როცა დევიზათ წიგნს აწერია „იცოდეთ ყველას შესახებ ვწერ, მაგრამ არასდროს ყველასათვის ერთი სტრიქონიც არ დამიწერია“.

ეს წარწერა პოეტის მსოფლმხედველობითი მხარეს ეხება. პოეტი ამით იმას ამტკიცებს, რომ პროლეტარული პოეტისათვის არ არსებობს თემატიური შემოფარგვლა და კარჩაკეტილობა, რომ საქმე არა მარტო თემატიურ საგანზეა დამოკიდებული, არამედ მტკიცე და გარკვეულ მსოფლმხედველობაზე.

ამიტომაა კიდეც რომ კ. ლორთქიფანიძის პოეზიაში ადგილი აქვს მრავალ ფეროვნებას. თემატიურ სიუხვეს, თანადროულობის აქტუალური საკითხების ტრაქტოვკას. ამ მხრივ იგი რევოლუციონური ენტუზიაზმისა და ლირიკულად აწეული პათოსის პოეტია.

კრიტიკა წარსულში კ. ლორთქიფანიძეს უსაყვედურებდა ბრძოლის განწყობილების პარალელურად მელოდიურ, ლირიკულ დახევებს და დარბილებას. მაგ-

რამ ამას თავისი სოციალური მიზეზები ქონდა და ეს პერიოდი მის შემოქმედებაში უკვე დიდი ხანია გადალახულია.

ეს იყო პერიოდი, როცა არა მარტო კ. ლორთქიფანიძე, არამედ სხვა მთელ რიგ პოეტების მებრძოლ განწყობილებებს შეეპარა ობივატელური დაღლილობის განწყობილებები. ავადმყოფური—ინტიმური გრძნობები, როცა კ. ლორთქიფანიძეც შეიპყრო „სიყვარულის ტკბილმა მორევმა“, მწუხარების გრძნობამ იმის შესახებ, რომ „ცხოვრება თურმე ყოფილა გულქვა“ და სხვა.

ეს იყო პერიოდი, როცა მის მიერ იწერება მინორული ტონის ლექსები მინიატურები, დეკადენტური განწყობილების სიმღერები. ეს იყო პერიოდი როცა, მისი ლექსების წიგნს ერქვა „ღიმილი“.

ბევრისათვის ესტეტიურ—ინდივიდუალისტური განწყობილების ლირიკულ მორევში მოხვედრა საბედისწერო შეიქნა. ბევრი გაიყინა ამ განწყობილებების რკალში. კ. ლორთქიფანიძისათვის ეს წმინდა ლირიკული გატაცება არ ყოფილა წამყვანი. კლასიური შეგნებისა და ინტერესის სიცხოველე მას არას დროს არ დაუკარგავს. ამას ამტკიცებს თუნდაც საკუთარ წვრილ-ბურჟუაზიულ თვისებებთან ბრძოლის ის ტენდენცია, რომელსაც იგი როგორც დილემას ისე სვამდა თავის წინაშე.

რევოლუციონურად განწყობილ პოეტს აშკარაა უნდა ეფიქრა მტკივნეული და ხელის შემშლელი გრძნობების ჩამოცილებაზე—იმაზე, რომ მისი გაბზარული ღიმილი გადაქცეულიყო ჯანსაღ ლირიკულ-სიცილათ.

ჰქონდა თუ არა მერე ამისათვის კ. ლორთქიფანიძეს საწყისები? აშკარაა ჰქონდა. რადგან იგი საფუძველში, როგორც პოეტი ახალი მებრძოლი კლასის პოეტათ დაიბადა, მაგრამ ამ გზაზე სწორად სიარულში ხელს უშლიდა ინტელიგენტური, წვრილ-ბურჟუაზიული ზოგი გრძნობის „შავად გაწოლილი თხრილი“ რომლის ამოვსება საჭირო იყო.

ამიტომ ეს მან სცადა საკუთარ არსებაში ძველი და მავნე გრძნობების წინააღმდეგ ბრძოლის გზით, ახალი მსოფლმხედველობის, ახალი და ჯანსაღი განწყობილებების დასამკვიდრებლათ. ეს ცდა არ ყარჩა უშედეგოთ, როგორც იდეურობისათვის მტკიცე ბრძოლის ნაბიჯი.

ერთ თავის ლექსში კ. ლორთქიფანიძე პირდაპირ აცხადებდა.

„თუ ზოგჯერ მძიმე კითხვის წინაშე
ჩემი ნაბიჯი წაბარბაცდება—
ეს ხდება რადგან ახლის ძებნაში
სიძნელეები გზაზე ბევრია,
ხშირად მარჯვენა მკერდის ნაწილი
მარცხენა მკერდის დიდი მტერია“.

(„შესავალი“)

აქ კ. ლორთქიფანიძე არ ცდილობს თავის გამართლებას, არამედ ეძებს მიზეზს და საშუალებას ამ „სიძნელეების“ გადასალახავათ. ამ მავნე გრძნობების მოსასპობად.

„ძველი და ბნელი გრძნობების ფე'ვი
მოსასპობია ჩვენში მთლიანად“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯერებული, რომ ეს მავნე გრძნობები, არაა მისი მსოფლმხედველობისათვის წამყვანი და გადამწყვეტი კ. ლორთქიფანიძე იმედიანად აცხადებს:

„იქუხონ, ჰექონ! ხალისის გარდა
დეე ტკივილიც მიპობდეს აზრებს,
ხომ გამოჩნდება, ხომ დაინახავთ
როგორ ვიმარჯვებ საკუთარ თავზე“.

გაიმარჯვა თუ არა მერე კ. ლორთქიფანიძემ საკუთარ თავზე? დიაღ! გაიმარჯვა და ყველას სანახავად შესძლო იდეურად ამაღლება იმ წვრილ ბურჟუაზიულ განწყობილებებზე, რომელიც ლაქს ცხებდა მის პოეზიაში თავიდანვე აღებულ ოპტიმისტურ ხაზს.

მისი მუზა არ შეშინებულა პროზაული სინამდვილის წინაშე, როგორც ეს ზოგიერთებს გონიათ და გაუთავებლად ლაყბობენ და აზვიადებდეხ იმ შეცდომებს და მტკივნეულ მომენტებს, რომელსაც უსათუოდ ადგილი ქონდა მის ლირიკაში.

საკუთარ თავთან ბრძოლის პრობლემა არ შეიძლებოდა არ დასმულიყო კ. ლორთქიფანიძისათვის, როგორც წვრილ ბურზუაზიული ფენიდან მოსული მწერლისათვის, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მთავარი და წამყვანი კ. ლორთქიფანიძის პოეზიაში ყოველთვის იყო და დარჩა ოპტიმისტური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, რევოლუციონური პათოსი და ენტუზიაზმი.

ეს ტენდენცია აშკარად მოსჩანს მის პირვანდელ ლექსებიდანვე. ასეთია თუნდაც 1925 წელში დაწერილი ლექსები: „თემა მეორე“, „კომკავშირული“, „პოეტი“, „წერილი სარტფოს“ რომლის ჯანსაღი განწყობილებები შემდეგში სხვა ფორმებში და სხვა მოვლენების გამო იდეურად გაღრმავებული სახით გრძელდება.

ამ ლექსებში რევოლუციონური ბრძოლის პათოსი და ოპტიმიზმი იგრძნობა.

„იყო ბრძოლა და
ჩვენ მკლავი არ მოგვდუნებია,
არის ბრძოლა და
არ დავტოვებთ ბრძოლის მოედანს
. . . . . .
ჩვენთვის სიცოცხლე
ეს უზომო სიხარულია
ათას მომავალ
ქარიშხალზე გამრავლებული.

„კომკავშირული“

კ. ლორთქიფანიძე ამ ლექსებში იმ თავითვე სწორად აყენებდა საკითხს მებრძოლი პოეტის რევოლუციასთან დამოკიდებულების საქმეში, როცა ამბობდა „მეც თქვენთან ერთად კომუნისტურ მომავალს ვჰედაო“. კომუნისტური მომავლის მჭედელ პოეტს აშკარაა არ შეუძლია რევოლუციონური ბრძოლისა და ენტუზიაზმის გარეშე აზროვნება და ცხოვრება. ამიტომ კ. ლორთქიფანიძის შე-

მოქმედების საგანი მუშათა კლასის ბრძოლისა და შრომის, ენტუზიაზმისა და სიხარულის განწყობილებებია.

ამისი განსახიერებაა პოეტური ნიმუშები—„მუშა გამომგონებელი“, „საბარგო ავტომობილი“, „რაიკომის საწერი მანქანა“, „ერევნიდან ეჩმიაძინამდე“, „ერთი მათგანი“, „სტენკა რაზინ“, „ლენინ“ და სხვა მრავალი.

ამ პროდუქციიდან ასეთი ნიმუშები, როგორიცაა „სტენკა რაზინ“ „რაიკომის საწერი მანქანა“, „ერთიმათგანი“, „საბარგო ავტომობილი“ იყო გადამწყვეტი ნაბიჯები. კ. ლორთქიფანიძემ სწორედ ამ ლექსებით მოიხვეჭა პროლეტარული ლირიკოსის სახელი, მაგრამ სწორედ ამავე ლექსებისათვის გახდა იგი ზოგიერთებისათვის კრიტიკის ქარცეცხლში გატარებული.

განსაკუთრებით ეს ეხება მის ისეთ მძლავრ ლექსებს, როგორიცაა, „რაიკომის საწერი მანქანა“ და „საბარგო ავტომობილი“, ეს ორი ლექსი, როგორც ყუმბარა ისე გასქდა თავის დროზე და საკმაო მითქმა მოთქმა გამოიწვია.

რაში იყო საქმე? ბევრმა ვერ გაიგო ამ ლექსების ხასიათი და მათში „მომემარცხენო“ იდეოლოგიური გადახრა დაინახა. მერე რისთვის? იმისათვის, რომ პოეტმა „რაიკომის საწერ მანქანაში“ დააყენა საკითხი რევოლუციის ტაქტიკური მანევრის და კლასიურ მტერთან ბრძოლის მეთოდის გამოცვლის შესახებ.

ამ ლექსში მრავალი შესანიშნავი, ხალისიანი ადგილია. ასეთია თუნდაც რაიკომთან დაკავშირებული ახალგაზრდობის აღწერა.

წყება ცვლის წყებას,
ფარაჯებში გამოხვეულებს
შემოაქვთ თოვლი
სურნელება მედგარ ბრძოლების;
ვის გამოარჩევ!
აქ ყველანი უსახელოა
და ყველა ერთად
იმედია ახალ ცხოვრების.

არაა შეცდომა ამ ლექსში „მშვიდი საღამოსა“ და „გაცვეთილი შრიფთის“ ამბავი. განა სამოქალაქო ომების შემდეგ, ბევრს არ ეჩვენებოდა სოციალისტური მშენებლობის, ქვეყნის სამეურნეო აღდგენის პერიოდი-რევოლუციის წაგებისა და ჩამობინდების ხანად?

განა ცოტა ბრძოლა იქნა გადახდილი სამოქალაქო ომებში შეძენილი ანარქიულობისა, და ულტრა რევოლუციონერობის ფსიხოლოგის აღმოსაფხვრელად.

კ. ლორთქიფანიძე სწორედ ამ მომენტებს იღებს მხედველობაში, როცა სწერს, რომ ეხლა დადგა მშენებლობის დღეები, მტერი „ოთახების შიგნით გროვდება“ და ეს საჭიროებს ბრძოლის მეთოდების შეცვლასო. საბეჭდი მანქანის შრიფტიც უნდა გამოიცვალოს თუ, რომ ის გაიცვითა. განა ფაქტი არ არის, რომ სამოქალაქო ომის შემდეგ კულტურული რევოლუციის საკითხები რევოლუციის მნიშვნელოვან პრობლემად დადგა? პოეტიც სწორედ ამაზე მიუთითებს შებრძოლ კომკავშირელს, როცა მიმართავს.

„ქარი არ მოსჩანს,
იცქირები უკმაყოფილოდ:
ძველი სილაღე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავნებობა გაქრა სრულიად,
დაასუფთავეს
ქუჩები და იცი ძმობილო
ახლა ნამწვავის
გადაგდებაც აკრძალულია
შენც დასუფდავდი
ველურობა აღარ გარგია
დაიწყო შრომა
წესიერი აღფრთოვანებით".

ვის არ ახსოს, ახალი ყოფა ცხოვრებისათვის ბრძოლის სინამდვილე ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. უამრავი დისპუტები და წიგნები, ლექციები, ლექსები ამ საკითხებზე.

კ. ლორქიფანიძესაც სწორედ ეს განწყობილება აქვს გადმოშლილი—სადაც ფრაზა „დაიწყე შრომა წესიერი აღფრთოვანებით" საუკეთესოთ არკვევს პოეტის მისწრაფებას თუ ვის მხარეზეა იგი. ვისი თვალებით უცქერის ცხოვრების სინამდვილეს. აშკარაა ეს არაა რევოლუციის მიმდინარე ეტაპის ოპორტუნისტული შეფასება.

ეს ლექსი უსათუოდ შედეევრია. რაც შეეხება „საბარგო ავტომობილს", აქ იდეოლოგიურად გამართულ ადგილებთან ერთად ფერების ყალბათ დამუქებასაც ვხდებით, როცა პოეტი გმირ—ავტომობილის იდეალიზაციას ახდენს და მოელის იმ დროს როცა:

„მტკივა და ვამბობ: მოვა დღეები
მტვერს ცხელი სისხლით ჩამოგირეცხენ".

ასეთ ლიაპუსებს კ. ლორთქიფანიძის სხვა ლექსებიდანაც უსათუოდ დისონანსი შეაქვს მის იდეოლოგიურ მთლიანობაში. თუმცა საფუძველში იგი მაინც რჩება „შრომის წესიერი აღფრთოვანების", ბრძოლისა და ენტუზიაზმის ერთგულ პოეტად.

ამ მხრივ საყურადღებოა მისი ლექსი „ენტუზიაზმს". ამ ლექსში, როგორც ფოკუსში თავ მოყრილია მისი ჯანსაღი განწყობილებები.

სოციალისტური მშენებლობის ენტუზიაზმმა, ჩვენი ქვეყანა გადააქცია მსოფლიოში უძლიერეს ქვეყნად, ენტუზიაზმი უმძლავრესი მამოძრავებელი ძალაა, ამიტომ სავსებით სწორია კ. ლორთქიფანიძე, როცა ენტუზიაზმს მიმართავს.

„შენ გამოდიხარ დამკვრელი ჯგუფით
და შეგყავს დაზგა წყობილებაში,
წუნს და გაცდენას, აწეულ ფასებს
ებრძვი და უწყობ დიდ შეთქმულებას
შენა ხარ დღეს, რომ
ცეხში ხელს აწერ
სოცშეჯიბრების ხელშეკრულებას".

რა უბრალოთ, სადათ, პოეტური გულწრფელობით და ფრაზეოლოგიის გარეშეა—შეგრძნობილი და გამოხატული ენტუზიაზმის მნიშვნელობა ჩვენი მშენებლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ავალებ ყოველ უბრალო საათს
საუკუნეთა გამოცდილებას—
და ვისაც გუშინ უჭირდა ერთი
უბრალო დაზგის დამორჩილებაც,
როგორც დამკვრელი გამოყავს ახლა
რომ სამი დაზგის გაშვება შესძლოს...
შენ იგივე ხარ ვინც პერეკოპთან
სარდლობის უნარს აძლევდა მებრძოლს
და როგორც მაშინ როდესაც სრესდა
დენიკინს ცხრაას თვრამეტი წელი,
ჩვენი გრძნობების უჯრედში დღესაც
შენ ხარ ბელადი და ხელმძღვანელი“.

ოდესღაც კ. ლორთქიფანიძეს უწოდეს რომანტიკოსი რეალიზმში—ჩვენი სოციალისტური უალრესად რეალისტური სინამდვილის პერიოდში, კ. ლორთქიფანიძეს არ ავიწყდება ჩვენი დროის მშენებლობას და ენტუზიაზმს მოუძებნოს სათავე იმ გმირული ბრძოლების წარსულშიაც, რომელსაც სამოქალაქო ომების—„ფრონტოვიკული გეროიკა“ ეწოდება.

ამიტომ იგი არ ივიწყებს ამ გეროიკას, მაშინაც კი როცა იგი პოეტურ რეალიზაციას უკეთებს ლოზუნგს „ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს“.

ამ ლოზუნგის პოეტურ განხორციელებას და ჩვენი ქვეყნის ცოცხალ გმირის ჩვენების ამოცანას, კ. ლორთქიფანიძემ უპასუხა პოემა „მუშა გამომგონებელით“. ეს პოემა უსათუოდ მიღწევაა და ავტორის იდეური და მხატვრული ოსტატობის მაჩვენებელია.

ყოველი ასეთი გმირი, გამომგონებელია იგი თუ მემალაროვე, თუ ენტუზიასტი—აჩვენებელია იმ ტიპიური გმირული მოვლენისა, რომელიც დამახასიათებელია ჩვენი სინამდვილისათვის.

პოემაში დასმულია მანქანასა და ადამიანს შორის ურთიერთობის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც ჩვენს სინამდვილეში რევოლუციამ მუშათა კლასის სასარგებლოთ გადასწყვიტა. პოემაში აგრეთვე დაყენებულია და საუკეთესო სახეებში გამოჭერილი შრომისადმი დამოკიდებულების ის ახალი და გმირული ხასიათი, რომელიც ანსხვავებს ჩვენს ქვეყანას კაპიტალისტურ სამყაროდან.

ჩვენი ქვეყანა უდიდესი მშენებლობის ქვეყანაა. ეს მშენებლობა უდიდეს შემოქმედებით ინიციატივას და ენტუზიაზმს საჭიროებს. ენტუზიაზმი გამრავლებული გეგმიანობაზე კი ქმნის შემოქმედებითი შესაძლებლობათა ისეთ ძალას, რომელიც ყლაპავს დიად სამუშაოების მაშტაბებს. უკანასკნელი კი ცვლის ჩვენი მიწის სახეს და ყველაფერ ამაში მძლავრად სცემს ჩვენი ეპოქის პულსი.

ეს ადამიანები ახალი სოციალისტური ცხოვრების თავდადებული გმირებია. ისინი გმირულათ აკეთებენ თავისი კლასის საქმეს.

ესენი არიან ბოლშევიკური ტემპების, კომუნისტური გამობძმედილობის ადამიანები.

ასეთია კ. ლორთქიფანიძის ამ პათეთიური პოემის გმირის მუშა დარახველიძის სახეც. იგი მუშა გამომგონებელია, ახალი ტეხნიკისათვის მებრძოლი გმირი. მისი გამოგონების ნაყოფად ქარხანა იგებს „სამასი [illegible] მოგებას“, ამიტომ პოეტი გამსჭვალული ჩვენი ქვეყნის ზრდის [illegible] ამბობს:

„აი გმირობა და შინაარსი:
ჩვენი წლების და ჩვენი ეპოქის,
ხედავთ იზრდება საბჭოთა დაზგა
ამერიკული დაზგის მეტოქე.
როგორც ცხრამეტში დღესაც იმგვარი
ენტუზიაზმის ცეცხლი ტრიალებს
გმირებათ ზრდიან ჩვენი დაზგები
გუშინ უჩინარ ადამიანებს.

რევოლუციამ გაზარდა და წამოსწია მძიმე ცხოვრების პირობებით დაჩაგრული მასები და მრავალი უჩინარი ადამიანი გადააქცია დიადი ქვეყნის საყვარელ ადამიანათ.

ისინი წარსულშიაც ცხოვრობდენ,—გუშინ არ დაბადებულან, მაგრამ მაშინდელი მათი მდგომარეობა განსაზღვრავდა მათ შემოქმედებით შესაძლებლობას და შეგნებას. დღეს კი ახალ ცხოვრებამ იმდენათ გამოაქანდაკა მათი ახალი შეგნება, რომ ისინი არსებითად გამოიცვალენ. არსებითად გახდენ ახლად აღმოჩენილ ძალათ.

ასეთი ფორმაციის ახალი, ცოცხალი რეალური ძალაა კ. ლორთქიფანიძის პოემის გმირი მუშა დარახველიძე. წარსულში ჩვეულებრივი მუშა, შავი ცხოვრების მიერ მიწასთან გასწორებული, სოციალიზმის შენების პირობებში მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლაში გაზრდილი გმირი.

—„ის იქ იზრდება, სადაც გუგუნებს
სოციალისტური შრომის დაზგები,
სადაც საზღვარი ტვინს და კუნთ შორის
ჩვენმა ეპოქამ მოსპო, აყარა
და სადაც შრომა, ცეცხლის ძმობილი
პატიოსნების საქმეთ გამხდარა.“.

აქ საუკეთესოდ მოცემულია შრომისადმი დამოკიდებულობის. ის ახალი შეფასება, რაც ანსხვავებს ჩვენს წესწყობილებას, ჩვენს მორალს კაპიტალისტურისაგან.

ჩვენში შრომა წარმოადგენს „სინიდისის, დიდების და გმირობის საქმეს“. მათთან კი შრომა მონობას და სამარცხვინო უღელს ნიშნავს.

„წყეულო შრომავ, შენს ისტორიას
სისხლი გადმოდის ყოველ ფურცლიდან,
შეშინებულო: შეზიზღებულო
და გავსებულო კაცთა ნაღველით
ყოველ დროში და ყოველ მიწაზე
ტანჯვა ყოფილა შენი სახელი“.

ასე გამოხატავს ამ სხვაობას შრომისადმი დამოკიდებულების საკითხში კ. ლორთქიფანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვარ ხედნიერი და მსუფლიოში
თავი ყველაზე ამაყად მომაქვს
რადგან იმ ქვეყნის მოქალაქე ვარ
სადაც წამება არ ქვია შრომას“.

ვისაც არ დაუკარგავს უნარი ახალი ცხოვრების ჯანსაღი და რეალისტური შეგრძნობისა, ხარბათ ითვისებს ჩვენი საბჭოთა ცხოვრების ახალ სინამდვილეს, მას არ შეუძლია არ წარმოიდგინოს თავი ბედნიერად და არ იამაყოს იმით, რომ ის ამ დიადი საუკუნის შვილია.

კ. ლორთქიფანიძემ ისიც კარგად იცის, რომ მუშა გამომგონებელი ახალი მანქანისათვის, ტეხნიკური რეკონსტრუქციისათვის მებრძოლი ამავე დრო ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლია. ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებული.

მაგრამ არა მანქანის მონა, არა მანქანის დამატება, არამედ მისი ბატონ-პატრონი, ის ღრმად გრძნობს იმ თავისებურებას რომელიც ჩვენ ქვეყანაში არსებობს მანქანასა და ადამიანს შორის.

კ. ლორთქიფანიძე არ იქნებოდა მოწინავე პოეტი, რომ არ იცოდეს თუ რანაირ წინააღმდეგობამდე მიიყვანა კაპიტალიზმა და მისმა კრიზისმა ტეხნიკის განვითარება და ოდესღაც მანქანისა და ტეხნიკის პიონერი კლასი გადააქცია მანქანის მოწინააღმდეგე კლასად, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი გადაიქცა ტეხნიკური პროგრესის უდიდეს ქვეყნად.

კაპიტალისტური წარმოების პირობებში საზღვარი მანქანასა და ადამიანს შორის წაშლილია. იქ მუშა წარმოებაში მანქანის მონაა. მანქანა ადამიანის დამონების სიმბოლოა. მხოლოდ სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი წარმოადგენს ყველა საწარმოო საშვალებათა მფლობელს. მანქანასა და ნივთს იქით ყოვლად შეუძლებელია დავიწყებული იქნეს ადამიანი.

ამიტომ მანქანისადმი სიძულვილს და შიშს არ შეიძლება ადგილი ქონდეს ჩვენს ქვეყანაში. მუშათა კლასი იბრძვის არა მანქანების წინააღმდეგ, არამედ მათი კაპიტალისტური გამოყენების წინააღმდეგ, ამიტომ იგი უაღრესად ტეხნიკური პროგრესის მატარებელი კლასია, და მანქანების გამოგონება ხდება მშრომელების საკეთილდღეოთ. სოციალისტური მრეწველობისა და მეურნეობის ასაყვავებლათ.

ამიტომ სავსებით სწორია პოეტი, როცა ამბობს, რომ ჩვენ კაპიტალიზმს იმ თავიდანვე ადამიანით გადავასწარით.

„არა ტეხნიკით, უსულო ნივთით
რომლის კეთებას შენვე გვასწავლი,
არა ბრუკლინის საოცარ ხიდით,
ჩვენ უმთავრესით გადაგასწარით—
ადამიანით რომელმაც შრომა
გადააქცია შემოქმედებათ,
მისი გვარია, ის რაც გეგმაზე
მეტი სრულდება მეტი კეთდება
მისი სახეა დაფა წითელი
ჰარმაგ ციფრებით განათებული.

კ. ლორთქიფანიძის ეს ცდა უსათუოდ მისი პოეტური გამაოგნებლობის მაჩვენებელია. მან ამ პოემით და უკანასკნელი პერიოდის იდეურათ და მხატვრულათ გამართლებული სხვა ნიმუშებით, სავსებით გამოასწორა [illegible] ლირიკული უკან დახევებით გამრუდებული პოეტური გზა, [illegible] მიემართება „სტენკა რაზინის“ რევოლუციონური რომანტიკიდან — „მუშა გამომგონებელის“ ხაზამდე.

აღსანიშნავია ამ მხრივ კომკავშირული ყოფის გამომხატველი ერთი საუკეთესო პოემა „ერთი მათგანი“.

ერთი მათგანი ის ახალგაზრდაა, ვისი სახითაც გაიზარდა და განმტკიცდა პარტიის საუკეთესო ცვლა და მარაგი — კომკავშირი.

„ერთი მათგანი“ პოემაა იმათ შესახებ, ვინც ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისში მომწიფდა ინტელექტუალურად და ყლასობრივად, „ერთი მათგანი“ პირტიტველა ენტუზიასტის მხატვრული ფურცელია.

ამ გზით მოსულა კომკავშირში არა ერთი და ორი ახალგაზრდა, რომელსაც წარსულში გამოუვლია აუტანელი ცხოვრების პირობები.

„იყო დუქანი, იყო ხარაზი,
ყოვდა შეგირდათ გლეხი პატარა,
დედამ ქალაქში რვა წელის გარდა
სხვა არაფერი გამოატანა“.

მაგრამ ის მოწმე გახდა პატარა პროვინციალურ ქალაქში (ქუთაისში) იმ ისტორიული დღისა, როცა მოხდა საქართველოს გასაბჭოება. როცა ძალა უფლება აიღეს ხელში ბოლშევიკებმა.

„ერთი მათგანი“ ახალგაზრდის ცხოვრება სწორედ ამ პერიოდიდან იწყება:

„მომცეს მანდატი კომკაშირელის
მანდატი ჩემი გადარ ჩენისა“

მართალია მას არ მიუღია მონაწილეობა სამოქალაქო ომებში, მხოლოდ ტირში დაუხვრეტია კარდონის მახნო. არ განუცდია, არ გაუვლია ცივი ციმბირის საშინელება, მაგრამ როგორც ოქტომბრის პერიოდის თაობა მზადაა იბრძოლოს ახალი ცხოვრებისათვის.

„მაშ მომიცია... ეხლა წაიღეთ
ხელუხლებელი სისხლის მარაგი,
მას შეუძლია ვით ელბაქიძეს
კვლავ შეარყიოს ბომბით ქალაქი“,

„ერთი მათგანი“ უსათუოდ ერთი საუკეთესო სიუჟეტიანი კომკავშირული ნაწარმოებია ჩვენს ლიტერატურაში, რომელიც ერთხელ კიდევ ზედმეტად ამტკიცებს იმ ხაზის სისწორეს, რომელიც კ. ლორთქიფანიძემ აიღო თავიდანვე — როცა მისი ლირიკის დომინანტად ისევ რჩება ჯანსაღი ოპტიმისტური მზერა, სიყვარული ახალი ქვეყნისადმი, ახალი ადამიანებისადმი.

ამას ამტკიცებს თუნდაც ლექსების ისეთი სერია, როგორიცაა „მეზობელი“, „ნეპ“, „ასეთებიც ხშირნი არიან“ სადაც პოეტი იძლევა ირონიულ

დამოკიდებულებას და ზიზღს ობივატელებისადმი. მესჩანურ კმაყოფილებისადმი. ჩვენი ქვეყნის კლასიურ მტრებისადმი.

კ. ლორთქიფანიძე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მარაგისა და პოტენციალური შესაძლებლობის მწერალია, რომლის განაღდებას იგი არა თუ მხოლოდ ლირიკული ჟანრის ლექსებით და პოემებით ახდენს, არამედ ბელეტრისტული ოსტატობითაც, ამისი მაჩვენებელია ის რეზონანსი, რომელსაც დღემდე იწვევს მისი პროზა,—„პირველი დედა“, „ახალი გლეხები“ და უკანასკნელად თანამედროვე ქართულ ბელეტრისტიკაში ერთი უშესანიშნავესი რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“.

ამ ნაწარმოებით კ. ლორთქიფანიძემ უსათუოდ დაამტკიცა, რომ ის პროზის საუკეთესო ოსტატია ისე, როგორიც საუკეთესო ლირიკოსი პოეტი.

• • •

ქართული მწერალი

ია ეკალაძე

11 ოქტომბერს ტფილისში მოულოდნელად გარდაიცვალა ია ეკალაძე. ია ეკალაძე—(იაკობ თომას-ძე ცინცაძე) დაიბადა 1872 წ. სოფ. ციმისში (პირიქით ოსეთი, ნარის ხეობა), სადაც 60-იან წლებში გურიიდან გადმოსახლებული მამა მისი მთავარ—დიაკვნად იყო. პირველდაწყებითი სწავლა ია ეკალაძემ მიიღო სოფ. ჯავის ოსურ სკოლაში. 1881 წ. მას გარდაეცვალა მამა და მთელი ოჯახი მძიმე ეკონომიურ სივიწროვეში ჩავარდა.

ამ წელს ია შეყავთ გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მასწავლებლობდა ჩვენი ხალხოსნური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელი სოფრომ მგალობლიშვილი. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით ია ეკალაძე აქვეყნებს თავის პირველ ლიტერატურულ ცდებს. იგი მონაწილეობას იღებს ს. მგალობლიშვილის რედაქტორობით დაარსებულ ხელნაწერ ჟურნალში. თავისი ხალხოსანი მასწავლებლის გავლენის კვალი დიდხანს შერჩა ია ეკალაძის შემოქმედებას.

1887 წ. ია ეკალაძე სასწავლებელს ამთავრებს და გადადის ტფილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც მღელვარებაში მონაწილეობისათვის ითხოვენ 1893 წელს. მას ეკრძალება ტფილისში ცხოვრება და სასწავლებელში სწავლის გაგრძობა.

1894 წ. თომაანთ კობას ფსევდონიმით „ივერიაში“ ბეჭდავს თავის პირველ მოთხრობას „ილიკო ბედენაძე“-ს. ამ დროიდან იწყება მისი მუდმივი სამწერლო მოღვაწეობა.

თავის შემოქმედების პირველ ხანებში ეკალაძე ცდილობს დაუახლოვდეს „მესამე დასელებს“ და კიდეც ბეჭდავს „კვალში“ ლექსს „მოდი მე წავალ იმ მუშასთან“, მაგრამ იგი ვერ ნახულობს საერთო ენას ქართველ მარქსისტებთან და მალე შორდება მათ.

ეკალაძის მოთხრობის „მოწაფეთა ცხოვრებიდან“ დაბეჭვდის გამო 1897 წ. ცენზურამ შვიდი თვით შეაჩერა „ივერია“.

ამავე წელს ია ეკალაძე სამღვდელოებაზე სწერს მწვავე პამფლეტს—„რ ა ს ი ც ი ნ ი?“. პამფლეტი დაწერილი იყო არაკის ფორმით, სადაც ცხოვრების ნიღაბებში იგულისხმებოდა კონკრეტული სასულიერო პიროვნებები.

ამ პამფლეტისათვის მეფის მთავრობა ეკალაძეს სამი წლით ასახლებს ლენქორანში (ბაქოს გუბერნია), საიდანაც უკანვე ბრუნდება 1900 წ.

1905 წ. რევოლუციის პერიოდში იგი თანამშრომლობს „ივერიაში", რომელიც მაშინ ფ. გოგიჩაიშვილის რედაქტორობით გამოდიოდა.

1906—1911 წლების მანძილზე ეკალაძეს ვხედავთ ყაზანის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

1905 წ. მომდევნო რეაქცია ეკალაძეს გარკვეულად აყენებს მარჯვენა ფრთაზე. ამ დროიდან იწყება მისი შემოქმედების მეორე პერიოდი. ამ პერიოდის ეკალაძე მხატვრულ მწერლობაში უკვე სისტემატიურ მუშაობას აღარ ეწევა. მისი შემოქმედებითი პროდუქციის უაღრესად შემცირება ხდება პოლიტიკურ-პუბლიცისტურ მოღვაწეობის გაძლიერებასა და გადიდების ხარჯზე. ეს მოღვაწეობა კი თანდათან ივსება ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული შინაარსით.

1912 წელს იგი აარსებს გაზეთს „ქართლს" ქ. გორში.

ერთი წლის შემდეგ ეკალაძე გადადის ქუთაისში და ადგილობრივ გაზეთ „იმერეთში" თანამშრომლობს.

1914 წ. მისი რედაქტორობით იწყებს გამოსვლას გაზ. „სამშობლო", რომელიც ეროვნული ბურჟუაზიის იდეებით და ინტერესებით განისაზღვრებოდა.

1916 წ. ეკალაძემ დასწერა პიესა № 21 +, რომელშიც იატაკქვეშ მომუშავეთა ცხოვრებაა მოცემული. ამ პიესამ თავის დროზე საკმაოდ დიდი წარმატება მოიპოვა და დიდხანს არ ჩამოსულა ქართულ სცენიდან. ამის შემდეგ იგი თითქმის დაშორდა ლიტერატურულ—საზოგადოებრივ ცხოვრებას და უმთავრესად სოფლად მასწავლებლობდა. უკანასკნელ წლებში (1926—30 წ.წ.) მისი რედაქტორობით გამოქვეყნდა ქართული ლიტერატურის ანთოლოგიის სამი ტომი.

ეკალაძე ამ ბოლო დროს თითქოს ცდილობდა მიახლოვებოდა საბჭოთა მწერლობას. მას დარჩა რამდენიმე პიესა დღევანდელი სინამდვილიდან (მათ შორის „გაიანე", რომელშიც მოცემულია კოლმეურნეთა ცხოვრება), დრამის ესკიზი, „ანნა კარენინას" თარგმანი და სხვა ხელნაწერები.

იაკობი გადასახლებამდე (1897 წ.) სწერდა თომაანთ კობას პსევდონიმით, მის შემდეგ კი ცნობილია ია ეკალაძის სახელით. ამას გარდა იგი სწერდა პსევდონიმებით: ი.--ცანი ი. მარჯანიძე და სხვა.

მის თხზულებების პირველი ტომი დაბეჭდა გამომცემლობა „ტოროლამ" 1904 წ. (და არა 1903-ს, როგორც ეს იყო აღნიშნული უკანასკნელად ჩვენს პრესაში და ლიტერატურის ზოგიერთ სახელმძღვანელოში). შემდეგ 1917 წ. მისი მოთხრობები გამოსცა ქუთაისში მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიამ. ია ეკალაძეს აქვს თარგმნილი რენანის „იესო ქრისტე". მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „სიტყვიერების თეორია" (1918 წ.), „სამართლის მეცნიერება" (1918 წ. სახელმძღვანელო) და სხ. მისი მოთხრობები თარგმნილია რუსულ და სომხურ ენებზე.

ია ეკალაძე ჩვენი ხალხოსნური მხატვრული მწერლობის გვიანი წარმომადგენელია.

90-იანი წლების ხალხოსნობა, რომლის იდეოლოგიურ საფუძველზე აღმოცენდა და გაიშალა ია ეკალაძის მხატვრული სიტყვა,—განიცდიდა რღვევის

პროცესს, ამიტომაც მისი შემოქმედებითი ევოლუციის გათვალისწინება ყველაზე მკვეთრად წარმოგვიდგენს ხალხოსნური მოძრაობის სურათს.

„ხალხოსნობის დედა-აზრს შეადგენს მწარმოებელთა-ინტერესების წარმომადგენლობა წვრილი მწარმოებლის, წვრილი ბურჟუის თვალსაზრისით“—ასე განსაზღვრა ხალხოსნობა ლენინმა ჯერ კიდევ 90-იან წლებში სტრუვეს, პლეხანოვის და საერთოდ მენშევიკ იდეოლოგების ყალბი გაგების საწინააღმდეგოთ. ისტორიის მთელმა შემდეგმა მსვლელობამ ბრწყინვალედ დაადასტურა ხალხოსნობის კლასიური რაობის ეს გენიალური დახასიათება.

წვრილ-ბურჟუაზული კლასის წინააღმდეგობანი და ორპოფული ბუნება მთლიანად გამომჟღავნდა ხალხოსნური იდეოლოგიის იდეალისტურ და უტოპისტურ ხასიათში.

როგორც რუსი ისე ქართველი ხალხოსნები არა თუ ხელაღებით უარყოფდენ კაპიტალიზმის არსებობის ისტორიულ ფაქტს მე-19 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში, არამედ ბატონ-ყმობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად სუბიექტურად კაპიტალიზმის წინააღმდეგაც იბძოდენ თავისუფლებისა და სოციალიზმის სახელით, ობიექტიურად კი ისინი ქვეყნის ბურჟუაზიულ განვითარებას უჭერდენ მხარს. მიწათმოქმედების არაკაპიტალისტური განვითარების თეორია და ამასთან დაკავშირებული მომავლის „სოციალისტური“ საზოგადოების იდეა არსებითად წარმოადგენდა ხალხოსნების ილიუზიას, რომლის მიღმა იმალებოდა გლეხური მასების მისწრაფება—გაენადგურებიათ თვითმპყრობელობა და ბატონყმობის ნაშთები და იმით შეექმნათ პირობები საკუთარი მეურნეობის „კაპიტალისტური გზით განვითარებისათვის“. ქვეყნის ბურჟუაზიული ევოლუციის ეს გზა, რომელსაც ლენინი ამერიკულს უწოდებს (პრუსიულთან დაპირისპირებით) მეტ გასაქანს აძლევდა საწარმოო ძალების განვითარებას. ამაში იმარხება ხალხოსნობის შედარებით პროგრესიული ელემენტები.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მკვლევარი ხალხოსნურ მოძრაობას ხელაღებით უარყოფს. ასეთი ცდები ჯერ კიდევ საკმაოთ აღმოფხვრილი არ არის, ჩვენში მიუხედავათ იმისა, რომ მათ მცდარობაზე ლენინი გარკვეულად მიუთითებდა. „ნაროდნიკული ლიტერატურის უარყოფა მთლიანად, გაურჩევლად, ყოვლად უმართებულოა,—სწერს ლენინი,—ამ ლიტერატურაში უნდა გავმიჯნოთ ურთიერთისაგან მისი რეაქციონური და პროგრესიული მხარეები“. ხალხოსნების პროგრესიულ მხარეს ლენინი ხედავს მათ ზოგად დემოკრატიულ მოთხოვნებში (თვითმართველობა, „ხალხში“ ცოდნის გავრცელება, წვრილი მეურნეობის ამაღლება იაფი კრედიტებით და სხ.), ხოლო მათ წადილს—შეაჩერონ ფულადი მეურნეობის განვითარება და საკუთარი კლასიური (წვრილ-ბურჟუაზიული) მდგომარეობის შენარჩუნების ცდას—რეაქციონურად ნათლავს. ლენინი მთელი სიმკაცრით ილაშქრებს მათ წინააღმდეგ ვინც ვერ არჩევს ხალხოსნობაში ამ ორ მხარეს—პროგრესიულსა და რეაქციონულს, რაც არსებითად გლეხობის ორპოფ ბუნებას ასახავდა.

ამასთან ერთად ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევს ძველი და ახალი ხალხოსნობის ერთმანეთისაგან გამიჯვნას. 70-იანი წლების ხალხოსნობას ლენინი არქმევს „ძველ რუსულ გლეხურ სოციალიზმს“. ამ ხნის სინამდვილე ერთ-

გვარად, განსაზღვრული აზრით „ამართლებდა“ ხალხოსნობის ილიუზიებს, მაგრამ 90-იანი წლების შეცვლილ ისტორიულ სიტუაციაში ეს ილიუზიები უკვე რეაქციონულ ძალად იქცევიან, ამიტომ ლენინი სამართლიანად უწოდებს ამ დროის ხალხოსნებს ეპიგონებს და მათ იდეოლოგიას—„მეშჩანურ სოციალიზმს“. ხალხოსნების ევოლუციას, მის გადაგვარებას ლენინი ხსნის სოციალ-დემოკრატიკაში მომხდარ ცვლილებებით და მით გამოწვეულ სოციალურ დიფერენციაციით.

საქართველოში ხალხოსნობამ გაიარა რუსული ხალხოსნობის თითქმის ანალოგიური გზა, რა თქმა უნდა საკუთარი გარკვეული თავისებურებით. ქართულ ხალხოსნობის თავისებურებათა, განსაკუთრებით მისი სისუსტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმარხება სოფლად „ობშჩინის“ არ არსებობაში, რა თქმა უნდა თუ მხედველობაში არ მივიღებთ მთის „თემს“, რომელიც არსებითად არ წარმოადგენდა ჩვენი სოციალურ-ისტორიულ სინამდვილის დამახასიათებელ ნიშანს.

ქართული ხალხოსნობის გადაგვარება, რომელიც, როგორც ვთქვით,—სოფლის სწრაფ კლასიურ დიფერენციაციით იყო გამოწვეული,—90-იან წლებში უდაო ფაქტს წარმოადგენს.

აი, ამ გადაგვარებული, გვიანი ხალხოსნობის მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ია ეკალაძე.

ია ეკალაძის მოთხრობები გვისურათებენ უმთავრესად წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისა და ნაწილობრივ გლეხობის ცხოვრებას. თითქმის ყველა მისი ნაწარმოები ვითარდება კონტრასტულ ხახებში. ავტორი მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს ორ ქვეყანას: ერთის მხრით დგანან მაძღარნი და მტაცებელნი, მეორეს მხრით კი ღარიბები და დაჩაგრულები.

ია ეკალაძის გმირები, ხალხოსნური იტელიგენციის ფენებიდან, ატარებენ ავტობიოგრაფიულ ხასიათს. ისინი ჰუმანიურად არიან განწყობილნი, მთელი სიმწვავით გრძნობენ არსებულ სოციალურ უსამართლობას, მაგრამ დამახასიათებელია, რომ მათი „ბრძოლის ჟინი“ სიტყვიერ აღშფოთებას ვერ სცილდება. ისინი უაღრესად უხერხემლო ადამიანებია, უნიადაგო მეოცნებენი, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი სამოქმედო პროგრამა. მათი წუხილი „გაჭირვებულის შველისა და დაჩაგრულის ფეხზე წამოყენების“ შესახებ რჩება ცარიელ ფრაზად და უნაყოფო ოცნებად.

ია ეკალაძის პირველი მოთხრობის გმირი ილიკო ბედენაძე „დაბალი წრიდან“ გამოსული ინტელიგენტია. ბედენაძეს მწარედ აფიქრებს და ხშირად „თვალწინ წარმოუდგება ქვეყნის უსამარლობა და ძალმომრეობა“, მაგრამ მას არ აქვს შეგნებული ამ ძალმომრეობის კლასიური შინაარსი. ამიტომაც არ გააჩნია არავითარი პრაქტიკული მიზანი და მხოლოდ ჰუმანიური განწყობილებებით უთანაგრძობს „ხალხს“. ბედენაძე ტიპიური მეოცნებეა, მისი „პროტესტი“ უაღრესად პასიურია. ბედენაძისთვის გაუგებარი და უცხო იყო ქვეყნის რევოლუციონური. გარდამქნის მეთოდი, ამიტომაც ბუნებრივია, რომ იგი საბოლოოდ რჩება ტყვედ წვრილბურჟუაზიულ ჰუმანიურობას და უნიადაგო ოცნებას,

ია ეკალაძის სხვა გმირები: ტროფიმე („დაუდეგარი“-დან), გენო დონაძე („ოლონდაც“), ახალგაზრდა გოგია („ნენე“) ილიკო ბედენაძის ანალოგიურ ტიპებს წარმოადგენენ. როგორც ბედენაძე ისინიც სილარიბეში იზრდებიან და ვერ

ეგუებიან სწავლის მძიმე რეჟიმს. ისინი განიცდიან უსაზღვრო მორალურ ტანჯვას და ოცნებობენ „მწარე აწმყოს გაუმჯობესებაზე“, მაგრამ სინამდვილეში სრულ უმოქმედობასა და პასიურობას იჩენენ.

ამ მხრით ია ეკალაძე განსხვავდება ჩვენი ხალხოსნური ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენელებისაგან—მის შემოქმედებაზე ამ უკანასკნელთა უდაო გავლენის მიუხედავათ. მის მოთხრობებს არ ახასიათებთ არც ის რევოლუციონური განწყობილება, რომელიც გამოსჭვივის სოფ. მგალობლიშვილის ზოგიერთ ნაწარმოებში („ჯორ-ზაქარა“) და არც ეკ. გაბაშვილის ხალხოსანთა ტიპიური გმირები, თავიანთი პრაქტიკული მოქმედებით და გლეხური მეურნეობის ამაღლების მისწრაფებით—(„გამარჯვებული ნიკო“)

შეიძლება ითქვას, რომ ია ეკალაძე უფრო ნიკო ლომოურას,—(ყველაზე მეტად პასიურ ხალხოსანს),— უახლოვდება, მაგრამ ამ უკანასკნელსაც ვერ უსწორდება „ხალხში“ გასული ნაროდნიკის და მისი ზრუნვის ობიექტის—დაბეჩავებული გლეხის დახატვაში.

ხალხში გასული ინტელიგენტების პორტრეტებს ეკალაძე გვისურათებს მხოლოდ ერთ მოთხრობაში „თეო“, ზურასა და თეოს სახით. მოთხრობაში წინა პლანზე წამოწეულია მათი პირადი განცდები. თეო და ზურა ხალხოსანის ცალმხრივი სახეებია და არა ტიპიური და დასრულებული. იმათ ახასიათებთ მხოლოდ ერთი ნიშანი—ხალხში სწავლის შეტანის სურვილი. ამ პერსონაჟებისათვის უცხოა თვით ნიკო ლომაურის მშვიდი ხალხოსანი გმირების თვისებები: „ფულის შეგროვება და ბანკის გახსნა“—(ვანო, „ბედი უბედურთა“), „პურის მაღაზიების და საზოგადო დეპოების დაარსება“ (გიგო ღრუბელაშვილი“) და სხ. ეს მისწრაფებები სოფლად გასული ხალხოსანის ძირითად დამახასიათებელ ატრიბუტებს შეადგენდა. არც ერთი აღნიშნული იდეა თეოსა და ზურას არ გააჩნიათ. ისინი ხალხოსნობის დეკადანსს ამჟღავნებენ. აღსანიშნავია, რომ მათ მეტადა სქემატიურად გვიხატავს ავტორი.

ია ეკალაძის შემოქმედების კლასიური ხასიათის გამოსამჟღავნებლად საინტერესო მასალას იძლევა ანალიზი იმისი ერთი ესკიზისა: „კრებაზე“. ამ ესკიზში ია ეკალაძე გვისურათებს ჩვენი წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის, სულიერ განწყობილებებსა და მათ გონებრივ სიღატაკეს.

ია ეკალაძე გვიხატავს ამ უსაქმო კრებას შრომისა და ერთობის საკითხებზე. ბუნებრივია, რომ ეს კრება იქცეკა ნამდვილ სალაყბოდ, საქმიანი მსჯელობის და პრაქტიკული დასვენების გამოტანის ნაცვლად კრებაზე გაუთავებელ ლანძღვა გინებას ვხედავთ. ყურადღებას იქცევს ერთი დამახასიათებელი მომენტი. კრებას ესწრებიან „მუშებიც“ ავტორის სიტყვით ისინი „ისხდენ გაჩუმებულნი და ანთებულ სანთელსავით შესცქეროდენ ორატორებს“. აღსანიშნავია, რომ მუშების აზრს გამოხატავს და მათი სახელით ლაპარაკობს მედუქნე ნიკოლა. იგი ინტელიგენტებს მიმართავს:

— „გაგვიძეხით წინ, ჭკუა გვასწავლეთ და სიყრმეს გეფიცებით, ერთი გლახა დუქანი მაქვს და საზოგადო საქმეს შემოვავლებ თავსაო“. ამ სიტყვებს აღტაცებით შეხვდა კრება. ავტორი ნიკოლას დიდი თანაგრძნობით ეკიდება, მისთვის ხალხოსნობის გადაგვარების პერიოდში „ნამდვილი ადამიანი“ ნიკოლა მედუქნეა.

რომელიც მისი სიტყვით „თაკს განწირავს მუშისა და დაჩაგრულ მრეშისათვის“ და რომელსაც იგი მუდამ წარმოადგენს. ნამდვილ მუშას კი ეკალაძე ვერ ხედავს. ამის გამო არის, რომ იგი მჩაგვრელისა და ჩაგრულის, დამპერისპირების პრიმიტიულ ფორმას მიმართავს: „მორთულ-მოკაზმულ მაძალებს უპირისპირებს ლუმპენპროლეტარიატს.—გლახაკებსა და დავრდომილებს ე. ი. დეკლასიურ მასას. აქედან ნათლად ჩანს, რომ ეკალაძისთვის უცნობია მუშათა კლასი რომელიც ბედენაძის მოქმედების ხანაში (90-იან წლებში) ისტორიის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის გზაზე იყო შემდგარი. რა თქმა უნდა იგი ვერ ამჩნევს აგრეთვე ვერც პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველ ახლად ფეხადგმულ რევოლუციონურ ინტელიგენციას.

ია ეკალაძის თემატიური მასალა არ შემოიფარგლება მხოლოდ ინტელიგენციით. რამდენიმე მოთხრობაში მან მოგვცა სოფლის სურათები. ეკალაძის გლეხი ბრძოლისა და თვითმოქმედებისაგან შორს დგას. იგი უაღრესად პასიური და უხერხემლოა.

გოგია მშვენაძე (სადღესასწაულო ფანტაზია „გლეხის სიზმარი“) გონება გაუხსნელი გლეხია. ქალაქში მიმავალ გოგიას გზაზე ნამქერი უსწრებს, შეშინებული გადარჩენას ღმერთს ევედრება და თავს შეაფარებს ციხის ძირს, სადაც ჯიდეც ჩაეძინება. სიზმრად ნახულობს წმინდანიანს, რომელიც ცდილობს შთაბეროს გოგიას სარწმუნოებისა და სამშობლოს სიყვარულს შეგნება. გოგია იღვიძებს და სიზმრის შთაბეჭდილების ქვეშ მირბის ეკლესიაში, სადაც ემხობა წმ. ნინოს ხატის წინაშე. ეს „ფანტაზიაც“ ხალხოსნების დეკადანსის საუკეთესო მაჩვენებელია. (უნდა აღინიშნოს, რომ ამ სარწმუნოებრივი და ნაციონალისტური ხასიათის ნაწარმოების გვერდით ია ეკალაძეს აქვს ანტი-რელიგიური არაკიც „რას იციენი“. ასეთი მერყეობა წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს).

მეორე მოთხრობაში („სურათი“) დახატული გლეხი—იორდანე დეკლასიურ გზაზე დგას. მას სოფლის ჩარჩი—ვაჭარი ბაღდასარა ხელმეორედ ახდევინებს ერთხელ გადახდილ ვალს და უმძიმეს ეკონომიურ გაჭირვებაში აგდებს. მაგრამ ჩარჩზე მეტად იორდანეს აძაბუნებს თავისი ჭირვეული ცოლი, რომელიც საბოლოოდ ყურმოჭრილ ყმად იხდის მას და ხშირად კიდევაც ცემს.

ეკალაძის შემოქმედებაში უნდა ავღნიშნოთ ერთი თემატიური ნაკადიც ისტორიული ქრისტიანიზმი... (მოთხრობა—„მშვიდობა შენდა“, ესკიზი „შეჩვენებული“ და სხ.). ამ ტენდენციამ ეკალაძის მიერ რენანის ცნობილ „იესო ქრისტეს“ თარგმნის ფაქტში პოვა განსახიერება.

ია ეკალაძე მარტო მოთხრობითა და ესკიზით არ შემოფარგლულა იგი ხშირად მიმართავდა სხვა ჟანრსაც—ლექსს პროზად, ე. წ. „ლექსისებურს“. ამ ფორმით შესრულებულ მის ნაწერებს ახასიათებთ ერთის მხრით პათეტიური, ამაღლებული ტონი, მეორეს მხრით მინორული განწყობილება. მათი ძირითადი გამსაზღვრელი ნიშანი კი მშრალი რიტორიკაა.

ეკალაძის მოთხრობები ფორმალურ—კომპოზიციურად უცილოდ მოისუსტებენ. მათი უკვანძო სიუჟეტი მარტივად ვითარდება გმირის წინა პლანზე

წამოწევის შაბლონით. მის მოთხრობებს აკლია მხატვრული ოსტატობა. ყოფითი მასალა ეკალაძის მხატრულ ნაწერებში უმთავრესად მოცემულია დაუმუშავებელი სახით.

ია ეკალაძის ტიპაჟი ერთფეროვნებით ხასიათდება. მისი გმირები ყველა ძირითადი თვისებით ერთმანეთს იმეორებენ. მათ არ გააჩნიათ მკვეთრი ინდივიდუალური თავისებურება არც შინაარსეული კონსტრუქციისა და არც სიტყვიერი მასალის მხრით. მისი პერსონაჟები არ წარმოადგენენ დასრულებულ, ტიპებს, ისინი ესკიზების ნახაზების შთაბეჭდილებას ტოვებენ; ეკალაძის ნაწარმოებში გმირის უშუალო ჩვენების ნაცვლად ავტორის ოქმურ თხრობასთან გვაქვს საქმე. ეკალაძე ხშირად თვითონ გვიყვება გმირის ისტორიას და უკანასკნელის სიტყვა მინიმუმამდე დაყავს.

განყენებული-პათეტიური ტონი, მორალური სულისკვეთების შიშველი ჩვენება და ბურჟუაზიული ჰუმანიზმი თავის დაღს ასვამენ ია ეკალაძის შემოქმედებას და თავის ახსნას ხალხსნობის რღვევის პროცესებში პოულობენ.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის შემდეგ ია ეკალაძემ მთლიანად პოლიტიკურ პუბლიცისტურ საქმიანობას ეძლევა. ამ დროის მის ბელეტრისტულ მუშაობას სპორადიული ხასიათი აქვს და არსებით მნიშვნელობას არ შეიცავს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეკალაძის მეორე პერიოდში მოცემულ მეტად მცირე მხატვრულ პროდუქციის ძირითად თვისებას შეადგენს თემატიური მასალის სოციალური ბუნების შეცვლა ეროტიული ხასიათით, რაც ბურჟუაზიულ-ლიკვიდატორულ განწყობილებების ნათელ გამომჟღავნებას წარმოადგენს —(„თვალები, მხოლოდ თვალები!“ „რას ამბობენ ვერხვები“ და სხ.).

1905 წ. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ გამეფებული რეაქცია მის აზროვნებაში მძლავრ გამოძახილს იძლევა, ამდენათ პირველი პერიოდის ეკალაძის მხატრულ პრაქტიკაში მოცემული ლიბერალური ელემენტები ლოლიკურ გაგრძელებასა და დასასრულს პოულობს შემდეგი დროის მისი პუბლიცისტური მოღვაწეობის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შინაარსში.

ქართულ ხალხსნურ მწერლობაში ია ეკალაძე დამახასიათებელი ფიგურაა. მისი მხატვრული შემოქმედება აღსანიშნავია თავისი სოციალური მნიშვნელობით,—მასში მკვეთრად გამოიხატა ხალხსნური მოძრაობის ისტორიული ევოლუცია და იდეოლოგიური კრახი.

ზ. აბზიანიძე.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ს. ტურგენევი

მიმდინარე წელს 50 წ. შესრულდა გამოჩენილი რუსი მწერლის, ი. ს. ტურგენევის გარდაცვალებიდან. ი. ტურგენევი დაიბადა 1818 წ. ორლოვში. ბავშობა გაატარა დედა მისის მამულში სოფელ სპასკში, სადაც იგი ბატონყმური მონობის უსაშინელესი სურათების მოწმე გახდა. ტურგენევის დედა იყო უსასტიკესი მებატონე მისი დესპოტიური ბუნება მჟღავნდებოდა არა მარტო ყმებთან ურთიერთობაში, არამედ ბავშებთან დამოკიდებულებაშიც. ბავშობის დროის მოგონებები ბატონყმობის შესახებ ტურგენევმა ფართოდ გამოიყენა თავის მხატრულ შემოქმედებაში, მაგ. „მუმუ"-ში იგი გადმოგვცემს თავისი ოჯახის ცხოვრებიდან ნამდვილ ფაქტებს, რომლებიც ბავშობისას ჩარჩა მის ცნობიერებაში.

პირველიდაწყებითი სწავლა მან მიიღო შინ. რუსული ენის და ლიტერატურის სიყვარული და ინტერესი ტურგენევს პირველად ჩაუნერგა დედა მისის კამერდინერმა ლობანოვმა, რომელიც დიდი თაყვანისმცემელი იყო რუსული ფსევდოკლასიკური ლიტერატურის.

1833 წ. ტურგენევი ამთავრებს საშუალო სასწავლებელს და შედის მოსკოვის უნივერსიტეტში სიტყვიერების ფაკულტეტზე, საიდანაც ერთი წლის შემდეგ გადადის პეტერბურგის უნივერსიტეტში იმავე ფაკულტეტზე და ასრულებს მას 1837 წ.

პირველი ლიტერატურული ნაბიჯი ტურგენევმა გადადგა ლექსებით, რომელიც დაიბეჭდა 1838 წ. პროფ. პლეტნევმა ჟურნალ „სოვრემენიკში". ამავე წელს ტურგენგვი მიემგზავრება საზღვარგარეთ და შედის ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს კლასიკურ ფილოლოგიისა და ჰეგელის იდეალისტურ ფილოსოფიისადმი იგი ამ დროს უახლოვდება სტანკევიჩის წრეს, რომელშიც გამეფებული იყო „ზაპადნიკური" განწყობილება. ეს წრე ისახავდა მიზნად ბრძოლას ბატონყმობის წინააღმდეგ, მაგრამ „ზაპადნიკების" მისწრაფებები ამ მიმართულებით ისაზღვრებოდა მშვიდობიანი რეფორმებით და თანდათანობითი განვითარების ლიბერალური პრინციპით. ტურგენევი მთლიანად მოექცა სტანკევიჩის წრის გავლენაში და როგორც თვითონ ამბობს „შეიქნა ზაპადნიკი და დარჩა ასეთად სამუდამოთ" — შემდეგში ტურგენევი თავის თავს ახასიათებდა, როგორც „ძველ ლიბერალს და თანდათანობით განვითარების მომხრეს" ასეთმა იდეოლოგიურმა ატმოსფერომ ხელი შეუწყო ტურგენევის ლიბერალურ-მემამულურ მსოფლმხედველობის განმტკიცებას. 1841 წ. იგი ბრუნდება რუსეთში და ოცნებობს სამეცნიერო კარიერაზე, მაგრამ მაშინდელ პირობების გამო ვერ ანხორციელებს თავის მიზანს. ტურგენევი იძულებული ხდება შევიდეს სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ მალე ანებებს თავს და ხდება პროფესიონალურ მწერლად.

როგორც ვთქვით ტურგენევმა პირველი ლიტერატურული ნაბიჯი გადადგა ლექსებით (პოემა „параша“ და სხვ.), მაგრამ მისი ნამდვილი სამწერლო კარიერა იწყება 1847 წლიდან, როცა მან „სოვრემენიკში“ დაბეჭდა მოთხრობა „ხორი და კალინიჩი“. ამავე წელს იგი მიემგზავრება საზღვარგარეთ. [illegible] სწერს მოთხრობების სერიას საერთო სათაურით „მონადირის წერილები“. სამი წლის შემდეგ ბრუნდება რუსეთში და 1852 წ. უშვებს „მონადირის წერილებს“ კრებულის სახით. ამ კრებულის გამოცემის გამო მთავრობა სჯის ავტორს, ხოლო ცენზორს ითხოვს სამსახურიდან.

1852 წ. გოგოლის გარდაცვალების გამო ტურგენევი სწერს პატარა წერილს, რომელიც პეტერბურგში აკრძალეს და იბეჭდება „მოსკოვის უწყებებში“. ეს წერილი ხდება „მონადირის წერილების“ ავტორის დაჭერის საბაბად.

ნიკოლოზ პირველის ბრძანებით მას ატყვევებენ ერთი თვით, რის შემდეგაც ასახლებენ თავის სოფელში. 1853 წ. ტურგენევი თავისუფლდება გადასახლებისაგან და 1856 წ. მიემგზავრება საზღვარგარეთ. სადაც ატარებს ცხოვრებას სიკვდილის უკანასკნელ დღეებამდე და მხოლოდ მოკლე ხნით ჩამოდის ხოლმე რუსეთში.

ტურგენევი უცხოეთში უახლოვდება ევროპის დიდ მწერლებს — ფლობერს, ზოლას, ჟორჟ ზანდს, დოდეს და ხდება ფრანგული ლიტერატურული სალონების საყვარელ წევრად.

„მონადირის წერილების“ შემდეგ ტურგენევი კიდევ მეტად ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს და იძლევა დიდ შემოქმედებით პროდუქციას, განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობენ მისი რომანები: „რუდინი“ (1856), „დვორიანსკოე გნეზდო“ (1858), „ნაკანუნე“ (1859), „ოტცი ი დეტი“ (1861), „დიმ“ (1867) და „ნოვ“ (1876).

ტურგენევი გარდაიცვალა 1883 წ. ბუჟივალში, პარიზის მახლობლად. მისი ნეშტი გადმოიტანეს და დაკრძალეს პეტერბურგში ვოლკოვის სასაფლაოზე.

ი. ს. ტ ურ გ ე ნ ე ვ მ ა, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატმა უაღრესად შესანიშნავი ადგილი გამოიკვეთა მე-XIX ს. რუსული ლიტერატურის ისტორიაში.

რუსული კრიტიკის დიდმა მნათობმა ბ ე ს ა რ ი ო ნ ბ ე ლ ი ნ ი ს კ ი მ „მონადირის წერილების“ ავტორს ლიტერატურაში პირველ გამოჩენისთანავე მიაპყრო ყურადღება, შეაქო მისი მხატვრული ტალანტი და ხმამაღლა აღიარა: ტურგენევი „ხალხში შევიდა ისეთი მხრით, რომლიდანაც მასთან მანამდე არავინ შესულა.“ მართლაც ტურგენევის „მონადირის წერილები“ რუსულ ლიტერატურაში გლეხის შესახებ პირველი სიტყვა იყო, რომელშიაც ისმოდა თანაგრძნობის ტონი — (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მანამდე დაბეჭდილ გრიგოროვიჩის ორიოდე მოთხრობას ამავე თემაზე).

როგორც „სლავიანოფილები“, ისე „ზაპადნიკები“ ერთნაირი აღტაცებით შეხვდენ „მონადირის წერილებს“. იგი მიღებულ იქნა გაბედულ გალაშქრებად ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. მთავრობა მას აფასებდა, როგორც საშიშ წიგნს, რომელსაც შეეძლო გამეოწვია „თავად აზნაურთა წოდებისადმი პატივსცემის შემცირება“.

ფაქტიურად „მონადირის წერილებში“ სრული დაც არ ყოფილა აქტიური პროტესტი ბატონყმობის წინააღმდეგ. ის იყო ფეოდალური ლიბერალიზმის იდეოლოგიის ჰუმანიური განწყობილებების გამომჟღავნება [illegible] — გლეხის მიმართ, ყმის ადამიანად აღიარება. „მონადირის წერილებში“ [illegible] ნათლად მჟღავნდება მისი ავტორის კლასიური სახე. ტურგენევი „წერილებში“ განათლებული ლიბერალის თანაგრძნობით გვიხატავს დეკლასიურ გლეხების სახეებს — კულაკებს და შინაყმებს, იგი სრულიად ვერ ამჩნევს მიწათ-მომქმედ გლეხობის ძირითად ფენას, რომელშიაც ღვიოდა პროტესტი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. გლეხური მასის წინაშე ტურგენევი განიცდიდა კლასიურ შიშს და მას ყოველთვის უარყოფითად ახასიათებდა. უსაზღვრო უგნურება და საშინელი სიმკაცრე შეადგენს ტურგენევის გლეხური მასის ძირითად თვისებას. შეიძლება ითქვას, რომ ტურგენევი სოციალური ინსტიქტით და ღრმა მხატვრული ალღოთი გრძნობდა ზოგჯერ, თუ რა ქარიშხალი იღვიძებდა გლეხურ მასებში, მაგრამ იგი შიშით თვალს ვერ უმართავდა სინამდვილეს. მან მხოლოდ ერთ ფანტასტიურ მოთხრობაში დაგვისურათა, როგორც მოჩვენება და არა ფაქტი, გლეხური „რუსული ჯანყის“ „საშინელებანი.“

უდაოა ის ფაქტი, რომ ტურგენევი ბატონ-ყმობის მოსპობის მომხრე იყო. ამის ძირითადი მიზეზები მაშინდელ რუსეთის სოციალ-ეკონომიურ განვითარებაში მარხია. კაპიტალიზაციის პროცესი და ბატონ-ყმური მეურნეობის კრიზისი მას ძალაუნებურად აყენებდა აღნიშნულ პოზიციაზე.

მაგრამ ტურგენევისაგან ბატონყმობის უარყოფა, როგორც ვთქვით, მხოლოდ და მხოლოდ გამოიხატებოდა ამ საშინელი სოციალური ინსტიტუტის პასიურ ლიბერალურ კრიტიკაში. ყოველგვარ რევოლუციონურ და სოციალისტურ მისწრაფებას — იგი მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა

მართალია, ერთ დროს ტურგენევი თანამშრომლობდა გერცენის „კოლოკოლში“, მაგრამ მის მიმართულებას არასოდეს არ იზიარებდა და როდესაც „კოლოკოლის“ რადიკალური ხასიათი აშკარა გახდა, მან პირდაპირ გაიცხა ჟურნალის რევოლუციონური მიმართულება და გერცენს მისწერა, რომ „საზოგადოებას, რომელიც რუსეთში „კოლოკოლს“ კითხულობს სოციალიზმის თავი არა აქვს“, იგი აღშფოთებას გამოთქვამდა, რომ „კოლოკოლი“ უპროტესტოდ ათავსებდა ბაკუნინის მანიფესტს და ოგარევის სოციალისტურ წერილებს.

1848 წლის თებერვალში, როდესაც რევოლუციის ცეცხლი ედებოდა პარიზის ქუჩებს, ტურგენევი აზნაური — ლიბერალის გულდამშვიდებით ათვალიერებდა მხატვრულ გამოფენებს და სიხარულს გამოთქვამდა ბურჟუაზიის გამარჯვების გამო.

ყველაზე უფრო ნათლად ტურგენევის იდეოლოგიური და სოციალური სახე გამომჟღავნდა მის რომანებში. განსაკუთრებით „მამებში და შვილებში“ და „Новь“ — ში„.

რომანში „მამები და შვილები“, რომელსაც ტურგენევი დიდი შემოქმედებითი შთაგონებით სწერდა, ფართოდ გაშალა მთელი თავისი მსოფლმხედველობა. მისი მიზანი იყო ამ რომანში დაესურათებია ბრძოლა რევოლუციონურ, რაზნოჩინულ ახალგაზრდობასა და ძველ ფეოდალური კლასს შორის. რომანმა დი-

დი და სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია რევოლუციონურ ინტელიგენციაში. „რაზნოჩინულმა“ ახალთაობამ ბაზაროვი თავისი თავის კარიკატურად მიიჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მხრით ძველმა თაობამ ტურგენევს ბრალი დადო ბაზაროვის „ნიღილისტურ“ იდეების გაზიარებაში. რა თქმა უნდა, ძველი თაობა ცდებოდა. ტურგენევი დიდი სიმპატიით ხატავს ძველ კულტურულ აზნაურობას და მათ ოსებითად კეთილშობილ ადამიანებად გვისახავს. მართალია, ისინი ცხოვრებას ადვილად ვერ ეგუებიან, მაგრამ საბოლოოდ მაინც ამარცხებენ მაგაი ჯიშის ბაზაროვს.

ტურგენევი ბაზაროვის სახეს ანვითარებს მეტათ უარყოფით ხაზებში. ზიზღი გლეხური მასებისადმი, ხალხის მომავლისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ვულგარული, ცინიკური მდიგომა ქალისადმი და სრული სიჩლუნგე ბუნების და ხელოვნების მშვენიერების გაგებაში — აი ბაზაროვის ძირითადი დამახასიათებელი შტრიხები.

როგორც ვხედავთ, ბაზაროვი დამახინჯებული სახეა ახალი რევოლუციონური თაობისა. ჩვენ ვიცით, რომ ეს უკანასკნელი გაფთრებით ებრძოდა ბაზაროვის ზემოჩამოთვლილ ყველა თვისებებს. რაზნოჩინეცი — დემოკრატი სრულიადაც არ წარმოადგენდა უაზრო უარმყოფელს. იგი, პირიქით, ხალხის მომავლისათვის რევოლუციონურ ბრძოლაში ხედავდა აზრს და დანიშნულებას, სწორად და ღრმად აფასებდა სინამდვილის და ხელოვნების სილამაზეს და ღირსეული, წრფელი გრძნობით ეკიდებოდა ქალს. საკმარისია შევადაროთ ჩერნიშევსკის რომანის („Что делать)“ გმირი რევოლიუციონერი — რაზნოჩინელი რახმეტოვი ბაზაროვს, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენათ ყალბათ დახატა ეს უკანასკნელი ტურგენევმა. აღსანიშნავია, რომ მწერალი საბოლოოდ სამარცხვინოდ ამარცხებს ბაზაროვს ფეოდალური თაობის წინაშე. ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლის ანა ოდინცოვას უიღბლო სიყვარულის ნიადაგზე უსახელოდ კვდება ბაზაროვი. მომავალი კი კირსანოვებს და ოდინცოვებს ეკუთვნის — ასეთია ავტორის მრწამსი.

1876 წ. ტურგენევი სწერს რომანს: „Новь“, რომელშიაც ხატავს ხალხოსნურ ინტლეგენციას. ამ რომანში გულწრფელი გრძნობით ხალხში მიმავალ რევოლიუციონერი ინტლიგენტიები უსაზღვრო ფანატიკოსებად, კარიერისტებად და უგნურებად გვევლინებიან. ავტორი მათ სამარცხვინოდ ამარცხებს ყოველ ნაბიჯზე.

— „როგორც მწერალმა ტურგენევმა შეინახა აზნაურული თვისება“ — სამართლიანად სწერს ბრანდესი. ტურგენევი ნამდვილ აზნაურ-ლიბერალად დარჩა ბოლომდე. მთელის არსების „ზაპადნიკმა“, ევროპის კულტურის დიდმა თაყვანისმცემელმა, თავის სიცოცხლე დაალამა სხივისი, ფრანგული ოჯახის ჭერ ქვშ "შეკედლებულმა“, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე. იგი სიკვდილამდე შერჩა თავის ესტეტიურ პრინციპს, რომელიც ცნობილ ფორმულაში გამოიხატა.

„ვეხერა მილოსელი უფრო უეჭველია, ვიდრე 1789 წ. იდეები“, მას ყოველ რევოლუციას ერჩივნა პოლინა ვიარდოს ერთი სიმღე-

რა და როგორც ვიქვით თებერვლის ფრანგულ რევოლუციას სურათების გამოფენაში ცვლიდა.

მიუხედავად ამისა პროლეტარიატისათვის მაინც ძვირფასია ტურგენევი, როგორც მხატვარი. ცნობილია თუ ლენინი რა დიდათ აფასებდა მას, როგორც სიტყვის საუკეთესო ოსტატს: ლენინი ტყუილად არ იგონებს და ახასიათებს პენოჩკინის შეუდარებელ სახეს თავის წერილში გრაფ გეიდენის შესახებ, სადაც ამ უკანასკნელის „ჰუმანიურობის“ და „კულტურულობის“ ნამდვილ შინაარსს ამჟღავნებს.

პროლეტარიატი კიცხავს ტურგენევის სამარცხვინო ლიბერალურ იდეებს, მაგრამ მას კარგად აქვს შეგნებული, თუ რა დიდი ფასი აქვს მისთვის „მონადირის წერილებს“ ავტორის მიერ შექმნილ მემამულეების უკვდავ სახეებს ბატონყმური მონობის ამაღელვებელ სურათების გასათვალისწინებლად. ამიტომ ტურგენევის მხატვრული მემკვიდრეობა ეკუთვნის სოციალიზმის მშენებელ კლასს. მას ამაში ვერავინ შეედავება.

ანა ნიკოლაძე

შინაარსი №11

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვული რლიტერატურა

ლეო ქიაჩელი—ჰაკი აძბა (მოთხრობა) 3
გიორგი ლეონიძე – მყვირალობა (ლექსი) 48
მარიამ გარიყული—ანარეკლი (მოთხრობა) 49
არჩილ ჯაჯინაშვილი—ნაგერალი (რომანი) 75
გრიგოლ აბაშიძე—უკანასკნელი ხატისკაცი (ნაწყვეტი პოემიდან) . . . 107
გერცელ ბააზოვი—ფეთხაინი (რომანი) 118
ლორდ ბაირონი—სენნაქერიბის დამარცხება (ლექსი) 161
„ „ ბედნიერი ხარ (ლექსი) 162
შელლი—ოზიმანდიას (ლექსი) 163

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

კ. მელაძე—გაკვრით „კლასიკოსებზე 164
ს. ხუნდაძე –ივანე მაჩაბელი 185

წიგნები და მწერლები

ალ. სულავა—ენტუზიაზმის პოეტი 192

კულტურის მატიანე

გ. აბზიანიძე—ია ეკალაზე 202
ა. ნიკოლაძე—ი. ს. ტურგენევი 209